

ა(ა)იპ – კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი

კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი

სამეცნიერო ჟურნალი

2

თბილისი

2022

მთავარი რედაქტორი

ნათია კენჭიაშვილი (ასისტ.-პროფ. დოქტ.)

სამეცნიერო საბჭო:

ჯოზეფ ზომპეტი (პროფ., დოქტ.)

თინათინ ბოლქვაძე (ასოც. პროფ., დოქტ.)

გიორგი ამირანაშვილი (ასოც. პროფ., დოქტ.)

მთავარი რედაქტორის ასისტენტი

ნინო თელიაშვილი (სტუდენტი)

სარედაქციო კოლეგია:

ქართული ტექსტების რედაქტორი

ნატო გორდელაძე

ქართული ტექსტების კორექტორი

ნინო ნოზაძე

ინგლისური ტექსტების რედაქტორი

ნათია ზოიძე

ინგლისური ტექსტების კორექტორი

მარინე მახათაძე

სამეცნიერო რედაქტორი

გურამ ლეგაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

თამარ სტეფნაძე

Editor-in-Chief

Natia Kentchiashvili (Asst. Prof. Dr.)

Scientific Council:

Joseph P. Zompetti (Prof. Dr.)

Tinatin Bolkvadze (Assoc. Prof., Dr.)

Giorgi Amiranashvili (Assoc. Prof. Dr.)

Assistant to the Editor-in-Chief

Nino Teliashvili (LL.B. Student)

Editorial Board:

Georgian Text Editor

Nato Gordeladze

Georgian Text Proofreader

Nino Nozadze

English Text Editor

Natia Zoidze

English Text Proofreader

Marine Makhatadze

Scientific Editor

Guram Legashvili

Technical Editor

Tamar Stepnadze

**NNLE – CENTER FOR CLASSICAL AND CONTEMPORARY RHETORIC
RESEARCH**

**CLASSICAL AND CONTEMPORARY
RHETORIC REVIEW**

SCIENTIFIC JOURNAL

2

TBILISI

2022

უკ (UDC) 808.5
კ-584

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანიში“, 2022
Printed in “Meridiani” Publishers, 2022

© 2022. საავტორო უფლებები დაცულია.
© 2022. All Rights Reserved.

ელფოსტა / Email – contact.cccrr@gmail.com

ISSN 2720-829X

სარჩევი

ცენტრის შესახებ9
მთავარი რედაქტორის მიმართვა.....11
სტატია13

I. სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები

სიტყვა, წარმოთქმული კნენა კრისტინე დგებუაძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისში, 1908 წლის 14 დეკემბერს 29

სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს..... 32

სიტყვა, წარმოთქმული ბარბარე სულხანიშვილის მიერ შიო მღვიმელის დაბადების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოზე, ქ. ქუთაისში, 1916 წლის 12 მარტს..... 35

სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ, მასწავლებელთა კავშირის მიერ გამართულ საღამოზე, ქ. თელავში, 1917 წლის 11 აგვისტოს 40

სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1920 წლის 15 თებერვალს 44

სიტყვა, წარმოთქმული სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის ნანა იოსელიანის მიერ დელეგატების მიმართ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ქ. თბილისში, 1978 წლის თებერვალს..... 47

სიტყვა, წარმოთქმული ვერიკო ანჯაფარიძის მიერ თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მიძღვნილი სასწავლო წლის დაწყებისადმი, ქ. თბილისში, 1986 წლის 1 სექტემბერს..... 52

სიტყვა, წარმოთქმული მარიკა ლორთქიფანიძის მიერ აკაკი წერეთლის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 20 ივნისს 55

სიტყვა, წარმოთქმული იზა ორჯონიკიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1992 წლის ნოემბერს..... 59

სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საზეიმო სხდომაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1994 წლის 25 მაისს 63

სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში პერსონალური გამოფენის „მწიგნობრობად ქართული“ დახურვაზე, ქ. თბილისში, 1995 წლის 22 აპრილს..... 67

სიტყვა, წარმოთქმული ლია სტურუას მიერ პაოლო იაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1995 წელს..... 70

სიტყვა, წარმოთქმული ლია სტურუას მიერ თსუ-ის დაარსების 80 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 25 მაისს 75

სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 12 ოქტომბერს 79

სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ წიგნების პრეზენტაციისას ახალშენის იუბილეზე, სოფ. ახალშენში, 2008 წლის 22 ნოემბერს 83

სიტყვა, წარმოთქმული ნინო ბურჭულაძის მიერ ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, ნიუ-იორკში, 2009 წლის 29 მარტს..... 87

სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ ჯუმბერ ოდიშელის წიგნის „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები“ პრეზენტაციაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2010 წლის 19 ივლისს..... 92

სიტყვა, წარმოთქმული ლია მელიქიშვილის მიერ წიგნის „მედია აბაშიძე“ პრეზენტაციაზე, 2015 წელს 96

სიტყვა, წარმოთქმული ნინო დობორჯგინიძის მიერ მზექალა შანიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წელს.....101

სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, ქ. თბილისში, 2019 წლის 24 სექტემბერს..... 106

II. სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები

სიტყვა, თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის მიერ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს.....	115
სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 9 აგვისტოს.....	119

III. პოლიტიკური ორატორული ნიმუშები

სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს.....	125
სიტყვა, თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს.....	130
სიტყვა, ვერთქმული კატო მიქელაძის მიერ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აკაკი ჩხენკელის გამოსობით, ქ. თბილისში, 1917 წლის 20 ნოემბერს.....	134
სიტყვა, წარმოთქმული საფო მგელაძის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ პლენუმზე, ქ. თბილისში, 1932 წლის 28 დეკემბერს.....	139
სიტყვა, წარმოთქმული თინათინ შარაძენიძის მიერ ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვისას, ქ. თბილისში, 1978 წლის 4 აპრილს.....	144
სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მოედანზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 4 აგვისტოს.....	148

სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ევროპის რეგიონთა ასამბლეის განათლების კომიტეტის სხდომაზე, ქ. მონპელიეში, 2001 წლის 8-9 ნოემბერს.....	152
საინაუგურაციო სიტყვა, წარმოთქმული სალომე ზურაბიშვილის მიერ ინაუგურაციის ცერემონიაზე, ქ. თელავში, 2018 წლის 16 დეკემბერს.....	157
სიტყვა, წარმოთქმული ნესტან ნენე კვინიკაძის მიერ გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიაზე, ნიუ-იორკში, 2019 წლის 11 მარტს.....	164

IV. აკადემიური ორატორული ნიმუშები

სიტყვა, წარმოთქმული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს.....	173
ლექცია, წაკითხული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ფრანგული ენის ისტორიის შესახებ ქართულ უნივერსიტეტში, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს.....	176
ლექცია, წაკითხული მარიკა ლორთქიფანიძის მიერ თსუ-ის საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წლის 12 თებერვალს.....	182

V. სამხედრო ორატორული ნიმუშები

სიტყვა, თქმული ნინო ორბელიანის მიერ ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის მიმართ რუსეთ-ოსმალეთის ომში წასვლის წინ, 1877 წლის 9 მაისს.....	197
--	-----

TABLE OF CONTENTS

ABOUT THE CENTER	10
EDITOR-IN-CHIEF ADDRESS	12
ARTICLE.....	13

I. FESTIVE ORATORICAL SAMPLES

Speech delivered by Princess Kristine Dgebuadze on the occasion of the 50th Anniversary of Akaki Tsereteli's literary activity, in Kutaisi, on December 14, 1908.....	30
Speech delivered by Dariko Makharoblidze, a representative of the Baku Georgian Women's Society on the occasion of the 50th Anniversary of Akaki Tsereteli's literary career, in Baku, on December 21, 1908.....	33
Speech delivered by Barbare Sul Khanishvili at the jubilee evening held to celebrate the 50th Anniversary of the birth of Shio Mghvimeli, in Kutaisi, on March 12, 1916.....	36
Speech delivered by Tamar Gogolashvili at the evening organized by the Teachers' Union, in Telavi, on August 11, 1917.....	41
Speech delivered by Tamar Gogolashvili at the jubilee evening held to celebrate the 30th Anniversary of Davit Kldiashvili's literary career, at the State Theatre, in Tbilisi, on February 15, 1920	45
Speech delivered by Nana Ioseliani, prize-winner of the USSR Women's Chess Championship, European Cup winner, at the Palace of Students and Youth, in Tbilisi, in February, 1978	48
Speech delivered by Veriko Anjapharidze at the opening of the academic year in the assembly hall of the Theatre Institute, in Tbilisi, on September 1, 1986	53
Speech delivered by Marika Lortkipanidze at the unveiling of the monument to Akaki Tsereteli, in Tbilisi, on June 20, 1992.....	56
Speech delivered by Iza Orjonikidze at the jubilee evening held to celebrate the 100th Anniversary of Galaktion Tabidze's birth, in Tbilisi, in November 1992	60
Speech delivered by Nani Gugunava at the jubilee ceremonial session dedicated to the 75th Anniversary of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, at the Tbilisi Opera and Ballet Theatre, on May 25, 1994.....	64
Speech delivered by Elene Matchavariani at the closing of her personal exhibition "Literature in Georgian" at the Museum of Art of Georgia, in Tbilisi, on April 22, 1995	68
Speech delivered by Lia Sturua at the jubilee evening of the 100th Anniversary of Paolo Iashvili's birth, at the Shota Rustaveli State Theatre, in Tbilisi, in 1995	71
Speech delivered by Lia Sturua at the jubilee evening held to celebrate the 80th Anniversary of the founding of TSU, in Tbilisi, on May 25, 1998.....	76
Speech delivered by Nani Gugunava at the unveiling of the monument to Memed Abashidze, in Tbilisi, on October 12, 1998.....	80
Speech delivered by Zhuzhuna Peikrishvili at the presentation of books on the Anniversary of Akhalsheni, in Village Akhalsheni, on November 22, 2008	84
Speech delivered by Nino Burtchuladze at the jubilee evening dedicated to the 70th anniversary of Zviad Gamsakhurdia, in New York, on March 29, 2009	88
Speech delivered by Elene Matchavariani at the presentation of Jumber Odisheli's book "Historical-Publicistic Essays" at the Georgian National Academy of Sciences, on July 19, 2010.....	93
Speech delivered by Lia Melikishvili at the presentation of the book "Medea Abashidze", in 2015.....	97
Speech delivered by Nino Doborjginidze at the evening dedicated to the 90th Anniversary of Mzekala Shanidze, in Tbilisi, in 2016.....	102
Speech delivered by Zhuzhuna Peikrishvili at the jubilee event dedicated to the 50th Anniversary of her scientific and pedagogical activity, in the session hall of the National Library of the Parliament of Georgia, in Tbilisi, on September 24, 2019	107

II. FUNERAL ORATORICAL SAMPLES

- Speech delivered by Babo Mtchedlidze on behalf of the Women's Society on the death of Akaki Tsereteli, at the Kutaisi Cathedral, in Kutaisi, in January, 1915..... 116
- Speech delivered by Kato Mikeladze at the funeral of Giorgi Zdanovich, in Kutaisi, on August 9, 1917 120

III. POLITICAL ORATORICAL SAMPLES

- Speech delivered by Kato Mikeladze at the Women's Public Meeting, in Kutaisi, on March 20, 1917..... 126
- Speech delivered by Mariam Anchabadze at the Catholic Council, in Tbilisi, on September 15, 1917..... 131
- Speech that Kato Mikeladze could not deliver at the First National Congress of Georgia because of Akaki Chkhenkeli, in Tbilisi, on November 20, 1917..... 135
- Speech, delivered by Sapho Mgeladze at the First Plenum of the Writers' Union of Georgia, in Tbilisi, on December 28, 1932..... 140
- Speech delivered by Tinatin Sharadzenidze at the General Assembly of the Institute of Linguistics during the discussion of the Constitution of the Georgian SSR, in Tbilisi, on April 4, 1978 145
- Speech delivered by Nani Gugunava on the occasion of the admission of the Republic of Georgia to the United Nations as a full member at Republic Square, in Tbilisi, August 4, 1992 149

- Speech delivered by Nani Gugunava at the meeting of the Education Committee of the Assembly of European Regions, in Montpellier, on November 8-9, 2001 153
- Inaugural speech delivered by Salome Zurabishvili at the inauguration ceremony in Telavi, on December 16, 2018 158
- Speech delivered by Nestan Nene Kvinikadze at the 63rd session of the UN Commission on the Status of Women (CSW63), in New York, on March 11, 2019 165

IV. ACADEMIC ORATORICAL SAMPLES

- Speech delivered by Elisabeth Bagration-Orbeliani at the opening of the Georgian University, in Tbilisi, on January 26, 1918 174
- Lecture delivered by Elisabeth Bagration-Orbeliani on the history of the French language at the Georgian University, in Tbilisi, on January 26, 1918 177
- Lecture delivered by Marika Lortkipanidze at the TSU Anniversary evening, in Tbilisi, on February 12, 2016..... 183

V. MILITARY ORATORICAL SAMPLE

- Speech delivered by Nino Orbeliani to the Georgian noble army before leaving for the Russo-Ottoman War, on May 9, 1877 198

ცენტრის შესახებ

კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნდა 2021 წლის 12 იანვარს.

ცენტრის მიზანია რიტორიკის სფეროსთან დაკავშირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მათ შორის: პროექტების, კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, სტუდენტური ფორუმებისა და სემინარების, ლექციებისა და ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება; კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის სფეროში ჩართულ და მოღვაწე სუბიექტებთან თანამშრომლობა; ცენტრის მიზნების მისაღწევად, საზღვარგარეთის შესაბამის სპეციალისტებსა და დაწესებულებებთან თანამშრომლობა; სტუდენტებს, მეცნიერებსა და პროფესიონალებს შორის დიალოგისა და სხვა აქტივობების ინიცირება და წახალისება; რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში საკონსულტაციო საქმიანობა და ა.შ.

ცენტრის პერსონალი მოიცავს: ხელმძღვანელობას, დამფუძნებელ წევრებს, საპატიო წევრებს, წევრებსა და ასოცირებულ წევრებს (ეს დამოკიდებულია თითოეული პირის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე). ჩვენი ცენტრის წევრობის მსურველებს არ ექნებათ რაიმე კონკრეტული პასუხისმგებლობა და მოვალეობები. ჩვენ ველით მათგან მხოლოდ გამოცდილების გაზიარებას, დაგეგმილ კვლევით პროექტებსა და ცენტრის სხვა ღონისძიებებსა თუ საქმიანობაში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართვას.

ამჟამად, ჩვენი ცენტრის გუნდი მოიცავს დამფუძნებელ წევრებს, მათ შორის, ცენტრის დამფუძნებელი წევრი და დირექტორია დოქტ. ნათია კენჭიაშვილი, თანადამფუძნებელი წევრი გახლავთ ასოც.-პროფ., დოქტ. გიორგი ამირანაშვილი, ხოლო საპატიო წევრია პროფ. ჯოზეფ ფ. ზომპეტი.

დოქტ. ნათია კენჭიაშვილის კვლევითი და აკადემიური საქმიანობა ძირითადად უკავშირდება რიტორიკას. სწავლების სამივე საფეხურზე მისი საკვალიფიკაციო ნაშრომები ეხებოდა რიტორიკის თეორიასა და პრაქტიკას. წლების განმავლობაში მისი საკვლევო ტექსტების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და დღესდღეობით, მოიცავს 1000-ზე მეტ ქართულენოვან თუ თარგმნილ ორატორულ ნიმუშს, რომელთა საერთო მოცულობაც მილიონ სიტყვას აღწევს.

ცენტრის საქმიანობის ფარგლებში, 2021 წლის იანვარში გადაწყდა, წინამდებარე სამეცნიერო ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმომხილველი“ დაფუძნებულიყო. ჟურნალი საყურადღებოა იმით, რომ მასში გამოქვეყნდება სხვადასხვა დროის ცნობილი თუ უცნობი ორატორული ნიმუშები. გამოცემა ხელს შეუწყობს ორატორული ნიმუშების გაციფრების საქმეს და ქართული მჭევრმეტყველების კორპუსის ტექსტური კოლექციის შევსებასა და მისი მოცულობის გაზრდას.

ცენტრის დირექტორი გამოთქვამს იმედს, რომ ამ და სხვა არაერთი კვლევითი აქტივობით შესაძლებელი იქნება სამეცნიერო კვლევების წახალისება და აღნიშნულ საქმიანობებში დაინტერესებული პირების ჩართვა.

ველით თქვენთან თანამშრომლობას!

ცენტრის დამფუძნებელთა სახელითა და პატივისცემით,
ფილოლოგიის დოქტორი, ნათია კენჭიაშვილი
თბილისი, 2022 წლის იანვარი

ABOUT THE CENTER

The Center for Classical and Contemporary Rhetoric Research (CCRR) is a non-entrepreneurial (non-commercial) legal entity established on 12th January, 2021.

The goals of the Center include conducting educational and research activities related to the field of rhetoric: planning and implementation of projects, conferences, round tables, student forums and seminars, lectures and trainings; To collaborate with persons / organizations, that work in the field of classical and contemporary rhetoric; To cooperate with relevant experts and institutions abroad in order to achieve the goals of the Center; To initiate and encourage dialogue and other activities between students, scholars and professionals; To implement consulting activities in the field of rhetoric theory and practice, etc.

The staff of the center will include: the leaders, the founding members, the honorary members, the ordinary members, and the associate members (depending on someone's qualification and experience). Our members will not have any specific responsibilities and duties. We foresee and expect from them just to share their experiences within competence at scheduled research projects and other events or activities of the Center.

Currently our Center team includes the founding members: the Center founding member & director Dr. Natia Kentchiashvili, co-founding member Assoc. Prof. Dr. Giorgi Amiranashvili and Honorary Member Prof. Joseph P. Zompetti.

Dr. Natia Kentchiashvili's academic and research activities are mainly related to rhetoric. At all three levels of education, her theses have dealt with rhetorical theory and practice. Over the years, the size of her research texts has increased dramatically and today, it includes more than 1000 Georgian-language or translated oratory samples with a total volume of up to one million words.

In addition to this project, it is planned to launch a collection of the oratorical samples "Classical and Contemporary Rhetoric Review", which will publish not only famous but also unknown rhetorical samples of different periods. The collection will contribute to the digitalization the rhetoric samples and complete the text collection of the Georgian Rhetoric Corpus and increase its volume.

The director of the Center hopes that with the above mentioned and many other research activities will make it possible to encourage scientific research and involve interested people in these activities.

We are looking forward to collaborating with you!

On behalf of the founding members of the Center, yours respectfully,
Natia Kentchiashvili, Doctor in Philology,
Tbilisi, January 2022

მთავარი რედაქტორის მიმართვა

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, წარმოგიდგინოთ ა(ა)იპ – კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრის პერიოდული გამოცემის – „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველის“ მეორე ნომერი.

ჩვენი ცენტრის დაფუძნებიდან დიდი დრო არაა გასული და მისი ეგიდით უკვე არაერთი აქტივობა გვაქვს დაგეგმილი სამომავლოდ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობას. უნდა ითქვას, რომ ჟურნალების სერიის მეორე გამოცემა ჩვენი ცენტრის გეგმების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება და სტრატეგიული ნაწილია.

ჟურნალის გამოცემის იდეა გაჩნდა 2021 წლის იანვარში და დაიბეჭდება წელიწადში ერთხელ. მასში წარმოდგენილი იქნება როგორც საკუთრივ ორიგინალური ქართული, ისე ამა თუ იმ ქვეყნის რიტორიკული მემკვიდრეობის ამსახველი თვალსაჩინო ორატორული ნიმუშების თარგმანები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ კულტურული, ისტორიული და მხატვრული ღირებულება და მკითხველზე / მსმენელზე ზეგავლენისა და შთაბეჭდილების მოხდენის უნარი. აღნიშნული წამოწყებით გვსურს, პოპულარიზება გავუწიოთ, ზოგადად, ქართულ ორატორულ ხელოვნებას და კერძოდ, გავზარდოთ ორატორული ხელოვნების ნიმუშების მიმართ ცნობადობა მკითხველთა ფართო მასებში. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაიბადა ჟურნალის დაფუძნების იდეა.

რაც შეეხება წინამდებარე ნომერსა და მის შინაარსობრივ მხარეს, მასში წარმოდგენილია ორატორული ნიმუშების ტექსტები, მოკლე მიმოხილვებით, ლექსიკონით, შენიშვნებითა და განმარტებებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალის ფურცლებზე აგრეთვე შეხვდებით მხოლოდ ქართულენოვან ნიმუშებს, აღნიშნული ტიპის მასალა უმეტესად სწორედ ხელმეორედ ქვეყნდება წინამდებარე ჟურნალში, რაც მის ღირსებას კიდევ უფრო ზრდის.

ჟურნალის მომზადების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულნი: ნინო თელიაშვილი, ნატო გორდელაძე, ნინო ნოზაძე, ნათია ზოიძე, მარინე მახათაძე, ქრისტინე ცერცვაძე, თათია დავითაძე, მარიამ კალაიჯიშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, გურამ ლეგაშვილი და სხვ. დიდ მადლობას მოვახსენებთ მათ ჩემი და ცენტრის სახელით იმ დაინტერესებისთვის, ყურადღებისა და გულმოდგინებისთვის, რაც გამოიჩინეს ჟურნალის მიმართ და მომავალში ვუსურვებთ წარმატებებს თავიანთ საქმიანობაში.

იმედი გვაქვს, დავაკმაყოფილებთ მკითხველთა ინტერესს და მივცემთ მათ შესაძლებლობას, ჟურნალის მეშვეობით გაეცნონ ცნობილ თუ უცნობ ორატორულ ნიმუშებს. ვიმედოვნებთ, რომ ყველანი ერთად თავს გავართმევთ ამ მნიშვნელოვან გამოწვევას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი გამოწვევაა მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგომა და ვგრძნობთ, ამ პასუხისმგებლობას. დასასრულ, ისლა დაგვრჩენია, სასიამოვნო კითხვა ვუსურვოთ მათ, ვინც გაეცნობა ჟურნალს, ჩვენ კი გავაგრძელებთ მუშაობას ცენტრის ამ გამოცემის შემდეგ ნომრებზე და სიამოვნებით მივიღებთ ყველა იმ ობიექტურ მოსაზრებასა თუ საქმიან წინადადებას, რომელიც ხელს შეუწყობს ჟურნალის შემდგომ გამოცემათა დახვეწასა და განვითარებას. ჟურნალი სიამოვნებით მიიღებს რიტორიკის ამა თუ იმ დარგისა თუ ჟანრის, როგორც ორიგინალურ ქართულ, ისე თარგმნილ ორატორულ ნიმუშს მომდევნო ნომრებში გამოსაქვეყნებლად.

ჟურნალის გამომცემელთა სახელითა და პატივისცემით,
ფილოლოგიის დოქტორი, ნათია კენჭიაშვილი
თბილისი, 2022 წლის იანვარი

EDITOR-IN-CHIEF ADDRESS

Dear reader,

We are pleased to present the second issue of the “Classical and Contemporary Rhetoric Review”, published by the Center for Classical and Contemporary Rhetoric Research.

Not much time has passed since the foundation of our Center, and under its auspices we have already planned a number of activities for the future, both in the short and long term, which includes activities not only in the local but also on the international arena. It must be said that the second issue of the journal series is also one of the clearest expressions and strategic parts of our Center’s plans.

The idea of publishing the journal arose in January 2021 and it will be published once a year. The journal will present both original Georgian and translations of notable oratorical samples reflecting the rhetorical heritage of a particular country, which even today maintains its cultural, historical and artistic value and the ability to influence and impress the reader / listener. With this initiative, we would like to popularize, in general, Georgian oratorical art and, in particular, to increase awareness of oratorical artworks among the broad masses of readers. It is with the above in mind that the idea of founding the journal was born.

As for the present issue and its content, it presents the texts of oratorical works, with short reviews, a dictionary, notes and explanations in Georgian and English. You will also find only Georgian-language works on the journal pages; most of this type of material has been republished in this journal, which further increases its value.

The following people were actively involved in the preparation of the journal: Nino Teliashvili, Nato Gordeladze, Nino Nozadze, Natia Zoidze, Marine Makhatadze, Kristine Tsertsvadze, Tatia Davitadze, Mariam Kalajishvili, Erekle Kikilashvili, Guram Legashvili and others. On behalf of myself and the Center, we would like to express our gratitude to them for the interest, attention and diligence they have shown towards the journal and wish them success in their work in the future.

We hope to satisfy the interest of readers and give them the opportunity to get acquainted with well-known and unknown oratory samples through the journal. We hope that together we will all overcome this important challenge.

We should also note that it is a great challenge to appear before a wide audience of readers and we feel this responsibility. In conclusion, it remains only for us to wish pleasant reading to those who will get acquainted with the journal, and we will continue to work on the next issues of this edition of the Center and will gladly accept all objective opinions or business proposals that will contribute to the refinement and development of future issues of the journal. The journal will gladly accept oratorical samples of any field or genre of rhetoric, both in the original Georgian and in translation, for publication in the next issues.

On behalf of the collection publishers, yours respectfully,
Natia Kentchiashvili, Doctor in Philology
Tbilisi, January 2022

სიტყვები, თქმული ქალთა მიერ

(ზოგადი მიმოხილვა)

წინამდებარე გამოცემა, რომლის თემატიკაა „ქალები ქართულ ორატორულ ხელოვნებაში“, მიზნად ისახავს XIX-XXI საუკუნეების ქართულ მჭევრმეტყველებაში იმგვარი ნიმუშების მოძიებას, თავმოყრასა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას, რომელიც უკავშირდება ქალებს. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოიპოვება ისეთი გამოცემა, რომელიც უშუალოდ ქალთა ორატორული შემოქმედების ნიმუშებს ეძღვნება. აღნიშნული ჟურნალი მსგავსი თემატური გამოცემის პირველი ცდაა, რომელიც მოიცავს ქალთა მიერ წარმოთქმულ საჯარო გამოსვლის ნიმუშებს, მოკლე მიმოხილვებთან ერთად, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რაც შეეხება წინამდებარე გამოცემის მომზადებისას გამოყენებულ წყაროებს, ქალთა თემატიკასთან დაკავშირებული ორატორული ნიმუშები, ძირითადად, გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში, იშვიათად – სხვადასხვა კრებულში. ორატორული ნიმუშების წყაროები, რომელთა უმეტესობაც პერიოდული გამოცემებია, დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თსუ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კვლევის წარმართვა და ტექსტების ციფრულ ფორმატში მომზადება უდავოდ გაამარტივა პერიოდულ გამოცემათა ელექტრონული ვერსიების არსებობამ.

ამასთან, ვფიქრობთ, რომ კვლევისას გამოვლენილი მასალა იქნება მდიდარი რესურსი, ზოგადად, ქართული რიტორიკის და კერძოდ, ქალთა საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის, რადგან ამგვარ ორატორულ ნიმუშებში კარგად ჩანს, თუ ვინ არიან ის ქალები, რომლებიც სიტყვით გამოდიან, რომელ უცნობ თუ საზოგადოებისთვის ცნობილ პირებს შეეხებათ საჯარო გამოსვლები, როგორი იყო აღნიშნული პერიოდის ქალთა როლი და ადგილი იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში, რამდენად ძლიერი იყო ქალთა ხმა საზოგადოებრივი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, რა სტერეოტიპები უკავშირდებოდა ქალთა როლს იმ პერიოდის საქართველოში, რა სახის გენდერული და ფემინისტური საკითხები იკვეთებოდა ქართულ ორატორულ ნიმუშებში, როგორი იყო ქალთა პირველი ორგანიზაციები საქართველოში, რომელთა ფარგლებშიც იმართებოდა საჯარო კრებები და განიხილებოდა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორ აისახებოდა ორატორულ ნიმუშებში ქალთა ფემინისტური მოძრაობის დასავლური გამოცდილება და იმ პერიოდის მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, ზოგადად, რა სახის თემატიკას ეხება ქალთა ორატორული ნიმუშები, იქნება ეს იუბილე, დაკრძალვა, ქალთა საზოგადოებების საქმიანობა თუ სხვ.

უნდა ითქვას, რომ ქალთა საკითხი ქართულ რიტორიკაში უშუალოდ მათი ორატორული შემოქმედების გათვალისწინებით, არასდროს არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. წინამდებარე გამოცემაში სისტემური სახით პირველად ქვეყნდება ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები, მოყვანილია მათი დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია, წყაროები, თემატიკა და სხვ. შეძლებისდაგვარად დადგენილია ყველა ნიმუშის ავტორი, ადრესატი, სათაური, წარმოთქმის დრო, ადგილი, საგამომცემლო მონაცემები და ა.შ. როგორც კვლევამ აჩვენა, ქართული ორატორული ხელოვნების ასპარეზზე ქალები საკმაოდ გვიან ჩნდებიან და არც თუ ისე ხშირად. წინამდებარე გამოცემა გვიქმნის ნათელ სურათს იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია ქალს ქართულ ორატორულ ხელოვნებაში.

1. წყაროების მიმოხილვა

პირველ რიგში, შევხებით ქალთა ორატორული ხელოვნების თემატიკაზე არსებულ კვლევებს. უნდა ითქვას, რომ ქალი ორატორების საკითხი არასდროს არ ყოფილა საგანგებო შესწავლის საგანი. ამ მხრივ, შეგვიძლია დავასახელოთ ცალკეული პუბლიკაცია: პირველი ასეთი პუბლიკაციაა 2007 წელს გამოცემული მ. გობიანისა და თ. მეზურიშვილის ავტორობით სტატია „ქალთა ორატორული ხელოვნების სოციოლინგვისტური და ფსიქოლოგიური ანალიზი“¹, ასევე 2014 წლის ს. სხირტლადის „მჭერმეტყველი ქართველი ქალი“². ცალკე უნდა აღინიშნოს რამდენიმე ნაშრომი, რომელიც ნაწილობრივ უკავშირდება და ასახავს ქალთა ორატორულ ხელოვნებას, მაგალითად, 2013 წელს გამოცემული „ქალები წარსულიდან“, რომელშიც საუბარია საქართველოში მოღვაწე ქალების შესახებ³, ასევე 2018 წელს დაბეჭდილი ლ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921“⁴.

იმ წყაროებს თუ გადავხედავთ, რომლებშიც დაცულია აღნიშნული ტიპის ორატორული ნიმუშები, დავინახავთ, რომ, ძირითადად, ისინი დაბეჭდილია პერიოდულ გამოცემებსა და სხვადასხვა კრებულში. კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი ჟურნალ-გაზეთი, რომლებშიც ქვეყნდებოდა მსგავსი ნიმუშები.

ფორმატი	ნიმუშების რაოდენობა
გაზეთი	15
ჟურნალი	8
კრებული	7
ხელნაწერი	1

გაზეთებიდან უნდა დავასახელოთ: ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, ქართული ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, გაზეთი „მინაური საქმეები“, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „განთიადი“, ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი „წიგნის სამყარო“, ყოველდღიური ეკონომიკური, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სავაჭრო გზა“, პირველი ქართული სპორტული გაზეთი „ლელო“ და სხვ. ჟურნალებიდან უნდა დავასახელოთ: ყოველკვირეული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, ჟურნალი „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე“, ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი „კადმოსი“, სამეცნიერო ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა“ და სხვ. ცალკე უნდა გამოვყოთ ქართული იუმორისტული გაზეთი „ემშაკის მათრახი“, რომელშიც გვხვდება ლექსად თქმული სიტყვა⁵: „მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოთქმული სიტყვა. [ლექსი]“⁶.

ფორმატი	პერიოდიკის დასახელება	ნიმუშების რაოდენობა
გაზეთი	„ხმა ქართველი ქალისა“	5
ჟურნალი	„თეატრი და ცხოვრება“	3
ჟურნალი	„საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე“	1
გაზეთი	„სალიტერატურო გაზეთი“	1

¹ ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, 2007, №11, გვ. 135-140.

² ჟურნალი „სამეგრელო“, თბილისი, 2014, №6 (31), გვ. 36-38.

³ გოგაძე, ს., ქალები წარსულიდან, მედიის განვითარების ფონდი, 2013.

⁴ გაფრინდაშვილი, ლ. (რედ.), ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921, თბილისი, შპს კოლორადო გრუპი, 2018.

⁵ შენიშვ. აღნიშნული სიტყვა აქ აღარ მოგვყავს, რადგან ცალკე გამოცემას ვუთმობთ ლექსად თქმულ ორატორულ ნიმუშებს.

⁶ ჟურნალი „ემშაკის მათრახი“, 1917, კვირა, 11 ივნისი, №24, გვ. 11-12.

ჟურნალი	„ქართული წყაროთმცოდნეობა“	1
გაზეთი	„ლიტერატურული საქართველო“	1
გაზეთი	„ახალგაზრდა ივერიელი“	1
გაზეთი	„შინაური საქმეები“	1
გაზეთი	„წიგნის სამყარო“	1
გაზეთი	„განთიადი“	1
ჟურნალი	„კადმოსი“	1
ჟურნალი	„მნათობი“	1
გაზეთი	„სავაჭრო გზა“	1
გაზეთი	„ლელო“	1
ჟურნალი	„ხელეური“	1

გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“, რომლის რედაქტორი და გამომცემელიც კატო მიქელაძე იყო, ქალთა ავტორობით გამოქვეყნდა სულ ხუთი ნიმუში: [სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს]⁷, [სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 9 აგვისტოს]⁸, [სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ, მასწავლებელთა კავშირის მიერ გამართულ საღამოზე, ქ. თელავში, 1917 წლის 11 აგვისტოს]⁹, [სიტყვა, თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს]¹⁰ და [სიტყვა, ვერთქმული კატო მიქელაძის მიერ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აკაკი ჩხენკელის გამოსობით, ქ. თბილისში, 1917 წლის 20 ნოემბერს]¹¹.

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა სულ სამი ნიმუში: [სიტყვა, წარმოთქმული ბარბარე სულხანიშვილის მიერ შიო მღვიმელის დაბადების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოზე, ქ. ქუთაისში, 1916 წლის 12 მარტს]¹², [სიტყვა, წარმოთქმული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს]¹³ და [ლექცია, წაკითხული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ფრანგული ენის ისტორიის შესახებ ქართულ უნივერსიტეტში, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს]¹⁴.

აქვე უნდა ვახსენოთ ორატორული ნიმუშები: [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ახალგაზრდობის მიმართ, ქ. პარიზში, 1909 წლის 2 დეკემბერს], [სიტყვა, წარმოთქმული კატო მიქელაძის მიერ აკაკი წერეთლის მიმართ, ქ. პარიზში, 1909 წლის 2 დეკემბერს] და [სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ ახალგაზრდობის მიმართ კატო მიქელაძის სიტყვის პასუხად, ქ. პარიზში, 1909 წლის 2 დეკემბერს]. 1909 წლის საქართველოს მოამბეში გამოქვეყნდა ნარკანი კურდღელაშვილის პუბლიკაცია სახელწოდებით „აკაკი პარიზში“. წყაროში ვკითხულობთ: „მას შემდეგ რაც აკაკი პარიზშია, იქაურ ქართველობას განზრახვა ჰქონდა აკაკისათვის თავისი პატივისცემა და სიყვარული გაეზიარებინა. გვინდოდა, მოგვეწვია სხვა და სხვა მოწინავე რედაქციათა წარმომადგენელნი, თუ პოლიტიკური მოღვაწენი საფრანგეთისა (ორი-სამი). მაგრამ ასეთი ფართე განზრახვა ოცნებად დარჩა. ხოლო 2 დეკემბერს (ახალი სტილით) მოვახერხეთ მცირე სერობის გამართვა აკაკის პატივისაცემად. სერობას დაესწრო აკაკი თავის მეუღლითა და შვილით, დაესწრო აგრედვე ქა-ნი ნიკოლაძისა, ნ. ლოდობერიძე, შემთხვევით შესწრობილი მომღერალი ნინოშვილი, და მთელ პარიზში მყოფი ქართველობა 50 კაცამდე. სერობა გამსჭვალული იყო ქართულის ელფერით და ერთ სულოვნობით, რამაც აკაკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შიგა და შიგ სიტყვები ითქვა, რაზედაც აკაკიც პასუხს აძლევდა ხოლმე. სიტყვა სთქვა გრ. გველესიანმა, ალ. გაბუნიაძე, ი. ჭეიშვილმა,

⁷ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ოთხშაბათი, 5 აპრილი, №1, გვ. 2.

⁸ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 17 აგვისტო, №19, გვ. 1-2.

⁹ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 31 აგვისტო, №21, გვ. 2.

¹⁰ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, №27, გვ. 4.

¹¹ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ორშაბათი, 4 დეკემბერი, №32, გვ. 3-4.

¹² ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, კვირა, 13 მარტი, №11, გვ. 12-14.

¹³ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918, კვირა, 2 აპრილი, №6, გვ. 4.

¹⁴ იქვე, გვ. 4-5.

მ. გობეჩიამ, კატო მიქელაძემ, ალ. ჯანელიძემ, გ. კვიციანი, ალ. ჯავახიშვილმა და სხ.¹⁵ შემდეგ კი მოყვანილია აკაკი წერეთლის სიტყვა ახალგაზრდობისადმი, რომელსაც მოსდევს კატო მიქელაძის სიტყვა, ხოლო ბოლოს მის საპასუხოდ კვლავ აკაკი წერეთლის სიტყვა. სამივე ზემონახსენები სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს მოამბეში“, საერთო სათაურით „აკაკი პარიზში“¹⁶. იმის გამო, რომ სამივე სიტყვა ერთ მოვლენას მიემართება, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ ისინი წინამდებარე ჟურნალის სხვადასხვა თემატურ გამოცემაში კი არ გადავანაწილოთ, არამედ ერთად გამოვაქვეყნოთ სადღესასწაულო მჭევრმეტყველების თემატიკისადმი მიძღვნილ ნომერში.

2. ორატორულ ნიმუშთა თემატიკა

წინამდებარე გამოცემის თემატური ხაზი მთლიანად მიჰყვება ქალთა საკითხს ქართულ მჭევრმეტყველებაში. ორატორულ ნიმუშთა მოძიებისას აქცენტი გავაკეთეთ საკუთრივ ქართულენოვან ნიმუშებზე. იგი თავს უყრის ორატორულ ნიმუშებს, რომლებსაც სამი ნიშანი აერთიანებს: 1. სიტყვები წარმოთქმულია ქალთა მიერ ან ავტორიც და ადრესატიც ორივე შემთხვევაში ქალია; 2. ყველა ორატორული ნიმუში თემატურად აუცილებლად უკავშირდება ქალთა თემატიკას; 3. ყველა ორატორული ნიმუში ქართული ორატორული ხელოვნების შემადგენელი ნაწილია და განეკუთვნება რიტორიკის რომელიმე დარგსა და ჟანრს.

ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე თემატური ჯგუფის ორატორული ნიმუშები. მათ შორის, ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები და ქალთა მიერ ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები. ამდენად, პირველ რუბრიკაში წარმოდგენილი ორატორული ნიმუშების ადრესატები არიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები, ხოლო მეორეში – მხოლოდ ქალები.

თემატური ჯგუფები	ნიმუშების რაოდენობა
I. ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები	35
II. ქალთა მიერ ქალთა მიმართ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები	4

ასევე გამოიყოფა სხვა თემატური ჯგუფიც, როგორცაა სიტყვები, წარმოთქმული ქალთა საზოგადოებების მიმართ ანდა მათი წარმომადგენლების მიერ.

ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს ქალთა საზოგადოებებს, რომლებთანაც არის დაკავშირებული ჩვენ მიერ მოყვანილი რამდენიმე ორატორული ნიმუში. საქართველოში ქალთა საზოგადოებები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა და საკმაოდ დიდ ნაბიჯებსაც დგამდა თავის დასამკვიდრებლად. პირველი ასეთი ორგანიზაცია დაარსდა 1913 წელს, გორში, ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ სახელწოდებით. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებამ გასაბჭოებამდე – 1921 წლამდე იარსება. თუმცა მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 3 წელში, 1994 წელს, ის ლია ოქროპირიძემ აღადგინა.

ამ საზოგადოების დამაარსებლები იყვნენ: ანა ამილახვარი, ანასტასია ერისთავ-ხომტარია, ოლღა გოგლაჩიძე, თინათინ ჯავროვი, ანა მაისურაძე, მარიამ ელიოზაშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი, ანასტასია კაპანაძე და სხვები, ხოლო აღნიშნული საზოგადოების მხარდამჭერები იყვნენ ქართველი მოღვაწეები: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვები. გორის ქალთა საზოგადოება ერთადერთი არ ყოფილა. მსგავსი ორგანიზაციები ფუნქციონირებდა საქართველოს სხვა ქალაქებში, მათ შორის, თბილისში, თელავში, ქუთაისსა და სხვა ადგილებში. სწორედ ასეთი საზოგადოებების წყალობით გახდა საქართველო ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანა, სადაც ქალებს დემოკრატიულ არჩევნებში, არა მხოლოდ ხმის მიცემა, არამედ მონაწილეობაც შეეძლოთ.

ყველაზე აქტიური შეხება ამ ორგანიზაციასთან ჰქონდა აკაკი წერეთელს, რომელსაც ეკუთვნის მათ შეკრებებზე წარმოთქმული ორი სიტყვა; პირველი უკავშირდება გორის ქალთა საზოგადოებას,

¹⁵ გაზეთი „საქართველოს მოამბე“, 1909, 25 დეკემბერი, №9, გვ. 3.

¹⁶ იქვე, გვ. 3-5.

ხოლო მეორე – თბილისის ქალთა საზოგადოებას: [სიტყვა, თქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს]¹⁷ და [სიტყვა, წარმოთქმული აკაკის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ საღამოზე, ქართულ თეატრში, თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს]¹⁸. აი, რას ამბობს აკაკი 1913 წელს დაარსებული გორის ქალთა საზოგადოების – „მანდილოსნის“ კრებაზე: „50 წელი დაკვირვებული ვარ ჩვენ საქმიანობას და დავრწმუნდი, რომ იგი ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ; ეს იმიტომ, რომ ამ საქმიანობაში მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას. რომ საქმე კარგად წარიმართოს, საჭიროა საზოგადო საქმეში დედაკაცების დახმარებაც. გადავთვალა იერე თქვენი წესდება და დავრწმუნდი, რომ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ. იარეთ, იმუშავეთ ერთად, თანხმობით და მაშინ თქვენი შრომაც ნაყოფს მოიტანს.“¹⁹

აქვე უნდა დავასახელოთ ორი ორატორული ნიმუში, რომელთა ავტორები არიან ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლები; პირველი ასეთი ორატორული ნიმუშია: [სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს]²⁰; მეორე ავტორს ეკუთვნის სიტყვა, რომელსაც ქალთა საზოგადოების სახელით აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქვამს: [სიტყვა, თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის მიერ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს]²¹.

№	სიტყვები, წარმოთქმული ქალთა საზოგადოების მიმართ ანდა მათი წარმომადგენლების მიერ
1.	სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის მიმართ, ქ. ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს
2.	სიტყვა, თქმული აკაკი წერეთლის მიერ გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსნის“ წევრთა კრებაზე, ქ. გორში, 1913 წლის 3 ნოემბერს
3.	სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის მიერ თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების პირველ საღამოზე, ქართულ თეატრში, ქ. თბილისში, 1914 წლის 14 იანვარს
4.	სიტყვა, თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის მიერ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს
5.	სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს
6.	სიტყვა, თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს

ცალკე უნდა აღინიშნოს [სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს], რომელშიც მეტად საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული. მოგვყავს რამდენიმე ციტატა მისი გამოსვლიდან: „თავისუფალ საქართველოს სჭირია ნამდვილი მოქალაქენი ორთავე სქესში, რომელთაც ესმის საჭიროება ხალხისა და თავიანთ სამშობლოსა, რომლის ცოდნას მათ მისცემთ მხოლოდ სწორუფლიანი მოქალაქეობრივი ცხოვრება. ამაზრით უნდა გავიმსჭვალოთ დღეს ყველა ქართველი ქალები და ერთსულოვნებით შეუდგეთ აღდგენას ჩვენი ადამიანური უფლებისას. ამ მიზნით, ვთხოვ კრებას დაეხმაროს ქალთა გაზეთის გამოცემას, რომელსაც ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი მამაკაცებისთვის, სადაც საშვალეა გვექნება გამოვსთქვათ საჭიროება და მოთხოვნილებანი თავისუფალ ქართველი ქალისა და ვამცნოთ შინაურსა და გარეშეს ჩვენი ფიქრნი და ზრახვანი, რომლის საშვალეებს მოგვცემს მხოლოდ საკუთარი პრესა. ამასთანავე, საჭიროა დაარსდეს ქართველ ქალთა კლუბი, რომლის მიზანი იქნება შექმნას ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ცენტრს ქუთაისის გუბერნიის ქალებისას. კლუბის ძირითად საკითხი იქნება დაეხმაროს სოციალისტურ პარტიებს კონტრ-რევოლუციის მოსაგერებლად და შემოკრიფოს თავის გარშემო რაც შეიძლება მეტი ძალა ქალთა ემანსიპაციის მომხრეებისა. ასეთი შეერთებული ქალთა ორგანიზაცია თავის წევრებათ ჩასთვლის არა მარტო დედაკაცებს, არამედ იმ

¹⁷ გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1913, ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, №1037, გვ. 4.

¹⁸ გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1914, ხუთშაბათი, 16 იანვარი, №1091, გვ. 3.

¹⁹ გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1913, ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, №1037, გვ. 4.

²⁰ გაზეთი „სავაჭრო გზა“, 1908, კვირა, 28 დეკემბერი, №29, გვ. 2.

²¹ ჟურნალი „განთიადი“, ქუთაისი, 1915, 15 მარტი, №6, გვ. 4-6.

მამაკაცებსაც, რომელნიც ქალთა სწორუფლიანობას აღიარებენ და მის წევრობას მოისურვებენ²².

აქვე უნდა აღინიშნოს კატო მიქელაძის მეორე ორატორული ნიმუშიც ორიგინალური სათაურით – „ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. ავ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე, 1917 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისში“²³. რაც შეეხება ისტორიულ კონტექსტს, საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობა გაიმართა 1917 წლის 19-24 ნოემბერს, სახელმწიფო თეატრის დარბაზში, სადაც არაერთი სიტყვა ითქვა.

ეროვნული ყრილობის პირველი დღის, 19 ნოემბრის სხდომა სიტყვით გახსნა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა²⁴, შემდეგ გამოვიდა პრეზიდიუმის დავმჯდომარე, ნოე ჟორდანიას²⁵, მას მოჰყვა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის, ევგენი გეგეჭკორის სიტყვა²⁶. ეროვნული ყრილობის პირველი დღის, 19 ნოემბრის შესახებ ვკითხულობთ გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“: „საყურადღებო იყო პოლონელთა, უკრაინელთა, ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლის მამედ ბეგ აბაშიძის, სომეხთა ეროვნულ საბჭოს წევრის ბეკვადიანის, მუსულმანთა, აფხაზთა, დაშნაკელთა და სხ. სიტყვები“²⁷. დასასრულ, ყრილობამ ფეხზე ადგომით მოისმინა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის გუჯარი, რომელიც წაიკითხა დეკანოზმა ნ. თალაკვაძემ²⁸. პირველივე დღეს ყრილობას ჰქონდა შედგენილი თავისი რეგლამენტი²⁹:

1. თავმჯდომარის უდასტუროდ სიტყვის წარმოთქმის ნება არავის აქვს. ლაპარაკის მსურველი თავმჯდომარისაგან იღებს ნებართვას ბარათის მიწოდებით.

2. მომხსენებლის პირველი სიტყვა დროით არ განისაზღვრება, მეორედ შეუძლიან ილაპარაკოს არა უმეტეს ნახევარი საათისა. დანარჩენ ორატორებს პირველი სიტყვის სათქმელად ეძლევათ 15 წუთი, ხოლო მეორედ 5. სიტყვა კითხვის დაყენების შესახებ განსაზღვრულია სამი წუთით.

3. ერთსა და იმავე საკითხის შესახებ ერთსა და იმავე ორატორს მხოლოდ ორჯერ შეუძლია ილაპარაკოს.

4. განმარტება საპირადო საკითხის გამო მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც კამათი მთავარ საკითხის გამო დამთავრებულია.

5. ვინცობაა, ორატორთა სიაში მოთავსებული პირი კრებაზე არ აღმოჩნდა, როცა მისი ჯერი დადგება, იგი პირველად გადატანილ იქნება სიის ბოლოს და განმეორებით კი – სრულებით ჰკარგავს სიტყვის უფლებას.

6. ორატორთ შეუძლიანთ თავისი ჯერი ლაპარაკისა ერთმანეთს დაუთმონ ან თავის უფლება სიტყვის თქმისა მას გადასცენ, ვინც სიაში შეტანილი არ არის.

7. სიტყვა წარმოთქმის მხოლოდ ტრიბუნიდან.

8. ყოველი წინადადება წერილობით მიიღება თავმჯდომარის მიერ.

9. კითხვის დაყენების წესრიგი თავმჯდომარეზე არის დამოკიდებული.

10. ყოველი დადგენილებანი მიიღება ხმის მარტივი უმრავლესობით, ხელის აწევით ან ადგომით.

ეროვნული ყრილობის მეორე დღეს, 20 ნოემბერს, მოხსენება წაიკითხა ნოე ჟორდანიამ³⁰. შემდეგ სიტყვა მისცეს აჭარის წარმომადგენელს, ისკანდერ ეფენდი ცივაძეს³¹. 20 ნოემბერს სურდა სიტყვა ეთქვა კატო მიქელაძესაც, თუმცა მას არ მიეცა ამის საშუალება. მან თავისი ორატორული ნიმუში, რომელიც საჯაროდ ვერ წარმოთქვა, გამოაქვეყნა ორიგინალური სათაურით – „ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. ავ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე, 1917 წლის 20 ნოემბერს ქ.

²² გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ოთხშაბათი, 5 აპრილი, №1, გვ. 2.

²³ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ორშაბათი, 4 დეკემბერი, №32, გვ. 3-4.

²⁴ გაზეთი „ერთობა“, 1917, ხუთშაბათი, 23 ნოემბერი, №203, გვ. 2-3.

²⁵ გაზეთი „საქართველო“, 1917, სამშაბათი, 21 (4) ნოემბერი, №257, გვ. 1.

²⁶ იქვე, გვ. 1.

²⁷ გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“, 1917, კვირა, 10 დეკემბერი, №44, გვ. 4.

²⁸ გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“, 1917, კვირა, 10 დეკემბერი, №44, გვ. 4; გაზეთი „საქართველო“, 1917, სამშაბათი, 21 (4) ნოემბერი, №257, გვ. 1.

²⁹ გაზეთი „საქართველო“, 1917, სამშაბათი, 21 (4) ნოემბერი, №257, გვ. 1.

³⁰ გაზეთი „საქართველო“, 1917, ხუთშაბათი, 23 (6) ნოემბერი, №258, გვ. 1; გაზეთი „ერთობა“, 1917, ხუთშაბათი, 23 ნოემბერი, №203, გვ. 1-2.

³¹ გაზეთი „საქართველო“, 1917, პარასკევი, 23 (6) ნოემბერი, №258, გვ. 1.

თბილისში³². გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“ ვკითხულობთ: „[1917 წლის] 20 ნოემბერს როდესაც ბ. ნ. ჟორდანიამ პოლიტიკურ შინაურ თვითმართველობაზე მოხსენება წაიკითხა და აღიარა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, კრება 15 წუთით შეწყდა და თანაც გამოაცხადა, რომ ვისაც სიტყვის თქმა სურდა ჩაწერილიყვნენ. ამდენს მიმლოცველ და თანხმობის გამომცხადებელ ორატორ მამაკაცებში ერთი ქალი აღმოჩნდა სიტყვის ამღები, რომელმაც წერილობით მიმართა მდივანს, რომ ჩაეწერათ იგი. მიუხედავად ადრე განცხადებისა, როგორღაც ორატორთა სიაში ის სულ ბოლოში მოხვდა. ეს ქალი ვიყავ მე, – კატო მიქელაძე დელეგატი ქუთაისის ქალთა ინტერპარტიული ორგანიზაციისა“³³. დრო დაეთმო სხვა გამომსვლელებს, რომლებიც სიაში ასევე წინასწარ იყვნენ ჩაწერილი, ხოლო კატო მიქელაძეს სიტყვის წარმოთქმის უფლება არ მისცა კრების თავმჯდომარემ, აკაკი ჩხენკელმა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საჯარო გამოსვლა არ შედგა, კატო მიქელაძემ ორატორული ნიმუში მაინც გამოაქვეყნა თავის გაზეთში³⁴.

ეროვნული ყრილობის მესამე დღეს, 21 ნოემბერს, პირველ საათზე ყრილობა გახსნა თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, რომელმაც სიტყვა მისცა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელს, თავადს კონსტანტინე აფხაზს³⁵, შემდეგ გამოვიდა სიტყვით ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღვარი თავადი დავით ნიჟარაძე³⁶, მერე სიტყვა თქვა ნოე ჟორდანიამ³⁷, ბოლოს კი – აკაკი ჩხენკელმა³⁸. ეროვნული ყრილობის მეოთხე დღეს, 22 ნოემბერს, მიიღეს რეზოლუციები, მათ შორის, საფინანსო სექციის, ადმინისტრაციული სექციის, სამხედრო სექციის, ქონების სექციის, სასურსათო სექციის რეზოლუციები და სხვ.³⁹. დაბოლოს, ნოე ჟორდანიამ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პირველ ეროვნული ყრილობის დახურვისას, 24 ნოემბერს⁴⁰.

2.1. ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები

მეორე რუბრიკაში, რომლის სახელწოდებაა ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები, შედის სულ 35 ნიმუში:

№	I. ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, თქმული ნინო ორბელიანის მიერ ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის მიმართ რუსეთ-ოსმალეთის ომში წასვლის წინ, 1877 წლის 9 მაისს
2.	სიტყვა, წარმოთქმული კნენინა ქრისტინე დგებუაძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისში, 1908 წლის 14 დეკემბერს
3.	სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს
4.	სიტყვა, თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაზო მჭედლიძის მიერ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს
5.	სიტყვა, წარმოთქმული ბარბარე სულხანიშვილის მიერ შიო მღვიმელის დაბადების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოზე, ქ. ქუთაისში, 1916 წლის 12 მარტს
6.	სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს
7.	სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 9 აგვისტოს

³² გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ორშაბათი, 4 დეკემბერი, №32, გვ. 3-4.

³³ იხ. უფრო ვრცლად გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ორშაბათი, 4 დეკემბერი, №32, გვ. 1.

³⁴ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ორშაბათი, 4 დეკემბერი, №32, გვ. 3-4.

³⁵ გაზეთი „საქართველო“, 1917, პარასკევი, 24 (7) ნოემბერი, №259, გვ. 1.

³⁶ იქვე, გვ. 1.

³⁷ იქვე, გვ. 1.

³⁸ იქვე, გვ. 1-2.

³⁹ გაზეთი „საქართველო“, 1917, შაბათი, 25 (8) ნოემბერი, №260, გვ. 1-2.

⁴⁰ გაზეთი „ერთობა“, 1917, შაბათი, 25 ნოემბერი, №205, გვ. 3.

8.	სიტყვა, თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს
9.	სიტყვა, ვერთქმული კატო მიქელაძის მიერ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აკაკი ჩხენკელის გამოსობით, ქ. თბილისში, 1917 წლის 20 ნოემბერს
10.	სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ მასწავლებელთა კავშირის მიერ გამართულ საღამოზე, ქ. თელავში, 1917 წლის 11 აგვისტოს
11.	სიტყვა, წარმოთქმული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს
12.	ლექცია, წაკითხული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ფრანგული ენის ისტორიის შესახებ ქართულ უნივერსიტეტში, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს
13.	სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1920 წლის 15 თებერვალს
14.	სიტყვა, წარმოთქმული საფო მგელაძის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ პლენუმზე, ქ. თბილისში, 1932 წლის 28 დეკემბერს
15.	სიტყვა, წარმოთქმული სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის ნანა იოსელიანის მიერ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ქ. თბილისში, 1978 წლის თებერვალს
16.	სიტყვა, წარმოთქმული თინათინ შარაძენიძის მიერ ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვისას, ქ. თბილისში, 1978 წლის 4 აპრილს
17.	სიტყვა, წარმოთქმული ვერიკო ანჯაფარიძის მიერ თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მიძღვნილი სასწავლო წლის დაწყებისადმი, ქ. თბილისში, 1986 წლის 1 სექტემბერს
18.	სიტყვა, წარმოთქმული მარიკა ლორთქიფანიძის მიერ აკაკი წერეთლის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 20 ივნისს
19.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მოედანზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 4 აგვისტოს
20.	სიტყვა, წარმოთქმული იზა ორჯონიკიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1992 წლის ნოემბერს
21.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საზეიმო სხდომაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1994 წლის 25 მაისს
22.	სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში პერსონალური გამოფენის „მწიგნობრობაჲ ქართული“ დახურვაზე, ქ. თბილისში, 1995 წლის 22 აპრილს
23.	სიტყვა, წარმოთქმული ლიასტურუას მიერ პაოლო იაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1995 წელს
24.	სიტყვა, წარმოთქმული ლიასტურუას მიერ თსუ-ის დაარსების 80 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 25 მაისს
25.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 12 ოქტომბერს
26.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ევროპის რეგიონთა ასამბლეის განათლების კომიტეტის სხდომაზე, ქ. მონპელიეში, 2001 წლის 8-9 ნოემბერს
27.	სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ წიგნების პრეზენტაციისას ახალშენის იუბილეზე, სოფ. ახალშენში, 2008 წლის 22 ნოემბერს
28.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო ბურჭულაძის მიერ ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, ნიუ-იორკში, 2009 წლის 29 მარტს
29.	სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ ჯუმბერ ოდიშელის წიგნის „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები“ პრეზენტაციაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2010 წლის 19 ივლისს

30.	სიტყვა, წარმოთქმული ღია მელიქიშვილის მიერ წიგნის „მედია აბაშიძე“ პრეზენტაციაზე, 2015 წელს
31.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო დობორჯგინიძის მიერ მხეჟალა შანიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წელს
32.	ლექცია, წაკითხული მარია ლორთქიფანიძის მიერ თსუ-ის საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წლის 12 თებერვალს
33.	საინაუგურაციო სიტყვა, წარმოთქმული სალომე ზურაბიშვილის მიერ ინაუგურაციის ცერემონიაზე, ქ. თელავში, 2018 წლის 16 დეკემბერს
34.	სიტყვა, წარმოთქმული ნესტან ნენე კვინიკაძის მიერ გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიაზე, ნიუ-იორკში, 2019 წლის 11 მარტს
35.	სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, ქ. თბილისში, 2019 წლის 24 სექტემბერს

3. ორატორულ ნიმუშთა დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია

აღნიშნულ ორატორულ ნიმუშთა დარგობრივ და ჟანრობრივ კლასიფიკაციას რაც შეეხება, ისინი განეკუთვნება სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, აკადემიური და პოლიტიკური მჭევრმეტყველების დარგებს და არასდროს – სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას. ეს გასაკვირი არცაა, რადგან ორთოდოქსულ-ქრისტიანული ტრადიცია არ სცნობს ქალთა სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას⁴¹. ამდენად, ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები დარგობრივად განეკუთვნება მხოლოდ სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სამხედრო, სამოსამართლო, პოლიტიკური და აკადემიური მჭევრმეტყველების დარგებს, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს. ყველაზე მეტი ორატორული ნიმუში წარმოდგენილია სადღესასწაულო და პოლიტიკური მჭევრმეტყველების დარგებში და მიემართება ისეთ მოვლენებს, როგორცაა, ერთი მხრივ, საიუბილეო საღამოები, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერება, განათლება, პოლიტიკა, სპორტი და ა.შ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მეტ-ნაკლებად თანაბრად ფარავს იმგვარი ორატორული ნიმუშები, რომლებიც ქალთა მიერაა წარმოთქმული.

ამ მხრივ, უნდა დავიმოწმოთ ერთი საკმაოდ პროგრესული და ფემინისტური იდეა, რომელიც აქვს გამოთქმული მარიამ ანჩაბაძეს 1917 წელს. მისი სიტყვა მიემართება საეკლესიო კრებას. საჯარო გამოსვლაში ნათქვამია: „[...] ქალები უსათუოდ მოვითხოვთ სარწმუნოების საქმეში, სასულიერო უწყებაში სათანადო ადგილის დაჭერას და მე პირადად როგორც სოხუმელ ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე⁴² უსათუოდ ვიცავ გათანასწოების პრინციპს და მოვითხოვ, რომ სასულიერო უწყებაში ქალებს მიენიჭოს არამც თუ მარტო მედავითნეობა⁴³, არამედ მიეცეთ უფლება ეკლესიაში ქადაგებისა და საზოგადოთ, სამისიონერო მოვალეობათ აღსრულებისა. მხოლოდ, როგორც მორწმუნე ქალს ტრადიციით შეუძლებლად მიმაჩნია ქალი ეკურთხოს მღვდლათ, ან ხელდასხმულ იქნეს მღვდელმთავრად და საზოგადოთ აღასრულოს ღვთის მსახურება, რადგან დღევანდელი ჩვენი რწმენის მიხედვით მღვდელი და მღვდელმთავარნი არიან ქრისტესა და მოციქულების მაგიერნი და მამაკაცთ უფრო შეჭფერისთ მათი მოადგილეობა*“⁴⁴ სიტყვას დართული აქვს შენიშვნა სქოლიოს სახით, სადაც ჩანს საეკლესიო კრების დამოკიდებულება და გამოხმაურება აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით: „საეკლესიო კრებულმა ეს სიტყვა დიდის ყურადღებით მოისმინა და დაადასტურა. ამავე საგანზე ილაპარაკა ალავერდის ეპარქიის ქალთა წარმომადგენელმა ალ. გიურჯიძე-ციციშვილისამ.“⁴⁵

⁴¹ გამონაკლისის სახით შეგვიძლია გავიხსენოთ წმ. ნინო.

⁴² მარიამ ანჩაბაძე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილების თავმჯდომარე.

⁴³ მედავითნეობა – იხ. მედავითნე – მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაბალი რანგის საეკლესიო მსახური, საერო პირი, რომელიც მღვდელს ეხმარება ღვთისმსახურების და სხვა რიტუალების შესრულებაში, დავითნის ან სხვა წიგნების კითხვაში, გალობაში.

⁴⁴ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, №27, გვ. 4.

⁴⁵ იქვე, გვ. 4.

დარგები	ჟანრები	ნიმუშების რაოდენობა
სადღესასწაულო მჭევრმეტყველება	სიტყვა, შესხმა	20
სამგლოვიარო მჭევრმეტყველება	სიტყვა	2
პოლიტიკური მჭევრმეტყველება	სიტყვა	9
აკადემიური მჭევრმეტყველება	სიტყვა	3
სამხედრო მჭევრმეტყველება	სიტყვა	1
სულ		35

3.1. სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები

№	სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, წარმოთქმული კნინა ქრისტინე დგებუაძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისში, 1908 წლის 14 დეკემბერს
2.	სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს
3.	სიტყვა, წარმოთქმული ბარბარე სულხანიშვილის მიერ შიო მღვიმელის დაბადების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოზე, ქ. ქუთაისში, 1916 წლის 12 მარტს
4.	სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ მასწავლებელთა კავშირის მიერ გამართულ საღამოზე, ქ. თელავში, 1917 წლის 11 აგვისტოს
5.	სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1920 წლის 15 თებერვალს
6.	სიტყვა, წარმოთქმული სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის ნანა იოსელიანის მიერ, 1978 წლის თებერვალს
7.	სიტყვა, წარმოთქმული ვერიკო ანჯაფარიძის მიერ თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მიძღვნილი სასწავლო წლის დაწყებისადმი, 1986 წლის 1 სექტემბერს
8.	სიტყვა, წარმოთქმული მარიკა ლორთქიფანიძის მიერ აკაკი წერეთლის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 20 ივნისს
9.	სიტყვა, წარმოთქმული იზა ორჯონიკიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1992 წლის ნოემბერს
10.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საზეიმო სხდომაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1994 წლის 25 მაისს
11.	სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში პერსონალური გამოფენის „მწიგნობრობა ქართული“ დახურვაზე, ქ. თბილისში, 1995 წლის 22 აპრილს
12.	სიტყვა, წარმოთქმული ლიასტურუას მიერ პაოლო იაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1995 წელს
13.	სიტყვა, წარმოთქმული ლიასტურუას მიერ თსუ-ის დაარსების 80 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 25 მაისს
14.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 12 ოქტომბერს
15.	სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ წიგნების პრეზენტაციისას ახალშენის იუბილეზე, სოფ. ახალშენში, 2008 წლის 22 ნოემბერს
16.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო ბურჭულაძის მიერ ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, ნიუ-იორკში, 2009 წლის 29 მარტს
17.	სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ ჯუმბერ ოდიშელის წიგნის „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები“ პრეზენტაციაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2010 წლის 19 ივლისს

18.	სიტყვა, წარმოთქმული ღია მელიქიშვილის მიერ წიგნის „მედეა აბაშიძე“ პრეზენტაციაზე, 2015 წელს
19.	სიტყვა, წარმოთქმული ნინო დობორჯგინიძის მიერ მზექალა შანიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წელს
20.	სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, ქ. თბილისში, 2019 წლის 24 სექტემბერს

3.2. სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები

№	სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის მიერ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს
2.	სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 9 აგვისტოს

3.3. პოლიტიკური ორატორული ნიმუშები

№	პოლიტიკური ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს
2.	სიტყვა, თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს
3.	სიტყვა, ვერთქმული კატო მიქელაძის მიერ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აკაკი ჩხენკელის გამოისობით, ქ. თბილისში, 1917 წლის 20 ნოემბერს
4.	სიტყვა, წარმოთქმული საფო მგელაძის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ პლენუმზე, ქ. თბილისში, 1932 წლის 28 დეკემბერს
5.	სიტყვა, წარმოთქმული თინათინ შარაძენიძის მიერ ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვისას, ქ. თბილისში, 1978 წლის 4 აპრილს
6.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მოედანზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 4 აგვისტოს
7.	სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ევროპის რეგიონთა ასამბლეის განათლების კომიტეტის სხდომაზე, ქ. მონპელიეში, 2001 წლის 8-9 ნოემბერს
8.	საინაუგურაციო სიტყვა, წარმოთქმული სალომე ზურაბიშვილის მიერ ინაუგურაციის ცერემონიაზე, ქ. თელავში, 2018 წლის 16 დეკემბერს
9.	სიტყვა, წარმოთქმული ნესტან ნენე კვინიკაძის მიერ გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიაზე, ნიუ-იორკში, 2019 წლის 11 მარტს

3.4. აკადემიური ორატორული ნიმუშები

№	აკადემიური ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, წარმოთქმული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს
2.	ლექცია, წაკითხული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ფრანგული ენის ისტორიის შესახებ ქართულ უნივერსიტეტში, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს
3.	ლექცია, წაკითხული მარიკა ლორთქიფანიძის მიერ თსუ-ის საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წლის 12 თებერვალს

3.5. სამხედრო ორატორული ნიმუშები

№	სამხედრო ორატორული ნიმუშები
1.	სიტყვა, თქმული ნინო ორბელიანის მიერ ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის მიმართ რუსეთ-ოსმალეთის ომში წასვლის წინ, 1877 წლის 9 მაისს

4. დასკვნა

წინამდებარე გამოცემის ფარგლებში ცალკე ადგილი დავუთმეთ ქალთა თემას ქართულ ორატორულ ხელოვნებაში. ჩვენ გამოვავლინეთ ქართულ მჭევრმეტყველებაში ცნობილი თუ უცნობი არაერთი ორატორული ნიმუში, რომელთა ავტორებიც არიან ქალები. ჩვენ გამოვყავით ორატორულ ნიმუშებში სხვადასხვა თემატური ჯგუფი, მათ შორის, ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები და სიტყვები, წარმოთქმული ქალთა საზოგადოებების წარმომადგენლების მიერ.

რაოდენობრივი მიმართება მჭევრმეტყველების მდედრობით და მამრობით წარმომადგენელთა შორის არათანაბარია. სულ გამოვავლინეთ ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში მეტ-ნაკლებად ცნობილი 201 ავტორი, მათ შორის გვყავს მამრობითი სქესის 181 (90%), ხოლო მდედრობითი სქესის – 20 (10%) ორატორი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სიტყვიერი ხელოვნების ასპარეზზე ძირითადად სწორედ მამაკაცები გამოდიოდნენ და მათი როლი ქართულ საზოგადოებაში გაცილებით უფრო დიდი იყო⁴⁶.

რაც შეეხება ქრონოლოგიურ ჩარჩოს, წინამდებარე გამოცემაში ორატორული ნიმუშების მოყვანისას დაცული გვაქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. თითოეულ რუბრიკაში ორატორული ნიმუშები წლების მიხედვითაა დალაგებული. მოყვანილი ორატორული ნიმუშები განეკუთვნება XIX-XXI საუკუნეებს. ყველაზე ადრეული ნიმუში თარიღდება 1877 წლით, ხოლო ყველაზე ახალი – 2019 წლით. ამდენად, კვლევის ფარგლებში დამუშავდა და მოკლე მიმოხილვების სახით, სპეციალური შესწავლის საგნად იქცა ამ პერიოდის ორატორული ნიმუშები. ძველი დროის ორატორული ნიმუშების ავტორებიდან უნდა დავასახელოთ თამარ მეფე, რომლის რამდენიმე სიტყვამაც მოაღწია ჩვენამდე და არის „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი⁴⁷. თუმცა წინამდებარე გამოცემა თავს უყრის ისეთ ორატორულ ნიმუშებს, რომლებიც, უმეტესწილად, დამოუკიდებელი სახითაა წარმოდგენილი. წინამდებარე კვლევის შესწავლის საგანი გახდა ქალი ორატორები ქართულ რიტორიკაში.

რაც შეეხება ქალთა მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშების დარგობრივ გადანაწილებას, ისინი განეკუთვნება სადღესასწაულო, სამგლოვიარო, პოლიტიკური, აკადემიური და სამხედრო მჭევრმეტყველების დარგებს და არასდროს – სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად ყველა ნიმუში ეკუთვნის სიტყვის ჟანრს. რაოდენობრივად ყველაზე მეტი ორატორული ნიმუში განეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველების დარგს, შემდეგ მოდის პოლიტიკური, აკადემიური, სამგლოვიარო და ბოლოს, სამხედრო მჭევრმეტყველების დარგი. დარგობრივად და ჟანრობრივად თავმოყრილი და დალაგებული ორატორული ნიმუშები თავისთავად უკვე ბევრ რამეს ამბობს და გვიქმნის საერთო წარმოდგენას ქალთა ორატორული აქტივობის შესახებ.

⁴⁶ კენჭიაშვილი, ნ., ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური ანალიზი: ტროპის სახეები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, 2020, გვ. 173, ხელმისაწვდომია: <<https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/333384>>;

კენჭიაშვილი, ნ., ტროპი ქართულ მჭევრმეტყველებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, „მერიდიანი“, 2021, გვ. 99, ხელმისაწვდომია: <<https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/360442>>.

⁴⁷ იხ. კენჭიაშვილი, ნ. (მთ. რედ.), სამეცნიერო ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილვები“, კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კვლევითი ცენტრი, თბილისი, „მერიდიანი“, 2021, №1, გვ. 115-118; 119-122; 123-126, ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/434847>>.

ჟურნალის მომზადებისას, შევეცადეთ შეგვენარჩუნებინა თემატური ხაზი და კვლევის საგნად შევარჩიეთ ქალთა საკითხი ქართულ რიტორიკაში, კერძოდ, მათ მიერ წარმოთქმული ორატორული ნიმუშები. შევისწავლეთ სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ორატორული ნიმუშები, რომლებიც დამოუკიდებელი ანდა ჩანართის სახით არის წარმოდგენილი სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემაში. ვფიქრობთ, ამით მეტ-ნაკლებად წარმოვაჩინეთ აღნიშნული საკითხი, რომელიც საინტერესო უნდა იყოს მკვლევრებისა და, ზოგადად, მკითხველისთვის.

წინამდებარე გამოცემაში შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია თითოეული ორატორული ნიმუშის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, ე.წ. მეტაინფორმაცია: ნიმუშის სათაური, ავტორი, წარმოთქმის ადგილი და თარიღი (თუ ეს დგინდება), დარგობრივი და ჟანრობრივი კლასიფიკაცია, პირველწყარო, პირველი ნაბეჭდი გამოცემა, შემდგომი ნაბეჭდი გამოცემები და ა.შ. ყველა ორატორული ნიმუშისთვის, ვეცადეთ შეძლებისდაგვარად დაგვედგინა ზემოჩამოთვლილი მონაცემები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, უცნობი რჩება ამა თუ იმ ტიპის ინფორმაცია.

აქ წარმოდგენილ ნიმუშებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ისინი მიმოფანტულია სხვადასხვა სახის წყაროში, მათ შორის, უმეტესწილად – პერიოდულ გამოცემაში, მცირე რაოდენობით – სხვადასხვა კრებულში. ზოგიერთ ორატორულ ნიმუშს წარმოდგენილი რუბრიკებიდან პირველად ვაქვეყნებთ, რაც ზრდის ამ გამოცემის ღირებულებას. შეკრებილი ორატორული ნიმუშები მოგვყავს აკადემიური გამოცემებიდან და პირველწყაროებიდან ბეჭდური ენისა და სტილის სრული დაცვით. გთავაზობთ ორატორული ნიმუშების ტექსტებს უცვლელი სახით დასახელებული წყაროებიდან.

I. სადღესასწაულო ორატორული ნიმუშები

I. FESTIVE ORATORICAL SAMPLES

**სიტყვა, წარმოთქმული კნენინა ქრისტინე დგებუაძის მიერ აკაკი
წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან
დაკავშირებით, ქ. ქუთაისში, 1908 წლის 14 დეკემბერს**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული კნენინა ქრისტინე დგებუაძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისში, 1908 წლის 14 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ქრისტინე ლორთქიფანიძე-დგებუაძე, რომელიც ენათესავებოდა აკაკი წერეთელს. მას ეკუთვნის აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ორი ლექსი: პირველი დაიწერა 1905 წელს და ავტორმა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“, სათაურით „აკაკის“⁴⁸, ხოლო მეორე ლექსი – 1916 წელს გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“, სათაურით „აკაკის გარდაცვალების წლის თავზე“⁴⁹. სიტყვის ადრესატი სწორედ აკაკი წერეთელია (1840-1915) – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1908 წლის 7 დეკემბერს ქართველმა ხალხმა გადაიხადა აკაკი წერეთლის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. შეიქმნა „იუბილეს კომიტეტი“ (გიორგი ყაზბეგი – თავმჯდომარე, იაკობ გოგებაშვილი – მოადგილე, სოფრომ მაგალობლიშვილი – მდივანი, სამსონ ფირცხალავა – მდივანი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ვალერიან გუნია, სოსიკო მერკვილაძე, ნიკოლოზ ერისთავი, პავლე თუმანიშვილი, პარმენ ჭიჭინაძე, ივანე გომართელი). დაარსდა აკაკის სალიტერატურო ფონდი, სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში შეიქმნა ადგილობრივი საიუბილეო კომიტეტები; დაიგეგმა სადღესასწაულო წარმოდგენები, წირვა-ლოცვები, საღამოები, შეხვედრები; გამოიცა კრებულები, ალმანახები, ბუკლეტები, ღია ბარათები; შეგროვდა ფულადი შემოწირულობები. პირველი საიუბილეო დღესასწაული გაიმართა თბილისში, სახაზინო (ოპერის) თეატრში, 1908 წლის 7 დეკემბერს. თუმცა თეატრამდე იყო პარაკლისი, რომელიც ხალხით გაჭედდებოდა სიონის ტაძარში გადაიხადეს ეპისკოპოსმა დავითმა, დეკანოზებმა: მარკოზ ტყემალაძემ და კალისტრატე ცინცაძემ, მღვდლებმა: ნიკიტა თალაკვაძემ და ნესტორ მაჭარაშვილმა. ერთი კვირის შემდეგ, 1908 წლის 14 დეკემბერს, ქუთაისშიც აღინიშნა იუბილე. აქაც ზუსტად ისეთივე პროგრამა ჰქონდა ღონისძიებას, როგორც თბილისში: ჯერ საიუბილეო სადღესასწაულო პარაკლისი ალექსანდრე ნეველის სახელობის ქუთაისის საკათედრო ტაძარში (სობოროში), შემდეგ კი ორნაწილიანი საზეიმო წარმოდგენა ქუთაისის დრამატულ თეატრში. 1908 წლის 21 დეკემბერს აკაკის იუბილე აღინიშნა ბაქოშიც, ადგილობრივი საკრებულოს დარბაზში.

სიტყვა დაიბეჭდა 1909 წლის 18 იანვარს გაზეთში „შინაური საქმეები“, ორიგინალური სათაურით „სიტყვა აკაკისადმი, წარმოთქმული კ-ნა ქრ. დგებუაძისაგან“⁵⁰. არც დღე და არც წელი არსადაა აღნიშნული. ტექსტის შინაარსის გაცნობის შედეგად, სავარაუდებელია, რომ საჯარო გამოსვლის სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში 1908 წლის 14 დეკემბერს. სხვა ხელჩასაჭიდი წყარო ამის დასადასტურებლად არ გაგვაჩნია. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁴⁸ გაზეთი „ივერია“, 1905, კვირა, 18 იანვარი, №12, გვ. 2.

⁴⁹ გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, 31 იანვარი, №5, გვ. 4.

⁵⁰ გაზეთი „შინაური საქმეები“, 1909, 31 იანვარი, №5, გვ. 4.

**Speech Delivered by Princess Kristine Dgebuadze on the Occasion of
the 50th Anniversary of Akaki Tsereteli's Literary Activity,
in Kutaisi, on December 14, 1908**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Princess Kristine Dgebuadze on the occasion of the 50th Anniversary of Akaki Tsereteli's literary activity, in Kutaisi, on December 14, 1908]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Kristine Lortkipanidze-Dgebuadze, who was related to Akaki Tsereteli. She owns two poems dedicated to Akaki Tsereteli: one was written in 1905 and published by the author in the newspaper "Iveria" under the title "To Akaki"⁵¹, and the second poem was published in 1916 in the newspaper "Teatri da tskhovreba" under the title "On the anniversary of Akaki's death"⁵². The addressee of the speech is Akaki Tsereteli (1840-1915) – a poet, writer, publicist and public figure. On December 7, 1908, the Georgian people celebrated the 50th anniversary of Akaki Tsereteli's literary and public activities. An "Jubilee Committee" was created (Giorgi Qazbegi – Chairman, Iakob Gogebashvili – Deputy, Soprom Mgaloblishvili – Secretary, Samson Pirtskhalava – Secretary, Mariam Jambakur-Orbeliani, Valerian Gunia, Sosiko Merkviladze, Nikoloz Eristavi, Pavle Tumanishvili, Parmen Tchitchinadze, Ivane Gomarteli). The Akaki Literary Fund was established, local jubilee committees were created in various cities and towns; festive performances, services, evenings, meetings were planned; collections, almanacs, booklets, postcards were published; Monetary donations were collected. The first anniversary celebration was to be held in Tbilisi, at the Treasury (Opera) Theater, on December 7, 1908. However, before the theater, there was a service, which was held in the crowded Sioni Cathedral by Bishop David, Deacons Markoz Tqemaladze and Kalistrate Tsintsadze, Priests Nikita Talakvadze and Nestor Matcharashvili. A week later, on December 14, 1908, the anniversary was also celebrated in Kutaisi. Here, too, the event had exactly the same program as in Tbilisi: first, a celebratory service in the Kutaisi Cathedral (Soboro) named after Alexander Neveli, and then a two-part solemn performance in the Kutaisi Drama Theater. On December 21, 1908, Akaki's anniversary was also celebrated in Baku, in the hall of the local council.

The speech was published on January 18, 1909 in the newspaper "Shinauri sakmeebi" under the original title "Speech to Akaki Tsereteli, delivered by Princess Kristine Dgebuadze"⁵³. Neither the day nor the year is mentioned anywhere. Based on the content of the text, it is likely that the public speech was delivered on the occasion of the 50th anniversary of Akaki Tsereteli's literary career in Kutaisi on December 14, 1908. We do not have any other reliable source to confirm this. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁵¹ Newspaper "Iveria", 1905, Sunday, January 18, №12, p. 2 (in Georgian).

⁵² Newspaper "Teatri da tskhovreba", 1916, January 31, №5, p. 4 (in Georgian).

⁵³ Newspaper "Shinauri sakmeebi", 1909, Sunday, January 18, №3, p. 16 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული კნენა ქრისტინე დგებუაძის მიერ აკაკი წერეთლის
სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ.
ქუთაისში, 1908 წლის 14 დეკემბერს**

„ჩვენს მხარეზედ მზეთ აღმოსულო, დიდებულო პოეტო, აკაკი.

გულწრფელად მოგიძღვნი შენის შრომისა და ღვაწლის მადლობას, რაც აქამომდე შენის ძვირფასის მწერლობით ჩვენმა სულმა ისაზრდოვა.

სიჭაბუკიდან დღემდე შენი კალამი არ შეჩერებულა, თუმცა მძიმე ნაღვლიდან გამოწვეულმა შენმა ტკბილ-მწარე ჩანგმა სატირალმა ჰანგებმა მრავალჯერ მწვავეთ ააძგერა შენი მოღვაწე გული რა საკვირველია დროთა განმავლობაში სიჭაბუკე მხცოვანებათ იქცა, სიცოცხლით სავსე სახეს ცვლილების ნიშანი დაეტყო, მაგრამ შენი ქვეყანა არ დაგვიწყნია ის შენი სატრფიალო საგანი იყო.

დიდი ხანია ჩვენო საყვარელო მოსანო, რაც ჩვენ ზამთრის სუსხი და დაბურვილი დღეები გვტანჯავდა, ხან ქარის საზარელი ზუზუნი გულს გვიკრთობდა და სულს გვიშფოთებდა, მაგრამ შენი „გაზაფხულის“ იმედეები და „მერცხლის“ ჭიკჭიკის მოლოდინი, მალამოდ ეცხებოდა ჩვენს წყლულს გულს, თანაც სიმხნეს გვმატებდა, ის შენი წყობილი სიტყვები, რომლითაც მოგყავდა მაგალითი ძველი ქართველი დედეებისა, თუ როგორ იყვნენ ამხედრებული ბრძოლის ველზე თავის ქვეყნის სიკეთისათვის.

ჩვენ ამის წამკითხველ-გამგონეს იმედეები გვიორკვცდებოდა მომავლისათვის ჩვენც გვამზადებდა მტერთან საპასუხოთ. დღესაც მოლოდინის განხორციელებას მოველით. ყოველი მეცნიერული წინასწარმეტყველება აღსრულებულა!

მაგრამ ჩვენო დიდო მოღვაწევ, ეგ არის სამწუხარო, რომ თქვენს მიზანს ჯერ ვერ მიახწიეთ და ვერ დასცალეთ ის სავსე ფიალა, რომლის დაცლა დიდი ხანია გწყუროდა.

ჩვენო სიამაყევ, ბ. აკაკი! შენი თანამედროვე დედეები, ვალად დაუდგენთ ჩვენს შვილებს, რათა გადასცენ შენი უკვდავი სახელის ქება ანდერძათ შვილის-შვილამდე. ხოლო ჩვენ შენი საყვარელი მამულისშვილები მანამ გადიდებთ და აღფრთოვანებით მოგიგონებთ, ვინემდის ჩვენს გვერდში არ შესწყდება ცემა იმ გულისა, რომელიც უსამართლობისაგან წამებულა მრავალ გზის.

აწცა მრავალჟამიერ, პოეტო, თქვენი დიადი მოღვაწეობა!“

**სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების
წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის
სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით,
ქ. ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია დარიკო მახარობლიძე, რომელიც ბაქოში მცხოვრებ ქართველ ქალთა საზოგადოების სახელით გამოდის. სიტყვის ადრესატია აკაკი წერეთელი (1840-1915) – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1908 წლის 7 დეკემბერს ქართველმა ხალხმა გადაიხადა აკაკი წერეთლის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. შეიქმნა „იუბილის კომიტეტი“ (გიორგი ყაზბეგი – თავმჯდომარე, იაკობ გოგებაშვილი – მოადგილე, სოფრომ მგალობლიშვილი – მდივანი, სამსონ ფირცხალავა – მდივანი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ვალერიან გუნია, სოსიკო მერკვილაძე, ნიკოლოზ ერისთავი, პავლე თუმანიშვილი, პარმენ ჭიჭინაძე, ივანე გომართელი). დაარსდა აკაკის სალიტერატურო ფონდი, სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში შეიქმნა ადგილობრივი საიუბილეო კომიტეტები; პირველი საიუბილეო დღესასწაული გაიმართა თბილისში, სახაზინო (ოპერის) თეატრში, 1908 წლის 7 დეკემბერს. ერთი კვირის შემდეგ, 1908 წლის 14 დეკემბერს, ქუთაისშიც აღინიშნა იუბილე. 1908 წლის 21 დეკემბერს აკაკის იუბილე იზეიმა ბაქოს ქართველობამაც ბაქოში, ადგილობრივი საკრებულოს დარბაზში. გაზეთში „სავაჭრო გზა“ ვკითხულობთ: „ბაქოს ქართველობამ სთხოვა მგოსანს წარმოგზავნილი დეპუტაციის პირით, რომ ერთი დღე ეჩუქებინა ბაქოს ქართველებისათვის, დასწრებოდა 21 დეკემბერს ბაქოში საიუბილეო დღესასწაულს, რომ ამით შეძლება მისცემოდა ბაქო-ბალახანისა⁵⁴ და ახლო-მახლო მცხოვრებ ქართველებს, ამ საერთო და სასიხარულო დღესასწაულზედ ენახათ თავისი საყვარელი და დიდებული მგოსანი, ბაქოს ქართველების ამ საერთო სურვილზედ დათანხმდა აკაკი“⁵⁵.

სიტყვა გამოქვეყნდა ორჯერ: პირველად – 1908 წელს გაზეთში „სავაჭრო გზა“, სათაურით „სიტყვა ბაქოში წარმოთქმული 21 დეკემბერს“, ხოლო ქვესათაურით – „მვირფასო მგოსანო აკაკი“⁵⁶, ხოლო მეორედ – 2001 წელს ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“⁵⁷. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

⁵⁴ ბაქო-ბალახანი – ბალაქანი ან ბალახანი (თათ. Balxuni) – დასახლება და მუნიციპალიტეტი აზერბაიჯანში, ბაქოსთან, აფშერონის ნახევარკუნძულზე.

⁵⁵ გაზეთი „სავაჭრო გზა“, 1908, კვირა, 28 დეკემბერი, №29, გვ. 2.

⁵⁶ იქვე, გვ. 2.

⁵⁷ ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, თბილისი, 2001, №8-9 (45), გვ. 17.

Speech Delivered by Dariko Makharoblidze, a Representative of the Baku Georgian Women's Society on the Occasion of the 50th Anniversary of Akaki Tsereteli's Literary Career, in Baku, on December 21, 1908

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Dariko Makharoblidze, a representative of the Baku Georgian Women's Society on the occasion of the 50th Anniversary of Akaki Tsereteli's literary career, in Baku, on December 21, 1908]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Dariko Makharoblidze, who speaks on behalf of the Georgian Women's Society living in Baku. The addressee of the speech is Akaki Tsereteli (1840-1915) – a poet, writer, publicist and public figure. On December 7, 1908, the Georgian people celebrated the 50th anniversary of Akaki Tsereteli's literary and public activities. An “Jubilee Committee” was created (Giorgi Qazbegi – Chairman, Iakob Gogebashvili – Deputy, Soprom Mgaloblishvili – Secretary, Samson Pirtskhalava – Secretary, Mariam Jambakur-Orbeliani, Valerian Gunia, Sosiko Merkviladze, Nikoloz Eristavi, Pavle Tumanishvili, Parmen Chichinadze, Ivane Gomarteli). The Akaki Literary Fund was established, local jubilee committees were created in various cities and towns; the first jubilee celebration was held in Tbilisi, at the Treasury (Opera) Theatre, on December 7, 1908. A week later, on December 14, 1908, the anniversary was also celebrated in Kutaisi. On December 21, 1908, the Georgians of Baku celebrated Akaki's anniversary in Baku as well, in the hall of the local council. In the newspaper “Savachro gza” we read: “The Georgians of Baku asked the Poet through a delegation sent to him to give one day to the Georgians of Baku, to attend the anniversary celebration in Baku on December 21, so that the Georgians of Baku-Balakhani⁵⁸ and nearby could see their beloved and great poet on this common and joyful holiday. Akaki agreed to this common wish of the Georgians of Baku”⁵⁹.

The speech was published twice, the first time in 1908 in the newspaper “Savachro gza” under the title “Speech delivered in Baku on December 21” and with the subtitled “Dear Poet Akaki”⁶⁰, and the second time in 2001 – in the magazine “Burji erovnebis”⁶¹. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁵⁸ Baku-Balakhani – Balakhani (Tat. Balxuni) is a settlement and municipality near Baku, Azerbaijan, on the Absheron Peninsula.

⁵⁹ Newspaper “Savatchro gza”, 1908, Sunday, December 28, №29, p. 2 (in Georgian).

⁶⁰ Ibid, p. 2.

⁶¹ Magazine “Burji erovnebis”, Tbilisi, 2001, №8-9 (45), p. 17 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ბაქოელ ქართველ ქალთა საზოგადოების
წარმომადგენლის დარიკო მახარობლიძის მიერ აკაკი წერეთლის
სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ.
ბაქოში, 1908 წლის 21 დეკემბერს**

„ძვირფასო მგოსანო აკაკი!

ბაქოს ქართველ ქალთა საზოგადოება მოგილოცავთ თქვენ, ამ ჩვენთვის ძვირფასს და ბედნიერ დღეს.

უნდა ადამიანს მრავალ დაუშრომელი ენა ჰქონდეს და დაუშრეტელი მელნის ტბა, რომ გამოსთქვას დიდება შენი და მნიშვნელობა იმ ღვაწლისა, რაიცა მიგიძღვის შენ სამშობლოს წინაშე.

შენში, მგოსანო, განხორციელდა საქართველო, შენ განხორციელი მასში, თქვენ ორივე ხართ ერთ სისხლს და ერთ ხორცს.

იმ დროს, როცა სრულიად მოდუნდა ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში ცხოველ მყოფელი ძარღვის ცემა, შენ მოველინე მაშინ ჩვენ სამშობლო ქვეყანას შუქურ ვარსკვლავად.

გაზვიადებით არ იქნება ნათქვამი, რომ მოგახსენოთ; შენ ყველაზედ ძალიან გაწუხებდა ქართველი დედის სიბეჩავე, მათი დაკნინება და დადუხჭირება, დაკარგვა ძველ დედის ნიშან წყალისა. შენი ჩანგი მუდამ ჩაგვძახოდა:

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა,

მარტო ცრემლები ქვეყნისთვის საშველათ არა კმარაო“.

თვალწინ გვიყენებდი ძველ დედებს, რომელნიც მამულს უზრდიდნენ თავდადებულ შვილებს; სტიროდი ჩვენ ბეჩაობას;

„ქართველ ქალს ვერ ვცემ თაყვანსა,

ხარს ვერ ვუმღერ მის კუბოს

და ნანას მისა აკვანსა,

მიტომ, რომ მასში შვენებას

აკლია გვირგვინ ბეჭედი

აწმყოში სულის ჩამდგმელი

და მომავალში იმედი“...

ნათელაში ცხოვლათ დაგვიხატა ძველი ქართველი დედა, მამულისათვის თავდადებული; ნათელას სიმღერაში გამოსთქვი მთელი პროგრამა ქართველ ქალის მომავალი მოქმედებისა; ნუ გეშის, მგოსანო, ქართველი ქალი სდგება მკვდრეთით, ნათელას სიმღერა კიდეთ-კიდემდის ისმის, ჟრიალებს მისი ჩანგი, ქართველი დედები გალობენ მამულის სიყვარულს: „ერთი მეორის თანხმობით“, ნუ გეშინის, მგოსანო! შენ ჩანგურს ჩვენი სიმები გაება, გვწამს. „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს მაშინვე უნდა შველა“.

გვწამს რომ „ჩანგური საქართველოა, და სიმებიც ჩვენ ვართ ყველა...“

გვწამს, რომ მწერიც კი სცხოვრობს თანხმობით, ფუტკარი... ჭიანჭველა...

ჩვენ აღარ ვმღერით ცალ-ცალკე, ოდელა დელა დელასა. შევიგენით, რომ: ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაა; შევიგენით ეს თქვენი წმინდა ქადაგება; დღეს ქართველმა დედამ პირი იბრუნა საწალმართოთ, თქვენი იმედი ჰყვავდება, გულს ნუ გაგიტეხს ჭაღარა; თქვენს მოძღვრებას რძემი ვფერავთ და ვაწოვებთ ჩვენს შვილებს: დრო მოვა და არც შორე არის იგი; წამოიზრდებიან „ლეკვნი ლომისა“, „მიჯაჭვული ამირანი“ აითათავს ხელებს, ასწყვეტენ არტახებს და ჩაებმიან ფერხულში სამშობლოს აღსადგენად; ნათელეები უკვე ზრდიან მომავალს ცოტნეებს ცხრა კლიტულის დასალეწად და დატყვევებული ნესტან დარეჯანის გამოსახსნელად.“

სიტყვა, წარმოთქმული ბარბარე სულხანიშვილის მიერ შიო მღვიმელის
დაბადების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოზე,
ქ. ქუთაისში, 1916 წლის 12 მარტს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს
ნათია კენჭიაშვილმა და ქრისტინე ცერცვაძემ

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ბარბარე სულხანიშვილის მიერ შიო მღვიმელის დაბადების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოზე, ქ. ქუთაისში, 1916 წლის 12 მარტს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ბარბარე სულხანიშვილი – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების ნამდვილი წევრი (1914-1915). იგი სხვადასხვა საგაზეთო წერილით იცავდა ქალთა უფლებებს და მწერალ კაცებთანაც თამამად კამათობდა საჯაროდ. სიტყვის ადრესატია შიო ილარიონის ძე ქუჩუკაშვილი (ფსევდონიმი შიო მღვიმელი, 1866-1933) – ქართველი საბავშვო პოეტი, ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა შიო მღვიმელის ხსენების დღეს. „მღვიმელი“ ფსევდონიმად ნიკო ლომოურმა უბოძა („ის ბერიც შენსავით წყნარი იყო“). 1881 წელს მიაბარეს გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ სანიმუშო სკოლაში, სადაც სწავლობდნენ ვაჟა-ფშაველა და მისი ძმები. 1887 წელს გორის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისში მუშაობდა ჯერ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მაღაზიის გამგედ, ხოლო 1909 წლიდან – ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში კორექტორად. მღვიმელის პირველი ლექსი „დილა“ 1885 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა, პირველი საბავშვო ლექსები – 1887 წელს. 1891 წელს მისი ლექსები ცალკე გამოიცა პატარ-პატარა წიგნებად. შიო მღვიმელს დაბადების 50 წლის იუბილე გადაუხადეს ქ. ქუთაისში 1916 წლის 12 მარტს.

სიტყვა გამოქვეყნდა 1916 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, სათაურით „სასიხარულო ფიქრები“, ხოლო ქვესათაურით – „შიო მღვიმელის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც შეცდომით მილოცვათა შორის იყო მოქცეული“, ასევე სქოლიოს სახით ჩატანილია შემდეგი ინფორმაცია: „ვინაიდან ამ სიტყვამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია და საზოგადო ინტერესს არ არის მოკლებული, ვბეჭდავთ სრულიად უცვლელად“⁶². გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁶² ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916, კვირა, 13 მარტი, №11, გვ. 12-14.

**Speech Delivered by Barbare Sul Khanishvili at the Jubilee Evening held to
Celebrate the 50th Anniversary of the Birth of Shio Mghvimeli,
in Kutaisi, on March 12, 1916**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were attached
by Natia Kentchiashvili and Kristine Tsertsvadze

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample [Speech delivered by Barbare Sul Khanishvili at the jubilee evening held to celebrate the 50th Anniversary of the birth of Shio Mghvimeli, in Kutaisi, on March 12, 1916]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Barbare Sul Khanishvili – a full member of the Telavi branch of the Society for the Promotion of Literacy among Georgians (1914-1915). She defended women's rights with various newspaper articles and boldly entered into public discussions with male writers. The addressee of the speech is Shio Kuchukashvili (pseudonym Shio Mghvimeli, 1866-1933) – a Georgian children's poet, one of the founders of Georgian children's literature. He was born on the day of Shio Mghvimeli's commemoration. Niko Lomouri gave him the pseudonym “Mghvimeli” (“That monk was as quiet as you”). In 1881, he was sent to the model school at the Gori Master's Seminary, where Vazha-Pshavela and his brothers studied. After graduating from the Gori Civil School in 1887, he worked in Tbilisi first as the manager of the bookstore of the “Society for the Promotion of Literacy among Georgians”, and from 1909 – as a proofreader in the editorial offices of Georgian magazines and newspapers. Mghvimeli's first poem “Dila” was published in the newspaper “Droeba” in 1885, the first children's poems – in 1887. In 1891, his poems were published separately as small books. Shio Mghvimeli was honored with a 50th birthday anniversary in Kutaisi, on March 12, 1916.

The speech was published in 1916 in the magazine “Teatri da tskhovreba” under the title “Happy Thoughts”, and with the subtitle – “Speech delivered on the anniversary of Shio Mghvimeli, which was mistakenly included among the congratulations”, as well as the following information in the form of a footnote: “Since this speech has caused public outcry and remains to be the center of the interest, we are printing it completely unchanged”⁶³. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁶³ Magazine “Teatri da tskhovreba”, 1916, Sunday, March 13, №11, pp. 12-14 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ბარბარე სულხანიშვილის მიერ შიო მღვიმელის
დაბადების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოზე, ქ.
ქუთაისში, 1916 წლის 12 მარტს**

„დიდნო და პატარა ქართველებო!

მადლიანი დღეა დღეს ჩვენთვის, ასეთია იმიტომ, რომ მომასწავებელია სიცოცხლის აღორძინებისა, თავდება აღმაშენებლობის გზაზე გასვლისა.

მოგეხსენებათ, ამ დღის შინაარსის მიმცემი არის მიჩრდილული, მიმალული, უთქმელი კაცი შიო მღვიმელი. სწორედ შიო მღვიმელის პატიოსანს უნარს ვანთებთ დღეს ჩვენ წინ სანთლად, რომლის შუქითაც დავინახავთ, თუ რამდენი სიკეთის ნერგვა შეუძლიან თუნდ ჩაგრულს კაცს, უმშვენიერესი ჭეშმარიტების უანგარო სიყვარულით გატაცებულს.

სამართლიანობის კუნჭული ჩვენი გონიერებისა რომ გავადვივოთ, იმ დასკვნას მივწვდებით, რომელიც ამხელს: შიოს ისე ძლიერად სწამდა, უყვარდა სიკეთეთე ჭეშმარიტებისა, რომ უარი სთქვა თავის თავის კეთილდღეობაზე, საკუთარი სიცოცხლის სიტკბოების შესაძლებლობის ზრუნვაზე და თვით სიცოცხლე შესწირა ამ სიკეთისთვის გზის კაფვას ეკლიანს და სავსეს დაბრკოლებით, სიმწარით. ეს ღვაწლი მით უფრო საგრძნობელი, დასაფიქრებელი და საკვირველია, რომ არსებული სიცოცხლის შინაარსი, ერთეულიდან დაწყებული მთელი კაცობრიობის თავს დამტყდარ უბედურებამდის, გაჰქვივის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა შეცდომებზე, ყველაფრის ყალბ ნიადაგზე დაყენებაზე...

ამ არსებულ სიცოცხლეს თუ ღრმად ჩაუკვირდებით, აშკარად დავინახავთ, რომ ყველაზე მეტად ჩვენი შეცდომებით დაზარალებულია ყრმა, მოზარდი თაობა, ე. ი. მომავლისათვის ზრუნვა და შემოქმედება.

მამა-კაცი, ეს თავისი არსის უმანკოება დაკარგული ქმნილება, თავის ხელში მპყრობელი მარტო თავისით გარდაქმნილ ქვეყნიერებისა, გაღიზიანებული და ყველაფრის მანკიერად გამომყენებელი, თავის თავის მომსპობი, მარტო ნივთიერ საზრდოობას კისრულობს მოზარდ თაობისას, შვილებისას; ხოლო პური არსების გარეითად შეუგნებლად შვილებს აყრის დედას, დედა-კაცს, დედა-კაცს, რომელიც მამათა ქვეყანას ნივთად უქცევია, რომელიც ვაჟს მოსაწვევეტ ყვავილად მოსჩვენებია და განურიდებია იგი თავისი ქვეყნიდან გაეზარდნა მას თავის სუსტს სხეულში სული და მონაბრებულ შვილებისთვის თავისუფალი ფურჩქენილი სულის შემოქმედებით რიგიანი აღმზრდელობა გაეწია.

დღეს სულდალეული, სულგამხმარი დედა დახუჭული თვალებით მამის ქვეყანას იქით ვერას ხედავს და ისიც ზრდის შვილს თავგამოდებით აზიაროს ეს შვილი ბუნების სისრულე ამცდარს, სილამაზე ჩამკვდარს, გულის თქმათა მშორევეში გალაგლაკებულს ნივთიერ ქვეყნის ბრუნვას. ეს დედა-კაცი გატაცებულია მით, რომ უხვ საშოვრის გზაზე დაყენებით ფუფუნება მოუპოვოს თავის შვილს გერმოდ და იმას იქით რა მოხდება, ფიქრადაც არ მოსდის, ხოლო ხდება ის, რომ ასე აღზრდილი ადამიანი თუმცა ეწაფება ფუფუნებას, სხეულებრივ სიტკბოებას, მაგრამ იგი დადის და დატირის, უჩივის სიცოცხლის არარაობას, პირადად პესიმისტობს და ზოგადად ომობს...

ასეთ ლატაკთა ხელში ვარდება ყრმათა ფურჩქენა-აყვავება და განა არ უნდა ვიგრძნოთ, თუ რა მადლიან, დიად საქმეს ემსახურება შიო მღვიმელი?! ყველაზედ ობლად რჩენილს, უპატრონოდ მიტოვებულს, გამათახსირებელს პირობებში მყოფს მოზარდ თაობას! მის გრძნობა-გონების გაშუქებას, გაკეთილშობილებას...

თუ ყველა ზევით ნათქვამი გაითვალისწინეთ, გააცხოველეთ მოგონება, რომ სიცოცხლე მართლა დაშორებულია სიმართლეს, ჭეშმარიტებას, ადამიანი მოკლებულია ბედნიერებას, საღს სიმხიარულეს, სიხრულის გრძნობას, რომელსაც თავისით იწყობდეს და ზოგადით ათავებდეს, სამართლიანად აღმოგხდებათ კითხვა: მამ სად, როგორი გზით გავწიოთ სისრულისკენ?

პირველყოფილ ბუნების ქაოსიდან რომ დავიწყოთ, ვხედავთ, რომ ბუნების ძალნი ურთიერთის გავლენით შენების შემთქმედებას იჩენენ; ურთიერთის შეხვედრა, შერჩევა, შველება, შეთანხმებით თვით გარდაჰქმნიან სიცოცხლის შინაარსს, რომელსაც მეცნიერება დიფერენციაციას უწოდებს და რომლის მეოხებითაც სადა ორგანიზმი რთულდება უფრო საინტერესო, რთულ ქმნილებად. ხოლო მწვერვალება ამ სირთულის ნაყოფისა არის ადამიანი. შესამჩნევია, გასაგებია, რომ რაც უფრო რთულია არსება, უფრო ძნელია გარდაქმნა, უფრო დაუძლეველია, მაგრამ არაფერია იმის მაჩვენებელი, დამამტკიცებელი რომ იგი გარდუქმნელია, ან და მუდამ არა სდგას იგი გარდაქმნის გზაზე. ის კი რომ ჩვენი დროის ადამიანი ნერვებ აშლილი დადის და დატირის უხეირობას, სწორედ გარდაქმნის ახალ საფეხურზე შედგომის აუცილებლობის მომასწავებელია. კიდევ ის, თუ მოიგონებთ უთვალავ გენიოსებს და ნიჭიერთ, რომელნიც უფრო გრძნობიერნი, ალლოიანნი არიან და სულ იმას სჩვიან, მოსთქვამენ, რომ ბუნებას დაშორებულია ადამიანი და ამიტომ უბედურია, ამასაც ადამიანის სწორე, სისრულის გზაზე გაყვანის სიმპტომად დაინახავთ.

ეხლა ავიღოთ თვით ბუნება და მისი მწვერვალება, მეფე ადამიანი ერთად.

თქვენი, აქ შობილთა, თქვენი ქვეყნის შვილის ძვალი რომ აიღოთ და ქიმიას დააშლევინოთ, გაიგებთ რომ ამ ქვეყნის შვილის ძვალი შემადგენლობით განირჩევა სხვა ქვეყნის ადამიანთა ძვლიდან. ასე რომ მიაყოლოთ სისხლი, კუნთი, მარღვი და ნამეტნავად უნაზესი ქსოვილი სხეულისა ტვინი, ასეთსავე შედეგს მიიღებთ. ე. ი. დიდს გარჩევას. რა არის ამის მიზეზი? მეცნიერება აგისხნით: მზის უწყებული მანძილიდან გავლენა. მიწა-წყლის შემადგენლობა, მიწის ნაყოფიერების თვისება და ყველა ის მიზეზები, რომელნიც ამ მიზეზების ურთიერთის გავლენისაგან ხდება. ჩვენი სხეულის სხვაგვარი შემადგენლობა და მისი წარმომშობი პირობები ერთად ჰქმნიან ჩვენი სულიერი შესაძლებლობების შინაარსსაც და ამ უსულო და სულიერი ბუნებით წარმოიშობა ჩვენი ენა, მუსიკა და მთელი უნარიანობა ფიზიკური და სულიერი მუშაობისა. მაშ ეხლა აშკარაა, რომ სხვის ბუნებაზე გადახტომა, სახტად უცხოს მიღება გალაცება საკუთარი ბუნებისა და ნაბოლოვრად დასაგულეებელია თვით ჩამხტარს ბუნებაში...

გაჰხედეთ თქვენს ქვეყანას და გაგითვალისწინდებათ, რომ ყველაზე მრავალმხრივი, მრავალშემდებიანი ბუნება, ტურფა და საცილობელი თქვენი ქვეყანაა. ეხლა ადვილი გასაგებია ის, რომ პირველად ადამიანთა რთული ცხოვრების აკვანი მართლა თქვენი ქვეყნისაკენ გაირწა, ამ მრავალფეროვნებაში უფრო მალე მოესწრო უფრო რთულის აკინძვა და განსახიერება, ნათელი მიზეზი ჰქონდა ყველა ამას. მაშ ნუ ჰკარგავთ თქვენამდე მოღწეულის ამ ბუნებაში რკვეულს, მასთან შეფარდებულს, ჰარმონიულს, მშვენიერს თქვენს თავს, ნუ ჰზუჩქავთ თქვენს მხატვრულს, მდიდარ ფერადებით სავსე ქართულ ენას, ნუ ანებებთ თქვენს მიწა-წყალს სხვას: ის თქვენი წილია და თქვენ მისი.

მოზარდნო! ისწავლეთ ადამიანის სიბრძნით მიხწეული ცნაურებანი და უკანვე დაუბრუნდით თქვენს სამშობლოს! თქვენ გაუხსენით გული მთა-ბარს და მისი საუნჯე, თქვენი ნათესავი თქვენ გამოიღეთ! ურთიერთის მსგავსება უფრო ადვილად გაიგებს არსებულს, დაჰმორჩილდება, შეეთვისება. თქვენი ოფლი თქვენს მიწას აკურეთ და თქვენ უფრო შემრგოთ შეგეთვისებათ მისი ღვაწლი!

და აი ჩვენი ობლად მოღვაწე შიოც განა სამშობლოს სიყვარულს არ გასწავლიდათ მთელი თავისი სიცოცხლე?! დაიხსომეთ რა ნათელ გზაზე უვლია და უტარებინართ!..

წარმოიდგინეთ თქვენი სამშობლო მთელი თავისი სილამაზით, თავისი ბუნების მეტყველებით და დაინახავთ რომ, იგი პოეტია თითონ მთელ ქვეყნიერებაში ჩაქსოვილი. მისი ბუნება პოეტურად ღაღადებს მთელ ბუნების სიცოცხლეზე და აკი მასში მღერა ყველა ერის პოეტს მოადგება ხოლმე პირზე, როცა კი მოჰხვდება. აკი თვითონ მის ერში ყველაზე ძლიერი ნიჭი პოეტურია, როგორც სამყაროს გენია შოთა; აკი დღესაც პოეტური შემოქმედების მიდრეკილების სიუხვე ზოგს თქვენგანს აჯავრებს კიდევ: „გაგონილა ამდენი პოეტებო!..“ აკი ყველა გვარი გონებითი ნამუშევარი ჩვენთა ხორცმესხმულია პოეტურად, რომ ავიღოთ ფილოსოფიაც კი. ძველზე გაგეგონებათ ასეთი იყოვო, ხოლო ჩვენი დროის ფილოსოფიის მკვლევარიც რომ აიღოთ, ჩვენი თანამედროვე კარგად ცნობილი, ბევრჯელ მოსმენილი ბ-ნი გრ. რობაქიძე⁶⁴, ეს ქართველი სული – რაინდულ ელემენტ დაკარგული ევროპაში, რომ გესაუბრებათ თავის საგანზე, განა ქართული ენის სილამაზის შადრევნად არ

⁶⁴ გრიგოლ რობაქიძე (1880-1962) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

გადაიქცევა ხოლმე?! მიზეზი აშკარაა.

ამავე მიზეზით დღესაც შეგვიძლიან ჩვენი აწიოკებული, გაღვარცილი სამშობლო ისევ ჩვენ თვალწინ მყოფ პოეტურ გენიათა შემოქმედებით შევკრათ გასაფრთხილებლად, საფიქრებლად, მიზნად და საბედნიეროდ. მოვიგონოთ ვაჟა, ეს მთის შვილი დღე და ღამ რო „ღმერთო სამშოლო მიცოცხლო“ ბუტბუტებს და ამირანივით მიჯაჭულს გულდადარულ საუნჯის ცქერით გულღვიძლი ეწიწვნება.

მოვიგონოთ წამებული ილია⁶⁵, რომელმაც მეტად თვალხმიერად იხილა სულით და ხორცით გასრესილი სამშობლო და მთელი თავისი სიცოცხლე ხან აქ აკურა თავისი სიცოცხლის ნაკადული გასაცოცხლებლად და ხან იქ.

ამოვუყენოთ მათ პოეტი შანშიაშვილი, ეს სხვა ძლიერი მომენტის მოწამე, როცა მთელი სამშობლოს წალკვის მუქარა ტრიალებს ჰაერში და იგი მაშინ კავკასიონის ქედს მოგაგონებთ, მკვიდრი ზურგი რომ უცხო მხარეს მიუშვერია დაიფაროს თავის საუნჯე გადმოპოტინებელ უცხო ხელებიდან, გადამაჯიშებელ ჰაერიდან, ხოლო მეორე მხარეს კალთა გაუშლია, აყვავებულა სხვა და სხვა ფრად თავისიანთა სამყოფად.

ვერ მოაშორებთ ამათ პოეტს გრიშაშვილს საკუთარ დედაქალაქის საკუთარ დემოსის წარმოშობილს, თვით ხალხის სისხლს და ხორცს, კაცს უთანხოს, მაგრამ მეტად რაინდულად მოცინარე პირით, მოქარგული ენით მოლიკლიკეს სიცოცხლის ყვავილებზე, სამშობლო არე-მარეზე აღმოცენილ სიტურფეზე; უმანკო სიყვარული უნდა შეგაყვაროთ მან, გრძნობიერი გაგხადოთ და უცხო რამეს მოელით მისი მოხერხებიდან.

შემოახვიეთ ამ კონას აკაკი, ეს საკვირველი ხელოვანი მთელი სამშობლოს სიტურფის მღერისა; აკაკი, რომელიც არც ერთს გამწარებულს წამს არ უჯერის, სცემს ბუკს და ნაღარას თავის სატრფიალოს შეგრძნობით და ალერსის ნაკადულად მოუგდებს თავის ნიჭს თავისი ტურფას, სამშობლოს სამღერად.

მაშ ბევრის ტანჯვით გული არ გაგიტყდეთ, დანიავების აჩრდილი არ მოგეჩვენოთ! დღეიდან ჩავჭედოთ ჩვენს გულში ის, რომ სწორედ შიო მღვიმელის არჩეული გზა ჩვენი აღდგენისკენ წამყვანია, რომ შიო 30 წელიწადია მშობლიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით საბავშვოში განუწყვეტლად უნგაროდ მუშაობს და ჩვენ ყრმათა სულს გრძნობიერი გულით, ფრთხილის მოპყრობით, ალერსით სავსე ენით გულს მიიყრდნობს და ბადეთ ქსოვილ უმაღლეს ჭემმარიტებასთან აატარ-ჩაატარებს რომ თვით ბუნებამ ამ სამსახურისთვის შიოს შეფერებით, როგორც ქართველის კერაზე სიცოცხლის მღვიებელს პოეტური ჩანგიც მისცა, ჩვენს დაუნახაობას შიო განშორებით არ გაეპასუხა და შემოქმედებით სდარაჯობს სრულყოფას ჩვენსას, ფარვანად დასტრიალებს აღმაშენებლობის გზაზედ გაჰყავს თვით სიცოცხლე.

მოვიხაროთ მის წინ გულხმიერა თავი, ხოლო სიცოცხლეს შევცინოთ, რომ ტურფა ქვეყნის შვილებად დაგვბადა.“

⁶⁵ ილია ჭავჭავაძე (1837-1907) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, მწერალი.

სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ მასწავლებელთა
კავშირის მიერ გამართულ საღამოზე, ქ. თელავში,
1917 წლის 11 აგვისტოს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ მასწავლებელთა კავშირის მიერ გამართულ საღამოზე, ქ. თელავში, 1917 წლის 11 აგვისტოს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია თამარა გოგოლაშვილი-პაპავა (ფსევდონიმი „ხირსელი“) (1888-1976) – მწერალი, აკაკი პაპავას მეუღლე და ცნობილი ქართველი მსახიობის – სიმონ გოგოლაშვილის ქალიშვილი. მშობლების მსგავსად, თავადაც მსახიობი იყო, მოღვაწეობდა როგორც ქუთაისის, ისე თბილისისა და თელავის თეატრებში. თელავში ხელმძღვანელობდა სცენისმოყვარეთა დასს და აქტიურად იბრძოდა თელავში თეატრის შენობის ასაშენებლად. წერდა მოთხრობებს, ამავე დროს თანამშრომლობდა ჟურნალთან „თეატრი და ცხოვრება“. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1923 წელს თამარი ქალიშვილებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა, გერმანიაში მანამდე დასახლებულ მეუღლესთან, აკაკი პაპავასთან (1890-1964). პაპაეების ოჯახი ქართული ემიგრაციის ყველაზე ძლიერ კერად მიიჩნეოდა. უდიდესია მათი ღვაწლი უცხოეთში მოხვედრილი ძველი ქართული კულტურის ძეგლების შექმნასა და დაცვაში.

პირველად დაიბეჭდა 1917 წელს გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“, სათაურით „სიტყვა თქმული თამარ სვიმონის ასულის გოგოლაშვილი ხირსელის მიერ, 11 მარამობისთვეს“⁶⁶ ქ. თელავში მასწავლებელთა კავშირის მიერ გამართულ საღამოზე⁶⁷, 2018 წელს – წიგნში „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921“⁶⁸. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან⁶⁹.

⁶⁶ მარამობისთვე – აგვისტო.

⁶⁷ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 31 აგვისტო, №21, გვ. 2.

⁶⁸ გაფრინდაშვილი, ლ. (რედ.), ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921, თბილისი, შპს კოლორადო გრუპი, 2018, გვ. 137-139.

⁶⁹ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 31 აგვისტო, №21, გვ. 2.

Speech Delivered by Tamar Gogolashvili at an Evening Held by the Teachers' Union, in Telavi, on August 11, 1917

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Tamar Gogolashvili at an evening held by the Teachers' Union, in Telavi, on August 11, 1917]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Tamara Gogolashvili-Papava (pseudonym "Khirseli") (1888-1976) – a writer, wife of Akaki Papava and daughter of the famous Georgian actor – Simon Gogolashvili. Like her parents, she herself acted, worked in the theatres of Kutaisi, Tbilisi and Telavi. In Telavi, she was the head of the Theatre Lovers' Society and actively fought for the construction of a theatre building in Telavi. She wrote stories, and at the same time collaborated with the magazine "Teatri da tskhovreba". After the Sovietization of Georgia, in 1923, Tamar emigrated with her daughters to Germany with her husband, Akaki Papava (1890-1964), who had previously settled there. The Papava family was considered the strongest center of Georgian emigration. Tamar and Akaki Papavs made a great contribution to the acquisition and protection of ancient Georgian cultural monuments found abroad.

It was first published in 1917 in the newspaper "Khma Kartveli Kalisa" under the title "Speech delivered by Tamar Svimon's daughter Gogolashvili Khirseli, on August 11 at an evening held by the Teachers' Union in Telavi"⁷⁰, in 2018 – in the book "Women and Women's Issues in the Democratic Republic of Georgia, 1918-1921"⁷¹. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above⁷².

⁷⁰ Newspaper "Khma kartveli kalisa", 1917, Thursday, August 31, №21, p. 2 (in Georgian).

⁷¹ Gaprindashvili, L. (ed.), Women and Women's Issues in the Democratic Republic of Georgia, 1918-1921, Tbilisi, Colorado Group Ltd., 2018, pp. 137-139 (in Georgian).

⁷² Newspaper "Khma kartveli kalisa", 1917, Thursday, August 31, №21, p. 2 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ მასწავლებელთა კავშირის მიერ
გამართულ საღამოზე, ქ. თელავში, 1917 წლის 11 აგვისტოს**

„ძლევა მოსილმა რუსეთის რევოლუციის ქარტეხილმა ჩვენს სამშობლოს ცის ტატნობზე შვების, იმედის სხივებით ამოანათა...“

ამ არაჩვეულებრივ ისტორიულ მომენტში იჭედება პატარა ერების ბედ-იღბალი. აქ წყდება ყოფნა არ ყოფნის ბედი. ამ ბედის ჭედვას თვით ერი უნდა შეუდგეს. თვით ხალხი უნდა შეუდგეს შემოქმედებითი მუშაობას. თვით ჩვენ უნდა ჩამოვასხათ ის ბუმბერაზი ბრინჯაოს ქანდაკება, რომელზედაც წითელი ასოებით იქნება აღბეჭდილი: „თავისუფალი ქართველი ერი“.

ჩვენ, დიახ ჩვენ თვით უნდა ავაჭრათ მთვარეს ის შავი ზოლი, რომელიც შავ ძამებში, ხვევდა ჩვენს ტურფა მხარეს და სევდით აკვნესებდა დამონავებულ ჩვენს ჩანგურს. ჩვენ თვით უნდა ავხსნათ მზეს ის მანდილი, რომელიც ცხოველ სხივებს არ უშვებდა ჩვენს ქვეყანაზე შავი არწივების შიშით!..

დე, თავისუფალმა მზემ მიმოაფინოს თვისი სხივები ჩვენს ქვეყანას, დე, ცხოველ-მყოფელმა სხივებმა შემოიჭრას ჩვენს ჭერ ქვეშ და თვისი სიცხოვლით შემოქმედების ქარტეხილი დაატრილოს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ, საბედნიეროთ!..

ასეთი შემოქმედების დრო დადგა. ერთმა ნაკადმა მზის სხივებისამ უკვე გამოაშუქა... მან ჩვენს სკოლას, აქამდის დამონებულს, დამუნჯებულს მთელი თავის სიძლიერით მიანათა...“

მზის სხივებით ღვივის ქურა... გიზგიზებს ცეცხლი ერის სამჭედურში... სკოლაში, სადაც უნდა გამოფოლადდეს ჩვენი სულის-კვეთება, ჩვენი შემეცნება, ჩვენი ხალხის შემოქმედება. ამ ახალმა სკოლამ უნდა მოგვცეს თავისუფალნი მოქალაქენი, მან უნდა ჩამოაყალიბოს თავისუფალი, მტკიცე პიროვნება, მან უნდა აღზარდოს ის ახალი თაობა, რომლებშიაც გამჯდარი იქნება სიყვარული თავისუფლებისა – და რომელთა გულის ცემა ეს ჩვენი სინიდისი იქნება, ჩვენი მომავალი...“

ამ იმედით შესცქერის დღეს ქართველი ხალხი თავის სკოლას. ამ იმედით უცემს გული დღეს ქართველ დედას, ამ იმედით ცოცხლობს დღეს ქართველი ქალი. ამ შუქით უთბება გული მუშა ქალს, ამ იმედით გადმოდის სიხარულის ცრემლი გლეხის დედაკაცს. ამ იმედით შემოგყურებთ დღეს მშრომელი დემოკრატია... რომელმაც ეს დიადი განცდა მოგვანიჭა!..

მაგრამ, მე ვამბობ ქალს, დიახ ქალს, რადგან ის უფრო გრძნობს ამ მომენტის დიად მნიშვნელობას, მხოლოდ თავისუფალ დედას შეუძლია სიამაყით გაგზავნოს შვილი თავისუფალ სკოლაში...“

სკოლა და ოჯახი, დედა და შვილი, ეს ისეა გადახლართული ერთმანეთში, რომ ამათი დაცილება არვის ძალუძს.

ერთი მონა და ერთი თავისუფალი, ერთი თავისუფალი და მეორე მონა, ეს არ შეიძლება და აი დღეს ამ რევოლუციის ქარბუქში გამოინასკვა დედაკაცის „მე“, ამ ქარბუქში ჩამოესხა ქალის პიროვნება, თავისუფალი, აღდგენილი, მტკიცე და შეუპოვარი. დღეს ის პირველათ ცხოვრებას წინ უდგება სრულ უფლებიანი ქალი და ვაი იმას, ვინც გზას გადაუღობავს... მით უფრო ძვირფასია ქალისათვის ეს თავისუფლება, რომ ის ეხლა პირნათლათ წარდგება კაცობრიობის წინაშე და სიამაყით შეასრულებს თავის უწმინდეს მოვალეობას – დედობისას... მით უფრო სანატრელია მშრომელი ქალის, ტანჯულის მუშა ქალის უფლება, მისი პიროვნების აღდგენა, რომ ის აღადგენს დანგრეულ კერას, ის აღადგენს ენას და ძლიერ სულს თავის ერისას. დღეს უფლება ენიჭება ქართველ ქალს ჩამოირეცხოს ის სისხლის წვეთები, რომელიც საყვედურის ეკლით იყო ჩამოდენილი...“

„დემოკრატია უღალატა ერს, მან დააქცია ოჯახი, ქალმა დაივიწყა თვისი ხალხი“-ო, – ისმოდა ირგვლივ, მაგრამ რა შეეძლო ექმნა მონას? გეკითხებით თქვენ, განა მონამ იცის თვისი ფასი და უმაღლესი მოვალეობა?

სულ სხვაა დღეს!

დღეს შემოქმედს ოჯახს სამირკველი ეყრება. დღეს ქართველი დემოკრატია გაძლევთ თქვენ პიროვნულსა და ეროვნულს თავისუფლებას, მოსაწყობათ მოქალაქურ ცხოვრებისა!.. და თქვენ სინათლის დარაჯნო, თქვენ ახალი სკოლის ხელმძღვანელო – მასწავლებელო, უნდა აღზარდოთ ნამდვილი მოქალაქენი. გაწრთვენით შვილები თავისუფალ ქართველ ქალისა. განუმტკიცეთ მას კეთილშობილი სული. გამოაქანდაკეთ დედა ბოძნი ახალი ცხოვრებისა. ახალი გმირების აღსაზრდელად. ქართველი დედები თქვენ განდობთ, ჩვენს სიამაყეს, ჩვენს საუნჯებს, ჩვენს სიყვარულს და ღირსეულად უწინამღვრეთ მათ!“.

სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ დავით
კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან
დაკავშირებით გამართულ საღამოზე, სახელმწიფო თეატრში,
ქ. თბილისში, 1920 წლის 15 თებერვალს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს
ნათია კენჭიაშვილმა და თათია დავითაძემ

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ საღამოზე, სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1920 წლის 15 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო რიტორიკას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია თამარა გოგოლაშვილი-პაპავა (ფსევდონიმი „ხირსელი“) (1888-1976) – მწერალი, აკაკი პაპავას მეუღლე და ქართველი მსახიობის, სიმონ გოგოლაშვილის ქალიშვილი. მშობლების მსგავსად თავადაც მსახიობი იყო, მოღვაწეობდა როგორც ქუთაისის, ისე თბილისისა და თელავის თეატრებში. თელავში ხელმძღვანელობდა სცენისმოყვარეთა დასს და აქტიურად იბრძოდა თელავში თეატრის შენობის ასაშენებლად. წერდა მოთხრობებს, ამავე დროს თანამშრომლობდა ჟურნალთან „თეატრი და ცხოვრება“. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1923 წელს თამარი ქალიშვილებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა, გერმანიაში მანამდე დასახლებულ მეუღლესთან, აკაკი პაპავასთან (1890-1964). პაპავების ოჯახი ქართული ემიგრაციის ყველაზე ძლიერ კერად მიიჩნეოდა. უდიდესია მათი ღვაწლი უცხოეთში მოხვედრილი ძველი ქართული კულტურის ძეგლების შეძენასა და დაცვაში. სიტყვის ადრესატია დავით სამსონის ძე კლდიაშვილი (1862-1931) – ქართველი მწერალი, საქართველოს სახალხო მწერალი (1930). 1885 წელს ჟურნალში „თეატრი“ პირველად დაიბეჭდა მისი თარგმანი. ამას მოჰყვა ორიგინალური ნაწარმოებები. მოთხრობები „შერისხვა“ და „მსხვერპლი“ – დავით კლდიაშვილის ლიტერატურული დებიუტია. მწერლის ძირითადი თემაა სოფლის ცხოვრება. დავით კლდიაშვილმა იმერეთის გადატაკებულ აზნაურთა ცხოვრება ასახა, რამაც თავისი პირველი გამოხატულება ჰპოვა მოთხრობაში „სოლომან მორბელაძე“, ამას შემდეგ მოჰყვა „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „ბაკულას ღორები“, „როსტომ მანველიძე“ და სხვ. კლდიაშვილის კრიტიკულმა რეალიზმმა თავი იჩინა დრამატურგიაშიც. დ. კლდიაშვილი იუმორის ბუნებრივი გრძნობით, დაკნინებული აზნაურის ცხოვრების მხილებით ქმნის საინტერესო კომიკურ სურათებს. „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“, „უბედურება“ ამჟღავნებენ დ. კლდიაშვილის მიერ დრამატული სიტუაციების შესანიშნავ უნარსა და ძალას. 1920 წლის 15 თებერვალს სახელმწიფო თეატრში დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე აღინიშნა. საზეიმო საღამოზე მილოცვების შემდეგ წარმოდგენილი იყო სპექტაკლები – „უბედურება“ და „დარისპანის გასაჭირი“.

სიტყვა გამოქვეყნდა 1920 წელს გაზეთში „სახალხო საქმე“, სათაურით „დავით კლდიაშვილის იუბილე“, ხოლო ქვესათაურით – „თამ. გოგოლაშვილის სიტყვა“⁷³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁷³ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920, ოთხშაბათი, 18 თებერვალი, №756, გვ. 3.

**Speech Delivered by Tamar Gogolashvili at the Jubilee Evening Held to
Celebrate the 30th Anniversary of David Kldiashvili's Literary Career,
at the State Theatre, in Tbilisi, on February 15, 1920**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were attached
by Natia Kentchiashvili and Tatia Davitadze

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Tamar Gogolashvili at the Jubilee evening held to celebrate the 30th Anniversary of David Kldiashvili's literary career, at the State Theatre, in Tbilisi, on February 15, 1920]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Tamara Gogolashvili-Papava (pseudonym "Khirseli") (1888-1976) – a writer, wife of Akaki Papava and daughter of the Georgian actor – Simon Gogolashvili. Like her parents, she herself acted, worked in the theatres of Kutaisi, Tbilisi and Telavi. In Telavi, she headed the Theatre Lovers' Group and actively fought for the construction of a theatre building in Telavi. She wrote short stories, and at the same time collaborated with the magazine "Teatri da tskhovreba". After the Sovietization of Georgia, in 1923 Tamar emigrated with her daughters to her husband, Akaki Papavas (1890-1964), who had previously settled in Germany. The Papavas family was considered the strongest center of Georgian emigration. Tamar and Akaki Papava made a great contribution to the acquisition and protection of ancient Georgian cultural monuments found abroad. The addressee of the speech is David Kldiashvili (1862-1931) – a Georgian writer, People's Writer of Georgia (1930). In 1885, his translation was first published in the magazine "Teatri". This was followed by original works. The stories "Sherishba" and "Sacrifice" are David Kldiashvili's literary debut. The writer's main theme is rural life. Davit Kldiashvili took up the reflection of the life of the impoverished nobles of Imereti, this found its first expression in the story "Soloman Morbeladze", then came "Samanishvili's Stepmother", "Kamushadze's Poverty", "Bakula's Pigs", "Rostom Manvelidze" and others. Kldiashvili's critical realism also manifested itself in dramaturgy. D. Kldiashvili, with a natural sense of humor, creates interesting comic images by revealing the life of a decrepit nobleman: "Misfortune of Darispan", "Irene's Happiness", "Misfortune" reveal D. Kldiashvili's remarkable ability and power of dramatic situations. On February 15, 1920, the 30th anniversary of David Kldiashvili's literary career was celebrated at the State Theatre. After congratulations at the festive evening, the plays "Misfortune" and "The Misfortune of Darispan" were presented.

The speech was published in 1920 in the newspaper "Sakhalkho sakme" under the title "David Kldiashvili's Anniversary", and with the subtitle – "Tam. Gogolashvili's Speech"⁷⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁷⁴ Newspaper "Sakhalkho sakme", 1920, Wednesday, February 18, №756, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული თამარ გოგოლაშვილის მიერ დავით კლდიაშვილის
სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით
გამართულ სადამოჯე, სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1920
წლის 15 თებერვალს**

„ქართველ ქალთა სახელით თამარ გოგოლაშვილმა შემდეგი სიტყვით მიმართა იუბილარს: ბ-ნო დავით!

ამ შესანიშნავ დღეს, როცა მთელი ერი დღესასწაულობს თქვენი 30 წლის მადლიან შრომას, ჩვენ წარმოგვზანა ქართ. ქალთა საზოგადოდ, რათა მისი ხმა შევუერთოთ ამ ეროვნულ ზეიმს. თქვენ ხედავთ, რომ მრავალ წლის შრომას თქვენი თაობისას ქალებისათვის არ ჩაუვლია უნაყოფოდ და ჩვენი ხმა ეხლა გაბედულია, ამაყი... თქვენ დაინახეთ ქართველი ქალის გადაგვარება, გარდამავალ ხანაში, დაინახეთ იგი უპიროვნო, უსულო, ყველასაგან დამცირებული, აგდებული რომ დაჰყავდათ სოფლიდან – სოფელში, კარიდან – კარზე. ყველა ცდილობდა მის თავიდან მოშორებას, ზედმეტ მჭამლისაგან განთავისუფლებას. იგი მეტი ბარგი იყო, რომელს სადმე გადაგდება უნდოდა. მაგრამ ამ უსიცოცხლო კაროჟნას⁷⁵ გულში, სადღაც შეუმჩნეველად დაგუბებული იყო ცრემლები, მწუხარება, სიცოცხლის წადილი, მაგრამ იგი სდუმდა ლოდივით. და თქვენ გახსენით მისი მწუხარება, მთელ ქვეყანას დაანახეთ ეს უსამართლო მოპყრობა დაბეჩავებული ქალისადმი და პირველმა მოუოხეთ მას. ეს იყო თქვენს დროს და ჩვენ უსაზღვრო მადლობელი ვართ, რომ უკუნეთ ბნელში შუქი შეიტანეთ. მას შემდეგ ბევრი გზა განვლეთ. გაერთიანებულის ძალით დაიწყო ქართველმა ქალმა საკუთარ პიროვნების ძიება, მან გაბედულად ამოიღო ხმა, მამაკაცს გვერდში ამოუდგა და პატიოსანის შრომით პატივისცემა და ღირსეული დაფასება დაიმსახურა.

განახლებულ საქართველოში ჩვენ თავისუფლად ამოვითქვით სული, ვეწევით ახალ ცხოვრების ამშენებლობას და ამ საშინელ სისხლის ღვრის და კაცის ჭამიობის დროს ჩვენ ვხდით გრძნობას ადამიანისადმი პატივისცემისას, პიროვნების დაფასებას და სიყვარულს. მაგრამ ჩვენ ვიცით ბრძოლაც და ამ მაღალ გრძნობებთან დღეს ჩვენს შვილებს ბრძოლის უნარსაც ვუღვიძებთ.

თქვენი ჭაღარა იმედის შუქმა გააბრწყინოს, რომ კაროჟნა უბსკრულიდან ამოიყვანეთ და მან გაიკაფა გზები ახალ საქართველოში ახალ ცხოვრებისთვის.“

⁷⁵ კაროჟნა – ვითომ მორცხვი და კეკელა, უმნო და მანჭია ქალი (დ. კლდიაშვილის პიესის, „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟის სახელის მიხედვით).

სიტყვა, წარმოთქმული სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის ნანა იოსელიანის მიერ დელეგატების მიმართ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ქ. თბილისში, 1978 წლის თებერვალს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები, განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს ნათია კენჭიაშვილმა და მარიამ კალაიჯიშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის ნანა იოსელიანის მიერ დელეგატების მიმართ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ქ. თბილისში, 1978 წლის თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნანა იოსელიანი (დ. 1962) – საერთაშორისო დიდოსტატი (1979), სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი (1981, 1982, 1986, 1987). მან მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში მოიპოვა 5 ოქროს (1980, 1982, 1992, 1994), ერთი ვერცხლის (2000) და ერთი ბრინჯაოს მედალი (1998). სიტყვა მიემართება XXXI ყრილობის დელეგატებს, რომელთა წევრები იყვნენ სპორტსმენები: ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, დავით კვაჭაძე, შოთა მორჩილაძე, ავთანდილ მაისურაძე, ნოდარ მოდებაძე, დავით ყიფიანი, მათა ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე (1975-1982 წწ.), დავით პერტენავა⁷⁶, ხოლო შემდეგ – ნანა იოსელიანი, როგორც ასევე დელეგატი და ევროპის თასის მფლობელი, რომელიც მან მოიპოვა 1978 წლის 31 იანვარს, იუგოსლავიაში გამართულ გოგონათა შორის (20 წლამდე) ტურნირში⁷⁷.

სიტყვა გამოქვეყნდა სპორტულ გაზეთ „ლელოში“, სათაურით „საქართველოს ალკვ⁷⁸ XXXI ყრილობა“, ხოლო ქვესათაურით – „სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის, ნანა იოსელიანის გამოსვლა“⁷⁹. არც დღე და არც წელი არსადაა აღნიშნული. ტექსტის შინაარსის გაცნობის შედეგად, სავარაუდებელია, რომ საჯარო გამოსვლის სიტყვა წარმოითქვა იმავე წელს, რომელ წელსაც დაიბეჭდა. ამას ადასტურებს სხვა ისტორიული ცნობებიც. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁷⁶ გაზეთი „ლელო“, 1978, სამშაბათი, 21 თებერვალი, №37 (6102), გვ. 1-2.

⁷⁷ გაზეთი „ლელო“, 1978, ხუთშაბათი, 2 თებერვალი, №24 (6089), გვ. 1.

⁷⁸ საქართველოს ალკვ – „საქართველოს ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი“ – რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო.

⁷⁹ გაზეთი „ლელო“, 1978, ოთხშაბათი, 22 თებერვალი, №38 (6103), გვ. 1.

**Speech Delivered by Nana Ioseliani, the Prize-winner of the USSR Women's
Chess Championship, the Winner of the European Cup to the Delegates,
at the Palace of Students and Youth, in Tbilisi, in February, 1978**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were attached
by Natia Kentchiashvili and Mariam Kalajishvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nana Ioseliani, the prize-winner of the USSR Women's Chess Championship, the winner of the European Cup to the Delegates, at the Palace of Students and Youth, in Tbilisi, in February 1978]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nana Ioseliani (b. 1962) – an international grandmaster (1979), four-time champion of the USSR (1981, 1982, 1986, 1987). She won 5 gold medals (1980, 1982, 1992, 1994), one silver (2000) and one bronze medal (1998) at the World Women's Chess Olympiads. The speech is addressed to the delegates of the XXXI Congress, whose members were athletes: Nona Gaprindashvili, Viktor Saneev, Levan Tediashvili, David Kvachadze, Shota Morchiladze, Avtandil Maisuradze, Nodar Modebadze, David Kipiani, Maia Chiburidanidze, Nana Aleksandria. The chairman of the Committee on Physical Culture and Sports (1975–1982), David Pertenava⁸⁰, and then – Nana Ioseliani, as well as a delegate and the owner of the European Cup, which she won on January 31, 1978, in the tournament among girls (up to 20 years old) held in Yugoslavia⁸¹.

The speech was published in the sports newspaper “Lelo” under the title “XXXI Congress of the Georgian Chess Federation”, and under the subtitle – “Speech of the USSR Women's Chess Championship Prize-winner, European Cup winner Nana Ioseliani”⁸². Neither the day nor the year is mentioned anywhere. As a result of familiarizing yourself with the content of the text, it is likely that the public speech was delivered in the same year in which it was printed. This is also confirmed by other historical sources. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁸⁰ Newspaper “Lelo”, 1978, Tuesday, February 21, №37 (6102), pp. 1-2 (in Georgian).

⁸¹ Newspaper “Lelo”, 1978, Thursday, February 2, №24 (6089), p. 1 (in Georgian).

⁸² Newspaper “Lelo”, 1978, Wednesday, February 22, №38 (6103), p. 1 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის ნანა იოსელიანის მიერ დელეგატების მიმართ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ქ. თბილისში, 1978 წლის თებერვალს

„პატივცემულო დელეგატებო⁸³!

ჩემთვის დიდი პატივია რესპუბლიკის სპორტული ახალგაზრდობის სახელით მოგესალმოდეთ საქართველოს კავშირის XXXI ყრილობის დელეგატებს! მინდა მოგიხსნათ იმ საკითხებზე, რომელიც მე და ჩემს მეგობარ სპორტსმენებს გვაღელვებს.

სპორტზე, მის მომავალზე, სპორტულ ახალგაზრდობაზე საუბარი კომიტეტისათვის/კომკავშირისათვის სწორედ რომ საყრილობო საუბარია, რადგან სპორტი და ახალგაზრდობა ერთი მთლიანი მცნების განუყოფელი ნაწილებია.

სპორტი ზრდის ჯანსაღ, ხალისიან თაობას – ქვეყნის ხვალისდელ დღეს, ამიტომაც ჩვენთან იგი სახელმწიფოებრივ საქმედაა მიჩნეული.

შედეგიც სახეზეა – ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყველას გვახარებს ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპული რანგის შეჯიბრებებში საბჭოთა სპორტსმენების წარმატებები. ამ მიღწევებში დიდია საბჭოთა/ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების როლი, რომლებმაც ოლიმპიურ ასპარეზობებზე 20 ოქრის, 16 ვერცხლის და 24 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მარტო მოჭადრაკეთა უკანასკნელი წლების წარმატებები რად ღირს. ნონა გაფრინდაშვილი⁸⁴ – მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ნანა ალექსანდრია⁸⁵ – ჩვენი ქვეყნის პირველობის სამგზის გამარჯვებული, ზურაბ აზმაიფარაშვილი⁸⁶ – საბჭოთა კავშირის პირველი ქართველის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. და ბოლოს მაია⁸⁷.

თითოეული ჩვენგანის ყურადღება მიმართულია ბად-კისინგენისკენ⁸⁸, სადაც იგი წარმატებით

⁸³ იგულისხმებიან XXXI ყრილობის დელეგატები, რომელთა წევრები იყვნენ სპორტსმენები: ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანევი, ლევან თედიაშვილი, დავით კვაჭაძე, შოთა მორჩილაძე, ავთანდილ მასისურაძე, ნოდარ მოდებაძე, დავით ყიფიანი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია. ნანა იოსელიანი ასევე იყო დელეგატი და რადგან იმ წელს ევროპის თასის მფლობელი გახდა, სიტყვითაც გამოვიდა.

⁸⁴ ნონა გაფრინდაშვილი – ნონა გაფრინდაშვილი (დ. 1941) – ქართველი და საბჭოთა მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა შორის (1977) და პირველი ქალი, ვისაც საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა ვაჟთა შორის (1978). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962–1978). 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი. საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი (1964, 1973, 1981, 1983, 1985), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (1969, 1972). ჭადრაკის „ოსკარის“ პირველი მფლობელი (1982). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი (ოქროს პრიზი). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1969, 1975). საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964).

⁸⁵ ნანა ალექსანდრია – ნანა ალექსანდრია (დ. 1949) – ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი ქალთა შორის (1976), საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1971).

⁸⁶ ზურაბ აზმაიფარაშვილი – ზურაბ აზმაიფარაშვილი (დ. 1960) – ქართველი მოჭადრაკე. საქართველოს ჩემპიონი (1980), საერთაშორისო სპორტის ოსტატი (1884), საერთაშორისო დიდოსტატი (1988), სსრკ სპორტის ოსტატი (1978).

⁸⁷ მაია – მაია ჩიბურდანიძე (დ. 1961) – ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი (1984). მსოფლიოს მეშვიდე მსოფლიო ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1978). თბილისის საპატიო მოქალაქე (2011). მაია ჩიბურდანიძე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია ქალთა შორის (1978–1991), ჭადრაკის დედოფლობის ხანგრძლივობით მესამე იყო 14 წლით, ჩამორჩება რა მხოლოდ პირველ ქალთა ჩემპიონს – ვერა მენჩიკს, რომელიც ჩემპიონი 18 წლის განმავლობაში იყო (1927–44) და ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც 16 წელი იყო ჩემპიონი.

⁸⁸ ბად-კისინგენი – ბად-კისინგენის რაიონი (გერმ. Landkreis Bad Kissingen) – რაიონი გერმანიაში. რაიონის ცენტრი – ქალაქი ბად-კისინგენი. რაიონი შედის ბავარიის ფედერალურ მხარეში.

ობრძვის მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად⁸⁹.

ვუსურვოთ მაიას გამარჯვება. დაე, კვლავაც/კიდევ ბევრჯერ ვყოფილიყავით მსოფლიო ჩემპიონობისთვის ორი ქართველი მოჭადრაკის უშეღვათო პაექრობის მომსწრენი!⁹⁰

პატივცემულო დელეგატებო!

უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის. მხედველობაში მაქვს ახალი სპორტული ბაზები, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, დახურული მძლეოსნური მანქის, ველოტრეკის საექსპლოატაციოდ გადაცემა, სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში მთელი რიგი სპორტული კომპლექსების მშენებლობის დაჩქარება.

მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და სწორედ აქ უნდა თქვას საქართველოს კომკავშირმა თავისი ომახიანი სიტყვა. მხარი უნდა დაუჭიროთ დედაქალაქის საქარხნო რაიონის მშრომელთა და ახალგაზრდობის ინიციატივას – „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს – 60 სპორტული ბაზა!“, მათ ხომ შეძლეს სიტყვის შესრულება – 60-ის ნაცვლად 74 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოაწყოს.

განა მოსაწონი არ არის მულახელი კომკავშირლების მაგალითი, რომლებმაც რამდენიმე თვეში თვითონ ააგეს მშენიერი კომპლექსი, სადაც დღეს უკვე დიდი მონდომებით ეუფლებიან ბავშვები კრივს, ჭიდაობას, ძალოსნობას, ჭადრაკს, ხელბურთს, კალათბურთსა და სპორტის სხვა სახეობას.

ამ ბოლო წლებში შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა – საზაფხულო არდადეგების დროს ასობით სტუდენტური საამშენებლო რაზმი რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში სხვადასხვა ობიექტს აშენებს. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მაგრამ იმავე რაიონებში, სადაც სტუდენტი მშენებლები შრომობენ, არა ერთი და ორი ჯერ დაწყებული, მერე მივიწყებული სპორტული ბაზაა. კარგი იქნებოდა თუ ეს რაზმები სპორტული ბაზების მშენებლობაზეც მოაწყობენ დაგეგმილ გასვლებს.

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ სპორტულ რესპუბლიკას. ჩვენს ახალგაზრდობას იტაცებს სპორტის ყველა სახეობა, მაგრამ განა ყველა მოყვარულს შეუძლია დაოსტატდეს სპორტის ამორჩეულ სახეობაში? სამწუხაროდ, არა. თუნდაც ორი, დიდად პოპულარული და საინტერესო სპორტის სახეობა ავიღოთ – ფიგურული ციგურაობა და ჰოკეი.

ფიგურული ციგურაობის მოყვარულთათვის ცნობილია ჩვენი გოგონებისა და ჭაბუკების მიერ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული წარმატებები, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ ქართველ მოციგურავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ტარდება... იჟევსკში⁹¹, რაც გამოწვეულია იმით, რომ არა გვაქვს სტანდარტული ზომის ყინულის სარბიელი. ბოლო ხანებში ბევრი ითქვა ფიგურული ციგურაობის სტანდარტული მოედნის მშენებლობაზე, გადაწყდა პროექტის შექმნაც, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ადგილიდან არ დაძრულა. იმ თანხით კი, რასაც ჩვენი ნაკრები 1965 წლიდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ვარჯიშის საფასურად ხარჯავს, თავისუფლად აშენებოდა ერთი სტანდარტული სარბიელი. მით უმეტეს, რომ თბილისის სპორტის სასახლეს კარგა ხანია გააჩნია ამის მატერიალური საფუძველი – 6 ძვირადღირებული სამაცივრო დანადგარიდან მხოლოდ ორია გამოყენებული. არადა ფიგურული ციგურაობის სტანდარტული მოედნის აშენებით საშვილიშვილო საქმე გაკეთდებოდა – მოციგურავეებთან ერთად აქ ნორჩი ჰოკეისტებიც აიდგამდნენ ფეხს.

სპორტთან სიახლოვე საფუძველს მაძლევს დაწვრილებით შევჩერდე ბავშვთა ფიზკულტურის პრობლემურ საკითხებზე, მით უმეტეს, რომ ისინი გულისხმობენ არა მარტო საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟის დაცვას, არამედ უპირველესსა და უმთავრესს – მოზარდი თაობის ჯანმრთელობას, მის ჰარმონიულ, სულიერ და ფიზიკურ აღზრდას. სადაც არ უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, სადაც პატივს არ სცემენ მას, იქ ყოველთვის დაბალია შრომის ნაყოფიერება და აკადემიური მოსწრება. ჩემივე სკოლიდან, თბილისის 130-ე საშუალო სკოლიდან მოვიყვან მაგალითს: აქ მე-63 კლასში, სადაც 32 მოსწავლეა და სპორტულ საქმიანობაში

⁸⁹ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოპოვება – იგლისხმება 1978 წელს გამართული პრეტენდენტთა ფინალური მატჩი: მაია ჩიბურდანიძე – ალა კუშნირი 7,5-6,5 (+5=5-4).

⁹⁰ ერთგვარად იწინასწარმეტყველა იოსელიანმა ჩიბურდანიძის პრეტენდენტთა ფინალურ შეხვედრაში კუშნირთან გამარჯვება და შემდეგ ორი ქართველის შერკინება 1978 წლის მატჩი მსოფლიოს პირველობაზე: მაია ჩიბურდანიძე – ნონა გაფრინდაშვილი 8,5-6,5 (+4=9-2).

⁹¹ იჟევსკი (რუს. Ижевск) – ვოლგისპირეთისა და ურალისწინეთის მსხვილი სამრეწველო, სავაჭრო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრი, უდმურტეთის დედაქალაქი.

მხოლოდ ექვსი ბავშვია ჩაბმული, საშუალო აკადემიური მოსწრება 78 პროცენტს შეადგენს. ავადმყოფობის მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენათა რიცხვი საკმაოდ დიდია – 1180 საათი. მე-62 კლასში, კი – სადაც თითქმის ყველა მოსწავლე სპორტულ სექციაში მეცადინეობს, აკადემიური მოსწრება 100-პროცენტიანია, ავადმყოფობის მიზეზით გაცდენილი საათების რაოდენობა კი სულ უმნიშვნელო.

საბედნიეროდ, ასეთი აკადემიური ჯგუფების რაოდენობა ჩვენს სკოლებში დღით-დღე იზრდება, შესაბამისად უმჯობესდება სწავლის ხარისხი. ეს კარგი ტენდენციაა, სასარგებლო ტენდენცია, რომელსაც წახალისება და განმტკიცება სჭირდება. თუმცა დამეთახმებით, რომ ზოგიერთი მშობლის გაგებით ფიზკულტურაში მიღებულ ორიანს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას ფიზკულტურა მაპროფილებელ საგნად არ ითვლება.

ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს კომკავშირი მრავალ კარგ საქმეს ჩადგომია სათავაში და წარმატებითაც გადაუწყვეტია, მე და ჩემი მეგობრები დარწმუნებულნი ვართ, რომ კვლავაც ასე იქნება. მით უმეტეს, ახლა, როცა ფიზკულტურა და სპორტი ახალ სიმაღლეებს მიწვდა, როცა საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი გამარჯვებები მშრომელი ხალხის წარმატებათა ორგანულ ნაწილად იქცა. ასეთ დროს ჩვენს წინ მდგომი ამოცანებიც ახლებურ მნიშვნელობას იძენენ: თითოეული ახალგაზრდა, თითოეული კომკავშირელი უნდა დადგეს ფიზკულტურული მოძრობის სათავესთან, თითოეულმა მათგანმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ მის გვერდზე არავინ დარჩეს მშდ⁹² სამკერდე ნიშნის, სპორტული სექციის გარეშე.“

⁹² მშდ – აბრევიატურა დევიზისა „მზად ვარ შრომისა და (სსრკ-ს) დაცვისთვის“ (რუსულად – ГТО), რომელიც საბჭოთა სკოლის ყველა მოსწავლისათვის იყო ცნობილი და წარმოადგენდა საკავშირო ფიზიკური კულტურის კომპლექსს. მშდ საფუძვლად დაედო ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სისტემას და მიზნად ისახავდა „საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ყოვლისმომცველ ფიზიკურ განვითარებას, სამშობლოს დაცვასა და მომზადებას შრომითი საქმიანობისათვის“. მშდ-ს ჰქონდა სპორტული ნორმატივები, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის და მას აბარებდნენ 17 წლის ასაკამდე საბჭოთა ახალგაზრდები სპორტის ცალკეულ სახეობებში: სირბილში, სიმაღლეზე ხტომაში, სიმძიმის აწევაში, აზიდვებში და ა.შ.

**სიტყვა, წარმოთქმული ვერიკო ანჯაფარიძის მიერ თეატრალური
ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მიძღვნილი სასწავლო წლის
დაწყებისადმი, ქ. თბილისში, 1986 წლის 1 სექტემბერს**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ვერიკო ანჯაფარიძის მიერ თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მიძღვნილი სასწავლო წლის დაწყებისადმი, ქ. თბილისში, 1986 წლის 1 სექტემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ვერიკო ანჯაფარიძე (1897 (ზოგი წყაროთი 1900)-1987) – ქართველი მსახიობი. იგი 1920-1926 წწ. იყო თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის, 1926-1928 წწ. ბათუმის თეატრისა და თბილისის „მუშათა თეატრის“, 1928-1932 წწ. ქუთაისი-ბათუმის აკადემიური დრამის მსახიობი; 1932-1933 წწ. მუშაობდა მოსკოვის „რეალისტურ თეატრში“. 1933 წელს დაბრუნდა თბილისში და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას; 1957-1959 წწ. გახლდათ ამ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი; იგი იყო პედაგოგი საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტსა და დრამატულ სტუდიებში. ჯერ კიდევ 1986 წლის 1-ელ სექტემბერს, გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე, თეატრალური ინსტიტუტის (ამჟამინდელი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი) სააქტო დარბაზში გაიმართა საზეიმო შეკრება, რომელიც მიეძღვნა სასწავლო წლის დაწყებას. როცა ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა, ეთერ გუგუშვილმა, სიტყვა ვერიკო ანჯაფარიძეს გადასცა, დარბაზი ფეხზე წამოდგა. ეს იყო მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა. 1987 წლის 30 იანვარს 88 წლის მსახიობი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ორატორული ნიმუში დაიბეჭდა ერთადერთხელ, 1987 წელს ჟურნალში „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე“⁹³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁹³ ჟურნალი „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე“, 1987, №1, გვ. 81-82.

**Speech Delivered by Veriko Anjapharidze in the Assembly Hall
of the Theatre Institute dedicated to the beginning of the
Academic Year, in Tbilisi, on September 1, 1986**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Veriko Anjapharidze in the assembly hall of the Theatre Institute dedicated to the beginning of the academic year, in Tbilisi, on September 1, 1986]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Veriko Anjaparidze (1897 (some sources say 1900)-1987) – an Georgian actor. In 1920-1926 she was an actor of the Rustaveli Theatre in Tbilisi and in 1926-1928 at the Batumi Theatre as well as the Tbilisi “Workers' Theatre” and in 1928-1932 at the Kutaisi-Batumi Academic Drama Theatre; In 1932-1933 she worked at the Moscow “Realist Theatre”. In 1933 she returned to Tbilisi and was engaged in creative activity at the Kote Marjanishvili Theatre until the end of her life; In 1957-1959 she was the director and artistic director of this theatre; She was a teacher at the Georgian Theatre Institute and drama studios. On September 1, 1986, 5 months before her death, a solemn meeting dedicated to the beginning of the academic year was held in the assembly hall of the Theatre Institute (now the Georgian Shota Rustaveli State University of Theatre and Cinema). When the rector of the institute, Eter Gugushvili, gave a speech to Veriko Anjaparidze, the audience stood up then. This was her last public speech. On January 30, 1987, the 88-year-old actress died in hospital.

The oratorical sample was published once, in 1987, in the “Sakartvelos teatraluri sazogadoebis moambe”⁹⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁹⁴ Magazine “Sakartvelos teatraluri sazogadoebis moambe”, 1987, №1, pp. 81-82 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული ვერიკო ანჯაფარიძის მიერ თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მიძღვნილი სასწავლო წლის დაწყებისადმი, ქ. თბილისში, 1986 წლის 1 სექტემბერს

„თქვენ ფეხზე ადექით, რატომ? (პაუზა...) თუმცა, ვიცი, რატომ და სწორია რომ ადექით. თქვენ ადექით იმიტომ, რომ მე 88 წლის ვარ⁹⁵ და აქ ვდგავარ, თქვენ წინაშე, მაგრად ვდგავარ და ეს ფეხზე მაგრად დგომა ასეთი უსასრულოდ გრძელი და ძნელი გზის დამლევს ის საკვირველებაა, რომლის წყაროც, საწყისიც და ახსნაც ისევ და ისევ თეატრია. მე არასოდეს არ მქონია თეატრისაგან გამიჯნული არც სახლი, არც კერა, არც სიცოცხლე, არც მიზანი... თეატრი დაკავშირებულია უდიდეს ტანჯვასთან, უდიდეს პიროვნულ დრამასთან, უდიდეს მსხვერპლთან. არც ერთი პროფესია არ მოითხოვს ადამიანისაგან ისეთ თავგანწირვას, ისეთ, შეიძლება ითქვას, ღალატს პირადი ცხოვრების, ოჯახისა და ახლობლებისას, როგორსაც – თეატრი. მე ხშირად თვალწინ დამიდგა ჩემი ოჯახი, შვილები, ჩემი სოფიკო⁹⁶, რომლებსაც რამდენი რამ მოვაკელი, რადგან მათ და არც მე თვითონ არ გვეკუთვნოდა ჩვენი დრო, არც გულისყური, არც სუნთქვა, არც სისხლი... ყველაფერს მოითხოვდა თეატრი, ყველაფერს ურჩხულივით ითვისებდა და ნთქავდა.

და, ამასთან ერთად, არცერთი სხვა პროფესია არ მოგანიჭებთ ისეთ ბედნიერებას, როგორსაც – თეატრი, იმიტომ რომ თეატრი, თქვენი საკუთარი ერთადერთი სიცოცხლის ნაცვლად, ათასი სხვა სიცოცხლით მოგამარაგებთ. თეატრი მოგანიჭებთ უნარს, ათასჯერ გაიმეოროთ თქვენი ცხოვრება, ათას ქვეყანაში, ათას ეპოქაში, ათასი სახით... მოგცემთ ბედნიერების ისეთ განცდას, რომელიც ათასჯერ აღემატება ჩვეულებრივს, ცხოვრებისეულს, ბედნიერებას, რომლის გამო სამუდამოდ თეატრის მონა ხდები: ყველაფერს თმობ ამ გაუმადლარი, სასტიკი და ზებუნებრივი სიხარულის მომნიჭებელი სასწაულისთვის. და აი, მე, ამ უძნელესი და უბედნიერესი გზის ბოლოს მდგომი, დღეს გზას გილოცავთ თქვენ, ახალფეხშემოდგმულთ.“

⁹⁵ რამდენიმე დღეში შეუსრულდებოდა 89 წელი, ამიტომ გამოიყენა ეს საშუალება და არ თქვა, 89 წლის ვარო.

⁹⁶ სოფიკო – იგულისხმება სოფიკო ჭიაურელი (1937-2008), ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ერთადერთი შვილი.

სიტყვა, წარმოთქმული მარიაკა ლორთქიფანიძის მიერ აკაკი წერეთლის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 20 ივნისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული მარიაკა ლორთქიფანიძის მიერ აკაკი წერეთლის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 20 ივნისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მარიამ (მარიაკა) ლორთქიფანიძე (1922-2018) – ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (1993), აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1975), ივ. ჯავახიშვილის (1976), ნ. ბერძენიშვილის (1980) სახელობის და საქართველოს სახელმწიფო (1982) პრემიების ლაურეატი. 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1947 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თბილისის საამირო“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია 1963 წლიდან (სადისერტაციო თემა – „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1993 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 10 წიგნი. მისი თაოსნობით 1996 წელს თსუ საქართველოს ისტორიის კათედრასთან ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია. მარიამ ლორთქიფანიძე 95 წლისა, 2018 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

სიტყვა გამოქვეყნდა 1992 წელს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, სათაურით „აღსრულდეს ეს რწმენა და იმედი“⁹⁷. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁹⁷ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1992, 26 ივნისი, №24, გვ. 3.

Speech Delivered by Marika Lortkipanidze at the Unveiling of the Monument to Akaki Tsereteli, in Tbilisi, on June 20, 1992

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Marika Lortkipanidze at the unveiling of the monument to Akaki Tsereteli, in Tbilisi, on June 20, 1992]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Mariam (Marika) Lortkipanidze (1922-2018) – a Georgian historian, full member of the Georgian National Academy of Sciences (1993), academician. Honored Worker of Science of Georgia (1975), laureate of the Iv. Javakhishvili (1976), N. Berdzenishvili (1980) and Georgian State (1982) prizes. In 1943 she graduated from the Faculty of History of Tbilisi State University. Since 1947 she has worked as a research associate at the Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnography. In 1948 she defended her candidate dissertation on the topic “Tbilisi Emirate”, Doctor of Historical Sciences since 1963 (thesis topic – “Political Union of Feudal Georgia”), Academician of the Georgian Academy of Sciences since 1993. She has published 100 scientific works, including 10 books. Under her leadership, in 1996, a laboratory for the study of the history of Georgian villages was established at the Department of Georgian History at TSU. Mariam Lortkipanidze died on January 8, 2018, at the age of 95. She is buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures.

The speech was published in 1992 in the newspaper “Literaturuli sakartvelo” under the title “May this faith and hope be fulfilled”⁹⁸. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁹⁸ Newspaper “Literaturuli sakartvelo”, Tbilisi, 1992, June 26, №24, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული მარკა ლორთქიფანიძის მიერ აკაკი წერეთლის ძეგლის
გახსნაზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 20 ივნისს**

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“ – ასე გამოემშვიდობა აკაკი ილიას. ეს მთელი ერის აზრის გამოხატულება იყო. იგივე უთხრა ერმა აკაკის: სანამ საქართველო და ქართველი არსებობს, აკაკის სიკვდილი არ უწერია.

დღეს ქართველი ერი მძიმე გამოცდის წინაშე დგას.

ქართველ ერს მდიდარი, მძიმე ისტორიული წარსული აქვს... რამ გადაგვარჩინა, რამ შეგვანარჩუნებინა არსებობა და თვითმყოფადობა ძნელბედობათა შავბნელ დღეებში – ეს კითხვა დღესაც დგას. ამ კითხვაზე ერთნიშნა პასუხი არ არსებობს. ჩვენი გადარჩენა ბევრმა გარემოებამ განსაზღვრა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, იყო და არის ქართული კულტურა.

ერი, რომელიც არაბთა ბატონობის უმძიმეს პირობებში შექმნის იოანე საბანიძის „აზო თბილელის მარტვილობას“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, არ შეიძლება გადაშენდეს. არ შეიძლება გადაგვარდეს ერი, რომელიც იმ დროს, როდესაც მონღოლები თბილისში სხედან, თბილისში მეტეხის ტაძარს ააგებს, რომელიც სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა ბატონობის პირობებში წერს თავის უნიკალურ ისტორიას „ქართლის ცხოვრებას“, ქმნის ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოს და კულტურის სხვა დარგთა საყოველთაოდ აღიარებულ „ქართულ ფენომენს“, ძეგლს უდგამს „ქართლის დედას“, გაუტეხლობის, მომავლის რწმენის სიმბოლოდ დგამს ძეგლს „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

მაგრამ დაგვიდგა მძიმე გამოცდის დღე, ჩვენ ხომ მხოლოდ გარეშე მტერთაგან არ ვიცავთ თავს. როდის უფრო დიდი საფრთხე გველოდა, როცა ილია მოვკალით, თუ დღეს, როდესაც უმოწყალოდ ვხოცავთ ერთმანეთს?

ამბობენ, როდესაც ქვემეხები ჰქუხან, მუზები სდუმანო. მუზების დადუმება არ შეიძლება, მუზების დადუმება ერს მისი არსებობის ერთ დიდ ბურჯს გამოაცლის.

საქართველოში არსებობდა მუზათა დადუმების საშიშროება და ამ საშიშროების წინააღმდეგ ხმა მუზების მსახურთ აღიმადღეს.

ვერ თუ არ გავიხსენებთ თავის დროზე აკაკი, ვერ თუ არ გავიხსენებთ თავის დროზე გალაკტიონი, ვერ თუ არა ვიზრუნებთ სათანადოდ ივანე ჯავახიშვილის მრავალტომეული თხზულებების გამოცემის დროულად დამთავრებაზე და მრავალი სხვა „ვერ“ თუ „არ“...

დღეს, როდესაც ერი უმძიმესი განსაცდელის წინაშე დგას, დიდი წინაპარნი დაგვეყურებენ და ჩვენ მათი ღვაწლის, მათი მოწოდებების გახსენება გვმართებს.

დიდი მგოსნის, ცისა და მიწის გარემოების საყვირის, ერის დიდი თავკაცის, აკაკის მთელი შემოქმედება ერთობისაკენ მოგვიწოდებს, გვახსენებს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები ვართ. მივუგდოთ ყური აკაკის ბრძნულ მოწოდებას.

საქართველოში დღეს, საუბედუროდ, ზუზუნებენ ტყვიები და ქვემეხებიც ჰქუხან; მაგრამ მუზები არ სდუმან. და, რომ მუზები არ სდუმან, ამის დასტური აკაკის ძეგლის შექმნაა.

ოსტატმა ჩუმად, უხმაუროდ, თავის სახელოსნოში შექმნა ერის დიდი მამის ძეგლი. ეს ძეგლი არ არის მხოლოდ მხატვრული შემოქმედება. დღეს, როდესაც საქართველოში ზუზუნებენ ტყვიები და ქვემეხებიც ჰქუხან, აკაკის ძეგლის შექმნა ერის გადარჩენისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგომას ნიშნავს. ოსტატს სჯერა, რომ საქართველო არ მოკვდება, რომ არ მოკვდება აკაკი და სამუდამოდ დარჩება მის მიერ შექმნილი აკაკის სახე. აკაკის ძეგლის დადგმა ამ რწმენის გამოხატულებაა. ეს კი დღეს, დიდი დაბნეულობის, გულისტკივილის, მომავლის რწმენის შერყევის ვითარებაში, დიდად

გვჭირდება. გვჭირდება ყველას.

დიდი მადლობა ბ-ნ ზიძინა ავალიშვილს⁹⁹ ამ იმედის საჯაროდ გამოხატვისათვის. დიდი მადლობა ძეგლის კვარცხლბეკის ავტორებს – ბატონ ოთარ ლითანიშვილსა¹⁰⁰ და ბატონ ავთანდილ გურულს. აღსრულდეს ეს რწმენა და იმედი, ღმერთმა იმედი და რწმენა ნუ მოგვიშალს.“

⁹⁹ ზიძინა ავალიშვილი (1922-2002) – ქართველი მოქანდაკე.

¹⁰⁰ ოთარ ლითანიშვილი (1923-2003) – ქართველი არქიტექტორი, მხატვარი, თბილისის მერი (1992-93 წწ.).

სიტყვა, წარმოთქმული იზა ორჯონიკიძის მიერ გალაკტიონ
ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ
საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1992 წლის ნოემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული იზა ორჯონიკიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1992 წლის ნოემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია იზა ორჯონიკიძე (1938-2010) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1965 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სლავური განყოფილება. ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა მოსკოვში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1967 წელს დაბრუნდა თბილისში. სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობებში: „ნაკადული“, „საბჭოთა საქართველო“, „მერანი“. 1987-1989 წლებში მუშაობდა საპატრიარქოში. 1976-1982, 1989-1990 და 1991-2010 წლებში იყო საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. პირველი ლექსები 1958 წელს გამოაქვეყნა, პირველი პოეტური კრებული „ორი დღეკეთილი“ 1968 წელს გამოიცა. იზა ორჯონიკიძეს ეკუთვნის ლექსების კრებულები: „ნათელი“ (1969), „ქვის სასთუმალი“ (1971), „წვიმის მოსვლამდე“ (1974), „ავტოპორტრეტი“ (1977), „სასწაულია შეხვედრა ჩვენი“ (1981), „აქ, სამუდამოდ“ (1983), „დაბინდებამდე“ (1993), „ოდესღაც და სულ ახლახან“ (1999), „რომაული არდადეგები“ (2005), „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“ (2007). ასევე, გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე გამოცემული რჩეული სამტომეული „ჩემი ოდისეა“, „სულის სახლში“ და „გამომახილი“ (2008). ამავე წელს გამოიცა იზა ორჯონიკიძის ავტობიოგრაფიული წიგნი „თავწყარო“ (2008). იზა ორჯონიკიძის პოეზია თარგმნილია: რუსულ, უკრაინულ, გერმანულ და იტალიურ ენებზე.

სიტყვა გამოქვეყნდა 1992 წელს გაზეთში „ახალგაზრდა ივერიელი“, სათაურით „შეუვსებელი მარტოობა აქაც და იქაც“, რომელშიც მოყვანილია იზა ორჯონიკიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა¹⁰¹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁰¹ გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, თბილისი, 1992, 21 ნოემბერი, №75, გვ. 8.

**Speech Delivered by Iza Orjonikidze at the Jubilee Evening Held to
Celebrate the 100th Anniversary of Galaktion Tabidze's Birth,
in Tbilisi, in November 1992**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Iza Orjonikidze at the jubilee evening held to celebrate the 100th Anniversary of the birth of Galaktion Tabidze, in Tbilisi, November 1992]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Iza Orjonikidze (1938-2010) – a Georgian poet, translator and public figure. She studied at the Faculty of Oriental Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. In 1965 she graduated from the Slavic Department of the Faculty of Philology of Moscow State University. From the same year she began working in Moscow as a teacher of Russian language and literature. In 1967 she returned to Tbilisi. At various times she worked in publishing houses: “Nakaduli”, “Soviet Georgia”, “Merani”. In 1987-1989 she worked at the Patriarchate. In 1976-1982, 1989-1990 and 1991-2010 she was the director of the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature. She published her first poems in 1958, and her first poetry collection “Two Good Days” was published in 1968. Iza Ordzhonikidze owns the following collections of poems: “Light” (1969), “Stone Vase” (1971), “Before the Rain Comes” (1974), “Self-Portrait” (1977), “Our Meeting is a Miracle” (1981), “Here, Forever” (1983), “Before Dusk” (1993), “Once and Only Recently” (1999), “Roman Holidays” (2005), “Chronicle of a Rainy Spring” (2007). In 2008, two years before her death, a selected three-volume collection – “My Odyssey”, “In the House of the Soul” and “Echo” – was published. In the same year, Iza Orjonikidze’s autobiographical book “Source” (2008) was published. Iza Orjonikidze's poetry has been translated into Russian, Ukrainian, German and Italian.

The speech was published in 1992 in the newspaper “Akhalagazrda Iverieli” under the title “Unfilled Loneliness Here and There”, which contains a speech delivered by Iza Orjonikidze at the Galaktion Tabidze anniversary evening¹⁰². Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁰² Newspaper “Akhalagazrda Iverieli”, Tbilisi, 1992, November 21, №75, p. 8 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული იზა ორჯონიკიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1992 წლის ნოემბერს

„ბატონებო!

გავკადნიერდები და არაფერს ვიტყვი გალაკტიონ ტაბიძის სიდიადეზე, ღვთაებრივ მუსიკაზე, კარგად მოსაუბრის მოსმენას მე ამ მუსიკის მოსმენა მირჩევნია. ძნელია დიადზე ლაპარაკი და თანაც – ლიმიტირებული.

ვინც გალაკტიონ ტაბიძის არქივს იცნობს და ვისაც მისი, საზოგადოებისათვის უცნობი, ჩანაწერებისათვის ჩაუკრავს თვალი, ყველას უგრძნია როგორ აკლდა მას ადამიანი, ერთგული და თანამოზიარე. აკლდა სიყვარული. არა, ტაში და აღტაცება, შური და ქილიკი არ ჰკლებია, აკლდა სწორედ სიყვარული, რომელიც თავგანწირვას გულისხმობს.

შეგნებულად არ მსურს პოეტური პათოსით შეზავებული სიტყვის თქმა.

მინდა წარმოვთქვა სიტყვა ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის, პოეტის დასაცავად იმათაგან, „ვინც ნათელს აქრობს“ და ეს იქნება სიტყვა გალაკტიონ ტაბიძეზე.

ქართველთა ერთ ნაწილს გამორჩეული და დიდი კაცი მკვდარი ურჩევნია ცოცხალს, მკვდარი უყვარს გაგიჟებით...

პოეტის ცხოვრებაც ხშირად ღიმილს ჰგვრის საზოგადოებას, ერთობიან მისი ტკივილებით... განსაკუთრებით კი სახელმწიფო კაცნი.

დაცლილია ჩვენი ყოფა ნამდვილისა და ამაღლებულისაგან. საცაა წაიშლება ადამიანთა შორის ურთიერთობის ქართული ხატი – უნიკალური და მშვენიერი – ჩვენი კულტურის ერთი უმთავრესი ნიშანი.

უადგილოა ასეთ საზოგადოებაში სანუკვარის გამჟღავნება, სიგიჟეა თქმა აღსარებისა სახალხოდ, ყველას გასაგონად, მაგრამ რაღაა შემოქმედება უაღსარებოდ?!

„არის ოჯახები, მაგრამ ეს არ არის საქართველო“

მწარედ იტყვის გალაკტიონი და შენც გტანჯავს აზრის სიღრმე და სიზუსტე, შემზარავი პირუთვნელობა!

დღეს ქართული საზოგადოება უფრო დაშლილია და ქართველი უფრო დაკნინებული. თავისუფლებამ, რომლისთვისაც ქართველთა უმეტესობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, გააშიშვლა ჩვენი ყველა ნაკლი და საბედისწერო არჩევანის წინაშე დაგვაყენა.

ჩვენ – ქართველობა, მთელი ერი არ ვიქნებით სასიცოცხლო და შემდგომი არსებობის ღირსი, თუ სწორედ ასეთ ჟამს არ მოვიმარჯვეთ წინაპართაგან დანატოვარი ყველაზე უდალატო იარაღი, – ზნეობრივი და კულტურული გამოცდილება ჩვენი ისტორიისა.

ნუთუ არ გრძნობს თითოეული ჩვენთაგანი, რომ სწორედ ამ დიდი განსაცდელის ჟამს გაუსაძლისი ხდება სიცოცხლე კულტურის გარეშე, ხელოვნებისა და ლიტერატურის გარეშე. რა არის ჩვენი სიცოცხლე უსიყვარულოდ, სიკეთის კიდეგან, უმზეოდ და უადამიანოდ?!

ისეთივე თვალდაშრეტილი და უღიმღამოა, როგორც გახლავთ შემოქმედება უაღსარებოდ!

ბატონებო, თანამემამულეებო!

არ მეშინია ბანალური აზრის გამოთქმისა და გალაკტიონიც მაიძულებს გთხოვოთ:

გაუფრთხილდით ნიჭს, მოუარეთ, გამოარჩიეთ, გაათბეთ და გაამლებინეთ. იგი ჩვენია და ჩვენით არის, ჩვენს გამოძახილს ელის და თუ გავგაგონა, ბალღივით ხარობს.

ნუ დაიჟინებთ ყოველთვის ახსნათ ნიჭიერი კაცის საქციელი, და თუ ვერ ახსენით, თუ ჩარჩოში ვერ მოაქციეთ, ნუ იქნებით მისი მსაჯულნი და განმკითხავნი, უჩვენეთ გული და დადგება მშვენიერი

წამი შეხებისა, შედგება ის დაუვიწყარი ინტიმი, რომელსაც ნიჭისა და ჩვენი შეხვედრა ჰქვია.

გახსოვდეთ! დიდი ნიჭი თავსაც ებრძვის და გარემოსაც, თავდასახსნელად იბრძვის, სულს თვისას ათავისუფლებს ყოველ ცისმარ-ნაბიჯ-ნაბიჯ, არ ასვენებს გულსა და გონებას, გამუდმებით დგას ზნეობრივი არჩევანის წინაშე, – დიახ ბატონობის უფლებას უტოვებს მხოლოდ სვინდისს – შინაგან ხმას, მოუსყიდავ ხმას.

მაგრამ შემოქმედი პოეტი იმასაც გრძნობს, რომ „თავისუფლება ერთი კაცის არაფრად არ ღირს. თავისუფლება ერთი კაცის არაფერს ნიშნავს“.

და რადგან უკვე გითხარით, რომ სანატრელია პოეტისა და ჩვენი ბედნიერი შეხვედრა, გვნებავს თუ არა, ჩვენც იგივე შრომა უნდა გავწიოთ, – უნდა ვიყოთ თავისუფალნი, უნდა ვიყოთ ღირსნი გალაკტიონთან შეხვედრისა... თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, როგორ აწამა გალაკტიონი რუტინამ...

1959 წლის 19 მარტს მწერალთა სასახლეში ყველა კარი ღია იყო. ნაგვიანევი გაზაფხულის ცრიატი დღეიდგა და მთელს ქალაქში ჯერ არსად ყვაოდა ატამი... გალაკტიონის კუბოსთან აფეთქებული ნუშის ტოტები ჩავაწყე მაღალ ლარნაკში... უცნაურია, დარბაზში, სადაც ის ესვენა, იმ წუთას არავინ იყო. მივუახლოვდი, თვალში მეცა მისი დიდი ხელები, რაღაც უხერხულად ერთმანეთზე გადაჭდობილი.

მერე იყო ხალხით, გვირგვინებით სავსე რუსთაველი, ვერიკო ანჟაფარიძისა და სერგო ზაქარიაძის ხმები:

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი
სულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით

...

ამაღლდეს სული თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსად მქებელი
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.
ნუ გაიმეტებთ პოეტს რუტინისათვის,
აკმარეთ მას შეღამებებით ავადმყოფობა,
ნამსხვრევი შურის და მუზარადის,
აკმარეთ შეუვსებელი მარტოობა
აქაც და იქაც!”

სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ
საიუბილეო საზეიმო სხდომაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის
თეატრში, 1994 წლის 25 მაისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საზეიმო სხდომაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1994 წლის 25 მაისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნანი გუგუნავა (1937-2020) – ქართველი პედაგოგი და სახელმწიფო მოხელე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1961 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1961 წლიდან იქვე მუშაობდა სხვადასხვა პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. 1986-1993 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1993-2004 წლებში – აჭარის განათლების მინისტრი. 2009 წელს აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საზეიმო სხდომაზე, რომელიც გაიმართა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1994 წლის 25 მაისს, აჭარიდან დელეგაცია გაემგზავრა აჭარის განათლების მინისტრის ქალბატონ ნანი გუგუნავას ხელმძღვანელობით.

სიტყვა გამოქვეყნდა 2011 წელს ცისანა ანთაძის ავტორობით გამოცემულ წიგნში „ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე“, სათაურით „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 75 წლისა“¹⁰³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

¹⁰³ ანთაძე, ც., ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე, ბათუმი, გამომცემლობა აჭარა, 2011, გვ. 306-308.

**Speech Delivered by Nani Gugunava at the Jubilee Ceremonial Session
Dedicated to the 75th Anniversary of Ivane Javakhishvili Tbilisi State
University, at the Tbilisi Opera and Ballet Theatre, on May 25, 1994**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nani Gugunava at the jubilee ceremonial session dedicated to the 75th anniversary of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, at the Tbilisi Opera and Ballet Theatre, on May 25, 1994]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nani Gugunava (1937-2020) – a Georgian teacher and civil servant, Doctor of Pedagogical Sciences (1998), Professor (2001). In 1961, she graduated from the Batumi Shota Rustaveli State Pedagogical Institute. Since 1961, she has worked there in various pedagogical and administrative positions. In 1986-1993, she was Deputy Chairman of the Council of Ministers of the Autonomous Republic of Adjara, in 1993-2004 – Minister of Education of Adjara. In 2009, she was elected a full professor at the Batumi Shota Rustaveli State University. At the jubilee ceremonial session dedicated to the 75th anniversary of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, which was held at the Tbilisi Opera and Ballet Theater on May 25, 1994, a delegation from Adjara was sent, led by the Minister of Education of Adjara, Ms. Nani Gugunava.

The speech was published in 2011 in the book “Life Beautified by Labor: A Speech on Nani Gugunava” published by Tsisana Antadze under the title “Tbilisi State University is 75 years old”¹⁰⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁰⁴ Antadze, T., A Life Beautified by Labor: A speech on Nani Gugunava, Batumi, Adjara Publishing House, 2011, pp. 306-308 (in Georgian).

სიტყვა

თქმული ნანი გუგუნავას მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საზეიმო სხდომაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1994 წლის 25 მაისს

„მვირფასო თანამემამულენო,

მაქვს პატივი თქვენს წინაშე წარვსდგე აჭარის ხელისუფლების, მთელი ჩვენი მოსახლეობის სახელით – მოკრძალებით მოგესალმოდ და მოგილოცოთ ქართული ინტელექტის ეს ჭეშმარიტი დღესასწაული.

უნივერსიტეტი ხომ ჩვენი სულისა და გონის, ჩვენი ცნობიერების მძებრწავია; აქ ირთვება, იქარგება ჩვენი სულიერების სამოსელი, აქ ხდება ჩვენი აღზრდა და განათლება, ანუ სულიერი გასხივოსნება. და თუკი უნივერსიტეტი არის აკვანი ჩვენი სულისა, პირველ ყოვლისა, ცხადია, უნდა გავარკვიოთ, როდის დაიდგა, როდის გამოითალა, როდის გაკეთდა ეს აკვანი; რა ავიღოთ უნივერსიტეტის საწყის ეტაპად, ათვლის წერტილად, საიდან მოვდივართ, რანი ვიყავით, რანი ვართ და საითაა ჩვენი მზერა მიმართული?

იქნებ უნივერსიტეტად, ანუ განათლების დასაწყისად იაფეტური ეპოქა ჩავთვალოთ, ე.ი. როცა შევიცანით, რომ ჩვენ ქართლოსიანები ვართ? ან ფარნავაზიდან, ძვ. წ. მე-4 საუკუნიდან, როცა დამწერლობა შევქმენით? ან იქნებ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლიდან, იგივე კოლხეთის, ფაზისის აკადემიიდან, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში არსებობდა და რომელზედაც ცნობებს ბერძენი ფილოსოფოსი – თემისტოსი გვაწვდის? დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი გელათისა და იყალთოს აკადემიებიდან ხომ არ ავთვალოთ? იმ ხანად სინას მთაზე, პალესტინაში, ათონზე, პეტრიწონში, შატბერდში და სხვაგან მოქმედი მონასტრების საქმიანობა ხომ არ ვივარაუდოთ?

და ბოლოს, ნუთუ მართლა 1918 წელი უნდა ჩავთვალოთ ქართული ცნობიერების ტაძრის დაარსების დღედ? როცა მძიმე ტკივილების შემდეგ იშვა ქართული უნივერსიტეტი და მე-19 საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ოცნებას ივანე ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი გმირობით ფრთები შეესხა და გრიგოლ ხანძთელის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ექვთიმე და გიორგი ათონელების, ილია ჭავჭავაძის და ქართველი ერის სხვა წმინდა მამების გზას შეუდგა დიდი ივანე ჯავახიშვილი თავისი გუნდით, როდესაც ქართული უნივერსიტეტისათვის ზრუნვა დაიწყო.

არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ მე ღრმად მწამს – ჭეშმარიტი ქართული, ეროვნული უნივერსიტეტი, ანუ ჭეშმარიტი სულიერების გზა მაშინ გამოჩნდა, როცა საქართველოში წმინდა ნინო შემოვიდა და ვაზის ჯვარი შემოიტანა.

უნივერსიტეტის ღვთაებრივი მისია – ჭეშმარიტების სამსახური, სულიერების გასპეტაკება, განათლება გახლავთ.

დღიდან დაარსებისა, თბილისის უნივერსიტეტი ეროვნული სულისა და ეროვნული თვითშეგნების, ეროვნულ ინტერესთა სამჭედლოდ იქცა. იმ ძნელბედობის ჟამს ამ დიდმა ტაძარმა საკუთარ თავზე იტვირთა ქართული კულტურის, განათლების, მეცნიერების აღორძინება და განვითარება. იგი ყოველთვის იყო ამ მაღალი მისიის ერთგული მსახური.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ თეთრი ტაძრის ეზოს დღესაც ატყვია ღირსეულ ქართველ მეცნიერ-მამულიშვილთა ნატერფალები. მათი სულები დღესაც თავს დასტრიალებენ უნივერსიტეტის ცად აზიდულ მტრედისფერ გუმბათს და სტუდენტ-ახალგაზრდობას – საქართველოს ამ ხვალინდელ დღეს – სიკეთისა და სიბრძნის, გადარჩენის ლოცვა-კურთხევით მოძღვრავენ.

თბილისის უნივერსიტეტმა შვა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, მრავალი

უმალესი სასწავლებელი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მათ შორისაა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის ბაზაზე ორი წლის წინათ ბათუმის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა. თავის დროზე აქ მოღვაწეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოგზავნილი სახელოვანი პროფესორები – გიორგი ახვლედიანი, სვიმონ ყაუხჩიშვილი, პანტელეიმონ ბერაძე და მრავალი სხვა. ზრუნვასა და ყურადღებას თბილისის დედა-უნივერსიტეტი დღესაც არ აკლებს მას.

ამ რთული მოვლენების ჟამს, აჭარა, სადაც სიმშვიდე და შრომის სიყვარული სუფევს, გვერდში უდგას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, მისი პოლიტიკური კურსის განმტკიცება-გამდიერების საქმეში.

უნდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენი დღევანდელი იუბილარი, ეროვნული ცნობიერების ტამარი, სადაც გაღვივდა ფენომენი ქართული ინტელექტისა, სადაც ეროვნული სული ჩამოყალიბდა, სალბუნად დაედება ჩვენი ერის სულიერ ტკივილს, შეადუღაბებს და ერთ მთლიან ცოცხალ ორგანიზმად შეკრავს სრულიად საქართველოს.

ჩვენდა საბედნიეროდ, თბილისის უნივერსიტეტის მაღალი აზრი და სინათლე საუკუნეებს გადასწვდება.“

სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ საქართველოს
ხელოვნების მუზეუმში პერსონალური გამოფენის „მწიგნობრობა
ქართული“ დახურვაზე, ქ. თბილისში, 1995 წლის 22 აპრილს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში პერსონალური გამოფენის „მწიგნობრობა ქართული“ დახურვაზე, ქ. თბილისში, 1995 წლის 22 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ელენე (ლელიკო) მაჭავარიანი (დ. 1931) – ისტორიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1958 წელს მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1968 წელს ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1988 – წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, 2004 – მეცნიერ-მკვლევარად, 2009 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლად; 1973-2004 წწ. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის პედაგოგია. არის 47 სამეცნიერო ნაშრომისა და 7 წიგნის ავტორი. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „XII-XIII სს. ქართულ და ბიზანტიურ მოხატულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისთვის“, ხოლო 1987 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „XI-XIV სს. ქართული ოთხთავის სისტემა“. 1977 წელს ელენე მაჭავარიანის ავტორობით გამოიცა წიგნი „ქართული ანბანი“¹⁰⁵, 1982 წელს – „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“¹⁰⁶, 2012 წელს – „ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები“¹⁰⁷.

სიტყვა გამოქვეყნდა 2012 წელს წიგნში „ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები“, სათაურით „სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს ხელოვნების მუზეუმში პერსონალური გამოფენის – „მწიგნობრობა ქართული“ დახურვაზე, 22 აპრილს 1995 წელს (აღდგომის წინა დღეს), ხოლო ქვესათაურით „მიმართვა“¹⁰⁸. კრებული მიეძღვნა ელენე მაჭავარიანის დაბადებიდან 80 წლისთავს. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁰⁵ მაჭავარიანი, ე., ქართული ანბანი: საქ. სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება, თბილისი, განათლება, 1977.

¹⁰⁶ მაჭავარიანი, ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბილისი, ხელოვნება, 1982.

¹⁰⁷ მაჭავარიანი, ე., ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2012.

¹⁰⁸ იქვე, 2012, გვ. 15-16.

**Speech Delivered by Elene Matchavariani at the Closing of her Personal
Exhibition “Literature in Georgian” at the Museum of Art of Georgia,
in Tbilisi, on April 22, 1995**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Elene Matchavariani at the closing of her personal exhibition “Literature in Georgian” at the Museum of Art of Georgia, in Tbilisi, on April 22, 1995]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Elene (Leliko) Matchavariani (b. 1931) – a historian, teacher, art historian, Doctor of Art History, Professor. In 1954, she graduated from the Faculty of History of Tbilisi State University. In 1958, she worked as a junior research fellow at the Institute of Manuscripts; in 1968, as a senior research fellow at the same institute; 1988 – as a leading research fellow, 2004 – as a research scientist, 2009 – as a chief specialist of the Art History Department of the National Center of Manuscripts, G. Chubinashvili Institute of Georgian Art History; In 1973-2004 teacher of the Department of Art History and Theory at the Tbilisi Academy of Arts. She is the author of 47 scientific papers and 7 books. In 1964, she defended her candidate's thesis on the topic “Interrelations between Georgian and Byzantine Painted Manuscripts of the 12th-13th centuries”, and in 1987 – her doctoral thesis on the topic “The Georgian Four-chapter System of the 11th-14th centuries”. In 1977, the book “Georgian Alphabet” was published under the authorship of Elene Matchavariani¹⁰⁹, in 1982 – “Graphic Foundations of the Georgian Alphabet”¹¹⁰, in 2012 – “Georgian Manuscripts: Issues of Writing and Ornamentation”¹¹¹.

The speech was published in 2012 in the book “Georgian Manuscripts: Issues of Writing and Decoration” under the title “Speech, delivered at the closing of the personal exhibition “Literature in Georgian” at the Museum of Art of Georgia, on April 22, 1995 (the day before Easter), and with the subtitle “Address”¹¹². The collection was dedicated to the 80th Anniversary of the birth of Elene Matchavariani. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁰⁹ Matchavariani, E., *Georgian Alphabet: Voluntary Society of Book Lovers of the Georgian SSR*, Tbilisi, Ganatleba, 1977 (in Georgian).

¹¹⁰ Matchavariani, E., *Graphical Fundamentals of the Georgian Alphabet*, Tbilisi, Khelovneba, 1982 (in Georgian).

¹¹¹ Matchavariani, E., *Georgian Manuscripts: Issues of Writing and Decoration*, Tbilisi, Printing House of the Georgian National Academy of Sciences, 2012 (in Georgian).

¹¹² *Ibid*, pp. 15-16.

სიტყვა

**წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ საქართველოს ხელოვნების
მუზეუმში პერსონალური გამოფენის „მწიგნობრობაჲ ქართული“ დახურვაზე,
ქ. თბილისში, 1995 წლის 22 აპრილს**

„მე მინდა მივმართო ხელნაწერებს, როგორც ცოცხალ არსებებს, რამეთუ ისინი ყოველთვის ჩემთან იყვნენ, ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებშიც. ისინი დღესაც ჩემთან არიან და მე აღვიქვამ მათ როგორც სულიერ საზრდოს, როგორც სულიერ განძს.

გრაგნილებად, ხელნაწერ წიგნებად ქცეულნო, კურთხეულ ქართულ ენაზე ამეტყველებულო ტყავის ფურცლებო! ცოცხლო მატიაწვე ჩვენი წარსულისა! ხელით დაწერილნი, ნატიფი ასოებით გამოხატულნი რომ მოგვითხრობთ ქართლის ქრონიკებს, წმიდანთა ცხოვრებას, სახარებისეულ ეპიზოდებს. ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები საუკუნეებს ამცნობთ წინაპართა ნააზრევს: ისტორიას, ლიტერატურას, ფილოსოფიას, ასტრონომიას, გეოგრაფიას, სამართალმცოდნეობას, მათემატიკას. საუკუნეები გიცავენ თქვენ – ჩვენი დიდების ნათელ მოწმეებს, იცავენ თქვენს სიწმიდეს ამეტყველებულო ტყავის ფურცლებო!..

ფეხით მოდიხართ ჩვენი დიდებული მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან ძნელად სავალ გზაზე. ბევრი ვაება და ტანჯვა ნახეთ, ბევრმა ვერც მოაღწიეთ ჩვენამდე. რამდენი ადამიანის ხელი შეგეხოთ ავად თუ კარგად, რამდენმა კეთილმა ხელმა ფრთხილად, მოწიწებით გადაგფურცლათ, სანთელი დაგაღვენთათ, შეგიფარათ და რამდენმა გატკინათ გული. ბევრი განადგურდით; სიცივე, ხანძარი, რბევა მრავალგზის შეგეხოთ თქვენ. ანდერძ-მინაწერებზე ლოცვის, კურთხევის, ცოცხალთა და გარდაცვლილთა, ორსავე სოფელსა შინა მყოფთა მოსახსენებლებში კრულობით ტექსტსაც იახლებდით, თუმცა არავის მსაჯულნი არ ყოფილხართ.

ბევრი იარეთ, საქართველოს ბედი გაიზიარეთ. იწერებოდა, იხატებოდა, იმოსებოდა ტყავის ფურცლები. ნინოს ჯვარი გზას გინათებდათ და მოაღწიეთ კიდეც ჩვენამდე. ეროვნული განძი გქვიათ დღეს თქვენ! ნეტა რატომ არ გვამცნობთ ხელოვან-შემოქმედთა სახელებს? ალბათ მოკრძალებისა გამო ებიებს ორნამენტულ ხვეულებს იენაშის ოთხთავის ოსტატი იონა, მოვარაყებულ ქრისტეს სავარძელს ჯრუჭის II ოთხთავის ერთ-ერთი მომხატველი მიქაელი, საიდუმლო დამწერლობას იყენებს ჯრუჭის I ოთხთავში თევდორე და... თავმდაბალი ქართველი შემოქმედნი ყოველთვის შეწყალებას, შენდობას, მფარველობას ითხოვენ ღმრთისაგან. ამასთანავე მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ მათი ნაშრომი „განძად დაშთების“. ამ რწმენამ გადაგარჩინათ თქვენ! აწმყო მომავალს გადასცემს ნათელმოსილი ოსტატთა ნამოღვაწარს.

ღვთის სახლად მოგვლინებოდეთ თქვენი საბოლოო ნავსაყუდელი ღვთისმშობლის წილხვდომ საქართველოს მიწაზე. კვლავ ღირსეულად შეგიფარონ, გიგალობონ, შეგამკონ გრაგნილებად, ხელნაწერ წიგნებად ქცეულნო კურთხეულ ქართულ ენაზე ამეტყველებულო ტყავის ფურცლებო!“

**სიტყვა, წარმოთქმული ღია სტურუას მიერ პაოლო იაშვილის
დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე,
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში,
ქ. თბილისში, 1995 წელს**

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ღია სტურუას მიერ პაოლო იაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1995 წელს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ღია სტურუა (დ. 1939) – ქართველი პოეტი, გალაკტიონ ტაბიძისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. 1957 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. შემდეგ კი სწავლა განაგრძო ასპირანტურაში და 1974 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ფერის მხატვრული ფუნქცია გ. ტაბიძის პოეზიაში“. მუშაობდა უნივერსიტეტში – კითხულობდა ლექციებს, იმავდროულად, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში – უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1999 წლიდან მუშაობს გ. ტაბიძის მუზეუმში ლიტერატურულ კონსულტანტად. გამოცემული აქვს 12-ზე მეტი ლექსების წიგნი, 1962 წელს პირველი წიგნი, ლექსების კრებული „ხეები ქალაქში“, პროზაული შემოქმედებიდან – „ბედნიერი სიჩუმე“, „რძეში ჩავარდნილი ქვა“ (შეგრძნებების რომანი). წერს ესეებს, წერილებს. მისი ლექსები თარგმნილია: გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ფინურ ენებზე. სიტყვის ადრესატია პაოლო (პავლე) იაშვილი (1894-1937) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი. 1900 წლის 1 სექტემბრიდან პაოლო იაშვილი მშობლებმა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. მასთან ერთად სწავლობდნენ „ცისფერყანწელთა“ მომავალი ლიტერატურული ჯგუფის გამოჩენილი წარმომადგენლები: ვალერიან გაფრინდაშვილი და ტიციან ტაბიძე. 1913 წელს გაემგზავრა პარიზში, ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში. პარიზში გატარებულმა დრომ გადამწყვეტი როლი შეასრულა პაოლო იაშვილის ხელოვნებად ჩამოყალიბებაში. 1915 წელს, ტიციან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, სანდრო ცირეკიძესთან და სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად, დააარსა „ცისფერი ყანწების“ ორდენი და 1916 წლიდან რედაქტორობდა ამავე სახელწოდების აღმანახს. 1918-1921 წლებში მისი ლექსები და ნახატები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. პაოლო იაშვილი იყო ქართველ მწერალთაგან პირველი, რომელიც საბჭოთა რეპრესიებმა შეიწირა. პაოლო იაშვილმა დაპატიმრებას დაასწრო და მწერალთა სახლში 1937 წლის 22 ივლისს თავი მოიკლა. მხოლოდ 1955 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი, 1959 წელს კი – ვრცელი კრებული. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

სიტყვა გამოქვეყნდა 1995 წელს გაზეთში „სალიტერატურო გაზეთი“, სათაურით „პაოლო იაშვილი“, ხოლო ქვესათაურით „სიტყვა წარმოთქმული პაოლო იაშვილის 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე რუსთაველის სახელმწიფო თეატრში“¹¹³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹¹³ გაზეთი „სალიტერატურო გაზეთი“, თბილისი, 1995, 28 დეკემბერი, №1, გვ. 3.

**Speech Delivered by Lia Sturua at the Jubilee Evening of the 100th
Anniversary of Paolo Iashvili's Birth, at the Shota Rustaveli
State Theatre, in Tbilisi, in 1995**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Lia Sturua at the jubilee evening of the 100th Anniversary of Paolo Iashvili's birth, at the Shota Rustaveli State Theater, in Tbilisi, in 1995]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Lia Sturua (b. 1939) – a Georgian poet. Laureate of the Galaktion Tabidze and Georgian State Prizes. In 1957, she entered the Faculty of Georgian Philology of Tbilisi State University. Then she continued her studies in postgraduate studies and in 1974 defended her dissertation on the topic “The Artistic Function of Color in the Poetry of G. Tabidze”. She worked at the university – lecturing, and at the same time, at the Shota Rustaveli Institute of Literature – as a senior research fellow. Since 1999, she has been working at the G. Tabidze Museum as a literary consultant. She has published more than 12 books of poems, the first book in 1962, a collection of poems “Trees in the City”, from prose works – “Happy Silence”, “A Stone Falling into Milk” (a novel of feelings). She writes essays, letters. Her poems have been translated into German, French, English and Finnish. The addressee of the speech is Paolo (Pavle) Iashvili (1894-1937) – Georgian poet, translator, essayist. From September 1, 1900, Paolo Iashvili was sent by his parents to the Kutaisi Classical Gymnasium. Prominent representatives of the future literary group “Tsisperqantseli” studied with him: Valerian Gaprindashvili and Titsian Tabidze. In 1913, he went to Paris, to the Art Institute at the Louvre. The time spent in Paris played a decisive role in the formation of Paolo Iashvili as an artist. In 1915, with Titsian Tabidze, Valerian Gaprindashvili, Kolau Nadiradze, Sandro Tsirekidze and other young poets, he founded the Order of the Blue Bells and from 1916 he edited the almanac of the same name. In 1918-1921, his poems and drawings were published in the Georgian press. Paolo Iashvili was the first of the Georgian writers to be killed by Soviet repressions. Paolo Iashvili survived his arrest and committed suicide in the Writers' House on July 22, 1937. His first book was published only in 1955, and an extensive collection in 1959. He is buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures.

The speech was published in 1995 in the newspaper “Saliteruro gazeti” under the title “Paolo Iashvili”, and with the subtitle “Speech delivered at the 100th anniversary evening of Paolo Iashvili at the Rustaveli State Theater”¹¹⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹¹⁴ Newspaper “Saliteruro gazeti”, Tbilisi, 1995, December 28, №1, p. 3 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ღია სტურუას მიერ პაოლო იაშვილის დაბადებიდან
100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო თეატრში, ქ. თბილისში, 1995 წელს**

„პაოლო იაშვილმა იმ პირველი რევოლუციით დანგრეულ საქართველოში თქვა: „ჩვენ წავიყვანთ ოცნებადაკარგულ ხალხს მომავლის ცისფერი ტაძრისკენ“.

ეს იყო ქართველი ცისფერყანწელების მანიფესტი, ფრანგული სიმბოლიზმის გავლენით დაწერილი, რომლის მიხედვითაც პოეტებს სპილოს ძვლის კომპში უნდა ეცხოვრათ, ბანალური ყოფისგან სრულიად გათიშულებს, უნდა შეექმნათ წმინდა პოეზია, აჭურული და ბუნდოვანი, შემოდგომური სევდით, ჭლექის რომანტიკით, ელფერებითა და მუსიკით გაჟღერებული.

ხალხის ცნებას ამ ნატიფ სამყაროში ადგილი არ ჰქონდა. მაგრამ პოეტი, უპირველესად, თავის მიწაზე იზრდება ხესავით და, მერე, შეიძლება, უცხო და უჩვეულო ყვავილი გამოისხას.

პაოლო იაშვილი ქართველი პოეტი იყო და მას აწუხებდა თავისი მცირერიცხოვანი ხალხის გაჭირვება. მან ჯერ მოახერხა ტიცინ ტაბიძესთან ერთად (გალაკტიონი და გოგლა ლეონიძე ცალკე იდგნენ, დედაბოძით და პარტენონის ნატიფი სვეტივით) პროლეტარული მწერლების მიერ გადარიბებული და გაუფასურებული ქართული სიტყვის მხატვრული ღირსების აღდგენა და მერე ფერადი, მუსიკალური, დახვეწილი და წამლეკავი სამყარო ისევ თავისი ხალხის ჭრილობებზე დაედგარა.

სიტყვის წახნაგების თლასთან ერთად მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ:

„დადის ქუჩაში სხვების მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: – ეს კაცია ლექსის მწერალი,
მაგრამ, ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი დასაქცევი, ტვინი ვერანი“.

ეს საიდუმლო რომ გაეგო რაც შეიძლება მეტ ადამიანს, ესთეტიური რევოლუცია უნდა მომხდარიყო, რომელიც, განსხვავებით სხვა რევოლუციებისგან, არაფერს არ ანგრევს, გულის და ტვინის სიბნელის გარდა და ადამიანს მშვენიერის ქვეშევრდომობას ასწავლის. ყველას და ყველაფრის ქვეშევრდომობა მონობაა, მშვენიერის მორჩილება კი – უმაღლესი თავისუფლება.

ადამიანების უმეტესობას ლექსში პათეტიკა და გართმული საკუთარი აზრები თუ ცხოვრება მოსწონს, მაგრამ როცა კაცი იგრძნობს ამ სადა სტრიქონების ხიბლს:

„ალვის ხეებს აცვია
სირმიანი ნაბდები,
ტკბილი სიზარმაცა
და მდინარეც სასვია
თითქოს თეთრი ბატებით...“

შეიძლება ითქვას, რომ იგი პოეზიას ეზიარა.

მერე გალაკტიონი იტყვის:

„დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს,
ივლისისფერი ყინვის თასებით“.

და პოეზიის გრძნობას კვლავ აღმატებით ხარისხში აიყვანს. მიუხედავად ყოველივე ამისა, პაოლო იაშვილისთვის სულაც არ იყო უცხო ყოვლის უარმყოფელი სიმბოლისტური კეკლუცობა:

„პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი

და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი“

მაგრამ, რადგან ეს მისი ნამდვილი ბუნება კი არ არის, არამედ კარგად მორგებული სიმბოლისტური ნიღაბი (სიმბოლიზმი ხომ ნიღაბთა პოეზიაა), ამიტომ იმავე პერიოდში იწერება სონეტი, რომელიც ასე ჟღერს:

„საქართველოში არ იწამეს ჩემი დენდობა,
მე მახალისებს მხოლოდ ჩემი სალტო მორტალე.
მაგრამ ბოდლერის ცივი ლანდი თუ კი მენდობა,
ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი,
შევხარი მხესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა“.

ბოდლერი, „ბოროტების ყვავილების“ ავტორი, ხალხი, რუსთაველი, ცეცხლი და ყინული, ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები, რომელთა მორიგება მხოლოდ პოეზიას შეუძლია.

ტიციან ტაბიძე ამბობდა: „მომავალ დიდ ქართველ პოეტში უნდა შეერთდეს რუსთაველი და მაღარმე“.

ისინი ცდილობდნენ, ეროვნული კარჩაკეტილობისთვის, რომელიც ხშირად რევოლუციას მოაქვს, დაეპირისპირებინათ მშობლიური დიდი პოეზიის შეხება მსოფლიოს კლასიკასთან. ხომ ახლაც, ჩვენს დროში, მოინდომეს ჩვენი ცხოვრებისა და ხელოვნებისთვის პატრიარქალური გალავნის შემოვლება, ქუჩური, ეომეოს აღზევება ნამდვილ პოეზიაზე. მაგრამ საქართველოში ასეთი რამ არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ქართველ კაცს უყვარს სიტყვა, იგი ალღოთი გრძნობს, რომ სიტყვა ღმერთის სახეა, მისი წყალობაა ადამიანისთვის გაღებული, ხოლო პოეტისთვის ის, კიდევ, წვალებითა და ტკივილით შვილის გაჩენაცაა. ამ სუფთა და ლამაზ ჩვილებს იგი აგზავნის ხალხში, მათი ვარდისფერი თუ შრომანისფერი ყიფლიბანდები ბნელს ანათებენ. იქნებ, გაიგოს ადამიანი, იქნებ იგრძნოს, რომ:

„არის მკვლელობა, არის ომი, არის ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულეზად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
ვიდრე პოეტის შთაგონებით დასნეულება“.

პაოლო იაშვილს უყვარს სიტყვა. ეს გამორჩეული თვისებაა იმდროინდელი პოეტების, მათი რეაქცია გართიმული ლოზუნგების წინააღმდეგ. გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძის¹¹⁵ „სიტყვის როია“, ტიციან ტაბიძის¹¹⁶ „ორპირის ოქროპირი მალდარორი“, ვალერიან გაფრინდაშვილის¹¹⁷ „ლალის მანდილში დაგრეხილი თეთრი ტენორი“, პაოლოს¹¹⁸ „დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“. და ყველაფრის გვირგვინი, გალაკტიონის¹¹⁹ „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.

სიტყვა ყველა პოეტს უნდა უყვარდეს, მაგრამ სიყვარულიცაა და სიყვარულიც. მთელი სიცოცხლე ჩამრჩა ჰაინრიხ ბიოლის ერთი რომანის გმირის სიტყვები, რომ მას ბევრი ქალი შეხვედრია ცხოვრების მანძილზე, ზოგი მოსწონდა, ზოგი უყვარდა, მაგრამ შენ შესძარი ჩემი სულიო, ეუბნება იგი იმ ქალს, რომელიც მისთვის ერთადერთი ხდება. აი, ასე სულისშემძვრამდე უყვარს პაოლო იაშვილს სიტყვა, მისი წმინდა თვისება. შეიძლება, ასეთი სიტყვის მნიშვნელობა სიკვდილამდე ვერ გაიგო, მაგრამ იგი ისე ისმის და ისეთი აუცილებელია სხვა სიტყვებთან თანხმობასა და ურთიერთობაში, რომ გამახსოვრდება და გზიბლავს ყოველად უმიზეზოდ:

„გაახელ თვალებს, მორცხვად იტყვი: ახ, უკაცრავად!
ფრთხილად ჩამოხსნი თეთრ ნაბადს და დერილახოლებს
და თუ დაჰკოცნი იმის თითებს დაუკაწრავად
ათ კოცნას თვალი ათ მარგალიტს გადააყოლებს“.

რას ნიშნავს დერილახოლებს? არ ვიცი, არც მინდა, რომ ვიცოდე (ასე ამბობს შალვა აფხაიძე). მე მიყვარს პაოლოს დამოკიდებულება სიტყვასთან და ლექსთან. ყოველთვის მოვლილი, სუფთად და

¹¹⁵ გრიგოლ რობაქიძე (1880-1962) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

¹¹⁶ ტიციან ტაბიძე (1895-1937) – ქართველი სიმბოლისტი პოეტი, მწერალი, „ცისფერყანწელთა“ მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

¹¹⁷ ვალერიან გაფრინდაშვილი (1889-1941) – ქართველი პოეტი.

¹¹⁸ პაოლო (პავლე) იაშვილი (1894-1937) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი.

¹¹⁹ გალაკტიონი – გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959) – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

ლამაზად ჩაცმული, მოქეიფე, მოარშიყე, სიტყვის ბატონი, ისეთი გარეგნობის, რომ ვინ წარმოიდგენდა, რა შიში უღრღნიდა ჭიასავით გულს, ყველაზე დიდი სიყვარულის – სიტყვის დაკარგვის შიში.

„გაგიჟება ჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ლექსით ველარ დახვდები...“

ეს ღვთაებრივი შიში თუ აწერინებდა ისეთ ფერწერულ ტილოებს, როგორებიცაა „ფარშავანგები ქალაქში“ ან „წითელი ხარი“, რომლებშიც მზის ფრინველები, წითელი ხარი წითელი რქებით, მარჯნის ყვავილები და სევდიანი ზურმუხტები ისეთ ცეცხლს ანთებენ ინერტულ ქალაქში, რომ ლამის ყველაფერი გადაწვან, ეს შთაგონების ცეცხლია, რომელიც მერე გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობაშიც“ შეანჯღრევს მღვრიე, განურჩეველ ბრბოს და სილამაზისკენ მიახედებს.

და, მაინც, ალბათ, ყველაზე მეტად მიყვარს პაოლო იაშვილის ერთი ლექსი, რომელიც, თითქოს მისი სიკვდილის მერე დაიწერა, თუ მისი სულის მეხსიერებამ შემოგვინახა:

„დედა!
ინახულე შენ წმინდა ხახული,
წადი ფეხშიშველი,
ქალაქში, დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე!
ღმერთო, აპატიე,
მე თუ ვერ მიშველი,
დედას, რომ დაგენტო
ჩემსიგრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი“.

მისივე გასროლილმა ტყვიამ დააყუჩა ეს კორიანტელი და გრიგალი. მე კი მინდა, მის ლანდს ეს ლექსი ვუთხრა:

„დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გაწირა, ვინც სისხლი დაღვარა,
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!“

სიტყვა, წარმოთქმული ღია სტურუას მიერ თსუ-ის დაარსების
80 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე,
ქ. თბილისში, 1998 წლის 25 მაისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ღია სტურუას მიერ თსუ-ის დაარსების 80 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 25 მაისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ღია სტურუა (დ. 1939) – ქართველი პოეტი. გალაკტიონ ტაბიძისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. 1957 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. შემდეგ კი სწავლა განაგრძო ასპირანტურაში და 1974 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ფერის მხატვრული ფუნქცია გ. ტაბიძის პოეზიაში“. მუშაობდა უნივერსიტეტში – კითხულობდა ლექციებს, იმავდროულად, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში – უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1999 წლიდან მუშაობს გ. ტაბიძის მუზეუმში ლიტერატურულ კონსულტანტად. გამოცემული აქვს 12-ზე მეტი ლექსების წიგნი, 1962 წელს დაიბეჭდა პირველი წიგნი, ლექსების კრებული „ხეები ქალაქში“, პროზაული შემოქმედებიდან აღსანიშნავია „ბედნიერი სიჩუმე“, „რძეში ჩავარდნილი ქვა“ (შეგრძნებების რომანი). წერს ესეებს, წერილებს. მისი ლექსები თარგმნილია: გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ფინურ ენებზე.

ღია სტურუას პუბლიკაცია გამოქვეყნდა 2009 წელს ჟურნალ „ხელეურის“ რუბრიკაში „უნივერსიტეტი-90“, სათაურით „სიტყვა უნივერსიტეტზე“, ხოლო ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს „სიტყვა წარმოთქმულია 1998 წლის 25 მაისს, უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავის საიუბილეო საღამოზე“¹²⁰. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹²⁰ ჟურნალი „ხელეური“, თბილისი, 2009, №1, გვ. 63-64.

**Speech Delivered by Lia Sturua at the Jubilee Evening Held to Celebrate
the 80th Anniversary of the Founding of TSU,
in Tbilisi, on May 25, 1998**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Lia Sturua at the jubilee evening held to celebrate the 80th Anniversary of the founding of TSU, in Tbilisi, on May 25, 1998]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Lia Sturua (b. 1939) – a Georgian poet. Laureate of the Galaktion Tabidze and Georgian State Prizes. In 1957, she entered the Faculty of Georgian Philology of Tbilisi State University. Then she continued her studies in postgraduate studies and in 1974 defended her dissertation on the topic “The Artistic Function of Color in the Poetry of G. Tabidze”. She worked at the university – lecturing, and at the same time, at the Shota Rustaveli Institute of Literature – as a senior research fellow. Since 1999, she has been working at the G. Tabidze Museum as a literary consultant. She has published more than 12 books of poems, the first book – in 1962, a collection of poems “Trees in the City”, from prose works – “Happy Silence”, “A Stone Falling into Milk” (a novel of feelings). She writes essays, letters. Her poems have been translated into German, French, English and Finnish.

Lia Sturua’s publication was released in 2009 in the magazine “Kheleuri”, section “University-90” under the title “Speech on the University”, and at the end of the text she has the following added: “The speech was delivered on May 25, 1998, at the 80th Anniversary of the university’s founding”¹²¹. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹²¹ Magazine “Kheleuri”, Tbilis, 2009, №1, pp. 63-64 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ღია სტურუას მიერ თსუ-ის დაარსების 80 წლის აღსანიშნავად
გამართულ საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 25 მაისს**

„არის დიდი, ზოგადი სამშობლო, რომელიც გაჭირვებისას უფრო გვახსენდება, როგორც ღმერთი და არის პატარ-პატარა სამშობლოები, თუ სიმბოლოები მისი – ეკლესია, უნივერსიტეტი, შენი ქალაქი, ხელოვნება.“

ყველა ქართველი პოეტი რუსთაველიდან მოდის. რუსთაველი ჩვენი ლიტერატურული სამშობლოა, ეკლესია – სულის, უნივერსიტეტი – გონების. დგას იგი – თეთრი, რძისფერი, ამართლებს სახელწოდებას alma mater. თავისივე ეზოში აშენებული ძეგლების მაღალ შუბლებს ეყრდნობა, როგორც სვეტებს, მისი მისტიური ორეული – ცაში გაფრენილი პარტენონი, თეთრი და ლურჯი „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“.

სწორედ, ამას არ ასწავლის უნივერსიტეტი. ლექსისა თუ მოთხრობის წერას, არც წერა-კითხვას. ის, რასაც ასწავლის, ზომიერების ოქროს ძაფზე სიარულია, რომ ან სენტიმენტალობის ჭაობმა არ ჩაგვითრიოს, ან პათეტიკის მწვერვალებს არ ჩამოეკონწივლოს. საზღვარს კი არ გივლებს და ჩარჩოში არ გკეტავს, არამედ ხელოვნების ოდნავობის საიდუმლოს გაზიარებს.

ალგებრიტ ჰარმონიის შემოწმების უნარს გაძლევს – შენს სულიერებას და ზნეობას აწახნაგებს, ხვეწავს, სანთელივით ჩამოქნის. ახლა კიდევ, ეკლესია აშენდა მის ეზოში და, მართლა, სამშობლოს მონატრებულივით მოვდივარ აქ. როცა ლექციები მიდის და დერეფნებში სიჩუმეა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს წიგნთსაცავების დაფურცლულ სხეულს ვეხები.

არასოდეს არ დამავიწყდება, რამდენიმე წლის წინ, როცა ქუჩაში მიტინგების კვილი და სისხლის სუნი იდგა, პოეზიის საღამო გაიმართა უნივერსიტეტში, როგორც წინათ, როგორც ყოველთვის, იმართებოდა, მაგრამ, გაცილებით უფრო მძაფრი და ნერვიული. მაშინ ვთქვი, იქნება, ჩვენც, სულით ახლობლები და ნათესავები დავდგეთ ერთად, ან, თუ საჭიროა ქუჩაში გავიდეთ და ვიმღეროთ გონიერი ადამიანების ჰიმნი „ვივა აკადემია! ვივა პროფესორე!“

მაგრამ არაფერი გამოვიდა, მეხმა, მაინც, გააპო „საქართველოს საყდრული მყუდროება“.

და დაკარგა იერი ქალაქმა, გაფერმკრთალდა უნივერსიტეტი, თითქოს, რძეს წყალი შეურიეს. ძველი ფოლიანტებისფერი ლანდები არიალდნენ მის თავზე: ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს ისტორიიდან გამოხმობილი მარტვილების, შალვა ნუცუბიძის გამდნარი ოქროსავით მცხუნვარე და კორნელი კეკელიძის კლასიკურად მშვიდი ლექციებიდან გამოანათა ვარდივით, ვარდის სულმა და მოაზროვნე ქვამ, რომლის თავში უკვე ჩასახული იყო ვაჟა-ფშაველა და მზისმეტყველება.

რუსთაველის გამზირზე იდგა პაოლო იაშვილის ლანდი, რომელსაც ნაცნობი მათხოვრისათვის ფული უნდა შეეგროვებინა, მაგრამ იმ თანხის ნაცვლად, ოდესღაც რომ უშურველად გაიღო საზოგადოებამ, აწვიმდა და ათოვდა გაწვდილ ხელზე. „დადის ქუჩაში სხვების მსგავსი ჩემი სხეული და ხალხი ამბობს: ეს კაცია ლექსის მწერალი“. რა იცოდა ამ საბრალო, ტყვიით თავგახვრეტილმა ლანდმა, რომ „ლექსის მწერალი“ სალანძღავი სიტყვა გახდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ნელ-ნელა იფანტება ეს კომმარი.

უნივერსიტეტი თავისი დაარსების დღეს ზეიმობს. ამასვე ზეიმობს „პირველი სხივიც“, რომლის შუქიდან გამოვიდა, თითქმის, ყველა პოეტი და მწერალი საქართველოში. ისიც, თავისი მძლავრი დედისა არ იყოს, წერა-კითხვას კი არ ასწავლიდა, მაგრამ ისეთ კაცს, რომელიც გართმავდა „მეფისტოფელს“ და „მეფის ტუფლს“ და კმაყოფილი იყო თავისი მაჯამური მიგნებით, ცენზურასავით უნივერსიტეტის ზღვარით გამოყოფდა ასეთი ლექსებიდან: „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის, დასაღვრელის უფრო მაცნეა“, „როდესაც ასე ახლოა გრემი, მე მინდა ვიყო უფრო მაღალი“, „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“, „შენა ხარ ჩემი სვეტიცხოველი და სიყვარულის

წმინდა ტაძარი“...

ტაძარში რომ ჩამყუდროებას მოინდომებს ადამიანი, თავის თავში ჩაღრმავებას და იპოვის ასეთ თბილ, ოქროსფერ კუთხეს, ეს იყო ჩვენთვის „პირველი სხივი“.

უნივერსიტეტს აქვს თავისი ჰიმნი, თავისი ეკლესია, თავისი ღერბი – ის ჩვენი სამშობლოა და მისი ღერბისა, თუ ემბლემის ნახატიდან გამომდინარე, ჩემს წარმოდგენაში, მე სულ, ალბათ, სიკვდილამდე ასე მივმართავ მას: „ვითარცა ირემს სურინ წყაროსა მიმართ წყალთასა, ასევე სულსა ჩემსა სურინ შენდამი“.

სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 12 ოქტომბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში, 1998 წლის 12 ოქტომბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნანი გუგუნავა (1937-2020) – ქართველი პედაგოგი და სახელმწიფო მოხელე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1961 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1961 წლიდან იქვე მუშაობდა სხვადასხვა პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. 1986-1993 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1993-2004 წლებში – აჭარის განათლების მინისტრი. 2009 წელს აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად.

სიტყვა გამოქვეყნდა 2011 წელს ცისანა ანთაძის ავტორობით გამოცემულ წიგნში „ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე“, სათაურით „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვა“¹²². გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹²² ანთაძე, ც., ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე, ბათუმი, გამომცემლობა აჭარა, 2011, გვ. 302-305.

Speech Delivered by Nani Gugunava at the Unveiling of the Monument to Memed Abashidze, in Tbilisi, on October 12, 1998

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nani Gugunava at the unveiling of the monument to Memed Abashidze, in Tbilisi, on October 12, 1998]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nani Gugunava (1937-2020) – a Georgian teacher and civil servant, Doctor of Pedagogical Sciences (1998), Professor (2001). In 1961, she graduated from the Batumi Shota Rustaveli State Pedagogical Institute. Since 1961, she has worked there in various pedagogical and administrative positions. In 1986-1993, she was Deputy Chairman of the Council of Ministers of the Autonomous Republic of Adjara, in 1993-2004 – Minister of Education of Adjara. In 2009, she was elected a full professor at the Batumi Shota Rustaveli State University.

The speech was published in 2011 in the book “Life Beautified by Labor: A Speech on Nani Gugunava” published by Tsisana Antadze under the title “Speech on the Admission of the Republic of Georgia to Full Membership in the United Nations”¹²³. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹²³ Antadze, T., A Life Beautified by Labor: A speech on Nani Gugunava, Batumi, Adjara Publishing House, 2011, pp. 302-305 (in Georgian).

სიტყვა

**თქმული ნანი გუგუნავას მიერ მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ქ. თბილისში,
1998 წლის 12 ოქტომბერს**

„ძვირფასო თანამემამულენო, ქალბატონებო და ბატონებო.

მაქვს უდიდესი პატივი თქვენს წინაშე წარვსდგე საქართველოს ძირძველი კუთხის – აჭარის მოსახლეობის, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სახელით, გულითადად მოგესალმოდ და მოგილოცოთ ბრინჯაოში გაცოცხლებული ერის ღირსეული შვილის შემობრძანება დედაქალაქში.

დღეს განსაკუთრებული დღეა საქართველოში. ქართველმა ერმა, მადლიერმა შთამომავლობამ ჩვენი ქვეყნის გულში, საქართველოს სატახტო ქალაქში ძეგლი აღუმართა გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, საქართველოს ერთიანობისათვის თავგანწირულ რაინდს, ეროვნულ გმირს, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლსა და თანამოაზრეს, მის სულიერ მემკვიდრეს მემედ აბაშიძეს, რომლის შესახებაც ქვეყნის პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა: „მემედ აბაშიძეს ერთი კი არა, ათასი ძეგლი ეკუთვნის“.

დედაქალაქი ძეგლს უდგამს შვილს, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ჩვენი ერის ცხოვრებაში. მემედ აბაშიძეს ბედმა არგუნა თავისი ბიოგრაფიით, ისტორიული მოღვაწეობით ქართველთა ერთიანობის სიმბოლო გამხდარიყო. ამ შესანიშნავი მამულიშვილის სიცოცხლე მხოლოდ 64 წელიწადს ითვლის, რომელიც მთლიანად საქართველოს ეროვნული ერთიანობისათვის ბრძოლას მოხმარდა.

მემედ აბაშიძე ყველაზე კრიტიკულ ხანაში მოველინა აჭარასა და სრულიად საქართველოს. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სამსაუკუნოვანი ტყვეობისან დედასაქართველოსთან დაბრუნებული აჭარა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ პოლიტიკური გარიგების საგნად აქცია, რამეთუ 1918 წელს პრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების მიხედვით, აჭარის ტერიტორია ოსმალეთის იმპერიას დაუთმო. ამ პერიოდში, აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების დამახინჯებისა და საქართველოსაგან მისი ჩამოშორების მიზნით, ჩვენი ქვეყნის მტრები მიზანდასახულ პოლიტიკას ატარებდნენ. ამ საქმეში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ როგორც ოსმალეთის, ისე ცარიზმის მოხელეები. ორთავე მეზობლის პოლიტიკური გათვლები სხვადასხვა ფორმით საქართველოსაგან აჭარის ჩამოშორებას ისახავდნენ მიზნად. დამპყრობლები აჭარის მოსახლეობას შთააგონებდნენ, რომ იგი რელიგიურადაც და ეთნიკურადაც განსხვავებული ხალხი იყო ქრისტიან ქართველებთან შედარებით.

მხოლოდ ეროვნული გმირის, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის თავგანწირვა იყო საჭირო, და ასეთი თავდადებული გმირი მთელ იმდროინდელ საქართველოში მემედ აბაშიძე აღმოჩნდა, რომელმაც თავისი უნიკალური დიპლომატიური ნიჭითა და ხალხის მეთაურის უზადლო ალღოს წყალობით არ აღასრულა არც ბოლშევიკური რუსეთის გადაწყვეტილება და არც ოსმალური სახელმწიფოს პრეტენზიები. სახელდობრ, ანგორას დელეგაციის ულტიმატური მოთხოვნები აჭარის თურქეთის შემადგენლობაში დაბრუნების თაობაზე და სხვა მრავალი პერიპეტიები, რომლებიც თავისი შედეგებით არა მარტო აჭარისათვის, არამედ სრულიად საქართველოსათვის შეიძლება კატასტროფული გამხდარიყო. მემედ აბაშიძემ ურთულეს და უმძიმეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, ერთადერთი სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის წყალობით, თავგანწირული ბრძოლით საბოლოოდ გადაწყვიტა აჭარის ბედი, დედასამშობლოს შეუნარჩუნა თავისი სხეულის ნაწილი, ქართული სისხლი და ხორცი. შთამომავლობას კი წმინდა ანდერძად დაუტოვა: „ჩვენი ბედნიერება მხოლოდ საქართველოსთან ერთად არის შესაძლებელი. ჩვენ თავი მოგვწონს ჩვენი ქართველობით“.

მემედ აბაშიძემ ილია ჭავჭავაძისეული ეროვნული ერთიანობის იდეა განავითარა და ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის სულიერი ერთობის იდეა ჩამოაყალიბა. მისი, როგორც ეროვნული მოღვაწის, საბრძოლო პროგრამა სწორედ ქართველობის ამ ორთავე ნაწილის სულიერი

ერთიანობის განმტკიცებას ითვალისწინებდა. ეს უაღრესად დიდი სამუშაო მემედ აბაშიძეს ფართო და დიდმნიშვნელოვან მოძრაობად ჰქონდა წარმოდგენილი, ამიტომ იგი მედგრად იბრძოდა სამუსლიმანო საქართველოს სულიერი შემობრუნებისათვის, მოსახლეობის ფართო მასების ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის.

დიდი იყო მემედ აბაშიძის, როგორც სახალხო ტრიბუნის გავლენა, ერის სულიერ ცხოვრებაზე.

ამ პერიოდში უმთავრესი ამოცანა, რომელიც აჭარაში არსებობდა, იყო განათლების პრობლემა, რომლის გადაუჭრელადაც ეროვნული ერთიანობის აღდგენა და აღორძინება შეუძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მემედ აბაშიძის მოღვაწეობაში წინა პლანზე განსაკუთრებით მოზარდი თაობის ერთიანი საქართველოს იდეებზე აღზრდამ წამოიწია. მემედ აბაშიძე ქართველ განმანათლებელთა შორის პირველია, რომელმაც აჭარის ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე წამოაყენა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი თაობის აღზრდის პედაგოგიკის შექმნის იდეა და თავადვე განახორციელა იგი წარმატებით.

საქართველოს სულიერი ერთიანობის პედაგოგიკა ყოველთვის სჭირდებოდა, დღესაც განსაკუთრებით იგრძნობა მისი საჭიროება. აღნიშნულის სწორად შეფასება პასუხს გვაძლევს ისეთ პრობლემურ საკითხებზეც, რამაც კონფლიქტები წარმოშვა იმ რეგიონებში, სადაც შესუსტებული იყო ქართული ენისა და ქართული სკოლის პოზიციები.

წუხელ თბილისში სტუმრად მიმიწვიეს იოსებ იმედაშვილის¹²⁴ ისტორიულ ოჯახში, სადაც მისი სახლ-მუზეუმი განთავსებული. იქვე მეზობლად მოვინახულე ზაქარია ჭიჭინაძის¹²⁵ სახლი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეს შესანიშნავი მამულიშვილი. მართლაც, ზაქარია ჭიჭინაძე წიგნებით სავსე ხურჯინით აჭარაში სოფელ-სოფელ დადიოდა და განათლება შეჰქონდა მოსახლეობაში. უნებლიედ მახსენდება სარეცელს მიჯაჭვული ამ დიდი ქართველის სიტყვები, რომელმაც იოსებ იმედაშვილს დაუბარა: „ჩემო იოსებ, აჭარელ ძმებს გადაეცი, სადაც აბაშიძენი იქნებიან სხვანიც იქით“.

მემედ აბაშიძე დღესაც დიდ საქმეს აკეთებს – აქ თბილისში ერთად შეგვყარა და გვახსენებს, ქართველებო გამაგრდით, გაუფრთხილდით ერთმანეთს.

მემედ აბაშიძე კაცი-მოვლენა, კაცი-ლეგენდა საქართველოს ისტორიაში დამკვიდრდა, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამორჩეული ბელადი, რომელმაც მთელი თავისი მოწამეობრივი სიცოცხლით უნიკალური პოლიტიკური და ზნეობრივი პრეცედენტი შექმნა.

ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ მემედ აბაშიძის თეორიულ-პოლიტიკური, პედაგოგიური, პუბლიცისტური მემკვიდრეობისა და მისივე გენეტიკური მემკვიდრეობის ისტორიული მისიის შესახებ.

ჭეშმარიტი კანონზომიერებაა – დიდი ადამიანები მოდიან და აღარ მიდიან. ამ შესანიშნავ მონუმენტურ ქმნილებაში გაცოცხლებული ეს ბუმბერაზი მამულიშვილი საქართველოს მთლიანობის მარადიული სიმბოლოა.“

¹²⁴ იოსებ იმედაშვილი – იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილი (1876-1952) – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

¹²⁵ ზაქარია ჭიჭინაძე – ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე (1853-1931) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ წიგნების პრეზენტაციისას ახალშენის იუბილეზე, სოფ. ახალშენში, 2008 წლის 22 ნოემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ჟუჟუნა ფეიქრიშვილი (დ. 1940) – ქართველი ენათმეცნიერი, პედაგოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი. 1965 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1968 წლიდან მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე. იგი იკვლევს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგს. მრავალი ცალკეული ნაშრომი თუ მონოგრაფია მიუძღვნა როგორც ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაციის თემაზე: „მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში“. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 30-ზე მეტი წიგნის; 1992 წელს გამოსცა „ქართველოლოგიის საკითხები“¹²⁶, 1992 წელს – „ქართული ენის მორფოლოგია“¹²⁷, 1996 წელს – „ქართული ენის სინტაქსი“¹²⁸ და სხვ. 2008 წლის 22 ნოემბერს ახალშენის იუბილეზე გაიმართა ჟუჟუნა ფეიქრიშვილის ავტორობით გამოცემული შემდეგი წიგნების პრეზენტაცია: „ახალშენელი მესხების ასწლოვანი ისტორია ქვემოიმერეთში“¹²⁹, „სოფელ ახალშენის კათოლიკური ეკლესიის განვლილი გზა“¹³⁰, „მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში“¹³¹ და „მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“¹³². პრეზენტაციისას ავტორი სიტყვით გამოვიდა.

სიტყვა გამოქვეყნდა 2014 წელს ჟუჟუნა ფეიქრიშვილის წიგნში „მე და ჩემი ეკლესია“, სათაურით „ახალშენის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა“, ხოლო ქვესათაურით „წიგნების პრეზენტაცია“¹³³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹²⁶ ფეიქრიშვილი, ჟ., ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, სარანგი, 1992.

¹²⁷ ფეიქრიშვილი, ჟ., ქართული ენის მორფოლოგია: სალექციო კურსი, ქუთაისი, სარანგი, 1992.

¹²⁸ ფეიქრიშვილი, ჟ., ქართული ენის სინტაქსი: სალექციო კურსი, ქუთაისი, ქუთაისის ს.ს. „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1996.

¹²⁹ ფეიქრიშვილი, ჟ., ახალშენელი მესხების ასწლოვანი ისტორია ქვემოიმერეთში, თბილისი, 2008.

¹³⁰ ფეიქრიშვილი, ჟ., სოფელ ახალშენის კათოლიკური ეკლესიის განვლილი გზა: ხონის რაიონი, თბილისი, 2008.

¹³¹ ფეიქრიშვილი, ჟ., მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში, თბილისი, ჯანსუღ ღვინჯილია, 2007.

¹³² ფეიქრიშვილი, ჟ., მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, საწუთრო, 1992.

¹³³ ფეიქრიშვილი, ჟ., მე და ჩემი ეკლესია, თბილისი, უნივერსალი, 2014, გვ. 85-87.

Speech Delivered by Zhuzhuna Peikrishvili at the Presentation of Books on
the Anniversary of Akhalsheni, in Village Akhalsheni,
on November 22, 2008

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Zhuzhuna Peikrishvili at the presentation of books on the Anniversary of Akhalsheni, in Village Akhalsheni, on November 22, 2008]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the word is Zhuzhuna Peikrishvili (b. 1940) – a Georgian linguist, teacher, candidate of philological sciences, professor. In 1965, she graduated from the Kutaisi Pedagogical Institute. Since 1968, she has been working at the Department of Georgian Language at Kutaisi State University. She researches various fields of linguistics. She has dedicated many separate works and monographs to the issues of grammar, lexicology, dialectology and cultural history of the Old and New Georgian languages. In 1973, she defended her candidate's thesis on the topic “Third Series of Lines in New Literary Georgian”. She is the author of many scientific works, including more than 30 books; In 1992, she published “Issues of Georgian Studies”¹³⁴, in 1992 – “Morphology of the Georgian Language”¹³⁵, in 1996 – “Syntax of the Georgian Language”¹³⁶, and others.

On November 22, 2008, on the anniversary of Akhalsheni, the following books, authored by Zhuzhuna Peikrishvili, were presented: “A Hundred-Year History of the Akhalsheni Meskhets in Lower Imereti”¹³⁷, “The Path of the Catholic Church of the Village of Akhalsheni”¹³⁸, “The Mixture of Meskhian and Imeretian Dialects in the Speech of Akhalsheni”¹³⁹ and “Lexicon Material of the Meskhian Dialect”¹⁴⁰. The author delivered a speech at the presentation.

The speech was published in 2014 in Zhuzhuna Peikrishvili’s book “Me and My Church” under the title “Speech Delivered on the Anniversary of Akhalsheni”, and the subtitle “Presentation of Books”¹⁴¹. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹³⁴ Peikrishvili, Zh., Issues of Kartvelology, Kutaisi, Sarangi, 1992 (in Georgian).

¹³⁵ Peikrishvili, Zh., Morphology of the Georgian Language: Lecture Course, Kutaisi, Sarangi, 1992 (in Georgian).

¹³⁶ Peikrishvili, Zh., Syntax of the Georgian Language: Lecture Course, Kutaisi, Kutaisi JSC “Stamba” Publishing Center, 1996 (in Georgian).

¹³⁷ Peikrishvili, Zh., A Hundred-Year History of the Akhalsheni Meskhets in Lower Imereti, Tbilisi, 2008 (in Georgian).

¹³⁸ Peikrishvili, Zh., The Path of the Catholic Church of the Village of Akhalsheni: Khoni district, Tbilisi, 2008 (in Georgian).

¹³⁹ Peikrishvili, Zh., The Mixture of Meskhian and Imeretian Dialects in the Speech of Akhalsheni, Tbilisi, Jansugh Ghvinjilia, 2007 (in Georgian).

¹⁴⁰ Peikrishvili, Zh., Lexicon Material of the Meskhian Dialect, Kutaisi, Satsutro, 1992 (in Georgian).

¹⁴¹ Peikrishvili, Zh., Me and My Church, Tbilisi, Universali, 2014, pp. 85-87 (in Georgian).

სიტყვა

თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ წიგნების პრეზენტაციისას ახალშენის იუბილეზე, სოფ. ახალშენში, 2008 წლის 22 ნოემბერს

„დღევანდელი დღე მართლაც გამორჩეულია ახალშენის ისტორიაში. დღეს ჩვენ ვაჯამებთ ქვემოიმერეთში კათოლიკე მესხების მიერ დაარსებული ახალი სოფლის ცხოვრების პირველი ასწლეულის შედეგებს, პატივს მივაგებთ სოფლის მესამიერკვლეებისა და მათი მომდევნო თაობების ხსოვნას, მოვეფერებით დღევანდელ უფროს თაობას და მადლიერებით მოვიგონებთ მამა-პაპათა საქმიანობას, რომელიც დაიწყო მეტად რთულ პირობებში ჯერ კიდევ ასი წლის წინ სამხრეთ საქართველოდან ქვემოიმერეთში გადმოსახლებულმა მესხების ათიოდე ოჯახმა ხონელი თავადის ანტონ წულუკიძის მამულის ერთ მცირე მონაკვეთზე, უზარმაზარი ტყეების გარემოცვაში.

ხონის რაიონში უკეთესი მომავლის რწმენით შთაგონებული მესხების ახალი საცხოვრისი ფეხბედნიერი აღმოჩნდა, უფალმა დალოცა იგი და თითოეულ ოჯახს დაანათლა შვილთა სიმრავლე, ფუძის სიმტკიცე...

მართალია, პირველ ხანებში, დაახლოებით 20-25 წლის მანძილზე, მესხების დასახლება ხონის რაიონში არ იყო გამოყოფილი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად – ცალკე სოფლად, მაგრამ ჩვენი წინაპრები მთელს რეგიონში იმთავითვე ცნობილი იყვნენ შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, კეთილშობილებითა და ქრისტიანული მრწამსით.

ამ ასი წლის მანძილზე თუ როგორ იზრდებოდა და მკვიდრდებოდა სოფელი, როგორ ძლიერდებოდა იგი მატერიალურ-ეკონომიკურად, როგორ მაღლდებოდა ადგილობრივ ახალგაზრდებში განათლების დონე და ა.შ. – ყველაფერი ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის მოთხრობილი და თან ფოტოდოკუმენტური მასალით ილუსტრირებული წიგნში „ახალშენელი მესხების ასწლოვანი ისტორია ქვემოიმერეთში“ (ხონის რაიონი) (თბ., 2008).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უფალს მინდობილი ჩვენი წინაპრები ახალ საცხოვრისშიც არ ივიწყებდნენ მამა-პაპათა რწმენას, რელიგიურ ტრადიციებს. ამიტომ იყო, რომ ყველაზე პირველად, 1915 წელს, საერთო ძალებით აუგიათ პატარა სალოცავი, რომელიც იმთავითვე გამხდარა არა მხოლოდ რწმენის სიმბოლო, არამედ ერთგვარი საგანმანათლებლო დაწესებულება – სკოლა. თუ როგორ გაგრძელდა პირველმოსახლეთა რელიგიური ცხოვრება ხის პატარა ეკლესიიდან დღევანდელი მშვენიერი ტაძრის მრავალფეროვან და საინტერესო საქმიანობაში, შეგიძლიათ გაეცნოთ ცალკე წიგნში „ახალშენის კათოლიკური ეკლესიის განვლილი გზა“ (თბ., 2008).

ჯერ კიდევ ბავშვობისას, როცა, ბუნებრივია, ბევრი არაფერი ვიცოდი სამხრეთ საქართველოდან იმერეთში გადმოსახლებული მესხების მიერ დაფუძნებული პატარა სოფლის ისტორიის შესახებ, მაინც ვამჩნევდი, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრების წეს-ჩვეულება, ტრადიციები, რელიგიური რიტუალები და სამეტყველო კილო გარკვეულად განსხვავდებოდა იმერული სინამდვილისაგან. ცხადია, მაშინ ამ ვითარებაზე საგანგებოდ არც მიფიქრია.

სოფლის ისტორიასა და მეტყველებაზე სპეციალური დაკვირვება დავიწყე ცოტა მოგვიანებით, 1960 წლიდან, როცა გავხდი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. იქაური ლექტორ-მასწავლებლების აზრით, იმერულ გარემოცვაში მოქცეული მესხებით დასახლებული ახალი სოფელი მეცნიერული ასპექტით მეტად საინტერესო ობიექტი ჩანდა და აუცილებელი იყო მისი დროული შესწავლა. მართლაც, მათივე ხელმძღვანელობით პირველი კურსიდანვე შევუდექი ამ საქმეს: უშუალოდ პირველმოსახლეთაგან ვიწერდი საჭირო ინფორმაციებს, ასევე მეტყველების ნიმუშებს, გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებებს და სტუდენტური მოხსენებებით ქუთაისსა

თუ თბილისში ვაცნობდი სამეცნიერო წრეებს ახალშენთან დაკავშირებულ მასალებს.

მართალია, სოფლის მეტყველებას მომდევნო წლებშიც ვიკვლევდი უფრო სიღრმისეულად (კვლევის შედეგები გავამთლიანე მონოგრაფიაში „მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში“ (თბ., 2007), შევადგინე ლექსიკონი – „მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (თბ., 1992), მაგრამ სტუდენტობის შემდეგ ჩემი სამეცნიერო პროფილის გამო სპეციალურად აღარ მიმუშავია ახალშენის ვრცელ ისტორიაზე, საარქივო მასალებზე დაყრდნობით სოფლის განვლილი გზის მეცნიერულ აღწერაზე.

აღმოჩნდა, რომ ამ აუცილებელ და საშურ საქმეზე თანასოფლელთაგან არავის უზრუნვია იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ პირველმოსახლენი – სოფლის ისტორიის უშუალო შემოქმედნი და მემკვიდრენი, რომლებსაც შეეძლოთ კიდევ უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მოწოდება. ამ პრობლემის მოუგვარებლობით გამოწვეული უკმარისობის გრძნობა განსაკუთრებით გამძლიერდა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები ძირეულად ცვლიდა სოფლის ცხოვრებას, მის ადმინისტრაციულ სტრუქტურას, განსაკუთრებით კი დემოგრაფიულ ვითარებას. მეორე მხრივ, ჩვენი წინაპრების ხსოვნა და მშობლიური სოფლის უკვე მოახლოებული ასწლოვანი ისტორია მავალდებულებდა, შევდგომოდი მეტად საპასუხისმგებლო, შრომატევად, მაგრამ საშურ და სასიკეთო საქმეს.

სოფლის ისტორიის შესწავლის ასპექტით სტუდენტობიდან დაწყებული მუშაობა ამ ბოლო წლებში ინტენსიურად გავაგრძელე. საჭირო გახდა თბილისში, ქუთაისში, ხონში აქა-იქ გაბნეული საარქივო მასალებისა და სხვა წყაროების მოძიება, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურისა თუ პრესის დამუშავება. ასევე ვიწერდი მეტად ფასეულ მოგონებებს სოფლის უხუცესებისაგან, მუდმივი კავშირი მქონდა ახალშენელებთან სხვადასხვა ინფორმაციის დასაზუსტებლად.

ჩვენი მრავალწლიანი შრომის შედეგი წარმოდგენილია ამ წიგნებში, რომელთა პირუთვნელი შემფასებელი იქნება დრო და მკითხველი.

ბუნებრივია, წიგნები ვერ იქნება ბოლომდე ამომწურავი, ალბათ მათში ვერ მოხვდა ჩვენი წინაპრების ცხოვრებიდან ბევრი საინტერესო ინფორმაცია, ეპიზოდი... გარდა ამისა, შედარებით მწირი ისტორიული წყაროების გამო და აგრეთვე ზეპირი გადმოცემების შემთხვევაში დაზღვეული ვერ ვიქნებით ზოგიერთი უზუსტობისაგანაც. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ახალშენის დღევანდელი ახალგაზრდობა, შემდგომი თაობა განაგრძობს ჩვენ მიერ დაწყებულ საქმიანობას და მეორე ასწლეულის დასასრულს უფრო ვრცლად წარმოაჩენს თანამედროვე ახალშენელთა ცხოვრებას.

მადლობას მოვახსენებ ყველას წიგნებზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის, თანადგომისათვის, პირველ რიგში – ახალშენელებს, ასევე ოფიციალური სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებს გულისხმიერებისათვის... დიდი მადლობა ქუთაისისა და ახალშენის კათოლიკურ ეკლესიებს ფინანსური მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებით, ახალშენის ეკლესიის მოძღვარს – მ. კარლო დი სტეფანოს.“

სიტყვა, წარმოთქმული ნინო ბურჭულაძის მიერ ზვიად გამსახურდიას
70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე,
ნიუ-იორკში, 2009 წლის 29 მარტს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ნინო ბურჭულაძის მიერ ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, ნიუ-იორკში, 2009 წლის 29 მარტს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნინო ბურჭულაძე (დ. 1972) – ჟურნალისტი და საზოგადოებრივი აქტივისტი. სიტყვის ადრესატია ზვიად გამსახურდია (1939-1993) – ქართველი ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992), საქართველოს ეროვნული გმირი.

2009 წლის 29 მარტს ნიუ-იორკში, ბრუკლინში, ქართულ რესტორან „თამადაში“ ქართულმა ემიგრაციამ გამართა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. სიტყვა გამოქვეყნდა 2009 წელს ერთჯერად გამოცემაში „ზვიად გამსახურდია 70“¹⁴². გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁴² ზვიად გამსახურდია 70: ერთჯერადი გამოცემა, თბილისი, 2009, აპრილი, გვ. 12-13, 28.

**Speech Delivered by Nino Burtchuladze at the Jubilee Evening
Dedicated to the 70th Anniversary of Zviad Gamsakhurdia,
in New York, on March 29, 2009**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nino Burtchuladze at the jubilee evening dedicated to the 70th Anniversary of Zviad Gamsakhurdia, in New York, on March 29, 2009]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nino Burtchuladze (b. 1972) – Journalist and social activist. The addressee of the speech is Zviad Gamsakhurdia (1939-1993) – a Georgian philologist, writer, translator, politician, dissident, Doctor of Philology, one of the leaders of the Georgian national liberation movement, the first President of Georgia (1991-1992), and the national hero of Georgia.

On March 29, 2009, at the Georgian restaurant “Tamada” in Brooklyn, New York, the Georgian emigration held a jubilee evening dedicated to the 70th anniversary of the President of Georgia Zviad Gamsakhurdia. The speech was published in 2009 in a one-time edition “Zviad Gamsakhurdia 70”¹⁴³. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁴³ Zviad Gamsakhurdia 70: One-off edition, Tbilisi, 2009, April, pp. 12-13, 28 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული ნინო ბურჭულაძის მიერ ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, ნიუ-იორკში, 2009 წლის 29 მარტს

„ბატონებო, 70 წლის ხდება ზვიად გამსახურდია! – კაცი, რომლის ცხოვრების ყოველი დღე იყო გმირობა, რომელმაც შეცვალა არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, არა მარტო ბოროტების იმპერიაში შემავალი ერების მომავალი, არამედ, თამამად შეიძლება, მთელი მსოფლიო; კაცი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და მოყვასი, ხოლო რადგან სიყვარული თავგანწირვის საზომი ერთეულია, ბავშვობიდან იბრძოდა სამშობლოსა და ადამიანის თავისუფლებისათვის, რაც ბედნიერების წინაპირობაა და შეეწირა კიდევ ბოროტებასთან ბრძოლას.

ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ყმაწვილს სწერდა მამა, დიდი კონსტანტინე გამსახურდია: – „გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იღწვის მაღალი და ზეადმატებულის აშენებისთვის“. ზვიადიც, როგორც ღირსეული მამის ღირსეული შვილი, მთელი ცხოვრება იღწვოდა და იბრძოდა მაღალი, ღვთაებრივი იდეალებისთვის.

სწორედ თექვსმეტი წლის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა რამდენიმე მეგობართან ერთად 1955 წელს აარსებენ არალეგალურ ორგანიზაციას – „გორგასლიანი“, ბეჭდავენ და ავრცელებენ ანტისაბჭოთა და ანტიიმპერიულ პროკლამაციებს. 1956 წლის მარტის მოვლენების დროს კონსტანტინე გამსახურდიასა და შალვა ნუცუბიძის თანადგომით „გორგასლიანი“ ცდილობს მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებისთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სახის მიცემას, რისთვისაც 1957 წლის აპრილში ზვიადს და მერაბს ასამართლებენ და ნახევარწლიანი პატიმრობის შემდეგ, როგორც არასრულწლოვნებს, პირობით ათავისუფლებენ.

იმ პერიოდში, როდესაც ე.წ. ერთმორწმუნე რუსეთმა უფლის განდევნა სცადა როგორც თავისი, ისე ჩვენი ქვეყნიდან, ზვიად გამსახურდია ერთ-ერთია მცირერიცხოვან, გულმხურვალე, ღრმად მორწმუნეთა შორის და ისევ იბრძვის სარწმუნოებისა და რწმენის თავისუფლებისთვის, ისტორიული ძეგლების, ტაძრებისა და ზოგადად ეკლესიის დაცვისათვის.

ზვიად გამსახურდია გახლდათ პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იანი წლებიდან გამოსულმა „ოქროს საწმისმა“, „საქართველოს მოამბემ“, „საქართველომ“ და „მემატიანემ“ უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს ეროვნული თვითშეგნების, დისიდენტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებაში.

1974 წელს ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავასთან ერთად თბილისში აფუძნებს კავკასიაში პირველ ღია ჯგუფს – „ადამიანის უფლებების დაცვის საინფორმაციო ჯგუფი“. მოსკოვში არსდება თვითგამოცემითი ჟურნალი „მიმდინარე ამბების ქრონიკა“, სადაც რედაქტორია სერგეი კოვალიოვი, ხოლო ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან. 1976 წელს ამ ჯგუფის ბაზაზე არსდება საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე პირველი „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობს. 1975 წელს კი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ირჩევენ საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშნელის“ ინდივიდუალურ წევრებად. 1976 წელს მათ აპატიმრებენ და ათავსებენ ჯერ ლეფორტოვოს ციხეში, შემდეგ გადაჰყავთ სერბსკის სახელობის ფსიქიატრიული ინსტიტუტის სპეცგანყოფილებაში, რომელსაც უშუალოდ სუკი ხელმძღვანელობს.

1979 წლის ივნისამდე ზვიად გამსახურდია გადასახლებულია ყიზლარში.

1989 წელს „ჰელსინკის ჯგუფი“ გარდაიქმნა „ჰელსინკის კავშირად“ და მას ისევე, როგორც წმინდა ილია მართლის საზოგადოებას, თავმჯდომარეობს ზვიად გამსახურდია. იგი იყო ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის, მათ შორის 1989 წლის 4-9 აპრილის აქციების წარმმართველი; ასევე პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ დამფუძნებელი

და უცვლელი სპიკერი.

1990 წლის ზაფხულში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეწოლით, საქართველოს კომუნისტური უმაღლესი საბჭო იძულებული გახდა მიეღო დადგენილება „1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ“ და დაენიშნა არჩევნები.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საბჭოთა კავშირში პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

იმავე წელს, 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ზვიად გამსახურდიას მრავალმხრივი მოღვაწეობის მიუხედავად – იგი იყო პოეტი, ბელეტრისტი, დასავლეთ-ევროპული ენების სპეციალისტი, ამერიკული, ინგლისური, ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელი, სამეცნიერო შრომების ავტორი სხვადასხვა სფეროში, ადამიანთა უფლებების დამცველი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი – მაინც უპირველესად იყო პოლიტიკოსი და მისმა, როგორც პოლიტიკოსის, მოღვაწეობამ ღრმა კვალი დააჩნია თანადროულ მსოფლიოს.

ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასა და ოსებთან ეთნიკურ კონფლიქტში. მოგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაუქმდა ს. ო. ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილებით 1990 წლის სექტემბერს (ზვიად გამსახურდია ჯერ არ გახლდათ ხელისუფლებაში) და გამოცხადდა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად. საქართველოს რესპუბლიკის არაერთი მიმართვისა და გაფრთხილების შემდეგ – გაუქმებინათ 20 სექტემბრის დადგენილება, 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. რაც შეეხება ეთნიკურ კონფლიქტებს, დღეს უკვე აშკარაა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები წარმოადგენენ არა ეთნიკურ, არამედ პოლიტიკურ კონფლიქტს რუსეთთან.

1990 წლის ნოემბერში კუნძულ მალტაზე, სამხედრო კრეისერის ბორტზე შედგა შეხვედრა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასა, რომელსაც წარმოადგენდნენ მ. გორბაჩოვი¹⁴⁴ და ე. შევარდნაძე¹⁴⁵, და ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა¹⁴⁶ და სახელმწიფო მდივანს შორის. სწორედ ამ შეხვედრაზე მოეწერა ხელი ხელშეკრულებას, სადაც რუსეთი თმობდა თავის გავლენას ბალტიის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაზე, ხოლო ყველა დანარჩენი რესპუბლიკა კვლავ მისი ზეგავლენის ქვეშ რჩებოდა.

ამის შემდეგ, 1991 წელს აშშ პრეზიდენტი ჯ. ბუში სიტყვით გამოდის უკრაინის რადაში, მიმართავს საბჭოთა რესპუბლიკებს, აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ამ ეტაპზე შეუძლებელია და სთავაზობს დემოკრატიას თავისუფლების სანაცვლოდ. ამას უკრაინელთა მხრიდან დიდი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა კიევში, რადას მიმდებარე მოედანზე.

სწორედ აქ მინდა შევამჩნიოთ თქვენი ყურადღება, როდესაც ვლაპარაკობთ ზვიადზე, როგორც უდიდეს პოლიტიკურ ფიგურაზე. იგი გახლავთ ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც შეეწინააღმდეგა ჯორჯ ბუშის პოლიტიკურ დირექტივას და საპასუხოდ მიიღო გაფრთხილება, რომ „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა“. ცნობილია ზ. გამსახურდიას პასუხი: „დინების მიმართულებით მხოლოდ მკვდარი თევზები მიცურავენ“.

დღეს კი, 18 წლის გადასახედიდან ვხედავთ, რომ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა სწორედ იმ მიმართულებით ყალიბდება, რომელზეც ოცნებობდა და რომლისთვისაც იბრძოდა ზვიად გამსახურდია, ხოლო დასავლეთის პოლიტიკური ბომონდი უკვე ღიად აღიარებს, რომ ამ პროცესის თანამდევნი სისხლიანი პერიპეტიები მიზეზია 90-იანი წლების აშშ-ს პოლიტიკური სტრატეგიის შეცდომისა.

ზვიად გამსახურდია, როგორც ხალხის ჭეშმარიტი რჩეული და მისი ნების აღმსრულებელი, 1991 წლის 31 მარტს ატარებს რეფერენდუმს კითხვით „ხართ თუ არა თანახმა აღდგეს საქართველოს

¹⁴⁴ მ. გორბაჩოვი – მიხეილ გორბაჩოვი (რუს. Михаил Сергеевич Горбачёв; 1931-2022) – საბჭოთა და რუსი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სკკპ-ს ცკ-ის ბოლო გენერალური მდივანი (1985-1991).

¹⁴⁵ ედუარდ შევარდნაძე – ედუარდ შევარდნაძე (1928-2014), 1972-1985 წლებში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1985-1990 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წლებში საქართველოს მეორე პრეზიდენტი.

¹⁴⁶ ჯორჯ ბუში – ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში (ინგლ. George Herbert Walker Bush; 1924-2018) – ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 41-ე პრეზიდენტი 1989-1993 წლებში რესპუბლიკური პარტიიდან.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“. რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა 89,3% კითხვას დადებითად პასუხობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეროვნული უმცირესობები საქართველოში არ იჩაგრებოდნენ (ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა მაშინ 67%-ს შეადგენდა). ამავე დროს, 31 მარტს საქართველოში ჩატარდა პირველი ადგილობრივი არჩევნები. 1991 წლის 9 აპრილს კი რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს უზენაესი საბჭო იღებს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“. ამავე წლის 26 მაისს ტარდება პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნები, რომელშიც 87%-ით იმარჯვებს ზვიად გამსახურდია და ხდება საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა საბჭოთა კავშირმა და შეიქმნა NIA, რომელშიც გაერთიანდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოს გარდა (ბალტიის რესპუბლიკები მონაწილეობას არ ღებულობდნენ). იმავე საღამოს საქართველოს დელეგაციას რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განუცხადა: დილის 8 საათამდე ვაძლევ ვადას ზვიად გამსახურდიას, რომ დასთანხმდეს საქართველოს NIA-ში გაერთიანებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეგექმნებათ პრობლემები.

1991 წლის 22 დეკემბერს, დილის 8 საათზე, მთავრობის სასახლის შტურმით დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, რომელსაც რუსეთისავე პროპაგანდის გამო დღესაც საქართველოშიც კი „სამოქალაქო ომს“ უწოდებენ. რუსეთის მხარეს იბრძოდნენ: საბჭოთა პარტიული ნომენკლატურა, პრორუსული პოლიტიკური პარტიები, საბჭოთა პრივილეგირებული ინტელიგენცია ანუ ბოროტების იმპერიის მთელი მეხუთე კოლონა, მათი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, საპატიმროებიდან გამოშვებული რამდენიმე ათასი კრიმინალი და რუსული სპეცრაზმი.

1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებთან ერთად დატოვა მთავრობის სასახლე და დაიწყო მისი მოღვაწეობა ემიგრაციაში – ჩეჩნეთში. 1993 წლის 24 სექტემბერს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების შემდეგ ზვიად გამსახურდია ბრუნდება ზუგდიდში. 26 სექტემბერს მცირე ამალით იგი მიემართება აფხაზეთის ფრონტზე, შემდეგ ოჩამჩირეში, შევარდნაძის გენერალიტეტის შტაბში და სთავაზობს მათ ძალების გაერთიანებას რუსი ოკუპანტებისგან აფხაზეთის გასათავისუფლებლად, რასაც გენერალიტეტი სრული შემადგენლობით თანხმდება; იქმნება ერთობლივი სარდლობა და შტაბი. 27 სექტემბერს რუსეთის მიერ ხელდასმული შევარდნაძე აბარებს სოხუმს, მეორე დღეს კი მთელ აფხაზეთს მდინარე ენგურამდე, რის საწინააღმდეგოდაც რუსეთი საქართველოში აგზავნის შავი ზღვის ფლოტს ბალტიის ხელმძღვანელობით საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და ფაქტობრივად მთელი საქართველოს წინააღმდეგ.

იწყება ზვიად გამსახურდიას მორიგი დევნა, რაც 1993 წლის 31 დეკემბერს მისი მკვლელობით მთავრდება – მკვლელობით, რომელიც დღესაც გაუხსნელია, მკვლელობით ადამიანისა, რომელმაც მთელი ცხოვრება ზვარაკად შესწირა პიროვნების, რწმენის და ერების თავისუფლებას, ადამიანისა და ცალკეული ქვეყნების დაცვას, რისთვისაც 1978 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ ნობელის პრემიაზე გახლდათ წარდგენილი.

ბატონებო, ზვიად გამსახურდიას თითოეულ ლიტერატურულ ქმნილებაზე, სამეცნიერო ნაშრომზე, მისი ბრძოლის თითოეულ ეტაპზე ადამიანისა თუ ერის თავისუფლებისათვის, თითოეულ მის წერილსა, დადგენილებასა თუ ბრძანებულებაზე მრავალტომიანი ნაშრომები შეიძლება დაიწეროს და დაიწერება კიდევ. ამიტომ მომიტევეთ, თუ ერთ, რამდენიმეწუთიან გამოსვლაში შევეცადე მისი ღვაწლის წარმოჩენას. იგი ხომ იმ მცირერიცხოვან ადამიანთა წარმომადგენელია კაცობრიობის ისტორიაში, რომლებიც რაც უფრო დაგვიმორღებია, მით უფრო დიდები გამოჩნდებიან.

კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენ, ვულოცავ მთელს ჩვენს ქვეყანას, თავისუფლებისა და მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას მისი უდიდესი შვილის, საქართველოს განმათავისუფლებელისა და პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავს.

ჩემი გამოსვლა მინდა დავამთავრო ზვიად გამსახურდიას ერთი სტროფით, რომლითაც ჩვენ მოგვმართავს:

„ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მჯდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე,
წმინდა გიორგის და ნინოს ჯვარი“.

სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ ჯუმბერ ოდიშელის
წიგნის „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები“ პრეზენტაციაზე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში,
2010 წლის 19 ივლისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ ჯუმბერ ოდიშელის წიგნის „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები“ პრეზენტაციაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2010 წლის 19 ივლისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ელენე (ლელიკო) მაჭავარიანი (დ. 1931) – ისტორიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1958 წელს მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1968 წელს – ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1988 – წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, 2004 – მეცნიერ-მკვლევრად, 2009 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლად; 1973-2004 წწ. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის პედაგოგია. არის 47 სამეცნიერო ნაშრომისა და 7 წიგნის ავტორი. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „XII-XIII სს. ქართულ და ბიზანტიურ მოხატულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისთვის“, ხოლო 1987 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „XI-XIV სს. ქართული ოთხთავის სისტემა“. 1977 წელს ელენე მაჭავარიანის ავტორობით გამოიცა წიგნი „ქართული ანბანი“¹⁴⁷, 1982 წელს – „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“¹⁴⁸, 2012 წელს – „ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები“¹⁴⁹. სიტყვის ადრესატია ჯუმბერ ოდიშელი (1932-1998) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ავტორია რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის, 2010 წელს გამოიცა მისი „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები“¹⁵⁰.

სიტყვა გამოქვეყნდა 2012 წელს წიგნში „ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები“, სათაურით „ეს ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო...“¹⁵¹. კრებული მიეძღვნა ელენე მაჭავარიანის დაბადებიდან 80 წლისთავს. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁴⁷ მაჭავარიანი, ე., ქართული ანბანი: საქ. სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება, თბილისი, განათლება, 1977.

¹⁴⁸ მაჭავარიანი, ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბილისი, ხელოვნება, 1982.

¹⁴⁹ მაჭავარიანი, ე., ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2012.

¹⁵⁰ ოდიშელი, ჯ., ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები, თბილისი, 2010.

¹⁵¹ მაჭავარიანი, ე., ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2012, გვ. 380-382.

**Speech Delivered by Elene Matchavariani at the Presentation of Jumber
Odisheli's Book "Historical-Publicistic Essays" at the Georgian
National Academy of Sciences, on July 19, 2010**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Elene Matchavariani at the presentation of Jumber Odisheli's book "Historical-Publicistic Essays" at the Georgian National Academy of Sciences, on July 19, 2010]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Elene (Leliko) Matchavariani (b. 1931) – a historian, teacher, art historian, Doctor of Art History, Professor. In 1954, she graduated from the Faculty of History of Tbilisi State University in 1954. In 1958, she worked as a junior research fellow at the Institute of Manuscripts; in 1968, as a senior research fellow at the same institute; 1988 – as a leading research fellow, 2004 – as a research scientist, 2009 – as a chief specialist of the Art History Department of the National Center of Manuscripts, G. Chubinashvili Institute of Georgian Art History; In 1973-2004 teacher of the Department of Art History and Theory at the Tbilisi Academy of Arts. She is the author of 47 scientific papers and 7 books. In 1964, she defended her candidate's thesis on the topic "Interrelations between Georgian and Byzantine Painted Manuscripts of the 12th-13th centuries", and in 1987 – her doctoral thesis on the topic "The Georgian Four-Headed System of the 11th-14th centuries". In 1977, the book "Georgian Alphabet" was published under the authorship of Elene Matchavariani¹⁵², in 1982 – "Graphic Foundations of the Georgian Alphabet"¹⁵³, in 2012 – "Georgian Manuscripts: Issues of Writing and Ornamentation"¹⁵⁴. The addressee of the speech is Jumber Odisheli (1932-1998) – a Georgian historian, Doctor of Historical Sciences. He is the author of several scientific works, including his "Historical-Publicistic Essays" published in 2010¹⁵⁵.

The speech was published in 2012 in the book "Georgian Manuscripts: Issues of Writing and Decoration" under the title "These were the best years of our lives..."¹⁵⁶. The collection was dedicated to the 80th Anniversary of the birth of Elene Matchavariani. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁵² Matchavariani, E., *Georgian Alphabet: Voluntary Society of Book Lovers of the Georgian SSR*, Tbilisi, Ganatleba, 1977 (in Georgian).

¹⁵³ Matchavariani, E., *Graphical Fundamentals of the Georgian Alphabet*, Tbilisi, Khelovneba, 1982 (in Georgian).

¹⁵⁴ Matchavariani, E., *Georgian Manuscripts: Issues of Writing and Decoration*, Tbilisi, Printing House of the Georgian National Academy of Sciences, 2012 (in Georgian).

¹⁵⁵ Odisheli, J., *Historical-Publicistic Essays*, Tbilisi, 2010 (in Georgian).

¹⁵⁶ Matchavariani, E., *Georgian Manuscripts: Issues of Writing and Decoration*, Tbilisi, Printing House of the Georgian National Academy of Sciences, 2012, pp. 380-382 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ელენე მაჭავარიანის მიერ ჯუმბერ ოდიშელის წიგნის
„ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები“ პრეზენტაციაზე, საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2010 წლის 19 ივლისს**

„საკანი №76“ – ასე შეარქვა ჯუმბერმა ოთახს (76 ოთახის ნომერი იყო), სადაც ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებიდან – 1958 წლიდან 1966 წლამდე (ინსტიტუტი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმის შენობაში რამდენიმე ოთახში იყო განთავსებული ახალი შენობის აშენებამდე) „ვმოღვაწეობდით“. ამ საკნის თავდაპირველი მკვიდრნი იყვნენ: ნაი ბაქრაძე, დიდი ქუთათელაძე, რუსუდან გვარამია, ნანა ყანჩაველი, ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი, ზაზა ალექსიძე, ჯუმბერ ოდიშელი და მე. შემდეგ შემოგვემატნენ თამაზ ბარამიძე და გურამ ჯანდიერი. მან შეცვალა ზაზა ალექსიძე, რომელიც შოთა ბურჯანაძესთან მეგობრობდა და დერეფნის ბოლოს „კაცების“ ოთახში გადავიდა. თუმცა სულ ჩვენთან იყო. ოთახის ხშირი სტუმრები იყვნენ ბაქარ გიგინეიშვილი და ლეილა ფარულავა (ნუკრის მომავალი მეუღლე).

რა ხდებოდა თანამშრომლებით და მაგიდებით გაჭედულ ამ პატარა საკანში? და რაც ხდებოდა, ამის სულისჩამდგმელი ჯუმბერ ოდიშელი გახლდათ. წარმოიდგინეთ 8 საათიანი სამუშაო დღე ერთსაათიანი შესვენებით. ღამდებოდა და ისევ ინსტიტუტში ვიყავით ჩვენი დირექტორის – ილია აბულაძის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩვენი „ჯუბიკო“ ყოველ დღით მარდად შემოაღებდა კარებს და სანამ მაგიდასთან მოკალათდებოდა, ყველას მისთვის ჩვეული ფრაზებით შეგვამკობდა: „გაწყდა შოშიაშვილის ციგანი თავი“ – მიმართავდა ნუკრი შოშიაშვილს. „სკვარჩალ, სკვარჩალ“ – შეეხმიანებოდა ნანა ყანჩაველს. „ბენდერ, ბენდერ“ – ასე მეძახოდა მე – ალბათ სტადიონის ბილეთების ხატვას რომ მთხოვდნენ. დახატული ბილეთით კი ერთხელ შავ კოსტუმში გამოწყობილი თავადი – გურამ ჯანდიერი მანქანით ქალაქგარეთ გააბრძანეს. რუსიკოს „კობრა“ შეარქვა იმის გამო, რომ ჯუმბერის ნათქვამს ხშირად აკრიტიკებდა. დაურეკავდა და იკითხავდა: „სერპანტიუმიაო?“, ზოგჯერ კი „მოეფერებოდა“: „შენ თავლში ამოვლებული ალოე ხარო!“. როცა რუსიკომ ფეხი მოიტეხა – მანქანა დაეჯახა და მძლოლი გაქრა, ჯუმბერმა რუსიკოს დაურეკა: „მძლოლი სასამართლოში ჩივის მანქანა დამიმტვრიაო“. ნაი ოთახს რომ მოუახლოვდებოდა და ჩაახველებდა, „მოაყვირა პლატფორმაზეო“ – ჩაილაპარაკებდა. ბოლოს მაინც თავის მეუღლეს გადასწვდებოდა. სერიოზულ ქალბატონ ლამარა ეძგვერამეს რატომღაც „ტაში-ლამარას“ ეძახდა და თან ეძგვერამე ბარნაბასაც არ დაივიწყებდა.

არასოდეს მოგეფერებოდათ, არც გაგრძნობინებდათ რაოდენ ძვირფასები ვიყავით მისთვის. რამე რომ გწყენოდათ, იმის საშუალებასაც არ გაძლევდათ. ერთხელ, არ მახსოვს რაზე, გავებუტე. შესარიგებლად ხინკლით სავსე ქვაბი მოარბენინა. უაღრესად განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი იყო.

კამათი ძალიან უყვარდა. განსაკუთრებით მაშინ იყო კმაყოფილი, როცა რაიმე საკამათოს გამოძებნიდა და საგანგებოდ აიყოლიებდა ვინმეს. განსაკუთრებით კი ლილი ქუთათელაძე ჰყავდა ამოჩემებული. ქ-ნი ლილი, უფროსი თაობის წარმომადგენელი, ჩვენთან მეგობრობდა. იგი სეიფის მცველიც იყო და ყელზე ჩამოკიდებული სეიფის მძიმე გასაღებებით ენერგიულად მიდი-მოდიოდა. მას ბ-ნი ილია ხშირად შეახსენებდა: „აყოლილი ხარ, აყოლილიო“.

ჯუმბერი განსაკუთრებით იყო მონდომებული, რომ ქ-ნი ლილი აელეღვებინა. ძალიან მშვიდად ეტყოდა: „რა არის, ქ-ნო ლილი, აკაკი რა პოეტიაო“ ან „პავლე ინგოროყვა რა მეცნიერიაო!“. ამის თქმა და ქ-ნი ლილი წამოხტებოდა, ხელების ქნევით უმტკიცებდა საწინააღმდეგოს და ეს ხომ ერთხელ და ორჯერ არ განმეორებულა! ჯუმბერი ჩაბჭირდებოდა, ჩვენც აგვიყოლიებდა და ოთახში იყო

ერთი ხორხოცი და ჟრიაშული. დღესაც მიკვირს, როგორ ვახერხებდით მუშაობას, როგორ ვწერდით სამეცნიერო ნაშრომებს, როგორ ვიცავდით დისერტაციებს. ჩვენ მაშინ ახალგაზრდები ვიყავით.

ჩვენი ოთახი – „საკანი №76“ განლაგებული იყო ბ-ნი ილიას ოთახის გვერდით. ხშირად თურმე აღმოხდებოდა ხოლმე: „ამდენი რა აცინებთ, ნეტა“. მაგრამ არც ერთხელ კედელზე არ მოუკაკუნებია. თუმცა ზოგჯერ შემოიხედავდა, მკაცრად გადმოგვხედავდა, მაგრამ ჯუმბერის სახუმარო ნათქვამზე, თვითონაც „აყოლილი“ რჩებოდა.

ჯუმბერი ხშირად თავის თავზეც ხუმრობდა. თავის თავს „დაფურცლებულს“ (ჭადრაკში წაგებულს) უწოდებდა. ხშირად შეგვახსენებდა: ჩემი ბინის ტელეფონი – 22-70-79 – დიდი ბელადების დაბადების ბოლო ორ წელს ემთხვევა, ადვილად დასახსომებელიაო. თავის ნამდვილ გვარზე (ხუხუნი იყო) კი შალვა ნუცუბიძის ხუმრობას იმეორებდა. სანამ ფასანაურის ქუჩაზე მამისეულ სახლში გაფართოვდებოდნენ, სანამ პარკაძეებისაგან განთავისუფლდებოდნენ, ჯუმბერი დილიდან საღამომდე სულ კარებს ითვლიდა. ჩვენც ჩაბმული ვიყავით მომავალი საცხოვრებელი ოთახებისა და კარის აღნუსხვაში. ქ-მა ლამარამ დამიდასტურა, რომ მათ ბინას მართლაც ბევრი ფანჯარა და კარი აქვს.

როცა მეორე ქალიშვილი შეეძინა, თავის თავს „ორიანი“ დაუწერა: «опять двойка» – ასე გვამცნო ქეთინოს ამ ქვეყნად მოვლინების ამბავი. თუკი მოეწონებოდა სხვისი ნათქვამი, ხშირად იცოდა განმარტება. მაგ. „ქალო! წითლანამე ხარ თუ ყვითლანამეო“. ეს იყო ერთ-ერთი ლექტორის გაბრაზებული მიმართვა ჯუმბერის თანაკურსელ ლეილა წითლანაძისადმი ლექციებზე საუბრის გამო.

ჯუმბერის ოჯახის ქება ბავშვობიდანვე მესმოდა. მამაჩემი სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი იყო, ჯუმბერის დედა – სათნო და კეთილშობილი ქალი – შურა წერეთელი – სწავლული მდივანი. მისი ხელმოწერით მამაჩემის სახელზე გაცემული რამდენიმე საბუთი დღემდე სათუთად მაქვს შენახული.

თვით ჯუმბერს სკოლამდელი ასაკიდან ვიცნობდი. ფრანგულ საბავშვო ბაღში დავდიოდით კალანდაძის ქუჩაზე (ამჟამად ა.შანიძის ქუჩა) მაღამ სტრელეცკაისთან. ცელქი იყო და ამის გამო „მადამი“ ხშირად ოთახიდან აძევებდა. ერთხელ მეც ვიცელქე და ჯუმბერთან ერთად აღმოვჩნდი ბნელ კორიდორში, რომლის ბოლოს დიდი ძაღლი იყო დაბმული. კედელს ავეკარი, შიშისაგან გული მისკდებოდა. ჯუმბერი კი... აინუნშიც არ აგდებდა ამ ამბავს. დახტოდა, ტრიალებდა და რაც ყველაზე საშინელება იყო, ძაღლს აბრაზებდა.

აქვე მიინდა გავიხსენო, რაც ჯუმბერს გულს უკლავდა. ეს იყო მისი დის – ელისოს ნაადრევი გარდაცვალება. იგი ჩვენზე უფროსი იყო. მახსოვს „მადამთან“ შემოვიდოდა წყნარად, სერიოზული, ფრანგული გაკვეთილის მოსამზადებლად. ეს ჯუმბერს მხოლოდ ერთადერთხელ შევახსენე.

დღეს არც ჯუმბერი გვყავს და არც ჩვენი ოთახის მკვიდრთაგან – ნანა ყანჩაველი, ქ-ნი ლილი ქუთათელაძე და ნუკრი შოშიაშვილი. დასანანია, სამწუხაროა. ვიმედოვნებ, რომ მათი გახსენება ძველი თაობისათვის კეთილად მოსაგონარი იქნება. ეს ხომ ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო...“

სიტყვა, წარმოთქმული ლია მელიქიშვილის მიერ წიგნის „მედეა აბაშიძე“ პრეზენტაციაზე, 2015 წელს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ლია მელიქიშვილის მიერ წიგნის „მედეა აბაშიძე“ პრეზენტაციაზე, 2015 წელს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ლია მელიქიშვილი (დ. 1943) – ეთნოლოგი. 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1967-2006 წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოკომფლიქტების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი; კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე; 1990-1992 წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1992-1994 წწ. – ადამიანთა და ნაციონალური უმცირესობის უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი. 1984 წლიდან არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; 2001 წლიდან – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. სიტყვის ადრესატია მედეა აბაშიძე (1951-2014) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე, ლინგვისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი. დაამთავრა უცხო ენათა ინსტიტუტი. ფლობდა ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს. მუშაობდა რედაქტორად გაზეთში „საბჭოთა საქართველო“. 1975 წლიდან აკადემიკოს შოთა მიძიგურის მიწვევით, სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწეობდა და იყო საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის სწავლული მდივანი. მუშაობდა უფროს მეცნიერ მუშაკად ისტორიის ინსტიტუტში და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. მან 1990 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ისტორიული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის წყაროთმცოდნეობითი ასპექტები“. 1996 წელს მისი რედაქტორობით პირველად გამოიცა „მატიანე ქართლისაჲს“ ინგლისური ვერსია. მედეა აბაშიძემ გამოაქვეყნა 30-ზე მეტი ნაშრომი თუ ნარკვევი, ბოლო დრომდე მუშაობდა „ქართველთა ცხოვრების“ ტექსტების ინგლისურ თარგმანებზე, რაც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაისტამბა. 2015 წელს გამოიცა წიგნი სახელწოდებით „მედეა აბაშიძე“¹⁵⁷, რომლის პრეზენტაციაზეცაა აღნიშნული სიტყვა წარმოთქმული.

სიტყვა გამოქვეყნდა 2015-2016 წლების სამეცნიერო ჟურნალში „ქართული წყაროთმცოდნეობა“, სათაურით „მედეა აბაშიძის გახსენება“, ხოლო ქვესათაურით „წიგნის „მედეა აბაშიძე“ პრეზენტაციაზე წარმოთქმული სიტყვა“¹⁵⁸. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁵⁷ ჯოხაძე, გ., აბაშიძე, დ., (შემდგ.), მედეა აბაშიძე: დრო და პიროვნება, თბილისი, ნეკერი, 2015.

¹⁵⁸ ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა“, თბილისი, 2015-2016, №17-18, გვ. 377-379.

Speech Delivered by Lia Melikishvili at the Presentation of the Book “Medea Abashidze”, in 2015

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Lia Melikishvili at the presentation of the book “Medea Abashidze”, 2015]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Lia Melikishvili (b. 1943) – an ethnologist. In 1965, she graduated from the Faculty of Oriental Studies of Tbilisi State University. From 1967 to 2006, she was the head of the ethnoconflicts study group at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of the Georgian Academy of Sciences; head of the Caucasian Ethnology Department; From 1990 to 1992, she was a senior research fellow at the Institute of Demography and Sociology of the Georgian Academy of Sciences; from 1992 to 1994, Leading specialist of the Committee for the Protection of Human and National Minority Rights. Since 1984, she has been a candidate of historical sciences; since 2001, a doctor of historical sciences. The addressee of the speech is Medea Abashidze (1951-2014) – a philologist, historian, source expert, linguist, translator and journalist. She graduated from the Institute of Foreign Languages. She was fluent in English, German, and Russian. She worked as an editor for the newspaper “Sabtchota sakartvelo”. Since 1975, at the invitation of Academician Shota Dzidziguri, she worked at the Georgian Academy of Sciences until the end of her life and was the learned secretary of the Commission on the Sources of Georgian History. She worked as a senior researcher at the Institute of History and the Institute of Oriental Studies. In 1990, she successfully defended her dissertation on the topic “Source-scientific aspects of the translation of Georgian historical sources into Russian”. In 1996, under her editorship, the English version of “Matiane Kartlisai” was first published. Medea Abashidze published more than 30 works and essays, and until recently she worked on English translations of the texts of “The Life of Georgians”, which were only published after her death. In 2015, a book entitled “Medea Abashidze” was published¹⁵⁹, at the presentation of which the aforementioned speech was delivered.

The speech was published in the 2015-2016 scientific journal “Georgian Source Studies” under the title “Remembering Medea Abashidze”, and with the subtitle “Speech delivered at the presentation of the book “Medea Abashidze”¹⁶⁰. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁵⁹ Jokhadze, G., Abashidze, D., (eds.), *Medea Abashidze: Time and Personality*, Tbilisi, Neker, 2015 (in Georgian).

¹⁶⁰ Journal “Georgian Source Studies”, Tbilisi, 2015-2016, №17-18, pp. 377-379 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული ლია მელიქიშვილის მიერ წიგნის „მედია აბაშიძე“
პრეზენტაციაზე, 2015 წელს**

„რამდენიმე დღის წინ ჩემს ბიბლიოთეკაში წიგნს ვეძებდი. თაროზე ევლია ჩელების¹⁶¹ მოგზაურობას წავაწყდი და, როგორც უმრავლესობას სჩვევია, გადავშალე და უკვე მერამდენედ კითხვა დავიწყე.

ევლია ჩელები თავის მოგზაურობის წიგნში წერს, რომ უნდოდა მსოფლიო, განსაკუთრებით კი წმინდა ადგილები: მექა, მედინა და ა.შ. მოევლო. ერთხელ, როდესაც სიზმარში წინასწარმეტყველი მოევლინა, მან მფარველობის ნაცვლად, როგორც თვით აღნიშნავს, შესცოდა, და მოგზაურობა შეევედრა.

არა მგონია ადამიანთა უმრავლესობა, ღვთის წინაშე მყოფი, ასეთი სურვილით მიმართავდეს, უფალს, უმეტესობა მაინც მფარველობას და დღეგრძელობას ამჯობინებს. თუ გავითვალისწინებთ წიგნში მედია აბაშიძე თავმოყრილ ინფორმაციას, მედია უფალს ალბათ წმინდა ადგილებში მოგზაურობას შესთხოვდა, მხოლოდ არა მარტო წმინდა მიწაზე, არამედ იმ სამეცნიერო კონფერენციებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რომ ტარდებოდა, რადგანაც, მისთვის ყველაზე დიდი სიწმინდე ხომ მეცნიერების ის დარგი იყო, რომელსაც სიცოცხლის მანძილზე მუხლჩაუხრელად ემსახურა. ნამდვილად მჯერა, რომ მედეამ უფლისაგან თავის მფარველობას, მეცნიერების მფარველობა ამჯობინა და ამიტომაც დატოვა სააქაო ასე უდროოდ და მეცნიერებას კი დიდი განძი დაუტოვა. ამაზე მეტყველებს წიგნი, სადაც თვალნათლად ჩანს მისი მოღვაწეობის შედეგები და ნიჭიერება, რომლითაც იგი უხვად იყო დაჯილდოებული.

თვით მედეას ეს ნიჭი ღვთისათვის არ უთხოვია. ის თავიდანვე იყო განსაზღვრული და მის გენეტიკაში დასადგურებული. ეფექტური კრეატივით, ანუ შემოქმედებითი აზროვნებით, უნდა იყო დაჯილდოებული ადამიანი, რომ, ჩაწვდე სიღრმეებს და აღმოაჩინო ის, რაც მედეამ შესძლო სიძველეთა მოძიებაში და წყაროთმცოდნეობაში.

მისი სამეცნიერო მოგზაურობა და სამოცდაათამდე სამეცნიერო ფორუმი, საკმაოდ სერიოზული მოხსენებებით, მონაწილეობა 1978 წლიდან მისი სიცოცხლის ბოლო 2014 წლამდე, საკმაოდ შთამბეჭდავია. ქალბატონ მედეას ლექციები და მოხსენებები ესპანეთის, ბერკლის, ჰაიდელბერგის, სტენფორდის, ჯორჯ ტაუნის, ჰონგ-კონგისა და ტაივანის უნივერსიტეტებში გამართულ კონფერენციებსა თუ დისკუსიებში საქართველოსა და კავკასიის თემატიკას ეძღვნებოდა.

მედიაზე ხშირად გაიგონებდით „თავისებური ადამიანია“.

დიახ, მედია იყო ასეთი. ის არ იყო ორდინალური პიროვნება. ეს სრულიად გასაგები ხდება მას შემდეგ, როდესაც მის წარმოშობას და გვარის ისტორიას გაეცნობით. იგი იმერეთის აბაშიძეთა დიდი საგვარეულოს, რომელიც სათავეს XIII-XIV საუკუნეებში იღებს, შთამომავალია. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ მისი თავისებურებაც, ნიჭიც, დიდბუნებოვნებაც, ერთგულებაც და სხვა მრავალი დადებითი თვისება. მედია თავად აღნიშნავდა: „დღეს გვარიშვილობაზე საჯარო საუბარს ვერიდები, მაგრამ ძალზე მსიამოვნებს, როდესაც აღნიშნავენ – აბაშიძის ქალიაო... პასუხისმგებლობას ვგრძნობ წინაპართა წინაშე, რაც მავალდებულებს ჩემი გენის, ისტორიის სიყვარულსა და დაფასებას“. მედეას თავისებურებაც სწორედ გენეტიკიდან მომდინარე სიამაყისა, სიძლიერის და ერის წინაშე მოვალეობის განცდა იყო. სწორედ ამ მოვალეობის გრძნობამ მრავალმხრივ ნიჭიერი მედია ისტორიის დარგის კარიბჭესთან შეაჩერა. შესაძლებელია იგი ყოფილიყო კარგი მსახიობი, კარგი დიზაინერი, მოცეკვე და ა. შ., რისი ნიჭიც ჰქონდა და ბავშვობაში რაზეც ოცნებობდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ დაძლია და თავისი ბედი ისტორიის ისეთ მიმართულებას დაუკავშირა, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს ერის ღირებულებებს.

¹⁶¹ ევლია ჩელები – ევლია ჩელები (თურქ. Evliya Çelebi; 1611-1683) – ოსმალის მწერალი, მემატანე და მოგზაური.

მედემ უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა და რამდენიმე ენას ფლობდა სრულყოფილად. სწორედ ამან განაპირობა მის მიერ სერიის ქართული ისტორიული წყაროების ინგლისური თარგმანები და 1996 წელს, მისი რედაქტორობით მატანე ქართლისაის ინგლისური თარგმანის გამოცემა. მისი მთარგმნელობითი საქმიანობა მხოლოდ ტექსტის თარგმნით არ იზღუდებოდა. მისი პროფესიონალიზმი ამ დარგის მიმართ აისახა მისსავე დისერტაციაში ქართული ისტორიული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის წყაროთმცოდნეობითი ასპექტები, რომელსაც მთარგმნელი – ვირტუოზი აკადემიკოსი თინა ყაუხჩიშვილი ასე აფასებდა: „მედეა აბაშიძემ ჩაატარა მეტად ნაყოფიერი და საინტერესო სამუშაო ქართული ისტორიოგრაფიისათვის... ყურადღებას იმსახურებს ავტორის მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები. შრომას ამშვენებს მეხუთე თავი „თარგმანების შედარებითი-სტატისტიკური ანალიზი“, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა მთარგმნელის მიერ შესრულებული „შუშანიკის წამების“ თარგმანის მათემატიკური ანალიზის შედეგები“. ასევე უამრავი გამოჩენილი მეცნიერი, მათ შორის, უცხოელიც, თარგმანის თეორიის და პრაქტიკის საქმეს მაღალ შეფასებას აძლევენ და ქართული ისტორიული წყაროების თარგმნის თეორიული მოსაზრებების, პრინციპების ჩამოყალიბება-განვითარებაში მის დამსახურებაზე მიუთითებენ. საინტერესოა ისიც, რომ მედეა პოეზიის თარგმნის თავისებურებების თეორიაზე საუბრობდა, ხოლო პრაქტიკულად მაღალ დონეზე თარგმნიდა კიდევ. მისი შენ ხარ ვენახის ინგლისური თარგმანი ამის მკაფიო დადასტურებაა.

მედეას სამეცნიერო მოღვაწეობა იმდენად მრავალმხრივია, რომ გაცემას იწვევს მის მიერ გამოცემული ნაშრომების ბიბლიოგრაფია. მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული 100-მდე ნაშრომი და თარგმანები კომენტარებით ძალზედ ფასეულია. მედეა აბაშიძის როლი, სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად ქართლის ცხოვრების (ქართული, რუსული, ინგლისური) გამოცემის საქმეში სათანადოდ შეფასდა.

ქართული საზოგადოება მედეა აბაშიძის თარგმანების წყალობით ძალიან საყურადღებო მასალას გაეცნო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ბრიტანეთის მუზეუმიდან და ოქსფორდის უნივერსიტეტის საარქივო ფონდიდან ჩამოტანილი მასალები; ნარკვევი და-მმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების¹⁶² შესახებ; ალ-ჰასან იბნ ტალალის¹⁶³ ქრისტიანობა არაბულ სამყაროში; ნიკოლას ვიტსენის¹⁶⁴, სოლომონ მალანის¹⁶⁵ და სხვათა ცნობები და სხვა.

მედეა ღირსეული და მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება იყო. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ისეთივე აქტიურობით იყო ჩართული, როგორც მეცნიერებაში. არ აკლდებოდა არც ოპერას, თეატრს, გამოფენებს. პოლიტიკაშიც კარგად ერკვეოდა. ამის დადასტურებაა ისეთ არაორდინალური პროექტი, როგორცაა 1998 წელს თეთრი სახლის პატრონაჟის ქვეშ მყოფი ქენან ინსტიტუტის კონკურსში გამარჯვებული ლეონტი მროველიდან ედუარდ შევარდნაძემდე. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ქალბატონმა მედეამ თვალი გაადევნა ე.წ. „კავკასიური სახლის“ ფორმირებასა და არსებობას, რომელიც ტოლერანტობაზე იყო დაფუძნებული.

მედეა ნამდვილი არისტოკრატის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მედეა აბაშიძემ ცხოვრების გზა ნაყოფიერად განვლო, რადგანაც მისი მეცნიერული კვლევის შედეგები, თუ სხვა პუბლიკაციები, აშკარად დაუზარელი შრომის შედეგია. მისთვის შრომა ჩვეული მოვლენა იყო, მან არ იცოდა შეჩერება, შესვენება და საქმის სამომავლოდ გადადება. ის კი არა, ამ

¹⁶² მარჯორი და ოლივერ უორდროპები – მარჯორი უორდროპი (1869-1909) – ბრიტანელი სწავლული და მთარგმნელი. პირველმა თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“; ჯონ ოლივერ უორდროპი (1864-1948) – ბრიტანელი დიპლომატი და მთარგმნელი, გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1919-1921).

¹⁶³ ალ-ჰასან იბნ ტალალი (დ. 1947) – მწერალი. ავტორია მრავალი ნაშრომისა, მათ შორის, რამდენიმე წიგნის: „იერუსალიმის შესწავლის გამოცდილება“ (1979 წ.), „პალესტინის თვითგამორკვევის საკითხი“ (1981 წ.), „მშვიდობის ძიებაში“ (1984 წ.), „ქრისტიანობა არაბულ სამყაროში“ (1994), „მემკვიდრეობითობა, ახალსახიობა და ცვლილებები: რჩეული სტატიები“ (2001 წ.), „რას ნიშნავს იყო მუსლიმი“ (2001 წ. თანაავტორობით) და „ერაყის საკითხი“ (2003 წ.).

¹⁶⁴ ნიკოლას ვიტსენი (1641-1717) – ნიდერლანდელი მოღვაწე, კარტოგრაფი, გემთმშენებელი, ექსპერტი რუსეთის საკითხებში. რამდენიმეჯერ იქნა არჩეული ამსტერდამის მერად 1682-1706 წლებში. იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც აღწერა ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია თავის წიგნში: „ჩრდილო და აღმოსავლეთ თათრეთი“ (Noord en Oost Tartarye).

¹⁶⁵ სოლომონ ცეზარ მალანი (1812-1894) – ინგლისელი ენათმეცნიერი, მხატვარი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, სასულიერო პირი, პოლიგლოტი და ორიენტალისტი.

თვისებას შენც გადმოგდებდა და მიხვდებოდი ადამიანი, რომ შეუწყვეტელი შრომა კეთილმსახურების მაგალითს იძლევა. მის ამ თვისებას კარგად ეთანადება წმინდა თეოფანე დაყუდებულის სიტყვები: „დროდადრო შრომა შედეგს არ გამოიღებს. როცა წყლის დაგუბება გასურს და მიწის მხოლოდ ერთ ბელტს ჩაუშვებ წყლის გასასვლელში და მიატოვებ საქმეს, გამდინარე წყალი ამ ბელტს დაშლის. ასე მოხდება ყოველთვის თუ დროდადრო იმუშავებ, იგივე შეიძლება ითქვას სულიერ განწყობილებაზე – გულისთქმები, როგორც მდინარე, ისე მოედინება გონებიდან და გულიდან, თუ შევაკავებთ მას და უცებ გავუშვებთ, ვერაფერს მივალწევთ“. ამიტომაც მედეა აბაშიძის გეგმაზომიერი შრომის ნაყოფი ნამდვილად მისი სულიერი განწყობის შედეგია.

„ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსი, ქალბატონი მედეა აბაშიძე საქართველოს მეფეების კარზე მოღვაწე მდივან-მწიგნობრების საპატოო მოვალეობის შემსრულებელი აბაშიძეების საქმის გამგრძელებლად უნდა ჩაითვალოს. თუმცა იგი დიდგვაროვნობისა და გვარიშვილობის სხვა მრავალ გარეგნულ თუ შინაგან ნიშან-თვისებასაც ღირსეულად ატარებს. განსწავლულობა და პროფესიონალიზმი, ერთგულება და დიდბუნებოვნება, პასუხისმგებლობის გრძნობა სახელოვან წინაპართა წინაშე, აი, არასრული ჩამონათვალი ქალბატონ მედეაში განსხეულებული თავადური გენებისა.“ – ვკითხულობთ წიგნში ჩვენ საქართველოს ქალები.

ამბობენ სიკვდილი მაშინ მოდის, როდესაც ადამიანმა თავისი ამქვეყნიური მისია შეასრულა და სხვა განზომილებაში გადადის.

ამის განმგებელიც უფალია.

მედეამ ისე იშრომა, ისე იღვაწა, რომ აბაშიძეების დიდი საგვარეულოს მისიას თავისი წვლილი შეჰმატა.“

სიტყვა, წარმოთქმული ნინო დობორჯგინიძის მიერ მზექალა შანიძის
90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე,
ქ. თბილისში, 2016 წელს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ნინო დობორჯგინიძის მიერ მზექალა შანიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წელს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნინო დობორჯგინიძე (დ. 1960) – ქართველი ენათმეცნიერი. 1976-1981 სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით. 1982-2006 წლებში მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ხელნაწერების შემსწავლელ ლაბორატორიაში „ორიონი“. 1996-2000 წლებში იყო მოწვეული მკვლევარი გერმანიაში, ქალაქ გოტინგენის გეორგ აუგუსტის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში (პატრისტიკის კვლევების ინსტიტუტი), როგორც სხვადასხვა გერმანული ფონდის (EKD, KAAD, DAAD) სტიპენდიატი. 2000-2001, 2006, 2011 და 2015 წლებში იყო ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის სტიპენდიატი და მუშაობდა გოტინგენისა და ოლდენბურგის უნივერსიტეტებში. 2006 წლიდან დღემდე მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში; 2010 წლამდე იყო მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ენისა და ლიტერატურის მიმართულებით, 2010 წლიდან – სრული პროფესორი. 2017-2021 წლებში იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე კვლევის მიმართულებით. 2022 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტის რექტორი. სიტყვის ადრესატია მზექალა შანიძე (დ. 1926) – ქართველი ენათმეცნიერი და ფილოლოგი. 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1953 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1981 წლიდან). არის 190-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, წიგნებისა და თარგმანების ავტორი. 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“, ხოლო 1974 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“. 1978 წელს გამოიცა მისი წიგნი „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“¹⁶⁶, 1990 წელს – „სიტყუა ართრონთათვის: ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი“¹⁶⁷ და სხვ. სამეცნიერო ინტერესების სფეროები: ქართული ენის ისტორია, ლექსიკოლოგია, ტექსტოლოგია, ბიბლიური ფილოლოგია. სიტყვა ეძღვნება მზექალა შანიძის 90 წლის იუბილეს, რომელიც აღინიშნა 2016 წელს.

სიტყვა ერთადერთხელ გამოქვეყნდა 2016 წელს ჟურნალ „კადმოსში“, სათაურით „გიჩუნო გემოდ მდინარისა დიდისა“, ხოლო ქვესათაურით – „მზექალა შანიძის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა“¹⁶⁸. გთავაზობთ სიტყვის ტექსტს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁶⁶ შანიძე, მ., ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, მეცნიერება, 1979.

¹⁶⁷ შანიძე, მ., სიტყუა ართრონთათვის: ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.

¹⁶⁸ ჟურნალი „კადმოსი“, 2016, №8, გვ. 505-508.

**Speech Delivered by Nino Doborjginidze at the Evening Dedicated
to the 90th Anniversary of Mzekala Shanidze,
in Tbilisi, in 2016**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nino Doborjginidze at the evening dedicated to the 90th Anniversary of Mzekala Shanidze, in Tbilisi, in 2016]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nino Doborjginidze (b. 1960) – a Georgian Linguistics. From 1976 to 1981, she studied at the Faculty of Philology of Tbilisi State University, specializing in Classical Philology. From 1982 to 2006, she worked at the “Orioni” Laboratory for Manuscript Studies, part of the Department of Old Georgian Language at the same university. Between 1996 and 2000, she was a visiting researcher in Germany at the University of Göttingen and the Academy of Sciences (Institute for Patristic Studies), funded by various German foundations (EKD, KAAD, DAAD). In 2000-2001, 2006, 2011, and 2015, she was a fellow of the Alexander von Humboldt Foundation and worked at the Universities of Göttingen and Oldenburg. Since 2006, she has been working at Ilia State University; until 2010, she was an Associate Professor at the Faculty of Arts and Sciences in the Department of Language and Literature, and since 2010, she has been a Full Professor. From 2017 to 2021, she served as Vice-Rector for Research at Ilia State University. Since 2022, she has been the Rector of the same university. The addressee of the speech is Mzekala Shanidze (b. 1926) – a Georgian linguist and philologist. In 1948, she graduated from the Faculty of Oriental Studies of Tbilisi State University. Since 1953, she has been a senior teacher, associate professor, doctor of philological sciences, professor at Tbilisi State University (since 1981). She is the author of more than 190 scientific works, including such books and translations. In 1951, she defended her candidate’s thesis on the topic: “Pharyngeal Sounds in the Ancient Hebrew Language”, in 1974 – doctoral thesis on the topic – “Old Georgian Translations of the Book of Psalms”. Her book “Old Georgian Translations of the Book of Psalms” was published in 1978¹⁶⁹, “The Word of Arthron: An Old Georgian Grammatical Treatise” – in 1990¹⁷⁰, etc. Fields of scientific interest: history of the Georgian language, lexicology, textology, biblical philology. The speech is dedicated to the 90th anniversary of Mzekala Shanidze, which was celebrated in 2016.

The speech was published only once in 2016 in the journal “Kadmos” under the title: “I gave you a taste of the great river” and with the subtitle – “Speech delivered at the Anniversary Evening of Mzekala Shanidze”¹⁷¹. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁶⁹ Shanidze, M., *Old Georgian Translations of the Book of Psalms*, Tbilisi, Metsniereba, 1979 (in Georgian).

¹⁷⁰ Shanidze, M., *The Word of Arthrosis: An Old Georgian Grammatical Treatise*, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 1990 (in Georgian).

¹⁷¹ Journal “Cadmos”, 2016, №8, pp. 505-508 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული ნინო დობორჯგინიძის მიერ მზექალა შანიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წელს

„მზექალა შანიძე არის ჩემი თაობის და პირადად ჩემი პირველი გამოცდილება, როგორც შეიძლება ყოფილიყო, ან უნდა ყოფილიყო სისტემა, რომელიც გაძლევს საშუალებას, ისწავლო და მერე უკვე იმუშაო სამართლიან გარემოში და გქონდეს პროფესიული ზრდის შესაძლებლობა. ეს მაღალი სტანდარტების საგანმანათლებლო ფუნქცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც მთლიან ინსტიტუციას, იმ დროს, ყოველ შემთხვევაში, როცა მე იქ ვსწავლობდი, 80-იანი წლების დასაწყისში, ნამდვილად აღარ ჰქონდა; სისტემა მუშაობდა თითო-ორი პროფესიონალის ხარჯზე, რომლებიც შეუდარებლად კარგად ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობებს; ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ამ თითო-ორიდან ყველაზე გამორჩეული თავისი პირდაპირობით, მიუკერძოებლობით, პროფესიონალიზმით და მაღალი სამეცნიერო ეთიკით, მზექალა შანიძე, იყო ჯერ ჩემი მასწავლებელი, შემდეგ ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი – მე პირველი ასპირანტი ვიყავი, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია – შემდეგ უკვე „ორიონელი“¹⁷² კოლეგა და მეგობარი.

დღეს განსაკუთრებით ვღელავ. ალბათ, ყველაზე რთულია, შენი გამორჩეული მასწავლებელი წარუდგინო შენსავე სტუდენტებს და პირიქით, მასწავლებელს – სტუდენტები. რთულია იმიტომაც, რომ რეალურად სწორედ მათ უშუალო კავშირზეა მიბმული თაობებს შორის უწყვეტი მემკვიდრეობითობის იდეა, რომლის გარეშე ვერ იარსებებს ვერანაირი საზოგადოება, მათ შორის სამეცნიერო. თაობებს შორის ამგვარი კავშირის განცდა დაინტერესებულ სტუდენტს ყველაზე მეტად უჩნდება დარგში ლეგენდად ქცეულ პროფესიონალთან უშუალო შეხვედრისას.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მზექალა შანიძე ქართული ფილოლოგიისთვის სწორედ ასეთი ცოცხალი ლეგენდაა. სულ რამდენიმე მასწავლებელი მყავს, რომელთა წყალობით ვთვლი, რომ მე მოვესწარი საქართველოში ყველა დროის ყველაზე დიდ ევროპულ იდეას, რასაც ერქვა 1918 წლის ქართული უნივერსიტეტი; იდეას, რომელიც ჩემამდე, რიგით სტუდენტამდე, მოიტანა თითო-ორი ადამიანი, პირველ რიგში, ქალბატონმა მზექალამ, ირაკლი შენგელიამ, ნიკო ყიასაშვილმა, ალექსანდრე გვახარამ. ეს იყო მეცნიერული კეთილსინდისიერების, პროფესიული დამოუკიდებლობის, თუ სხვების უფლებების დაცვის იდეა; ის, რაც საბჭოური სისტემისთვის ყოველად გაუგებარი გამოჩნდებოდა.

ამას წინათ ერთმა ჩემმა ბელგიელმა კოლეგამ მკითხა, თქვენს ქვეყანაში რომელ უფლებადამცველ ინსტიტუტს, პიროვნებას ენდობით ყველაზე მეტადო. ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი მიმაჩნია ყველაზე დიდ ავტორიტეტად უფლებადამცველებს შორის-მეთქი, ვუპასუხე. ჩემი კოლეგა ძალიან დაიბნა: ჩემს ასაკს რომ ჩემსა და ხელმძღვანელს შორის შესაძლო სხვაობა მიუმატა, კი „მოხვდა“ საბჭოთა კავშირში და, ცხადია, ვერაფრით წარმოიდგინა იმ სისტემაში სხვების უფლებების დამცველი. ვერ წარმოიდგინა, რომ ჩემი ხელმძღვანელი მზექალა შანიძე სისტემის ის „გაუგებარი“ გამოჩნდებოდა იყო, რომელიც არა მარტო თავად იყო ასეთი უფლებადამცველი, არამედ ყოველ წელს, ანუ სისტემურად, ქმნიდა პატარა, მაგრამ სრულფასოვან პროფესიულ, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამართლებრივ ჯგუფს, ლეგენდარულ „მზექალას კომისიას“ იმათი უფლებების დასაცავად, ვინც არ ეკუთვნოდა საქართველოს საბჭოთა „ბიძაშვილების“ რესპუბლიკას. აი, ამ ყველაფერს როგორ ახერხებდა ის ყოველგვარი ვიდეოკამერების, დაცვის თანამედროვე სისტემის გარეშე, ეს მართლაც გამოცანაა.

¹⁷² „ორიონელი“ – იგულისხმება ორიონი, ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“ შეისწავლის ძველ ქართულ ხელნაწერებს (უმათავრესად საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხელნაწერთსაცავებში დაცულ მანუსკრიპტებს) და გამოსაცემად ამზადებს მათ.

ქალბატონო მზექალა, უკვლოდ მართლაც არაფერი იკარგება, თქვენი შვილიშვილი ელისაბედი, მერვე თუ მეცხრე კლასელი იყო, ევროპის ახალგაზრდულ პარლამენტში შთამბეჭდავი სიტყვით რომ გამოდიოდა, დიახაც იმ ლეგენდარული უფლებადამცველი კომისიის თავმჯდომარე მზექალა შანიძის უშუალო გაგრძელებაა, სხვები, ნათიას, მარიამის, მიხოს, მიშოს შვილები, სხვა – მეცნიერ, ან მასწავლებელ მზექალა შანიძეს გააგრძელებენ, რომელზეც აუცილებლად უნდა ვთქვა ორი სიტყვა.

ვინც თვალს ადევნებს ქალბატონი მზექალას შრომებს, დამეთანხმება, რომ მას თეორეტიკოსობა დიდად არ იტაცებს; რა თქმა უნდა, ყველა მის ნაშრომში, თეორიული საფუძველმდებარე პლანია, მაგრამ წინა პლანი არის კვლევა, რომელიც პროვოცირებულია ყოველთვის ერთი რომელიმე საკითხით, კონკრეტული ფილოლოგიური პრობლემით. ის ფრთხილად სვამს კითხვას, აგერ ეს კონკრეტული ადგილი, ფრაგმენტი ან სიტყვა ხომ არ არის ამ თეორიული კონცეპტის ანარეკლი და მთელი კვლევა ტრიალებს ამ კონკრეტული ტექსტის, წინადადების, ფრაზის, სიტყვის, ან თუნდაც სუფიქსის გარშემო და არა თეორიული ნაწილის, განსაკუთრებით ამ თეორიის გადმომღერების ირგვლივ, როგორც ეს არც თუ იშვიათად ხდება ჩვენში.

მუშაობის ეს მართლაც ძალიან დახვეწილი სტილი, დეტალების ხელოვნება აერთიანებს ქალბატონ მზექალას მის შორეულ წინაპართან, შუა საუკუნეების ყველაზე დიდ ქართველ ფილოლოგთან, რომლის ტექსტების კვლევას და პუბლიკაციას ქალბატონი მზექალა დღემდე აგრძელებს. ვგულისხმობ ქართული გრამატიკული „ტეხნეს“¹⁷³ სისტემატიზატორს და სწორედ დეტალების ოსტატს, ეფრემ მცირეს¹⁷⁴, რომლის თვითდახასიათება ყველაზე მეტად ესადაგება მისი მკვლევრის და გამომცემლის, მზექალა შანიძის დახასიათებას: ერთ-ერთი თარგმანის შესავალში ეფრემი ასე აღწერს თავის ჰერმენევტიკას¹⁷⁵: „რაფთა კნინ-ოდენითა გემოჲს-ხილვითა გიჩუენო გემოჲ მდინარისა დიდისა და მცირისა მიერ ფესვსა განგიცხადო ყოველი ქსოვილებაჲ სამოსლისაჲ“. ეფრემი გვეუბნება, რომ ის მხოლოდ ერთ პატარა წვეთს იღებს, რომლის მიხედვითაც მთელი მდინარის გემოს გაგვაგებინებს, ერთი პატარა ნაგლეჯით, ფრაგმენტით მთელ სტრუქტურას, „ქსოვილებას“ დაგვანახებს.

ეს არის ძველთაძველი იერარქიულ-გვარობრივი წესი, ფილოლოგიაში ჯერ კიდევ ამონიოსის¹⁷⁶ მიერ სისტემატად დამკვიდრებული, რომლის მთავარი მექანიზმი არის მთლიანი სტრუქტურის მატარებელი უმცირესის გამოყოფა და არა უბრალოდ უმცირესის. ამ სისტემატიკის უნიკალური მაგალითია ჩვენი დღევანდელი იუბილარი, რომელიც მთელი თავისი მეცნიერებით გვასწავლის, როგორ უნდა განვსაზღვროთ დიდი იერარქიის მაკონსტრუირებელი მცირე დეტალი და პატარა ბრჭყალის მიხედვით როგორ ამოვიცნოთ დიდი ლომი.

ეს მეცნიერი მზექალა შანიძე, ახლა ორი სიტყვა მასწავლებელ მზექალა შანიძეზეც უნდა ვთქვა. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ხელნაწერებზე, ქალბატონ მზექალას ედო ძირითადი ტექსტი და ვარიანტები, ათასჯერ შემოწმებული, ათასჯერ აწონ-დაწონილი და ჩვენ – თითო-თითო ხელნაწერი, საიდანაც ვუდასტურებდით იკითხვისების სისწორეს. როგორც წესი, ვჩერდებოდით პირველსავე წინადადებაზე და იწყებოდა ლექცია-სემინარების მთელი ციკლი; ზოგჯერ მთელი დღე უნდებოდა ქალბატონი მზექალა ჩვენს „მომზადებას“ ხელნაწერისთვის; კარადიდან თანდათან გადმოალაგებდა ბატონი აკაკის ნაქონ წიგნებს, უკვირდა, როგორ, ამის ცოდნის გარეშე აპირებთ ხელნაწერზე მუშაობასო.

წელს, 16 იანვარს, ქალბატონი მზექალას დაბადების დღეზე, მასთან სახლში რომ ვიყავით, ნანა

¹⁷³ „ტეხნე“ – ხელობა (Τέχνη – ტეხნე), იგულისხმება გრამატიკის ხელოვნება.

¹⁷⁴ ეფრემ მცირე XI საუკუნის II ნახევრის ქართველი სასულიერო მოღვაწე, ღვთისმეტყველი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი. შუა საუკუნეების ქართული სასულიერო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი.

¹⁷⁵ ჰერმენევტიკა – ჰერმენევტიკა (ბერძნ. – განმარტება, თარგმნა, გამოთქმა) – ერთ-ერთი უძველესი, ტრადიციული და უნივერსალური თეორია ტექსტის ინტერპრეტაციისა და გაგების მიხედვით.

¹⁷⁶ ამონიოსი – ამონიოს ერმისის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღად ითვლება 445-517/526 წწ. ამონიოსი იყო პროკლეს მოწაფე ათენში, შემდეგ კი, VI ს.-ის ბოლოს, სათავეში ჩაუდგა ალექსანდრიულ სკოლას, რომელიც გამოირჩეოდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა მოძღვრების კომენტარებით. იგი ითვლება ალექსანდრიული სკოლის ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსად. ამონიოსი ღრმად იყო განსწავლული პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიაში. ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში XII ს.-ში ითარგმნა ამონიოს ერმისის ორი თხზულება: 1. მოსაჯსენებელი „ხუთთა ჳმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა; 2. მოსაჯსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არისტოტელისათა.

შულაძემ გაიხსენა ერთი ასეთი „გაკვეთილი“: დილის 10 საათზე დაგვიბარა ქალბატონმა მზექალამ სახლში. სამი საათი გახდა და ვერაფრით დავიწყეთ ხელნაწერის კითხვა, ხან პრაქტიკულად გვავარჯიშებდა, ხან სტატიებზე გვამუშავებდა, ხან რა დაგვიწუნა, ხან – რა. საღამოს ექვსი საათი რომ გახდა, ნანამ მორიდებით იკითხა – ნანას ქალბატონი მზექალა დეიდად ერგება და ამან გააბედინა – ძალიან დავიღალეთ და ხომ არ წავიდეთ სახლშიო? ქალბატონმა მზექალამ გაიკვირვა, ჯერ არც დაგვიწყია და თქვენ რამ დაგღალათ, მე რატომ არ დავიღალეო. ნანამ არ „დათმო“ საკუთარი უფლებები: თქვენ რომ არ იღლებით ამიტომაც ხართ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი მზექალა შანიძე, მე ერთი ჩვეულებრივი ნანა შულაძე ვარ და, რამდენადაც ვიცი, უნდა მქონდეს დაღლის უფლებათ.

სულ ვფიქრობდი, როგორ უთმობდა ამგვარ „საშინაო გაკვეთილებს“ უამრავ დროს და ენერჯიას, რითაც რამდენიმე სტატიას მაინც დაწერდა. მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, სულ ქმნიდა პროფესიულ სამუშაო გარემოს, ივანე ჯავახიშვილის¹⁷⁷, აკაკი შანიძის¹⁷⁸, ვარლამ თოფურის¹⁷⁹, გიორგი წერეთლის¹⁸⁰ თაობაში დაგროვილი მემკვიდრეობითი ცოდნის გადამცემ მექანიზმს. ზუსტად იცოდა, რომ სწორედ ასე შექმნილ გარემოში ექნებოდა იმ სტატიებსაც ფასი. აი, ამიტომაც არის მზექალა შანიძე ყველასგან გამორჩეული იმ ღირებულებებით, რასაც ჰქვია მთლიან საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეზე პასუხისმგებლობის აღება.

ქალბატონო მზექალა, გულითადი მადლობა თქვენ ამისთვის მთელი თაობებისგან, მათ შორის ჩემი სტუდენტებისგან, რომლებთანაც ხშირად გიმოწმებთ, უნდა გამოვტყდე: არა მარტო ვამაყობ, ვტრიახობ კიდევ. გულითადი მადლობა თქვენ უამრავი ძალიან საინტერესო და სასიამოვნო პროფესიული თუ უბრალოდ ადამიანური სიკეთისთვის.“

¹⁷⁷ ივანე ჯავახიშვილი – ქართველი ისტორიკოსი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

¹⁷⁸ აკაკი შანიძე – ენათმეცნიერი, პედაგოგი. დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს. აკაკი შანიძე იყო: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941-); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939-); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ინგლისელ „ფილოლოგთა საზოგადოების“ წევრი; პრადის აღმოსავლეთმცოდნეობის წევრ-კორესპონდენტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1948-1950). იგი დაჯილდოვებულია შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის (1987). აკაკი შანიძე გახლდათ თბილისის საპატიო მოქალაქე (1979).

¹⁷⁹ ვარლამ თოფურია – ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1935).

¹⁸⁰ გიორგი წერეთელი – გიორგი ვასილის ძე წერეთელი (1904-1973) – ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1968), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი (1966), დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი (1964).

სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, ქ. თბილისში, 2019 წლის 24 სექტემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები, განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, ქ. თბილისში, 2019 წლის 24 სექტემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ჟუჟუნა ფეიქრიშვილი (დ. 1940) – ქართველი ენათმეცნიერი, პედაგოგი, ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი. 1965 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1968 წლიდან მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე. იგი იკვლევს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგს. მრავალი ცალკეული ნაშრომი თუ მონოგრაფია მიუძღვნა როგორც ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში“. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 30-ზე მეტი წიგნის; 1992 წელს გამოსცა „ქართველოლოგიის საკითხები“¹⁸¹, 1992 წელს – „ქართული ენის მორფოლოგია“¹⁸², 1996 წელს – „ქართული ენის სინტაქსი“¹⁸³ და სხვ. პროფ. ჟუჟუნა ფეიქრიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გაიხსნა პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, ქ. თბილისში, 2019 წლის 24 სექტემბრის 16:00 საათზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ყოფილი სტუდენტები, კოლეგები (ენათმეცნიერები), იუბილარის მეგობრები და ნათესავები, დარბაზში გამოფენილი იყო იუბილარის წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, მოგონებები...). ღონისძიებას უძღვებოდნენ ივეტა ვაშაკიძე და ზაქარია ფურცხვანიძე.

სიტყვა გამოქვეყნდა 2020 წელს ჟუჟუნა ფეიქრიშვილის წიგნში „მე და ჩემი სტუდენტები“, სათაურით „იუბილარის სიტყვა“¹⁸⁴. გათავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁸¹ ფეიქრიშვილი, ჟ., ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, სარანგი, 1992.

¹⁸² ფეიქრიშვილი, ჟ., ქართული ენის მორფოლოგია: სალექციო კურსი, ქუთაისი, სარანგი, 1992.

¹⁸³ ფეიქრიშვილი, ჟ., ქართული ენის სინტაქსი: სალექციო კურსი, ქუთაისი, ქუთაისის ს.ს. „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1996.

¹⁸⁴ ფეიქრიშვილი, ჟ., მე და ჩემი სტუდენტები, თბილისი, უნივერსალი, 2020, გვ. 49-56.

**Speech Delivered by Zhuzhuna Peikrishvili at the Jubilee Event Dedicated
to the 50th Anniversary of her Scientific and Pedagogical Activity, in the
Session Hall of the National Library of the Parliament of Georgia,
in Tbilisi, on September 24, 2019**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Zhuzhuna Peikrishvili at the jubilee event dedicated to the 50th Anniversary of her scientific and pedagogical activity, in the session hall of the National Library of the Parliament of Georgia, in Tbilisi, on September 24, 2019]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the word is Zhuzhuna Peikrishvili (b. 1940) – a Georgian linguist, teacher, candidate of philological sciences, professor. In 1965, she graduated from the Kutaisi Pedagogical Institute. Since 1968, she has been working at the Department of Georgian Language at Kutaisi State University. She researches various fields of linguistics. She has dedicated many separate works and monographs to the issues of grammar, lexicology, dialectology and cultural history of the Old and New Georgian languages. In 1973, she defended her candidate's thesis on the topic “Third Series of Lines in New Literary Georgian”. She is the author of many scientific works, including more than 30 books; In 1992, she published “Issues of Georgian Studies”¹⁸⁵, in 1992 – “Morphology of the Georgian Language”¹⁸⁶, in 1996 – “Syntax of the Georgian Language”¹⁸⁷, and others. The jubilee event dedicated to the 50th Anniversary of Prof. Zhuzhuna Peikrishvili's scientific and pedagogical work was opened in the session hall of the National Library of the Parliament of Georgia, in Tbilisi, on September 24, 2019 at 16:00. The event was attended by: former students, colleagues (linguists), friends and relatives of the jubilee, the jubilee's books (textbooks, monographs, memoirs...) were exhibited in the hall. The event was hosted by Iveta Vashakidze and Zakaria Purtskhvanidze.

The speech was published in 2020 in Zhuzhuna Peikrishvili's book “Me and My Students” under the title “Speech of the Jubilee”¹⁸⁸. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁸⁵ Peikrishvili, Zh., Issues of Kartvelology, Kutaisi, Sarangi, 1992 (in Georgian).

¹⁸⁶ Peikrishvili, Zh., Morphology of the Georgian Language: Lecture Course, Kutaisi, Sarangi, 1992 (in Georgian).

¹⁸⁷ Peikrishvili, Zh., Syntax of the Georgian Language: Lecture Course, Kutaisi, Kutaisi JSC “Stamba” Publishing Center, 1996 (in Georgian).

¹⁸⁸ Peikrishvili, Zh., Me and my students, Tbilisi, Universali, 2020, pp. 49-56 (in Georgian).

სიტყვა

თქმული ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მიერ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, ქ. თბილისში, 2019 წლის 24 სექტემბერს

„ძვირფასოსტუმრებო, მოგესალმებით უზომოსიხარულითა და ამაღლებული განწყობით! პირველ რიგში, დიდი მადლობა, ჩემო საამაყო აღზრდილებო, შემოქმედებითი სიახლეებით გამორჩეული ამ საინტერესო ღონისძიებისათვის; ასევე გულწრფელი მადლიერება თქვენ – კოლეგებო, კოლოკვიუმში მონაწილეობისათვის; მადლობას გიხდით, ჩემო ახლობლებო, მეგობრებო, ჩემი სიხარულის გაზიარებისა და თანაგრძნობისათვის... და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ივეტა ვაშაკიძეს¹⁸⁹ და ზაქარია ფურცხვანიძეს¹⁹⁰. დღევანდელი ღონისძიების სახით – ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამ სიურპრიზით – თქვენ გამიღამაზეთ ცხოვრება, გამიძლიერეთ რწმენა, რომ სიკეთის მადლი არ იკარგება.

„მოგესალმებით! მე გახლავართ ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, წაგიკითხავთ ლექციას ქართულ ენაში. გილოცავთ სტუდენტობას, გისურვებთ წარმატებებს. აქ მიღებული ცოდნა, მშობლიური ენისადმი მოწიწება, პატივისცემა, მასზე მზრუნველობა და, რაც მთავარია, თქვენი პროფესიის სიყვარული, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება მარად გაგყოლოდეთ ცხოვრების მეგზურად“, – ასე იწყებოდა ყოველი ახალი ჯგუფის სტუდენტებთან ჩემი პირველი ლექცია 1968 წლიდან ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ – უნივერსიტეტში 2010 წლამდე, ასევე სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, თბილისშიც. ვკითხულობდი ლექციებს ისტორია-ფილოლოგიის, ფილოლოგიისა და აღმოსავლური ენების ფაკულტეტებზე თანამედროვე ქართულ ენაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ქართველოლოგიის შესავალში, სალიტერატურო ენის ისტორიაში, ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში... ვხელმძღვანელობდი სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას, ვატარებდი სპეცკურსებსა და სპეცსემინარებს...

ყველგანდაყოველთვის ჩემი მუშაობის საფუძველი იყო პროფესიის ერთგულება, პასუხისმგებლობა, თავდაუზოგავი შრომა და, რაც მთავარია, მოწაფეების სიყვარული. დიახ, პირველივე ლექციიდან ყველა სტუდენტი ჩემი სულის ნაწილი ხდებოდა, რადგან თითოეულ მათგანში ვხედავდი ჩემი პედაგოგიური საქმიანობის უშუალო გამგრძელებელს, ვითარცა მშობლიური ენის მოყვარულსა და ქომავს.

ჩემო სტუდენტებო, ყველამ კარგად იცით, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში არასოდეს არ მიმუშავია მხოლოდ მოვალეობის მოხდის გამო, მხოლოდ ხელფასისათვის; არც არაფერი გამიკეთებია თავის გამოჩენის მიზნით – სხვათა საჩვენებლად. ყოველთვის ვშრომობდი უხმაურად, უპრეტენზიოდ, ანუ, ერთი ჩემი ყოფილი სტუდენტის – მაია წოწონავას – სიტყვით რომ ვთქვა, „მასწავლებლობა იყო ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა“, ჩემი სულიერი მოთხოვნილება, ძირითადი მასაზრდოებელი წყარო.

ვინ მოთვლის, რამდენი ხილული თუ უხილავი კეთილი საქმე მიკეთებია სტუდენტებისათვის. თითოეული მათგანის ბედი მართლა ისე მაინტერესებდა, როგორც ჩემი საკუთარი შვილისა. ამიტომ იყავით ყველა თქვენგანი ჩემთვის ასე ახლობელი და საყვარელი. ყოველთვის მიხაროდა თქვენთან შეხვედრა. ერთობლივი მუშაობით ჩვენ ერთმანეთს ვავსებდით: თქვენ მე მზრდიდით როგორც პედაგოგს, მკვლევარს, მე კი კონკრეტულ საგანთან ერთად გასწავლიდით ცხოვრებას, ადამიანობას, საქმის სიყვარულს, გაჩვევდით შრომას და ა.შ.

¹⁸⁹ ივეტა ვაშაკიძე – ივეტა ვაშაკიძე (დ. 1967) – ქართველი ფილოლოგი.

¹⁹⁰ ზაქარია ფურცხვანიძე – ზაქარია ფურცხვანიძე (დ. 1972) – უცხოეთში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერი.

გულწრფელად ვაღიარებ: თქვენისა ხოთ ყოველ ლექციაზე მყავდა სასურველი ოპონენტი, რომელიც მოითხოვდა სწორ პასუხებს... შესაბამისად, ჩვენ ერთმანეთს ვასწავლიდით, ვასაზრდობდით...

ახლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ ტკბილ წარსულს, როცა ჩვენ ერთმანეთის მიმართ ვიყავით არა მხოლოდ მასწავლებელი და მოწაფე, არამედ მეგობრებიც; ჩვენ უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, ყოველთვის ვიყავით გულწრფელები, ვენდობოდით და ანგარიშს ვუწევდით ერთმანეთის აზრს... სწორედ ამ გულწრფელმა ურთიერთობამ, სიყვარულმა და პატივისცემამ შეგვკრიბა დღეს ამ დარბაზში.

ამისთვისაც დიდი მადლობა ყველა თქვენგანს.

დღევანდელი დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის იმ მხრივაც, რომ, მიუხედავად თანამედროვე საზოგადოების ერთი ნაწილის გულქვაობისა, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვისა, იმიერშიც ნუგეშად წამყვება რწმენა – სიკეთის მაღლი არ იკარგება, რომ პატიოსან შრომას, კეთილსინდისიერებას, საქმის ერთგულებას, მის დანახვა-გაცნობიერებასაც ყოველთვის ექნება ფასი.

ახლაც სიამოვნებით ვიგონებ (და ერთგვარად ვამაყობ კიდევ!), რომ ჩემს შრომა-საქმიანობას ყოველთვის განსაზღვრავდა ცხოვრებისეული სიბრძნე – „ეძიებდე და ჰპოვებდე“... ერთი მხრივ, საკუთარმა შინაგანმა ინტუიციამ (მოწოდებამ) და, მეორე მხრივ, მეცნიერული ცოდნის შეძენის თქვენმა განსაკუთრებულმა ინტერესმა ახალბედა, დამწყებ ლექტორს თავიდანვე მიკარნახა, რომ რაღაც სიახლე უნდა შემეტანა იმხანად სასწავლებელში დამკვიდრებულ (არსებულ) ლექცია-პრაქტიკუმების ტრადიციულ სტილში, მაშინდელი სწავლების მეთოდებში. გარდა ამისა, აშკარად ვიგრძენი, რომ ამგვარი სიახლე აუცილებელი იყო არა მხოლოდ ზოგადად, არამედ განსაკუთრებით იმ ვაჟი სტუდენტებისთვის, რომლებიც ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შედიოდნენ ისტორიის „ხათრით“. რომ მათთვის ე.წ. „მშრალი გრამატიკა“ – ჩემი ლექციები – არ გამხდარიყო მოსაწყენი და უინტერესო.

პირველი, რაც ამ მიმართულებით გავაკეთე, ის იყო, რომ სტუდენტებს სადა წერად მივეცი თავისუფალი თემა – „როგორი უნდა იყოს ლექცია“ (პასუხები ანონიმური იქნებოდა). სწორედ ამ გულწრფელმა პასუხებმაც დამარწმუნა, რომ სტუდენტებს უფრო აინტერესებდა ლექცია დიალოგი, ვიდრე ტრადიციული ლექცია მონოლოგი. მაშინვე შეიცვალა ჩემს ჯგუფებში ლექციის ფორმა.

ჩვენი ინსტიტუტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე პირველმა დავნერგე ლექცია დიალოგი ტრადიციული ლექცია მონოლოგის ნაცვლად. მალე ჩემთვის ცხადი გახდა ისიც, რომ სწავლების პროცესში საჭირო იყო კიდევ ერთი სიახლის შემოტანა: სტუდენტები ლექცია დიალოგში აქტიურად რომ ჩართულიყვნენ, წინასწარ ვაწერინებდი ყოველი მომდევნო ლექციის გეგმას, სპეციალურ ლიტერატურას. მე თვითონაც ამ გეგმის მიხედვით სტუდენტთათვის გამოსაყენებლად, იმხანად ქუთაისის პირობებში ახალი თეორიული მოსაზრებების ნაკლებხელმისაწვდომობის გამო, ვწერდი ვრცელ კონსპექტებს, რომლებიც მომდევნო წლებში გადავამუშავე სალექციო კურსებად ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ქართველოლოგიის შესავალში და რომლებიც საბოლოოდ დაიბეჭდა სახელმძღვანელოებად...

ჩემი პედაგოგიური საქმიანობის ერთ-ერთ საინტერესო სიახლედ მიმაჩნია აგრეთვე უშუალოდ სასწავლო პროცესში სტუდენტების, როგორც „მასწავლებლის“, ჩართვის პრაქტიკაც. ყოველი ახალი ჯგუფის საერთო ცოდნის დონე, მათი მისწრაფებანი და დამოკიდებულება საგნისადმი ბუნებრივად მკარნახობდა მუშაობაში განსხვავებულ მეთოდებსაც. ასე მოხდა პირველად 1989 წელს: ერთ-ერთ ძლიერ ჯგუფში რამდენიმე სტუდენტს ჩავატარებინე პრაქტიკული მეცადინეობები. შინაგანი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ჩემი ეს აქტივობა, რასაც, მაშინდელი სასწავლო პროცესისა თუ ოფიციალური მიდგომების გათვალისწინებით, მოგვიანებით უწოდეს ჩემი მხრიდან „აკადემიური სიწრფელე“ და „პედაგოგიური სითამამე“, შედეგიანი აღმოჩნდებოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა: ყველამ კარგად გაართვა თავი ამ საპატიო მისიას, თითოეული მათგანი ცდილობდა, შემოქმედებითად განსხვავებული ელფერი მიეცა გაკვეთილისათვის – პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

ამაზე მეტი სიხარული რა უნდა ყოფილიყო ჩემთვის!

იცი, რომ ერთობლივი მუშაობის დროს თქვენ არასოდეს მომიქცევინართ ოფიციალურ, მკაცრ სტანდარტულ ჩარჩოში. პირიქით, მე თქვენ გასწავლიდით აზროვნების თავისუფლებას, ლოგიკური მსჯელობის უნარს... ყოველი ჩვენი პრაქტიკული მეცადინეობა იყო საკითხთან დაკავშირებული კამათის „ასპარეზი“, სასიამოვნო, საინტერესო პაექრობა, ზოგჯერ ხმაურიანიც კი... იმ წუთებშიც მე

ძალიან ბედნიერი ვიყავი... მახსოვს, ასეთ ატმოსფეროში ჩატარებული ლექცია-პრაქტიკუმებზე ჩემი „მშრალი გრამატიკა“ პოეტური შთაგონების წყაროდაც კი იქცეოდა ხოლმე. მაგალითად, ასე დაიწერა ვანო თავხელიძის ექსპრომტები: „ლექსი ანბანის გამო“, „მეტყველების ნაწილები“, „ზმნისწინების გამო“... ქართული ენის სიყვარულითაა შექმნილი ასევე, თამარ ნინიძის ლექსი „ინვერსია“, „კონვერსია“ და ა.შ.

ჩემი სტუდენტები იყვნენ არა მხოლოდ ნიჭიერები, ბეჯითები და ცოდნით გამორჩეულები კონკრეტულ სასწავლო საგნებში, არამედ – პრინციპული, მიზანმიმართული და საქმიანი ახალგაზრდები, რომლებმაც არაერთი საინტერესო ღონისძიებით წარმოაჩინეს თავიანთი ზოგადი შემოქმედებითი უნარი და, რაც მთავარია, პიროვნული ღირსება.

ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო, დღევანდელი დღით ერთგვარად ანგარიშს გაბარებთ ჩემი ნახევარსაუკუნოვანი საქმიანობა-მოღვაწეობის შესახებ. ამ მრავალწლიანი პედაგოგიური შრომის ძირითადი შედეგი გახლავთ თქვენი პროფესიული საქმიანობა. ვამაყობ, რომ ბევრი ჩემი ყოფილი სტუდენტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც უკვე არის ცნობილი მეცნიერი – ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის სხვა სფეროების დაკვირვებული მკვლევარი, წარჩინებული მასწავლებელი, თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი, ჟურნალისტი, სიტყვაკაზმული მწერლობის მსახური და ა.შ. ვამაყობ იმითაც, რომ დღეს ქუთაისის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე წამყვანი თანამშრომლები არიან ჩემი სტუდენტები, ანუ როგორც ერთ-ერთმა თქვენგანმა – ნატო წულეისკირმა თქვა „ჟუჟუნა მასწავლებლის სამჭედლოში გამოწრთობილი ახალგაზრდები“. სხვაგვარად: სწორედ თქვენმა ცხოვრება-საქმიანობამ ნათლად წარმოაჩინა ჩემი (როგორც პედაგოგის) შრომა, მრავალწლიანი რუდუნება და „ფუსფუსი“. ამაზე დიდი ბედნიერება სხვა რა უნდა იყოს მასწავლებლისათვის!

რაც შეეხება ჩემს სამეცნიერო საქმიანობას, მასზე გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით აქ გამოფენილი წიგნები, რომელთა საერთო რიცხვი სამ ათეულს აჭარბებს. ამათგან ზოგი სტუდენტების სახელმძღვანელოა, ნაწილი არის მეცნიერული გამოკვლევები (მონოგრაფიები); მათ შორისაა აგრეთვე მოგონებები – წიგნად გახმოვანებული ჩემი საარქივო მასალები, ძვირფასი ადამიანებისადმი მიძღვნილი ხსოვნის წიგნები და ა.შ. ამ ბოლო წლებში გამოიცა ახალი მასალებით შევსებულ-გადამუშავებული წიგნები: ქართული ენის ფონეტიკა, ქართული ენის მორფოლოგია, ქართველოლოგიის შესავალი. გარდა ამისა, ივეტა ვაშაკიძის თანაავტორობით ორ წიგნად დაიბეჭდა „მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის“, ვრცელი მონოგრაფია ორ წიგნად მიჯამებული ცნობილი მრეწველების, სამაგალითო ქველმოქმედებისა და სახელოვანი ერისკაცების, კათოლიკე ზუბალაშვილების ცხოვრება-მოღვაწეობას; თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოებას პირველმა გავაცანი ჩემი მშობლიური სოფლის ისტორია წიგნით „ახალშენელი მესხების ასწლოვანი ისტორია ქვემო იმერეთში“, მოკლე ნარკვევით ღირსეული პატივი მივაგე აგრეთვე სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსის მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას და სხვ.

მართალია, უკვე რამდენიმე წელია აღარ შევდივარ სტუდენტურ აუდიტორიაში, რაც ჩემთვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ სულიერ ტკივილს ერთგვარად აყურებს ახალ-ახალ წიგნებზე მუშაობა – ეს არის ჩემი ცხოვრების მასაზრდოებელი წყარო. რამდენადაც ობიექტურად, შეულამაზებლად დაწერილი ყოველი ნებისმიერი წიგნი ჩვენი ისტორიის თითო ფურცელია, ამდენად, ამ მიმართულებით ჩემი შრომა გამართლებულად მიმაჩნია. უკვე მოფიქრებული მაქვს ჩემი ახალი წიგნის სათაურიც – „მე და ჩემი სტუდენტები“, რომელიც მიეძღვნება დღევანდელ ღონისძიებას.

ჩემო ძვირფასო სტუდენტებო, იცით, რომ დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო თქვენ შესახებ, მოვიგონო ჩვენი ურთიერთობის არაერთი საინტერესო ეპიზოდი, მაგრამ ამჯერად ეს შეუძლებელი ჩანს. ამიტომ ჩემს ამ მოკლე გამოსვლას ასე დავასრულებ: ისევ და ისევ უსაზღვრო მადლობა თქვენ, ყოფილ სტუდენტებს, ამ დიდებული დღისათვის...

ეს უჩვეულო, სრულიად გამორჩეული ღონისძიება ჩემთვის განსაკუთრებით ფასეულია თავისი არსითა და მიზანდასახულობით. აშკარაა, რომ ამ შეკრების მიზანი არ ყოფილა მხოლოდ ყოფილი მასწავლებლის მოფერება, სიტბო, სიყვარულის საჯაროდ გამოხატვა. ღონისძიების ხელმძღვანელებმა ეს სამეცნიერო კოლოკვიუმი მიუსადაგეს მასწავლებლის მრავალწლიან უანგარო შრომა-საქმიანობას და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, სათავე დაუდეს თვისებრივად ახალ საკვლევადიებო წამოწყებას – ერთი მასწავლებლის ყოფილი სტუდენტების სამეცნიერო თანამშრომლობას, რითაც

ისინი ახალ-ახალი გამოკვლევებით, ზოგადად მეცნიერების უმწიკვლო მსახურებით წაყოფიერად გააგრძელებენ მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას...

ახალგაზრდებო, არასოდეს გაგნებოდეთ კეთილი საქმეების ერთგულება. დღევანდელის მსგავსი ლამაზი, შინაარსიანი ღონისძიებები იყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ძვირფასო სტუმრებო, ერთხელ კიდევ მოგახსენებთ უღრმეს მადლობას, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებასა და წარმატებულ საქმიანობას!“

II. სამგლოვიარო ორატორული ნიმუშები

II. FUNERAL ORATORICAL SAMPLES

სიტყვა, თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის მიერ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის მიერ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ბარბარე (ბაბო) მჭედლიძე (1896-1987) – დაბადებული ქუთაისში, ცნობილი სასულიერო პირის სიმონ მჭედლიძის ოჯახში. მამამისი, მიტროპოლიტ ნაზართან (ლეჟავა) და რამდენიმე მღვდელთან ერთად, კომუნისტებმა 1924 წლის 1 სექტემბერს საფიჩხიას ტყეში დახვრიტეს. ბარბარე მჭედლიძე 1918 წლიდან ქუთაისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, ეპარქიულ სასწავლებელსა და ვაჟთა გიმნაზიაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, ხოლო მოგვიანებით თბილისის ვაჟთა გიმნაზიაშიც (პირველი საშუალო სკოლა) მოღვაწეობდა. 1920 წლიდან ბარბარე მჭედლიძე გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილების წევრი. 1922-1925 წლებში იგი თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში მუშაობდა. ბარბარე მჭედლიძე სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებთან, სადაც ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს ბეჭდავდა. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მნათობთან“. სიტყვის ადრესატია აკაკი წერეთელი (1840-1915) – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

სიტყვა წარმოითქვა ქუთაისის წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში, რომელიც მდებარეობდა ქუთაისის მერიის ამჟამინდელი შენობის გვერდით, დღესდღეობით არსებული შრომის მემორიალის ადგილზე. ტაძრის ისტორია 1450 წლიდან იწყება. XIX საუკუნის I ნახევარში, მის ადგილზე ააგეს ახალი ტაძარი, რომელიც აკურთხეს 1840 წელს. გარკვეული დროის განმავლობაში წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის აღნიშნული ტაძარი ქუთაისის საკათედრო ტაძარი გახლდათ. 1944 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაანგრია ტაძარი, ხოლო მიცვალებულთა ნეშტები სხვადასხვა სასაფლაოზე გადაასვენეს. წმიდა მთავარანგელოზთა ტაძარს ჰქონდა სამრეკლო, რომელიც ტაძრის დანგრევიდან ერთ წელიწადში, 1945 წელს, დაანგრიეს და ტაძრის ადგილზე ააგეს შრომის მემორიალი, რომელიც დღესაც არსებობს. გაზეთ „იმერეთის“ 1915 წლის ნომერში წერია, რომ 29 და 30 იანვარს ქუთაისის წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში გადაიხდიდნენ პანაშვიდს¹⁹¹. რაც შეეხება ბაბო მჭედლიძის სიტყვის წარმოთქმის თარიღს, ზუსტი დღე დაუდგენელია.

სიტყვა დაიბეჭდა ჟურნალ „განთიადში“, სათაურით „სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის ასულის მიერ“¹⁹². აღნიშნული პერიოდული გამოცემის გამომცემელ-რედაქტორიც იყო თავად სიტყვის ავტორის მამა, სიმონ მჭედლიძე. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

¹⁹¹ გაზეთი „იმერეთი“, 1915, ქუთაისი, ხუთშაბათი, 29 იანვარი, №19, გვ. 1.

¹⁹² ჟურნალი „განთიადი“, 1915, ქუთაისი, 15 მარტი, №6, გვ. 4-6.

Speech Delivered by the Babo Mtchedlidze on Behalf of the Women's Community on the Occasion of the Death of Akaki Tsereteli, in the Kutaisi Cathedral, in Kutaisi, in January, 1915

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by the Babo Mtchedlidze on behalf of the women's community on the occasion of the death of Akaki Tsereteli, in the Kutaisi Cathedral, in Kutaisi, in January, 1915]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Barbare (Babo) Mtchedlidze (1896-1987) – born in Kutaisi, into the family of the famous clergyman Simon Mtchedlidze. Her father, along with Metropolitan Nazar (Lezhava) and several priests, was shot by the communists in the Sapichkhia forest on September 1, 1924. Since 1918, Barbare Mtchedlidze taught Georgian language and literature at the First Women's Gymnasium, the Diocesan School and the Boys' Gymnasium in Kutaisi, and later worked at the Boys' Gymnasium (First Secondary School) in Tbilisi. Since 1920, Barbare Mtchedlidze was a member of the Kutaisi branch of the "Society for the Promotion of Literacy among Georgians". In 1922-1925, she worked at the Tbilisi Secondary School №23. Barbare Mtchedlidze systematically cooperated with Georgian periodicals, where she published literary-critical letters. She actively collaborated with the magazine "Mnatobi". The addressee of the speech is Akaki Tsereteli (1840-1915) – a poet, writer, publicist and public figure.

The speech was delivered in the Kutaisi Cathedral of the Holy Archangels, which was located next to the current building of the Kutaisi City Hall, on the site of the current Labor Memorial. The history of the cathedral begins in 1450. In the first half of the 19th century, a new cathedral was built on its site, which was consecrated in 1840. For a certain time, the aforementioned Cathedral of the Holy Archangels was the Cathedral of Kutaisi. In 1944, the communist authorities demolished the cathedral, and the remains of the deceased were transferred to various cemeteries. The Cathedral of the Holy Archangels had a bell tower, which was demolished a year after the demolition of the cathedral, in 1945, and a Labor Memorial was built on the site of the cathedral, which still exists today. The 1915 issue of the newspaper "Imereti" states that a funeral service would be held at the Holy Archangels Cathedral in Kutaisi on January 29 and 30¹⁹³. As for the date of Babo Mchedlidze's speech, the exact date is unknown.

The speech was published in "Gantiadi" under the title "Speech, delivered in the Kutaisi Cathedral by the trust of the Women's Society by Babo Mtchedlidze's daughter"¹⁹⁴. The publisher-editor of the above-mentioned periodical was also the father of the author of the speech, Simon Mtchedlidze. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

¹⁹³ Newspaper "Imereti", 1915, Kutaisi, Thursday, January 29, No. 19, p. 1 (in Georgian).

¹⁹⁴ Magazine "Gantiadi", 1915, Kutaisi, №6, pp. 4-6 (in Georgian).

სიტყვა

თქმული ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის მიერ
აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკათედრო
ტაძარში, ქ. ქუთაისში, 1915 წლის იანვარს

„არა! აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა.
გმირებს დაემებს უყივის –
ჩემი დაფი და ნაღარა!..“

ასე გაიძახოდა მუდამ მხცოვანი მგოსანი – ის მუდამ ჟამს ამუსიკებდა თვის ენას და თვის დაფით და ნაღარით უყივოდა გმირებს, დაემებდა, იკრებდა თვის გარშემო და აღმაფრენით ჩასძახოდა:

„დასთესეთ თესლი კეთილი
შესარგო მამულისაო
და ნახავთ ნამგლის ტრიალსა
„ჰოპუნით“ მომკელისაო“...

და, აჰა! ჩაქრა იმედები, ჩაქრა კანდელი, ჩაქრა ამუსიკებული ენა – აკაკის უმტყუნა ჭაღარამ და ჩვენი სამშობლოს საუკეთესო დარაჯი, ჩვენი ბედკრული ერის საუკეთესო ქურუმი ხელიდან გამოგვაცალა. დიახ! დაიწვა ხატის წინ ანთებული წმიდა სანთელი, აკაკი წარგვიტაცა შეუბრალებელმა სიკვდილმა და მასთან ერთად წარიტაცა ჩვენი აღმაფრენა, საუკეთესო ზრახვანი და გულის თქმანი... დღეს ტირის მთელი ქართველობა, დღეს მოთქვამს ის, ვისიც გული ოდნავ მაინც ძგერს თვის მრავალ-ტანჯულ სამშობლოსადმი სიყვარულით, ვინაიდან აკაკისთან ერთად ჩაესვენა წრფელი, ნაზი, ნარნარი, წმიდა გრძნობა სამშობლო ერისადმი სიყვარულისა. დღეს ტირის და მოთქვამს ბნელ კუნჭულში მიმალული, ბნელ სარდაფში თავაჩქინდრული მუშა, რადგან აკაკისთან ერთად ჩაესვენა გრძნობა ღარიბ-ღატაკთა სიბრაულისა; დღეს ტირის გულამღვრეული, უშინაარსოთა ბრბო, რადგან აკაკისთან ერთად დღეს მიწას მიაბარებს მათ მუდმივ დამრიგებელს, მათ მხილებელ-ადამიანს; დღეს ტირის და მოთქვამს ახალგაზდობა, რადგან მათ დაკარგეს საუკეთესო მასწავლებელი, საუკეთესო მამა – აღმზრდელი – მგოსანი. ერთის სიტყვით, დღეს ვალალებს¹⁹⁵ ყველა და ამ სივალალეს¹⁹⁶ ბანს აძლევს: ხე, თუ ბუჩქი, მთა, თუ ველი, ტყვე, თუ მიდორი – ყველა ერთგვარ გულის თქმას მოუცავს.

რამ გამოიწვია ასეთი ტანჯვა, ასეთი სივალალე? ვინ იყო აკაკი, რა იყო, რას ემსახურებოდა, რა აზრები ასაზრდოებდა მას? ამ კითხვაზე ძლიერ ადვილათ მოგიგებენ – არა მარტო უზენაესის ნიჭით დაჯილდოვებულნი, არა მარტო ის, ვინც სოფლიოში ყველაზე მაღლა დგას, ამას მოგიტხრობს და გეტყვის უბრალო, ღონე-მიხდილი მთხოვარაც-კი. კითხეთ ბავშუს, კითხეთ მოხუცს, ახალგაზდას, ყველა ერთნაირ პასუხს მოგცემთ, ვინაიდან ისინი ყველა ერთნაირის მოწიწებითი გრძნობით არიან გამსჭვალული აკაკისადმი. აკაკი ხომ ლამპარი იყო, წმიდა ლამპარი, რომელიც ერთნაირათ გზას უნათებდა ყველა იმათ, ვინც სიბნელეში დახშულან? აკაკი ხომ ფარვანა იყო, რომელიც თავს დაფარფატებდა ყვავილებს და არ ზოგავდა ღვთისგან ბოძებულს არც ნიჭს, არც ძალას, არც ღონეს, რომ ხალხი საერთო ჭირვარამისგან ეხსნა?

მას ხომ „ცრემლში ულესავს ნაღველი და მენლათ ის უხმარია“, რომ უფრო მკაფიოთ, უფრო მჭრელათ ემოქმედებინა მის სიტყვებს უშინაარსოთა ბრბოზე?

მარა, ყველა ამასაც რომ თავი დავანებოთ, მის მოღვაწეობას გვირგვინს ადგამს, მის პიროვნებას უკვდავების სამოსელს აცმევს ერთი რამ საგანი: ეს საგანი სამშობლოა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში განიცდის ტანჯვას სხვის მიერ და, რომლის გული წარუშლელი იარით არის დადაგული.

¹⁹⁵ ვალალებს – ხმამაღლა ტირის.

¹⁹⁶ სივალალე – გოდება, მწუხარება, ვალალი.

თავის სატრფო სამშობლოს ის ყოველთვის არიგებდა ხოლმე:

„ჭინჭარში ნუ ვარდები,
ნუ გგონია მანდ იაო“

და, როდესაც სატრფო ამ დარიგებას არ მიიღებდა ხოლმე, ის სრულ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ის იყო ტარიელი, რომელიც თავს იწირავს¹⁹⁷ თვის სამშობლო ნესტანის დახსნისთვის, ტარიელი, რომელიც გარბოდა მიდორ-მიდორ¹⁹⁸, ეძებდა მეგობრებს, რომლებსთვისაც ხელი უნდა გაეწოდა და შეერთებულის ძალით ნესტანი ქაჯთა ტყვეობისგან ეხსნათ...

ის სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, როდესაც გადახედავდა თვის სამშობლოს დაობლებულს, მიყრუებულ ტყე-ველს და სასოწარკვეთილივე მიუბრუნდებოდა ქართველ კაცს და ეუბნებოდა:

„აბა, მითხარ, ვინა ხარ?
უცხო კაცათ არ ვარგხარ, აღარცა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას დარიხარო“.

მარა, აბა! გადახედავდა რა ის თვის წინაპართა ნამოქმედარს, გადახედავდა რა იმ ციხე-კოშკებს, რომელნიც ჩვენ წინაპართ ალუგიათ მტრისგან დასაცავათ, გადახედავდა ცათაღმართულ იალბუზის¹⁹⁹, ყინვარის²⁰⁰, კავკასიის ქედებს და იმედით, იმ იმედით, რომელიც მუდამ ჟამს მისი განუყრელი თანამგზავრი იყო, წარმოთქვამდა ხოლმე:

„არ მომკვდარა, მხოლოთ ძინავს
და ისევე გაიღვიძებსო“...

და, სწორეთ ასეთ მოიძეის დაკარგვაზე მოთქვამს დღეს მთელი ქართველობა და ამ მოთქმას უერთდებიან დაობლებული, ბედისგან მწარეთ დატანჯული, ქართველი დედები, რადგან ისინი დღეს მიწას აბარებენ თავიანთ მხნე დარაჯს, მათთვის თავდადებულ, დაულალავ მუშაკს, ჭირისუფალს, რომელიც თავს დასტიროდა მათ მწარე ხვედრს, მათ დაცემას, და მუდამ სახეში უყურებდა ძველ დედებს, რომ ახლებს მათ კვალზე ეარათ... მან იცოდა, რომ აქ, ნინო²⁰¹, თამარ²⁰² და ქეთევან სამარადისოთ ქებულან“ და „აღუზრდიათ გმირები სამშობლოს მხსნელათ და ზვარაკათ“. ის გუნდრუკს უკმევდა ამ დედებს, მარა წუხდა, რომ „იმათ სხივებზე დღეს ქართველი ქალი თვალს ვეღარ ახელს“, წუხდა, რომ მათ სამშობლო უკვე დავიწყებიათ და აღარ უზრდიან მას გმირებს...

ნაზი, ნარნარი, ღვთაებრივი დედა აკაკისგან განპიროვნებული, თვის შვილს გასაზრდელათ სხვას კი არ მიაბარებს, არამედ თვითონ მიუჯდება აკვანს და ნაზადვე დამღერის:

„ანუგეშე, სადაც ნახო მოძმე მწუხარეო.
შვილო! მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო.
ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტრები აშინაო,
იავნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო“...

და დღეს, დარწმუნებული იყავით, რომ დაჩაგრული დღეინდელი პირობებისგან ქართველი დედაც ეცდება არ დაკარგოს აკაკის ნაანდერძები, დარიგებანი... ამიერიდან ქართველი დედა ეცდება მიზნათ და იდეალათ დაისახოს: „ნინო, ქეთევან და თვით თამარი“ და მაშინ, უთუოთ, შემოფრინდება მერცხალი და აკაკის საფლავს ჭიკჭიკით გადასმახებს: „გაზაფხული, გაზაფხულიო“... და მაშინ გაზაფხულის იმედიც ხომ გულს ჩაგვესახება?!

მანამდის-კი, მშვიდათ განისვენოს „წმიდათ წილში მამათ კრებულთან“ მან, რომელმაც „ოფლით მორეცხა წმიდა სისხლით ღებული სამშობლო“, რომ პირნათლათ შეეყოდა იმ ჩვენ ქებულ წინაპრებს.“

¹⁹⁷ იწირავს – სწირავს.

¹⁹⁸ მიდორ-მიდორ – მინდორ-მინდორ.

¹⁹⁹ იალბუზი – კავკასიონის მთათა სისტემის უმაღლესი მწვერვალი.

²⁰⁰ ყინვარი – იგულისხმება მყინვარწვერი, იგივე მწვერვალი ყაზბეგი – მწვერვალი საქართველო-რუსეთის საზღვარზე.

²⁰¹ ნინო – მოციქულთასწორი, ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო სხვადასხვა საისტორიო წყაროს მიხედვით კაბადოკიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) დაიბადა III საუკუნის მიწურულს. IV საუკუნეში კი, წმინდა ნინომ იბერიის სამეფოში ქრისტიანობა იქადაგა.

²⁰² თამარ – თამარ მეფე (დაახ. 1160-1213, შესაძლოა 1210 ან 1207), საქართველოს მონარქი 1184 წლიდან.

სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 9 აგვისტოს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 9 აგვისტოს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია კატო მიქელაძე (1878-1942) – ქართველი პუბლიცისტი, ფემინისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. კატო მიქელაძემ განათლება ევროპაში მიიღო. დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას პარიზში გაეცნო და 1916 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თანამოაზრეებთან ერთად ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყო. მისი თაოსნობით, 1917-1918 წლებში ჩამოყალიბდა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა“. გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“. სიტყვის ადრესატია გიორგი (მაიაშვილი) ზდანოვიჩი (1854/1855-1917) – ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. იყო საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი ემიგრანტების შთამომავალი, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1864-1871 წლებში სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, 1871-1873 წლებში – სანქტ-პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტობის დროს იყო რამდენიმე არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის წევრი. 1875 წელს დააპატიმრეს და ბრალდებულის სტატუსით მონაწილეობდა მთელი იმპერიის მასშტაბით ცნობილ ორმოცდაათის პროცესში. სასამართლომ მას შვიდი წლით გადასახლება მიუსაჯა. 1882 წლიდან ზდანოვიჩი თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან და გამოაქვეყნა არაერთი საპოლემიკო სტატია. მან პუბლიცისტური საქმიანობა სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელა. 1896 წლიდან ზდანოვიჩი ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. 1907 წელს აირჩიეს „სოციალისტ-ფედერალისტთა“ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად ზდანოვიჩი 1917 წლის 30 ივლისს გარდაიცვალა ქუთაისში. დაკრძალეს 1917 წლის 9 აგვისტოს არქიელის გორაზე, ბაგრატიის ტაძრის გალავანში, ხოლო 1956 წელს საზოგადოებამ განსაკუთრებული პატივი მიაგო მას და გადაასვენეს მწვანეყვავილას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სიტყვა გამოქვეყნდა 1917 წელს გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“, სათაურით „სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე“²⁰³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

²⁰³ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 17 აგვისტო, №19, გვ. 1-2.

Speech Delivered by Kato Mikeladze at the Funeral of Giorgi Zdanovich, in Kutaisi, on August 9, 1917

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Kato Mikeladze at the funeral of Giorgi Zdanovich, in Kutaisi, on August 9, 1917]. The oratorical sample belongs to the funeral rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Kato Mikeladze (1878-1942) – a Georgian publicist, feminist, journalist and public figure. Kato Mikeladze received her education in Europe. She graduated from the Faculty of Social and Political Sciences of the University of Brussels. She became acquainted with the European experience of the women's movement in Paris and, after returning to Georgia in 1916, began to fight for women's rights together with her associates. Under her leadership, in 1917-1918, the regional network "Women's League" was formed. She published and edited the newspaper "Khma kartveli kalisa". The addressee of the speech is Giorgi (Maiashvili) Zdanovich (1854/1855-1917) – a Georgian publicist, critic, politician and public figure. He was a descendant of Polish emigrants who emigrated to Georgia, one of the founders of the Socialist-Federalist Party. In 1864-1871 he studied at the Kutaisi Classical Gymnasium, in 1871-1873 – at the St. Petersburg Technological Institute. During his student years he was a member of several illegal revolutionary organizations. In 1875 he was arrested and participated as a defendant in the Process of the Fifty, known throughout the empire. The court sentenced him to seven years of exile. Since 1882, Zdanovich began to cooperate with the Georgian press and published a number of polemical articles. He continued his journalistic activities until the end of his life. From 1896, Zdanovich worked as the chairman of the Tchiatura Industrialists' Council. In 1907, he was elected chairman of the Main Committee of the "Socialist-Federalists". As a result of a long and serious illness, Zdanovich died on July 30, 1917 in Kutaisi. He was buried on August 9, 1917, in the courtyard of the Bagrati Cathedral on Arkieli Hill, and in 1956, the society paid special tribute to him and he was reburied in the Mtsvanekvavila Pantheon of Public Figures.

The speech was published in 1917 in the newspaper "Khma kartveli kalisa" under the title "Speech spoken by Kato Mikeladze at the funeral of Giorgi Zdanovich"²⁰⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

²⁰⁴ Newspaper "Khma kartveli kalisa", 1917, Thursday, August 17, №19, pp. 1-2 (in Georgian).

სიტყვა

**თქმული კატო მიქელაძის მიერ გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვაზე, ქ.
ქუთაისში, 1917 წლის 9 აგვისტოს**

„თავისუფლებისათვის დიდო მებრძოლო, ქუთაისის საერთო ქალთა ორგანიზაციის სახელით თავს ვიხრი რა შენი წმინდა ცხედრის წინაშე, ვაღიარებ, რომ დღეს ჩვენი სამშობლომხარე, შენში ეთხოვება უკეთეს მამულიშვილს ხალხის საკეთილ-დღეოთ თავდადებულს მებრძოლს, რომლისათვის შეგიწირავს უკეთესი დღენი შენი სიცოცხლისა. კერძოთ ქართველმა ქალებმა დავკარგეთ შენში უძლიერესი მოსარჩლე ჩვენი უფლებისა და პატივისმცემელი ჩვენი ადამიანური ღირსებისა.

მწუხარება ჩვენი იმდენათ დიდია, რამდენათ მცირეა რიცხვი ჩვენი პოლიტიკური და მოქალაქური მონობის. გულწრფელ მოწინააღმდეგეთა ჩაგრულთათვის თავ-განწირულ გმირო მებრძოლო, შენ იყავ უკეთესი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნისა, რომლის წინაშე შენი ხალხისა და სამშობლოს დამცირებას ვერ გაბედავდა თვით უკიდურესი მტერი ქართველობისა.

საერთაშორისო გრძნობას არ ჩაუკლავს შენში ის ბუნებრივი ეროვნული თავ-მოყვარეობა, რომელსაც განიცდის ყოველი გონიერი და გულწრფელი ადამიანი თავის სამშობლო ქვეყნის ზნეობრივი სიყვარულითა, ისევე, როგორც ეროვნულ გრძნობას არ აღუძრავს შენში სხვა ქვეყნისა და ხალხისადმი სიძულვილი და უპატივცემულობა.

შენ იყავი უდიდესი შუამავალი ჩრდილოეთ სამხრეთისა კულტურულად ევროპული, სულით რაინდი ქართველი ამამოდრავებელი ჩვენი აზიური სიძაბუნისა და გამამხნეველები ჩვენი გულგატეხილობისა.

ჭეშმარიტად დიდია დანაკლისი იმ პარტიისა, რომლის ბელადათ შენ ითვლებოდი და ჩვენც გულწრფელად თანაუგრძნობდით მას, იმ დიდს მწუხარებაში, რომელშიაც ის შენი დაკარგვით დღეს იმყოფება.

დიდო მებრძოლო, შენ არ გხვდა წილათ დამტკბარიყავი იმ ნაყოფის ხილვით, რომელიც შენ და შენი გმირი ჩრდილოეთის ამხანაგების ბრძოლამ გამოიღო.

შენს ხსოვნაში სიზმარივით გაიარა ამ დიდი რევოლიუციის ალმა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით და მსოფლიო სისხლის მორევში ნაშობმა თავისუფლებამ, რომ გეგრძნო ის სულიერი კმაყოფილება, რომელიც ეგრე სანატრელია ყოველი გულწრფელი იდეური მებრძოლისათვის და პროგრესიული მოღვაწეობისათვის.

სიცოცხლე შენი იმ დროს ეშვება ცივ ბნელ სამარეში, როცა ამოდის დიადი მზე ჩვენი ქვეყნისა!

როცა ქართველი ხალხი და საქართველო მონობის ჯაჭვსა სწყვეტს, როცა ქართველნი ქალ-ვაჟნი მოქალაქური უფლებით იმოსება, როცა ქართველი გლეხი, რუსის გლეხთან ერთად შენ მიერ გადმოსროლილს ლოზუნგს: „მიწასა და თავისუფლებას“ ბრძანებელი ხმით მოითხოვს.

აღსრულდა შენი ნატვრა, თავისუფალი საქართველოს თავისუფალ რუსეთთან ძმური კავშირი დღეს იჭედება.

დაგვირგვინდა შენი ღვაწლი და თუ აქ ძირს ჩვენთან ერთად ვერ დაინახე, ვერ მოისმინე ეს სანატრელი ხმა მაშვრალთ გულიდან ამონაყვირი, რომელიც ჩვენ მწარე სინანულით გვმოსავს, დეე უძლურს სხეულს განშორებული შენი უკვდავი სული ციურ სივრციდან დასცქერდეს და ისმენდეს მას მისაღებათ აქ მიუღებელ კმაყოფილებისა.

შენ საპატიო ცხედარს კი, რომელსაც შენთვის თვალ ცრემლიანი და მადლობით აღვსილნი ქართველი მაშვრალნი ეგრე მოწიწებით სამარისაკენ მიატარებენ, გულ მისივინებს თავისუფალი სამშობლო აქ, – დიდ-კაცთა სავანეში, რომელიც იმერეთის მიწამ თავის მრავალ ნიჭიერ შვილთა ღვაწლით სამართლიანათ დღეს გულზე აიგო.

მშვიდობით დიდო მებრძოლო და უკვდავო მამულიშვილო! თავისუფალი ქართველი ქალ-ვაჟნი შენს ნათელ ხსოვნას მარად პატივით მოიგონებენ.“

III. პოლიტიკური ორატორული ნიმუშები

III. POLITICAL ORATORICAL SAMPLES

სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე, ქ. ქუთაისში, 1917 წლის 20 მარტს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია კატო მიქელაძე (1878-1942) – ქართველი პუბლიცისტი, ფემინისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. კატო მიქელაძემ განათლება ევროპაში მიიღო. დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას პარიზში გაეცნო და 1916 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თანამოაზრეებთან ერთად, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყო. მისი თაოსნობით, 1917-1918 წლებში ჩამოყალიბდა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა“. გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“. აღნიშნული სიტყვა წარმოითქვა ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში.

ორატორული ნიმუში დაიბეჭდა რამდენჯერმე, მათ შორის, პირველად 1917 წელს გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“, სათაურით „სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ 20 მარტს ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში“²⁰⁵, მეორედ 2013 წელს – თამთა მელაშვილის მიერ წიგნში „კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“²⁰⁶, ასევე იმავე წიგნის 2017 წლის²⁰⁷ და 2020 წლის გამოცემებში²⁰⁸. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან²⁰⁹.

²⁰⁵ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ოთხშაბათი, 5 აპრილი, №1, გვ. 2.

²⁰⁶ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „ფავორიტი სტილი“, 2013, გვ. 26-30.

²⁰⁷ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „სეზანი“, 2017, გვ. 28-32.

²⁰⁸ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „სეზანი“, 2020, გვ. 28-32.

²⁰⁹ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ოთხშაბათი, 5 აპრილი, №1, გვ. 2.

Speech Delivered by Kato Mikeladze at a Women's Public Meeting, in Kutaisi, on March 20, 1917

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Kato Mikeladze at a women's public meeting, in Kutaisi, on March 20, 1917]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Kato Mikeladze (1878-1942) – a Georgian publicist, feminist, journalist and public figure. Kato Mikeladze received her education in Europe. She graduated from the Faculty of Social and Political Sciences of the University of Brussels. She became acquainted with the European experience of the women's movement in Paris and, after returning to Georgia in 1916, began to fight for women's rights together with her associates. Under her leadership, in 1917-1918, the regional network "Women's League" was formed. She published and edited the newspaper "Khma kartveli kalisa". The speech was delivered at a women's public meeting in Kutaisi.

The oratorical sample was printed several times, including the first time in 1917 in the newspaper "Khma kartveli kalisa" under the title "Speech spoken by Kato Mikeladze on March 20 at the Women's Public Meeting in Kutaisi"²¹⁰, the second time in 2013 – by Tamta Melashvili in the book "Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism"²¹¹, also in 2017²¹² and 2020²¹³ editions of the same book. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above²¹⁴.

²¹⁰ Newspaper "Khma kartveli kalisa", 1917, Wednesday, April 5, №1, p. 2 (in Georgian).

²¹¹ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, "Pavoriti Stili" Ltd., 2013, pp. 26-30 (in Georgian).

²¹² Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, "Sezani" Ltd., 2017, pp. 28-32 (in Georgian).

²¹³ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, "Sezani" Ltd., 2020, pp. 28-32 (in Georgian).

²¹⁴ Newspaper "Khma kartveli kalisa", 1917, Wednesday, April 5, №1, p. 2 (in Georgian).

სიტყვა

თქმული კატო მიქელაძის მიერ ქალთა საზოგადო კრებაზე, ქ. ქუთაისში, 1917
წლის 20 მარტს

„ქართველო ქალებო!

არავისათვის ძველი რეჟიმი, რომლის დანგრევას დღეს მთელი რუსეთი დღესასწაულობს, ისეთი დამჩაგვრელი არ იყო, როგორც დედაკაცების და კერძოთ, ქართველი ქალებისა. ის მთელი თავისი სიტლანქით ასი წლის განმავლობაში აწვა ჩვენს სამშობლოს, რომლის სიმძიმის ქვეშ ქართველი ქალის ღირსება ისრისებოდა. მან შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად უჩვეულო ზნე-ჩვეულებანი, რომელმაც შესცვალა უმაღლესად ზრდილი რაინდული პსიხოლოგია ქართველი მამაკაცისა და ოდესღაც ამაყს, თავისი ზნეობრივი გავლენით, ქართველს ცოლსა და დედას ჩაუწყვიტა ხმა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში და უპიროვნო კეკელკათ გადააქცია!

ქართველო ქალებო, იცოდეთ, რომ ჩვენ გვმართებს უდიდესი თავგამოღება, დიდი მეცადინობა, რომ გავფანტოთ ის უღირსი ჩვენი ზნეობრივად დამამცირებელი, ჩვენი ადამიანური ღირსების შემლახველი უკუღმართობანი, რომელიც რუსის ბიუროკრატია ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანა. ვის უნდა ახარებდეს მისი დამსხვრევა, როგორც ჩვენ? მოისპო მმართველობა ძალმომრეობისა! და დღეს, როცა ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის საძირკველი იყრება, ჩვენ თავს გვაწევს, ამ დიად ისტორიულ მომენტში, საშვილიშვილო ვალი, რომ მოვითხოვოთ ისეთი პირობები პოლიტიკურ ცხოვრებისა, რომელიც საშვალეებს²¹⁵ მისცემს ჩვენს მომავალ თაობას თავიანთი ინდივიდუალური ადამიანური პიროვნების განვითარებისა.

ასეთი პირობების შექმნა საჭიროა ყველა ქართველი ქალისათვის და იმ ადამიანური უფლების მოხვეჭის გულისათვის, რომელსაც ჩვენ ყველანი მოკლებული ვართ. ნუ იქნება დღეს ჩვენ შორის, ამ პოლიტიკური ცვლილების დროს, ანტაგონიზმი ბურჟუა და პროლეტარი ქალებისა, რადგან ჩვენ ყველანი ერთნაირად ჩაყენებული ვართ უფლებრივად გიჟებისა და ბავშვების მდგომარეობაში განურჩევლად ეკონომიკური კატეგორიისა.

ჩვენთვის, ყველასთვის მიუცილებელი საჭიროა ნორმალური სრული წლოვანი ადამიანის უფლება და ვიბრძოლოთ, დეხო, ამ ერთსულოვნებით ამ უფლების მოპოვებისთვის²¹⁶.

დღეს თქვენ ხედავთ როგორი ერთობით, როგორი სოლიდარობით იერიში მიაქვთ საერთო მტერზე პოლიტიკურ თავისუფლების განსამტკიცებლად ლიბერალებს და სოციალისტებს. ასეთი შეერთება თუ არ არღვევს თითოეული მათგანის რწმენას, ამავე შეერთებით რად უნდა შეიცვალოს ჩვენი პარტიული სიმპატია, მიმართულებანი? უბრალო გაუგებრობაა ასეთი აზრი და ვინც თქვენ ამაში შეგნებულად გაფრთხობთ, ქალია ის თუ კაცი, ის მტერია ქალთა სწორუფლიანობისა!

დღეს ჩვენა გვყავს ახალი დროებითი მთავრობა²¹⁷, რომელიც პირდება ხალხს ადამიანისა და მოქალაქის უფლების აღდგენას, რომელიც იწვევს დამფუძნებელ კრებას ახალი პოლიტიკური ცხოვრების მოსაწყობათ, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და საყოველთაო ხმის მიცემით. იქნება ის არჩევნები განურჩევლად სქესთა თუ არა, ამაზე უმაღლესი დროებითი მთავრობა არას გვეუბნება. ამას აცხადებს მხოლოდ ადგილობრივი სოციალისტური გაზეთები. ვინც იცნობს რუსეთის რევოლუციის ისტორიას, მას არ შეუძლია, რაგვარი ანტიფემინისტი არ უნდა იყოს ის, იმის უარის ჰყოფა, რომ რუსის

²¹⁵ საშვალეება – საშუალეება.

²¹⁶ კატო მიქელაძე აღნიშნულ სიტყვაში მოითხოვს ქალთათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სუფრაჟისტულ ბრძოლას და ქალებს პოლიტიკური აქტიურობისკენ მოუწოდებდა.

²¹⁷ დროებითი მთავრობა – იგულისხმება რუსეთის დროებითი მთავრობა, რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებს შორის. შეიქმნა თებერვლის რევოლუციის მსვლელობისას, რუსეთის დუმის დროებით კომიტეტსა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად.

ქალებს ისეთივე ღვაწლი მიუძღვით განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც რუსის მამაკაცებს.

ძნელია იმისა წარმოდგენა, რომ ამდენი ღვაწლი რუსის ქალებისა უქმათ ჩაითვალოს.

ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ ეს, მაგრამ იმედთან ერთად რაღაც საეჭვო ნიშნებსაც ვხედავთ, რომლის წინააღმდეგ რუსის ქალები ირაზმებიან და თავიანთი უფლების აღდგენას მოითხოვენ.

ჩვენ გვრწამს სულიერი სიძლიერე რუსის ქალებისა, რომ ისენი იაფათ არ დაუჯენენ არავის მათ მიერ გაღებულ მსხვერპლის დაუფასებლობას.

როგორ უხვდებით, ჩვენ, ქართველი ქალები, ამ უდიდეს ისტორიულ მომენტს? სამწუხაროთ, ერთობ პასიურად! და ასეთი ჩვენი მდგომარეობა უეჭველად უნდა შეიცვალოს, რომ დღევანდელი მონურ ცხოვრებიდან გამოვიდეთ. გვახსოვდეს, რომ ქართველ ქალთაც უდევთ წილი რუსეთის ხანგრძლივ რევოლიუციის სვლაში და თავისუფალ საქართველოში ისენი მონებათ ვერ დარჩებიან. მართალია, ჩვენ რუსის ქალების სიგმირე არ გამოგვიჩენია, მაგრამ არა მისთვის, რომ ჩვენში საამისო სულიერი ძალა არ მოიპოვებოდა, არამედ მისთვის, რომ საგმირო ასპარეზი თანამედროვე საქართველოში ორთავე სქესისათვის დახშული იყო. თუ ქართველს ქალს აქტიური სიგმირე არ გამოუჩენია, სამაგიეროთ, ქართველი ქალებიც ისეთივე ინტერესით ეხმაურებოდნენ განმათავისუფლებელს მოძრაობას, როგორც ჩვენი მამაკაცები.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქართველ ქალებს, რომელსაც თავისი სიცოცხლე და მთელი ოჯახის კეთილდღეობა საფრთხეში ჩაუგდიათ მისთვის და რომელნიც შემთხვევით გადარჩენილან.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქალებს, რომლებმაც იგემეს ოინები ძველი მთავრობის ნესტი ციხე-სიმაგრეებისა და შეიძლება, ყველაზე მძიმეთ. ქართველ ქალებზე გადაიარა კონტრ-რევოლუციურმა იერიშმა, რომლის მოწამენი ჩვენ, ყველანი ვართ. ეგ მსხვერპლი იმდენად დიდია და იმდენად მწველი, რომ მხოლოდ არაკეთილშობილთ თუ შეუძლიათ მისი დაუფასებლობა და ფუჭათ ჩატარება.

ქართველ ქალებს იმითაც შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, რომ ჩვენ შორის, მიუხედავად განსაცდელისა, ერთი მოღალატე განმათავისუფლებელი მოძრაობისა არ აღმოჩენილა და მომხრეები კი მრავალი.

ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით გაზეთ „სამშობლოში“, 56-7 ნუმერში²¹⁸ ამასწინათ გამოთქმულს აზრს, რომ ქართველ ქალებს „ნ თუმნიანი ტუფლიკანების გაფუჭების მეტი არა გაეკეთებინოთ რა“.

სამწუხაროთ, ჩვენ აღზრდილი ვართ იმ ანტიფემინისტურ ატმოსფეროში, რომელიც გაამეფა ძველი რეჟიმის აღზრდა-განათლებამ, სადაც ყველასა და ყველაფერს დედაკაცს აბრალებენ და ერთი რომელიმეს ნაკლს, მთელი ქალების ნაკლათა სთვლიან. ამ აზრით გამსჭვალულია არა მარტო მამაკაცები, არამედ ზოგი ჩვენთაგანიც და ისეთებიც, რომელთაც ქალთა უფლების აღდგენა სწადია.

მართალია, ჩვენ გვეყვანან, როგორც ყველა ერს, უსაქმური ქალები, რომელნიც ძვირფასიან ტანსაცმლის გაფუჭების მეტს არას აკეთებენ, მაგრამ ამასთან ერთად, ჩვენცა გვყავს ინტელიგენტი მშრომელი ქალები, რომელთა ხელში არსებობს მრავალი კერძო სკოლები. ჩვენცა გვყავს იდეური მუშა ქალები და თავდადებული დედები. თუ რომ ჩვენი ქალების უმცირესი ნაწილი უსაქმურ ცხოვრებაში 60 მანეთიან ტუფლიკანებსა სცვეთენ, ნუ დაგვავიწყდება ისეც, რომ ჩვენი უსაქმური მამაკაცები 600 მანეთს და 6000 მანეთებს კარტში და ქეიფში აქრობენ და ასეთი მათი ნაკლი საერთო მამაკაცების ნაკლად რომ ჩაითვალოს, მაშინ, თვით მთელი ერის მომავალზედაც ხელი უნდა ავიღოთ.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქალებს, რომლებიც ოჯახისა და შვილების საკეთილდღეოთ წელებზე ფხვს იდგამენ, მაშინ, როდესაც, მათი ქმრები უდარდელს ლხინსა და ქეიფს ეძლევიან. ჩვენ ვიცნობთ არა ერთსა და ორს დედებს, რომლებსაც უღარიბეს სიქვრივეში თავიანთი შვილებისთვის უმაღლესი სწავლა-განათლება მიუციათ და ოჯახი დაქცევიდან გადაურჩენიათ.

და თუ საზოგადო ასპარეზზე ქართველი ქალების აქტიურობა არა სჩანს, ამის მიზეზი გახლავთ ის უკუღმართი ზნეობრივი ატმოსფერო, გამეფებული მთელი საუკუნის განმავლობაში, რომელიც მას გასაქანს არ აძლევს.

დროა შევიგნოთ ის, რომ ქართველს ქალს საზოგადო ასპარეზი ხელოვნურად დახშული აქვს.

გვეყოფა თავის და ურთიერთის დამცირება, გავიმსჭვალეთ მეტის პატივისცემითა და რწმენით ერთმანეთისადმი, თორემ იმ გზით, რა გზითაც დღემდე გვივლია რომ ვიაროთ, კიდევ უფრო ხელს შევუწყობთ ჩვენს უპიროვნო ცხოვრებას. მოვიგონოთ, რომ ჩვენ შთამომავალნი ვართ იმ დიდებულთა დედათა, რომელნიც მთელს აზიაში ერთადერთი იყვნენ, ისტორიულად მონობას რომ არა ჰკადრულობდნენ და თვით ბარბაროსული დროის მამაკაცები მის პიროვნებას უდიდეს პატივსა

²¹⁸ ნუმერი – ნომერი.

სცემდენ.

გვახსოვდეს, რომ ჩვენ ისტორიული ტიკინებიც კი არა ვართ, არამედ გაგრძელება იმ დიდებულ ქალთა მოდემისა, რომელნიც ცნობილი იყვნენ არა მხოლოდ გარეგნული სიტურფით, არამედ შინაგანი სიმდიდრითაც, რომელთა თავისუფალი სული იმდენად მამაცი და ძლიერი იყო მტერთან, რამდენადაც სათნო და თავგაწირული მოყვარესთან.

გვახსოვს, რომ ჩვენს ძველ დედებს შეეძლოთ არა მარტო სქესობრივად მოხიბვლა მამაკაცებისა, არამედ თავიანთი ადამიანური ღირსებითაც, რომლის დობასა და მეგობრობას ძველი ქართველნი ნატრობდენ და აფასებდენ.

წარსულ დროთა ღველფში კიდევ დარჩა ნაპერწკალი და თანამედროვე ქართველი ქალების მოვალეობა ადანთოს თავისი ეგ მიმქრალი სულიერი ლამპარი შესაფერად ეხლანდელი ცხოვრებისა.

თავისუფალ საქართველოს სჭირია ნამდვილი მოქალაქენი ორთავე სქესში, რომელთაც ესმის საჭიროება ხალხისა და თავიანთ სამშობლოსა, რომლის ცოდნას მათ მისცემთ მხოლოდ სწორუფლიანი მოქალაქეობრივი ცხოვრება. ამ აზრით უნდა გავიმსჭვალეთ დღეს ყველა ქართველი ქალები და ერთსულოვნებით შეუდგეთ აღდგენას ჩვენი ადამიანური უფლებისას.

ამ მიზნით, ვთხოვ კრებას დაეხმაროს ქალთა გაზეთის გამოცემას, რომელსაც ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი მამაკაცებისთვის, სადაც საშვალეობა გვექნება გამოვსთქვათ საჭიროება და მოთხოვნილებანი თავისუფალ ქართველი ქალისა და ვამცნოთ შინაურსა და გარეშეს ჩვენი ფიქრნი და ზრახვანი, რომლის სამვალეობას მოგვცემს მხოლოდ საკუთარი პრესა. ამასთანავე, საჭიროა დაარსდეს ქართველ ქალთა კლუბი, რომლის მიზანი იქნება შექმნას ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ცენტრს ქუთაისის გუბერნიის ქალებისას. კლუბის ძირითად საკითხი იქნება დაეხმაროს სოციალისტურ პარტიებს კონტრ-რევოლუციის მოსაგერებლად და შემოკრიფოს თავის გარშემო რაც შეიძლება მეტი ძალა ქალთა ემანსიპაციის მომხრეებისა. ასეთი შეერთებული ქალთა ორგანიზაცია თავის წევრებათ ჩასთვლის არა მარტო დედაკაცებს, არამედ იმ მამაკაცებსაც, რომელნიც ქალთა სწორუფლიანობას აღიარებენ და მის წევრობას მოისურვებენ.

კლუბი მისცემს სრულს თავისუფლებას თავის წევრებს თავიანთ პარტიულ რწმენაში. საჭიროა დღესვე არჩეულ იყოს ქალთა კლუბის აღმასრულებელი ბიურო. ჩვენ ვთხოვთ ყველას, ვისაც ქალთა ემანსიპაციის ჭეშმარიტ მეგობრათ მიაჩნია თავი, დაგვეხმაროს ასეთი კლუბის დაარსებაში.

ქართველო მუშებო! იცოდეთ, რომ ყველაზე მეტად თქვენთვისაა საჭირო ადამიანური უფლებით აღჭურვილი გონიერი დედები, ცოლები, დები და შვილები, რომელნიც გვერდში ამოვიდგებიან თქვენი წლოვანობის სხვადასხვა დროს, იმ მძიმე სოციალური უღლის გასაწევით, რომელიც თქვენ გარგუნათ ბედმა.

მომეტებული წილი იცოდეთ, რომ თქვენი დები და შვილებია, რომელნიც სიღარიბითა და უფლებო ცხოვრების გამო უზნეო მამაკაცთა ტლანქი ჟინის მსხვერპლნი რომ ხდებიან და იღუპებიან. დაეხმარეთ ქალთა ემანსიპაციას, ჭეშმარიტი ამხანაგური გრძნობით გაიმსჭვალეთ ქალებისადმი, მოეხმარეთ, ასწავლეთ მათ სამოქალაქო საქმიანობა და თქვენ მალე ნახავთ თუ როგორს ნიჭს გამოიჩენენ ისენი საზოგადო საქმეში.

ჩვენ მოვითხოვთ ადგილობრივი სოციალისტური პარტიებიდან მათი ლოზუნგის და ქალთა სწორუფლიანობის ეხლავე პრაკტიკულ ცხოვრებაში გატარებას.

მოვითხოვთ აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტიდან ქართველი ქალების სამოქალაქო საქმეში ჩაბმას.

ქართველო ქალებო! გაიმსჭვალეთ მოქალაქეობრივი გამბედაობით და ყველგან, სადაც კი დაესწოთ კრებებს, მოითხოვეთ ქალების ხმის უფლება და მათი საერთო საქმეში ჩარევა.

დღეს გვეძლევა საშუალება ჩვენი საჭიროების გამოთქმისა, დღეს მოგვცა თავისუფლება სიტყვისა და კრებებისა და ღირსეულად გამოვიყენოთ იგი, როგორც ჩვენთვის, ისე საერთო საქმის სასარგებლოთ.

გაუმარჯოს თავისუფალს რუსეთს!

ჩვენი გულითადი სალაში ჩვენს დებს ჩრდილოეთისას!

აღდგენა და წარმატება მრავალტანჯულს საქართველოს!

წინსვლა და ამადლება ქართველს ხალხს, განურჩევლად სქესთა!“

სიტყვა, თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ, საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია მარიამ დადიანი-ანჩაბაძე (1870-1958) – ქართველი საზოგადო მოღვაწე. იგი აქტიურად იყო ჩართული სოხუმის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მარიამ ანჩაბაძის ინიციატივით, 1909 წელს ჩამოყალიბდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილება, რომლის გამგეობასაც წლების განმავლობაში იგი უცვლელად თავმჯდომარეობდა. საზოგადოებამ 1910 წელს სოხუმში ქართული სკოლა დააარსა. სწორედ მარიამ ანჩაბაძის დამსახურებაა, რომ მან 1900 წლიდან რუსებს სამოქალაქო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება შემოაღებინა. ცნობილია, რომ 1917 წლის 11-17 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველი საეკლესიო კრება. მარიამ ანჩაბაძის წინამდებარე სიტყვა სწორედ 15 სექტემბერს გამართულ ერთ-ერთ კრებაზე წარმოითქვა.

სიტყვა პირველად დაიბეჭდა 1917 წელს გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“, სათაურით „სიტყვა თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ ქ. თბილისში საკათალიკოსო კრებაზე 15 სექტემბერს 1917 წ.“, ხოლო ტექსტს ბოლოში დართული აქვს სქოლიო: „საეკლესიო კრებულმა ეს სიტყვა დიდის ყურადღებით მოისმინა და დაადასტურა. ამავე საგანზე ილაპარაკა ალავერდის ეპარქიის ქალთა წარმომადგენელმა ალ. გიურჯიძე-ციციშვილისამ“²¹⁹, შემდეგ გამოიცა 2013 წელს თამთა მელაშვილის მიერ წიგნში „კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“²²⁰, ასევე იმავე წიგნის 2017 წლის²²¹ და 2020 წლის გამოცემებში²²², 2018 წელს – წიგნში „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921“²²³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან²²⁴.

²¹⁹ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, №27, გვ. 4.

²²⁰ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „ფავორიტი სტილი“, 2013, გვ. 233-234.

²²¹ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „სეზანი“, 2017, გვ. 235-236.

²²² მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „სეზანი“, 2020, გვ. 235-236.

²²³ გაფრინდაშვილი, ლ. (რედ.), ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921, თბილისი, შპს კოლორადო გრუპი, 2018, გვ. 83.

²²⁴ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, №27, გვ. 4.

Speech Delivered by Mariam Anchabadze at the Catholic Council, in Tbilisi, on September 15, 1917

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Mariam Anchabadze at the Catholic Council, in Tbilisi, on September 15, 1917]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Mariam Dadiani-Anchabadze (1870-1958) – a Georgian public figure. She was actively involved in the cultural and educational activities of Sukhumi. On Mariam Anchabadze's initiative, in 1909 the Sukhumi branch of the "Society for the Promotion of Literacy among Georgians" was formed, the board of which she invariably chaired for many years. The society founded a Georgian school in Sukhumi in 1910. It is precisely Mariam Anchabadze's merit that she introduced the teaching of the Georgian language to Russians in civil schools since 1900. It is known that the First Ecumenical Council of the Georgian Apostolic Church was held on September 11-17, 1917. The present speech by Mariam Anchabadze was delivered at one of the councils held on September 15.

The speech was first published in 1917 in the newspaper "Khma kartveli kalisa" under the title "Speech spoken by Mariam Anchabadze at the Catholicosate Council in Tbilisi on September 15, 1917" and the text has a footnote at the end: "The church council listened to this word with great attention and confirmed it. The representative of women of the Alaverdi diocese, Al. Giurjidze-Tsitsishvili, spoke on the same subject"²²⁵, then published in 2013 by Tamta Melashvili in the book "Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism"²²⁶, also in the 2017²²⁷ and 2020²²⁸ editions of the same book, in 2018 – in the book "Women and Women's Issues in the Democratic Republic of Georgia, 1918-1921"²²⁹. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above²³⁰.

²²⁵ Newspaper "Khma kartveli kalisa", 1917, Thursday, October 19, №27, p. 4 (in Georgian).

²²⁶ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, "Pavoriti stili" Ltd., 2013, pp. 233-234 (in Georgian).

²²⁷ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, "Sezani" Ltd., 2017, pp. 235-236 (in Georgian).

²²⁸ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, "Sezani" Ltd., 2020, pp. 235-236 (in Georgian).

²²⁹ Gaprindashvili, L. (ed.), Women and Women's Issues in the Democratic Republic of Georgia, 1918-1921, Tbilisi, Colorado Group Ltd., 2018, p. 83 (in Georgian).

²³⁰ Newspaper "Khma kartveli kalisa", 1917, Thursday, October 19, №27, p. 4 (in Georgian).

სიტყვა

თქმული მარიამ ანჩაბადის მიერ საკათალიკოსო კრებაზე, ქ. თბილისში, 1917 წლის 15 სექტემბერს

„უზენაესი განგებისაგან ჩვენ სარწმუნოებაში უდიდესი დანიშნულება აქვს ქალს.

ღვთისმშობელი ქალი იყო. ხოლო, როდესაც პატარა იყო ეს ქალი მისმა მშობლებმა ტადრად მიიყვანეს და იქ კი ეს პატარა მარიამი მღვდელმთავარმა შეიყვანა წმინდათა-წმინდაში, სადაც გარდა სასულიერო პირებისა, იმ დროში თვით მამა კაცსაც აკრძალული ჰქონდათ შესვლა.

ღვთისმშობლის ესეთი ამბავი სწამს მთელს საქრისტიანოს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს კიდევ გვწამს ის თქმულებაც, რომ თვით ჩვენი ქვეყანა სწორედ ამავე ღვთისმშობლის წილხვდომილია.

და მართალია, ღვთისმშობელმა მისდა მაგიერათ წარმოგზავნა ანდრია მოციქული²³¹ აფხაზეთისა და საქართველოს გასაქრისტიანებლად, მაგრამ როგორც გადმოცემა გვეუბნება და ჩვენცა გვწამს, სრული ჩვენი განმანათლებელი იყო მოციქულთა სწორი ნინო²³² კაპადოკიის ქვეყნიდან, რომელმაც გაიგო თუ არა, რომ სადღაც მდებარეობს კეკლუცი ქვეყანა ივერიისა, ღვთის-მშობლის წილხვდომილიო, გამოეშურა ჩვენსკენ.

ქართული მატიაზე კი, მოგეხსენებათ, აღსავსეა ქართველ ქალთა ღვაწლთა აღწერით სარწმუნოების საქმეში. ქართველი ქალი პირველი დამცველი იყო ქრისტეს რჯულისა. იგი აშენებდა ეკლესიას, მონასტრებს, ასწავლიდა ყრმებს და უნერგავდა ქრისტეს სარწმუნოებას და ძალიან ხშირად ამ სარწმუნოებისათვის მიიღებდა კიდევ მოწამეობის გვირგვინს. იმას ხომ აღარ უნდა მტკიცება, რომ ქართველი ქალი უღრმესი მცოდნე იყო საღმრთო რჯულისა.

უახლოეს დროში, მე თვითონ მახსოვს მახლობელი პირი, განსვენებული ბებია ჩემი მარიამ აბაშიძის ქალი, რომელმაც ისე კარგად იცოდა ტიბიკონი²³³, რომ ღვთის მსახურების დროს თვით მღვდლებსაც ეკრძალებოდათ მისი რომ არა შეშლოდათ – რა.

ამ გვართ ქალის დანიშნულება სარწმუნოების საქმეში მრავალმხრივია და ისტორიული ფაქტებითაც განმტკიცებული.

დღეს კი თვით ეხლანდელი რევოლიუციაც, რომ არ მომხდარიყო და სხვათა შორის მას ქალთა გათანასწოების ლოზუნგიც არ გამოეტანა, სჯული ქრისტესი გვასწავლიდა ამას. ამისათვის ქალები უსათუოდ მოვითხოვთ სარწმუნოების საქმეში, სასულიერო უწყებაში სათანადო ადგილის დაჭერას და მე პირადად როგორც სოხუმელ ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე²³⁴ უსათუოდ ვიცავ გათანასწოების პრინციპს და მოვითხოვ, რომ სასულიერო უწყებაში ქალებს მიენიჭოს არამც

²³¹ ანდრია მოციქული – წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული, ქრისტეს მოციქული, წარმოშობით ბეთსაიდიდან. ძმასთან, პეტრესთან ერთად ცხოვრობდა კაპერნაუმში. ძმები მებადურები იყვნენ და მათ მამას ერქვა იონა. იონანს სახარების მიხედვით, ანდრია პირველწოდებული იყო იონანე ნათლისმცემლის მოწაფეთაგანი, რომელიც შემდეგ პირველი დაემოწაჟა ქრისტეს. მოციქულებზე სულიწმინდის მოფენის შემდეგ ისევე, როგორც სხვა მოციქულებმა, ანდრია პირველწოდებულმა დაიწყო ქრისტეს მოძღვრების ქადაგება და გაემგზავრა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებში. 62 წელს მოწამებრივად აღესრულა საბერძნეთში, ქ. პატრაში. ანდრია პირველწოდებული მიიჩნევა პონტოელთა, სკვითთა, იბერთა, სავრომატთა და სხვათა განმანათლებლად.

²³² ნინო – მოციქულთასწორი, ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო სხვადასხვა საისტორიო წყაროს მიხედვით კაპადოკიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) დაიბადა III საუკუნის მიწურულს. IV საუკუნეში კი, წმინდა ნინომ იბერიის სამეფოში ქრისტიანობა იქადაგა.

²³³ ტიბიკონი – ტიპიკონი (ბერძ. Τυπικόν – ნიმუში, ფორმულა, დაფუძნება) – ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიკული წიგნი, რომელიც განსაზღვრავს წლის ყოველი დღის ღმრთისმსახურების შემადგენლობას, რიგსა და წესს. აგრეთვე, მასში მითითებულია დღესასწაულები, მარხვები, მსგეფსები მთელი წელიწადისათვის და, ამათ გარდა, რამდენიმე წესი მონაზვნური ცხოვრებისა.

²³⁴ მარიამ ანჩაბადე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილების თავმჯდომარე.

თუ მარტო მედავითნეობა²³⁵, არამედ მიეცეთ უფლება ეკლესიაში ქადაგებისა და საზოგადოთ, სამისიონერო მოვალეობათ აღსრულებისა. მხოლოდ, როგორც მორწმუნე ქალს ტრადიციით შეუძლებლად მიმაჩნია ქალი ეკურთხოს მღვდლათ, ან ხელდასხმულ იქნეს მღვდელმთავრად და საზოგადოთ აღასრულოს ღვთის მსახურება, რადგან დღევანდელი ჩვენი რწმენის მიხედვით მღვდელი და მღვდელმთავარი არიან ქრისტესა და მოციქულების მაგიერი და მამაკაცთ უფრო შეჭვერისთ მათი მოადგილეობა.“

²³⁵ მედავითნეობა – იხ. მედავითნე – მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაბალი რანგის საეკლესიო მსახური, საერო პირი, რომელიც მღვდელს ეხმარება ღვთისმსახურების და სხვა რიტუალების შესრულებაში, დავითნის ან სხვა წიგნების კითხვაში, გალობაში.

სიტყვა, ვერთქმული კატო მიქელაძის მიერ საქართველოს პირველ
ეროვნულ ყრილობაზე აკაკი ჩხენკელის გამოცხადებით,
ქ. თბილისში, 1917 წლის 20 ნოემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, ვერთქმული კატო მიქელაძის მიერ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აკაკი ჩხენკელის გამოცხადებით, ქ. თბილისში, 1917 წლის 20 ნოემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია კატო მიქელაძე (1878-1942) – ქართველი პუბლიცისტი, ფემინისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. კატო მიქელაძემ განათლება ევროპაში მიიღო. დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას პარიზში გაეცნო და 1916 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თანამოაზრეებთან ერთად, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყო. მისი თაოსნობით, 1917-1918 წლებში ჩამოყალიბდა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა“. იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“. სიტყვის ადრესატია აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს ელჩი საფრანგეთში. კატო მიქელაძის სიტყვა გამოირჩევა სათაურის ფორმულირებით, რაც მას განასხვავებს სხვა ორატორული ნიმუშების სათაურების სტრუქტურისაგან. სიტყვა უნდა წარმოთქმულიყო საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა თბილისში, 1917 წლის 19-24 ნოემბერს.

პირველად დაიბეჭდა 1917 წელს გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“, სათაურით „ჩემი სიტყვა, რომლის წარმოთქმის უფლება არ მომცა ბ. აკ. ჩხენკელმა ეროვნულ ყრილობაზე, 1917 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისში“²³⁶, შემდეგ გამოიცა 2013 წელს თამთა მელაშვილის მიერ წიგნში „კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“²³⁷, ასევე იმავე წიგნის 2017 წლის²³⁸ და 2020 წლის გამოცემებში²³⁹, 2013 წელს – წიგნში „ქალები წარსულიდან“²⁴⁰, 2018 წელს – წიგნში „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921“²⁴¹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან²⁴².

²³⁶ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ორშაბათი, 4 დეკემბერი, №32, გვ. 3-4.

²³⁷ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „ფავორიტი სტილი“, 2013, გვ. 101-104.

²³⁸ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „სეზანი“, 2017, გვ. 103-106.

²³⁹ მელაშვილი, თ., კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, თბილისი, შპს „სეზანი“, 2020, გვ. 103-106.

²⁴⁰ გოგაძე, ს., ქალები წარსულიდან, მედიის განვითარების ფონდი, 2013, გვ. 51.

²⁴¹ გაფრინდაშვილი, ლ. (რედ.), ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921, თბილისი, შპს კოლორადო გრუპი, 2018, გვ. 73-75.

²⁴² გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917, ორშაბათი, 4 დეკემბერი, №32, გვ. 3-4.

**Speech that Kato Mikeladze could not Deliver at the First National
Congress of Georgia because of Akaki Chkhenkeli,
in Tbilisi, on November 20, 1917**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech that Kato Mikeladze could not deliver at the First National Congress of Georgia because of Akaki Chkhenkeli, in Tbilisi, on November 20, 1917]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Kato Mikeladze (1878-1942) – a Georgian publicist, feminist, journalist and public figure. Kato Mikeladze received her education in Europe. She graduated from the Faculty of Social and Political Sciences of the University of Brussels. She became acquainted with the European experience of the women’s movement in Paris and, after returning to Georgia in 1916, began to fight for women’s rights together with her associates. Under her leadership, in 1917-1918, the regional network “Women’s League” was formed. She was publisher and editor of the newspaper “Khma kartveli kalisa”. The addressee of the speech is Akaki Chkhenkeli (1874-1959) – a Georgian politician and diplomat, Minister of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia, member of the National Council and Constituent Assembly, Ambassador of Georgia to France. The speech of Kato Mikeladze is distinguished by the wording of the title, which distinguishes it from the structure of the titles of other oratorical samples. The speech was delivered at the First National Congress of Georgia, which was held in Tbilisi, on November 19-24, 1917.

It was first published in 1917 in the newspaper “Khma kartveli kalisa” under the title “My Speech, which was not deliver because Mr. Ak. Chkhenkeli did not give me the right to deliver it at the National Congress, November 20, 1917, in Tbilisi”²⁴³, then it was published in 2013 by Tamta Melashvili in the book “Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism”²⁴⁴, also in 2017²⁴⁵ and 2020²⁴⁶ editions of the same book, in 2013 – in the book “Women from the Past”²⁴⁷, in 2018 – in the book “Women and the Women’s Issue in the Democratic Republic of Georgia, 1918-1921”²⁴⁸. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above²⁴⁹.

²⁴³ Newspaper “Khma kartveli kalisa”, 1917, Monday, December 4, №32, pp. 3-4 (in Georgian).

²⁴⁴ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, “Pavoriti stili” Ltd., 2013, pp. 101-104 (in Georgian).

²⁴⁵ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, “Sezani” Ltd., 2017, pp. 103-106 (in Georgian).

²⁴⁶ Melashvili, T., Kato Mikeladze: Unknown Stories of Georgian Feminism, Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, Tbilisi, “Sezani” Ltd., 2020, pp. 103-106 (in Georgian).

²⁴⁷ Gogadze, S., Women from the Past, Media Development Foundation, 2013, p. 51 (in Georgian).

²⁴⁸ Gaprindashvili, L. (ed.), Women and Women’s Issues in the Democratic Republic of Georgia, 1918-1921, Tbilisi, Colorado Group Ltd., 2018, pp. 73-75 (in Georgian).

²⁴⁹ Newspaper “Khma kartveli kalisa”, 1917, Monday, December 4, №32, pp. 3-4 (in Georgian).

სიტყვა

**ვერთქმული კატო მიქელაძის მიერ საქართველოს პირველ ეროვნულ
ყრილობაზე აკაკი ჩხენკელის გამოსობით, ქ. თბილისში, 1917 წლის 20
ნოემბერს**

„საქართველოს მოქალაქენო,

აღტაცებული იმ დიდი საისტორიო ნაბიჯით, რომელიც დღეს აქ გადადგეს საქართველოსათვის მებრძოლმა მამულიშვილებმა²⁵⁰, მე, როგორც წარმომადგენელს ქუთაისის ინტერპარტიული ორგანიზაციისას, ვალად დამდევს იმ დროს, როცა ირკვევა ფორმა და საძირკველი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, გარდავსცე ეროვნულ ყრილობას გულის თქმა და ზრახვანი ქართველი ქალებისა, რომ განახლებულმა საქართველომ ერთხელ და სამუდამოთ მოსპოს ბარბაროსული ნაშთი ქალთა მონობისა.

საქართველოს მოქალაქენო! ისტორიამ არ იცის უფრო სამარცხვინო მოვლენა, როგორც არის თავისი უცნაური შედეგით მონობა დედაკაცისა. უდიდესი უბედურება ერისა და კაცობრიობისა არის დავიწყება და უყურადღებობა დედრობითი სქესის ბუნებრივი და მოქალაქური უფლებისა. თქვენ, რომელნიც ებრძვით ძალმომრეობას, იმ ძალმომრეობას, რომელმაც პირველად დედაკაცის ადამიანური პიროვნება დაამონავა, ჩვენ, ქართველი ქალები, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ საქართველოს განახლებულ ეროვნულ შენობაში ამ სიავეს და უსამართლობას არ შეიტანთ.

ძველმა რევოლიუციებმა თუ რომ დაამსხვრიეს დესპოტიური²⁵¹ ფეოდალური წეს-წყობილება და დედაკაცის კარჩაკეტილ ცხოვრებას კარი გაუღეს, სამაგიეროთ, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა მათ ვერაფრით ვერ შესცვალეს, რომლის გამო ფხიზელი ნაწილი დედრობითი სქესისა თავის მწარე ხვედრზე ჩაფიქრებული, დღეს ოდნავ კულტურულ ქვეყანაში ბრძოლას აცხადებს.

ორგვარმა აღზრდამ, ორგვარმა სამართალმა და ზნეობამ იმდენათ განასხვავა ორთავე სქესის ცხოვრება და ადამიანობა, რომ ბუნებრივათ თავი უნდა ეჩინა იმ ანტაგონიზმს მათ შორის, რომელიც მოწინავე ქვეყნების ქალთა მოძრაობამ დაგვანახა. მართალია, არც რუსეთში და არც საქართველოში სქესთა დამოკიდებულება ასეთ სიმწვავემდე არ მისულა, მაგრამ არა მისთვის, რომ იქაც და აქაც ქალები არ ვყოფილიყავით დაინტერესებული ჩვენ ადამიანურ უფლებაზე, არამედ მისთვის, რომ ქალები იბრძოდნენ, განსაკუთრებით რუსეთში, თავიანთ ძმებთან ერთად, იმ სულთამხუთავი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ყველას ერთნაირად სულს გვიხუთავდა იმ ერთადერთი მიზნით, რომ ხალხის თავისუფლება ნამდვილ, რეალურ სახეს მიიღებდა და ძმებთან ერთად დებიც პიროვნული და მოქალაქური უფლებით შეიმოსებოდა.

დღევანდელმა განმათავისუფლებელმა რევოლიუციამ და მისმა მთავრობამ არც გაუწბილა ქალებს ეგ იმედი და ქალთა სწორუფლიანობაც გამოცხადდა. მხოლოდ, სიტყვა და საქმე რომ არ სხვადასხვაობდეს და მით, მეოცე საუკუნის რევოლიუციამ თავიდან აიცილოს ის უდიდესი ნაკლი, რასაც ძველი რევოლიუციები ატარებდა ცხოვრების არსებითად შეუცვლელიობაში, ქალები მოვითხოვთ აღიარებული ჩვენი უფლების კანონიერ სანქციასაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავისუფალი დემოკრატიის წარმომადგენელნი, რომელნიც ხელს კიდებენ ქვეყნის მართვა-გამგეობას, არ მიბამავს ქალთა საკითხში იმ დესპოტურ მთავრობას, რომელმაც ქალი და ვაჟი თავის

²⁵⁰ იგულისხმება საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელიც გაიმართა თბილისში, 1917 წლის 19-24 ნოემბერს. ეროვნული ყრილობა დიდი მოვლენა იყო საქართველოს თვისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. ამით, არსებითად, ყალიბდებოდა ქართული ხელისუფლება.

²⁵¹ დესპოტიური – დესპოტური სიტყვიდან დესპოტიზმი – პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც ერთი ადამიანი შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს. დესპოტიზმის სინონიმია დიქტატურა. დესპოტის ტიტულს ბიზანტიის იმპერატორები ატარებდნენ. ცნობილია, რომ „დესპოტს“ ძველი ბერძნები დაპყრობილი ქვეყნის მმართველს უწოდებდნენ.

მძიმე უღლის ქვეშ ერთნაირად დასტანჯა და რომლის წინააღმდეგ ჩვენ, ქართველი ქალები, მსგავსად ჩვენი დღევანდელი შეძლებისა და მოხერხებისა, ვიბრძოდით თქვენთან ერთად.

მოქალაქეო! საქართველო ისტორიულად არ იყო ჩვეული ქალთა მონობას. მაშინ, როდესაც მთელ აღმოსავლეთში ქალები უკიდურეს პიროვნულ შევიწროვებას განიცდიდნენ, ჩვენი სამშობლო იმ დროსაც კი, როცა მთელი ქვეყნის არსებობა და ცხოვრება მუშტის ძალაზე იყო დამყარებული და ფიზიკურათ სუსტი სქესის დამონება უფრო გასამართლებელიც, ვიდრე დღევანდელს კულტურულს ცხოვრებაში, ქართველი ქალი შედარებით თავისუფლებით სარგებლობდა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

ქართველი ხალხის ცოლ-ქმრობა ამხანაგური ხასიათის იყო, რისაც გამომხატველია, თუ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება არა, ჩვენი უძველესი დედა ენა, რომელმაც ასეთს კავშირს სახელად მეუღლეობა უწოდა. ქართველი ქალი არც საზოგადოებრივ მოღვაწეობას იყო მოწყვეტილი და იმ დროს, როცა ჩვენი გმირი მამა-პაპანი ფარ-ხმალს ლესდენ მტრის მოსაგერებლათ, ჩვენი ძველი დედები სამოქალაქო ცხოვრებას ჭირისუფლობდნენ, ავრცელებდნენ სწავლა-განათლებას, სარწმუნოებას, ექიმობას, აშენებდნენ მტრისგან აოხრებულ ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს და სხვ.

არც პოლიტიკურ საქმეებს უდგნენ ქართველი ქალები განზე და თავიანთი უნართა და გონიერი მეცადინეობით არაერთხელ შეუერთებიათ დანაწილებული კუთხეები საქართველოსა. ქართველი ქალები ერთდენ თვით საგარეო პოლიტიკაში და დიდათ საკეთილოთაც, ჩვენი ქვეყნისთვის საგანგებოთ კონსტანტინოპოლს წასულმა ბაგრატ მეფის დედამ, მარიამმა²⁵², იმ მიზნით, რომ შეწყვეტილიყო ბერძენ ქართველთა სისხლის ღვრა, ისეთი დიდი გავლენა მოიპოვა საბერძნეთის მეფის თვალში, რომ უკანასკნელმა არათუ ომი შესწყვიტა, არამედ ბერძენ ქართველთა მოყვრობაც განიზრახა და თავისი ქალიშვილი ლუარსაბ მეფეს²⁵³ მიათხოვა.

მე აქ არ გამოუდგები სხვა მაგალითების მოყვანას, რომელსაც გადმოგვცემს ჩვენი ძველი ისტორია. სანიმუშოთ ესეც კმარა, რომ სანამ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში უცხოური გავლენა არ შემოიჭრა, ქართველი ქალი არასოდეს უპიროვნო არსებას არ წარმოადგენდა. მის თვითმოქმედებას არც ოჯახში და არც საზოგადოებაში ხელოვნურად წინ არაფერი არ ეღობებოდა, რომლის გამო, მას როგორც ერთზე, ისე მეორეზე უდიდესი გავლენა ჰქონდა.

ასეთი ფართო სამოქმედო ასპარეზის წინ გადაშლამ ქართველ ქალში ჰარმონიულად შეიზავა ყველა ისე თვისებები, რომელიც ადამიანის სრულს პიროვნებას იმ დროისთვის გამოხატავდა და არა მარტო თვისებები თავისი სქესისა, რისთვისაც მას ქართველმა ხალხმა დედაკაცი უწოდა ე.ი. ქალი-ადამიანი და მით, დედაკაცისა და მამაკაცის პიროვნებას ერთნაირი ზნეობრივი ღირებულობა მისცა, რაც გამოსთქვა კიდევ ჩვენმა უდიდესმა ეროვნულმა მგოსანმა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“.

ასეთი პიროვნული თავისუფლებით ქართველ ქალში განვითარებული იყო ისეთი ძლიერი სულიერი ენერჯია, რომელიც ყველა გასაჭირს უმკლავდებოდა. ჩვენი ხალხური ანდაზა ამბობს: „დედაკაცს სანამ ქმარი ყავს, ამირანია და როცა დაქვრივდება, ამირანთ ამირანო“. ეს ანდაზა იმის გამომთქმელია, რომ ქართველი ქალი გასაჭირში არათუ არ იბნეოდა, არამედ, როცა მარტო, ობლად რჩებოდა, თავის სულიერ ძალას და აქტიურობას აორკვევდა და თუ ეს ძალა დღეს მიმქარალია და ვიცით, რისი და ვისი მიზეზითაც, მოქალაქეო, თქვენი მოვალეობაა შექმნათ პირობები ამ ძალთა აღდგენისა და განახლებისა.

ჩვენ გვრწამს რაინდული სულის ქართული დემოკრატიისა და იმისა, რომ მისი წარმომადგენელი ჯეროვანი ყურადღებით გადახედავენ ქალთა საკითხს იმ კანონების გამოცემის დროს, რომლის წინაშე რუსეთისა და საქართველოს მთავრობა მოითხოვს ქალ-ვაჟთა ერთნაირს მორჩილობას. სახეში მიიღებენ იმ სამართლიან მოთხოვნილებასაც, რომ ეგ კანონები ერთნაირად აკმაყოფილებდნენ ორთავე სქესის საჭიროებას და უჭრიდეს მათ ერთნაირს სამართალს, ვინაიდან ქალი არის იგივე გონიერი და გრძნობიერი არსება, ავისა და კარგის მომქმედი, როგორც მამაკაცი. ამისათვის, ჩვენ მოვითხოვთ ისეთი მმართველობის ფორმას ჩვენ სამშობლოში, რომელიც უფრო მეტად უზრუნველსა ჰყოფს პიროვნულს და ეროვნულ თავისუფლებას მეზობელ ერებთან სრული სოლიდარობის და ხალხის სუვერენული პრინციპის დაცვით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ორთავე სქესის თანასწორი

²⁵² მარიამ დედოფალი, XI ს. -ის პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი I-ის მეუღლე, ბაგრატ IV-ის დედა. მარიამ დედოფალი ეკუთვნოდა სომხური არისტოკრატიის უმაღლეს წრეს, იგი იყო ვასპურაკანის მეფის, სენაქერიმ არწრუნის ასული.

²⁵³ ლუარსაბ მეფე – შეცდომაა, უნდა იყოს მეფე ბაგრატ IV, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ III-მ თავისი ძმის, მაგისტროს ბასილ არგროსის ქალიშვილი ელენე მიათხოვა.

მონაწილეობის მიღებით ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

საქართველოს მოქალაქენო! დღეს ჩვენი სამშობლო ქვეყანა საუკუნოებრივი მონობის ჯაჭვსა სწყვეტს, მაგრამ თქვენ, თავისუფლებისათვის მებრძოლმა გმირებმა უნდა მიაწიოთ მას ნამდვილი თავისუფლება. თქვენთან ერთად მას წინ აღდგენილი, თავისუფალი მოქალაქე ქართველი ქალი უნდა მიუძღვოდეს. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოში სწორუფლიან ქალ-ვაჟთა მომავალ თანამშრომლობას!“

სიტყვა, წარმოთქმული საფო მგელაძის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ პლენუმზე, ქ. თბილისში, 1932 წლის 28 დეკემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული საფო მგელაძის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ პლენუმზე, ქ. თბილისში, 1932 წლის 28 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია საფო მგელაძე (1894–1936), ოფიციალური სახელი: საფო გიგინეიშვილი, ჰქონდა ფსევდონიმები: „გურული ქალი“, „ეწერელი ქალი“, „მუშა ქალი“, „სანი“) – ქართველი მწერალი და პოეტი. ლიტერატურული მოღვაწეობა პოეზიით დაიწყო, შემდეგ კი ბელეტრისტიკაშიც სცადა ბედი, მაგრამ ლექსების წერა არ შეუწყვეტია. ის ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ფსევდონიმებით; გაზეთებიდან ის თანამშრომლობდა შემდეგ გამოცემებთან: „კავკასიონი“, „ჩვენი გზა“, „ტრიბუნა“, „კომუნისტი“, „ხმა ქართველი ქალისა“; ჟურნალებიდან: „ლიტერატურული საქართველო“, „პროლეტარული მწერლობა“, „ლომისი“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“. მისი პირველი ლექსი „საქართველო“ დაიბეჭდა 1908 წელს. პირველი წიგნი (პოემა „ბახმარო“) გამოვიდა 1927 წელს. „ლიანა ლორდია“ იმ დროის ახალგაზრდების საყვარელ წიგნად იქცა. 1932 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული „პრელუდია“; მისი ბევრი ლექსი სატრფიალო ლირიკის ჟანრს განეკუთვნება. საფო განსაკუთრებით პოპულარული იყო ქალებს შორის. მისი ნაწარმოებების გმირები არიან ქალები, რომლებიც თვითონ იბრძვიან საკუთარი ცხოვრების შესაქმნელად. თანამედროვენი მას ქართველ ჟორჟ სანდს უწოდებდნენ.

სიტყვა გამოქვეყნდა 1990 წელს გაზეთში „წიგნის სამყარო“, სათაურით „საფო მგელაძის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ პლენუმზე 1932 წლის 28 დეკემბერს“²⁵⁴. სიტყვა დაიბეჭდა შემოკლებით. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

²⁵⁴ გაზეთი „წიგნის სამყარო“, თბილისი, 1990, 14 მარტი, №5 (521), გვ. 3.

Speech Delivered by Sapho Mgeladze at the First Plenum of the Writers' Union of Georgia, in Tbilisi, on December 28, 1932

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Sapho Mgeladze at the First Plenum of the Writers' Union of Georgia, in Tbilisi, on December 28, 1932]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Sapho Mgeladze (1894-1936), official name: Sapho Gigineishvili, had pseudonyms: “Guruli Kali”, “Etserele Kali”, “Musha Kali”, “Sani”) – a Georgian writer and poet. She began her literary career with poetry, and then tried her luck in fiction, but did not stop writing poems. She appeared on the pages of the Georgian press under pseudonyms; from newspapers she collaborated with the following publications: “Kavkasioni”, “Chveni gza”, “Tribuna”, “Komunisti”, “Khma Kartveli Kalisa”; From the magazines: “Literaturuli sakartvelo”, “Proletaruli mtserloba”, “Lomisi”, “Kartuli mtserloba”, “Mnatobi”. Her first poem “Georgian”, was published in 1908. Her first book (the poem “Bakhmaro”) was published in 1927. “Liana Lordia” became a favorite book of the youth of that time. In 1932, her collection of poems “Prelude” was published; many of her poems belong to the genre of romantic lyrics. Sapho was especially popular among women. The heroes of her works are women who themselves struggle to create their own lives. Contemporaries called her the Georgian George Sand.

The speech was published in 1990 in the publication “Book's World” under the title “Speech of Sapho Mgeladze Delivered at the First Plenum of the Writers' Union of Georgia on December 28, 1932”²⁵⁵. The speech was published as shortened version. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

²⁵⁵ Newspaper “Tsignis samqaro”, Tbilisi, 1990, March 14, №5 (521), p. 3 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული საფო მგელაძის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის
პირველ პლენუმზე, ქ. თბილისში, 1932 წლის 28 დეკემბერს

„ამხანაგებო!

არსად, არც ერთ ქვეყანაში არ არის მწერალი ქალი ისე დამცირებული და აბუჩად აგდებული, როგორც საქართველოში. მწერალთა კავშირში ქალთა სწორუფლებიანობა მარტო ქალაღმწერალი აღნიშნული. ეს საყვედური მიმართულია იმ ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც იყვნენ და არიან დღესაც მწერალთა კავშირში.

აქ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართველი მწერალი ქალი მეტის მეტად პასიურია. ვინ ქმნის ასეთ მდგომარეობას? ვინ ჩაკეტა ქართველი მწერალი ქალი თავის საკუთარ ნაჭუჭში, თავის საკუთარ განცდებში? იმ ურთიერთობამ, რომელიც დიდი ხანია აქ არსებობს. მწერალი მამაკაცი ისე როდი უყურებს მწერალ ქალს, როგორც ამხანაგს და თანატოლს, არამედ ისე, როგორც შემთხვევით სტუმარს, რომელიც შედის ხელოვნების სასახლეში მხოლოდ იმისათვის, რომ მოისმინოს მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ან ლექსი. დაუმახეთ ოდესმე მწერალ ქალს, როდესაც გადასაწყვეტი გქონდათ ესა თუ ის საკითხი? მოგაგონდათ მწერალი ქალი იმ დროს, როდესაც მიბრძანდებოდით სამოგზაუროდ? – დაუმახეთ მას იმ დროს, როდესაც უმართავდით ბანკეტებს უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებს? მიამაგრეთ ისინი ამა თუ იმ ქარხანას? გაუწიეთ ამხანაგური დახმარება მას შემოქმედებითი მუშაობის დროს? მოგაგონდათ მწერალი ქალი იმ დროს, როდესაც ანაწილებდით და ხარჯავდით მწერალთა კავშირის თანხებს?

რედაქციები თქვენთვის არსებობს, ჟურნალ-გაზეთები თქვენთვის გამოდის, გამომცემლობა თქვენთვის მუშაობს, მწერალთა კავშირი თქვენია. მწერალი ქალი? ამას არა აქვს ადგილი თქვენს საერთო მაგიდაზე, ის თითქოს არც არსებობდეს საქართველოში! ასეთი მდგომარეობა შექმენით თქვენ და ყოველივე ამის შემდეგ აქ გამოდიან და ბედავენ იმაზე ლაპარაკს, რომ ქართველი მწერალი ქალი პასიურია.

მე პატივს ვცემ ყოველ მართალსა და პატიოსან ადამიანს, მაგრამ არა ვარ ვალდებული პატივი ვცე იმ ადამიანებს, რომლებიც გულით შხამს ანთხევენ და ტუჩებით – ღიმილს. პატიოსანი კაცი ან გულწრფელად უარყოფს, ან გულწრფელად იწამებს ამა თუ იმ იდეას. მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ხან აქ არიან, ხან იქ, ხან ეს მოსწონთ, ხან ის და ასე შემდეგ. ნიადაგი, რომელზეც დგას მერყევი ადამიანი, მუდამ ქანაობს, და ასეთ ნიადაგზე არავითარი მცენარე არ ხარობს. მწერალი ქალები მუშაობდნენ გულწრფელად და სურვილი აქვთ, რომ დღესაც იმუშაონ, მიუხედავად ამისა, მწერალი ქალი მაინც იჩაგრება და მაინც კვდება, როგორც მწერალი და შემოქმედი. როგორ პირობებში უხდება მწერალ ქალს მუშაობა? გარდა ერთი ორისა, მას ცალი თვალი სასაცილო ქვაბზე აქვს მიპყრობილი, მეორე თვალით წიგნში იხედება. ნიჭიერმა ბელეტრისტმა ქალმა ანასტასია ერისთავ-ხომტარიამ ამას წინათ შემომჩივლა:

– დავბერდი, შვილო, და მთელი ჩემი დრო მაინც დიასახლისობასა და მზარეულობას უნდება, იმის საშუალება არა მაქვს, გაზეთი წავიკითხო მაშინ, როდესაც მწერალი მამაკაცები შინ და გარეთ ყოველგვარი პრივილეგიებით სარგებლობენ, ამავე დროს ქალებს ხელის შეწყობის ნაცვლად გზას უღობავენ. მაგალითები გნებავთ? მე ვილაპარაკებ ჩემს თავზე, დეე, სხვებმაც ილაპარაკონ თავიანთ გაჭირვებაზე, თუ საამისო სიტყვის თქმის უფლება თქვენგან ექნებათ მინიჭებული...

მე, საფო მგელაძემ, სამჯერ შევიტანე განცხადება „სახელგამში“, წავიღე ბენიტო ბუაჩიძის მიერ არჩეული ჩემი ლექსები და სამჯერ უარით გამომისტუმრეს. და როდესაც ამის გამო საყვედურით მივმართე ბარონ ბიბინიევილს, „სახელგამის“ ვექილად გამოვიდა პავლე საყვარელიძე და მის კაბინეტში გააკეთა ვრცელი „მოხსენება“, რომ „დღეს ლექსებს არავინ არ კითხულობს და არც არავის

სჭირდება დღეს ლექსი“.

„სახელგამმა“ გამოსცა სამი ბელეტრისტი ქალის წიგნები. ესენია: ეკ. გაბაშვილი, ანასტასია ხომტარია და მარიამ გარიყული. არც ერთ მათგანზე ერთი სიტყვაც არ თქმულა პრესაში. გარიყულის წიგნში შეტანილია ძველი მოთხრობები, მაგრამ არის ახალი მოთხრობებიც, არსებული ხელისუფლების დროს დაწერილი და დაბეჭდილი. რით არ იყო ეს მოთხრობები კრიტიკის ყურადღების ღირსი?

1928 წელს გამოვიდა ჩემი რომანი „ლიანა ლორდია“. ჩვენმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა ვერც დაინახეს ის. თუ ეს წიგნი დღეს ბაზარზე არსად იპოვება, გადასაგდება? ბრძანეთ და განაცხადეთ ეს, თუ ამ წიგნში არის რაიმე საგულისხმო, რატომ არ კადრულობთ ელპარაკოთ ამის შესახებ როგორც მის ავტორს, ისე მის მკითხველს? თქვენ არ შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ მწერალ ქალებს მკითხველი არა ჰყავთ. ჩვენ გვყავს მკითხველიც და დამფასებელიც, თუ ტრაბახობად არ ჩამითვლიან, მოვიყვან აქ რამდენიმე სტრიქონს იმ წერილისას, რომელიც მივიღე სამი დღის წინათ: „ამდენი ხნის სიჩუმე არ ეპატიება მწერალ ქალს, „ლიანა ლორდიას“ და იმ მშვენიერი გრძნობით გამთბარი, ოსტატურად გამოკვეთილი ლექსების ავტორს; თქვენს ნაწერებში არის „რადაცაც“, რომელიც იზიდავს კაცს, იპყრობს მას და სულს უფორიაქებს, რომელიც აკლია ბევრ ხელოვან მწერალს“. როგორც ხედავთ, მწერალ ქალებს კითხულობს საზოგადოება და შეიძლება ჩვენმა წიგნებმაც მოახდინოს ზეგავლენა ამა თუ იმ ახალგაზრდის სულიერ განვითარებაზე. აქ გამოდიან და საათობით ლაპარაკობენ ამა თუ იმ მამაკაცის შემოქმედებაზე და ლაპარაკობენ ისეთ მწერლებზეც კი, რომლებმაც მხოლოდ სამიოდე ლექსი დაწერეს, ამავე დროს არ მოიგონებენ იმ ქალებს, რომლებმაც ათეული წლების მანძილზე იმუშავეს სალიტერატურო ასპარეზზე. „ძმაბიჭური“ განწყობილება, პირადი სიმპათიებით ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტა, უნიჭო მწერლების პარნასზე აყვანა, რომელთა წიგნები ფუთობით აწყვია ბაზარზე, ამით ზარალობს სახელმწიფო, გამომცემლობა. აი, ეს ახასიათებს ჩვენს ზოგიერთ ყოვლისშემძლე მწერლებს.

და კიდევ აქ ეუბნებიან უარს დაწერილსა და წარდგენილ წიგნს, ამავე დროს ავანსად არიგებენ ჰონორარებს დაუწერელ წიგნებში. იყო შემთხვევა, ფული შეიჭამა და წიგნი არ დაიწერა. არის ერთი ჯგუფი მწერლებისა, რომლებიც ცდილობდნენ მოეკლათ ჩემი უკანასკნელი „გზადაგზა“, როგორც მხატვრული ნაწარმოები და ეძებდნენ მესაფლავეს, რომელიც უსირცხვილოდ იკისრებდა ამ ყველაზე საბრალო და ულამაზო როლს. იაგომ ოტელოს ხელებით დაახრჩო დეზდემონა, ოტელო, ეს პატიოსანი კაცი, გახდა მკვლეელი და ნამდვილი მკვლეელი კი ფარდას მიეფარა. ჩვენს წრეშიც არიან ასეთი იაგოები, ისინი ხან საკუთარი თითებით, ხან სხვისი თითებით ახრჩობენ ამა თუ იმ მწერალს.

მწერალი უბრალო ამბის უბრალო ამსახველი კი არ არის, არამედ მასწავლებელიც, ხელმძღვანელიც. არსებობს უცნაური მსგავსება თანამედროვე მწერალთა შორის და არის შემთხვევა, როდესაც ერთ წიგნს მეორისაგან ვერ არჩევთ. ერთგვარი თემა, ერთგვარი სტილი, ერთგვარი კომპოზიცია... წიგნის სიუჟეტი სათამაშო ბურთი არ არის, რომ ის ხან ერთმა გამოაგროს და ხან მეორემ. ხშირად ჩვენი პროლეტარული მწერლები პირიდან ართმევენ ერთმანეთს თემას და გამოდის დაუსრულებელი ტავტოლოგია. უკანასკნელ დროს მთავარ თემად მოჯამაგირეობა გადაიქცა. თქვენ წინასწარ იცით, რით იწყება და ბოლოვდება ასეთი წიგნი. მოჯამაგირე ჯერ თავის დამქირავებლის ხელში განიცდის ყოველგვარ ექსპლოატაციას, შემდეგ – თავისუფლება, შედის უნივერსიტეტში, საიდანაც გამოდის განათლებული კაცი და ხდება ან ექიმი, ან ინჟინერი, ან პროფესორი.

ქალები? როგორი ქალების ტიპებს გვამღევენ ჩვენი თანამედროვე მწერლები? ზოგი მათგანი ისეთი ფერადებისაგან ჭრის ქალის პორტრეტს, რომ აღარ იცი, ვინ არის ეს ქალი, პროსტიტუტკა თუ პატიოსანი მშრომელი დედაკაცი. ადამიანის სულიერი განწყობილება იცვლება არსებული მდგომარეობის მიხედვით. საუკუნეებით განებივრებული ქართველი ქალის ბუნებაც შეიცვალა რევოლუციის შემდეგ. ჩვენ დღეს ვხედავთ ქალებს, ხელოსნებს, კოლმეურნეებს, ექიმებს, ვექილებს, ლექტორებს და სხვა. მათ ენერგიულად ასწიეს ტვირთი სოციალისტური მშენებლობისა და მეცნიერული მუშაობისა. ასეთ ქალებს ჩვენში მწერლები ვერ ხედავენ, არც პ. ჩხიკვაძის ლაურა და არც კ. ლორთქიფანიძის გაიანე თანამედროვე ქალის ტიპები არ არიან. ჩვენი ბევრი მწერალი ქალში, გარდა სქესისა, არაფერს ხედავს. ამის შესახებ მე მქონდა ლაპარაკი მიხეილ ჯავახიშვილთან, მე მას უაღრესად დიდ პატივს ვცემ როგორც უნიჭიერეს მწერალს, ვთხოვე, რომ შეექმნა ქართველი ქალის ტიპი. კარგი მწერალი იმას ჰქვია, რომელიც აყვარებს მკითხველს წიგნს, აყვარებს მკითხველს დადებით ტიპს, კარგი მწერალი უნდა დაუკვირდეს სინამდვილეს და ტყუილ-უბრალოდ არ მოანდომოს დრო

ყალბი ტიპების გამოკვეთას.

ნიჭიერი მწერალი, გულღვარძლიანი ადამიანების მიერ არ უნდა იყოს გასრესილი. მაგრამ როგორია თვით მწერალთა ურთიერთობა? ეს ურთიერთობა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. დაჯგუფება არსებობდა, არსებობს და კიდევ იარსებებს. არ ვიცი, თუ ამას რამე ეშველება. არ არის ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის გატანა, ერთმანეთის დაფასება. აქ გამოდიან ორატორები და ციკლონისებური სიამაყით სიტყვების კორიანტელს აყენებენ, ისვრიან მაღალფარდოვან ფრაზებს და ამბობენ: „მწერალთა შორის საჭიროა კარგი ურთიერთობის დამყარება, რომ საჭიროა მწერალთან გულთბილი მისვლა და სხვა“, მაგრამ ეს სიტყვები მართო სიტყვებია, ნამდვილად კი ეს ორატორები იქ კულისებში თვითვე იფუჭებენ საქმეს, თვითონვე კინკლაობენ და ინტრიგანობენ, განსაკუთრებით ქალთა მიმართ. სად შემიძლია წავიდე? ვინ გეტყვის სიმართლეს, ხელოვნების სასახლეში სიმართლეს ვერ იპოვი. მწერალი რიგთან პასუხს არ გაღირსებს და დადიხარ გაბოროტებული ერთი რედაქციიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ასე. მე მინდოდა მყვარებოდა ყველა და მაიძულებენ მძულდეს ყველა, მაიძულებენ იმიტომ, რომ არ შეიძლება გიყვარდეს ისეთი მწერალი, ისეთი რედაქტორი, ისეთი კრიტიკოსი, რომელსაც სურს წარხოცოს შენი არსებობა, რომელიც არ გაძლევს გასაქანს, რომელიც გზაგრავს და გავიწროებს...“

სიტყვა, წარმოთქმული თინათინ შარაძენიძის მიერ ენათმეცნიერების
ინსტიტუტის საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის
განხილვისას, ქ. თბილისში, 1978 წლის 4 აპრილს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს
ნათია კენჭიაშვილმა და ერეკლე კივილაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული თინათინ შარაძენიძის მიერ ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვისას, ქ. თბილისში, 1978 წლის 4 აპრილს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ რიტორიკას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია თინათინ შარაძენიძე (1919-1983) – ქართველი ენათმეცნიერი და პედაგოგი. 1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამავე წლიდან კითხულობდა ლექციებს ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში; 1947-1953 წწ. ასწავლიდა სვანურ ენას; 1957 წლიდან გახლდათ ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში; იყო თანამედროვე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენელი და ლექსიკონის მეექვსე ტომის თანარედაქტორი; აქტიურად მუშაობდა ზოგადი ენათმეცნიერების თეორიისა და იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის სფეროში; ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის, 1958 წელს გამოსცა „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები“²⁵⁶, 1972 წელს – „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები“²⁵⁷, 1974 წელს – „ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა“²⁵⁸, 1978 წელს – „ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია და მისი ადგილი XIX-XX საუკ. ენათმეცნიერებაში“²⁵⁹ და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი გამოკვლევები სვანური ენის შესახებ. იგი გახლდათ სვანური ენის თვალსაჩინო მკვლევარი და სპეციალისტი. ფართო და მრავალმხრივი იყო მისი მეცნიერულ-ორგანიზატორული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

თინათინ შარაძენიძის საჯარო გამოსვლის სიტყვა, რომელიც შეეხება 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც დამტკიცდა 1977 წლის 7 ოქტომბერს. თავის სიტყვაში იგი აკრიტიკებს კონსტიტუციის იმ მუხლს, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი მოუხსნეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის წინა ორი კონსტიტუციაში ეს მუხლი უცვლელად იყო შენარჩუნებული. თინათინ შარაძენიძის სიტყვა გამოქვეყნდა 1990 წელს ჟურნალ „მნათობში“, სათაურით „სახელმწიფო ენა“, ხოლო სქოლიოს სახით ჩატანილია შემდეგი ინფორმაცია: „სიტყვა წარმოთქმული ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვისას 1978 წლის 4 აპრილს“²⁶⁰. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

²⁵⁶ შარაძენიძე, თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა, 1958 [ყდაზე 1959].

²⁵⁷ შარაძენიძე, თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, მეცნიერება, 1972.

²⁵⁸ შარაძენიძე, თ., ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, მეცნიერება, 1974.

²⁵⁹ შარაძენიძე, თ., ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია და მისი ადგილი XIX-XX საუკ. ენათმეცნიერებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, მეცნიერება, 1978.

²⁶⁰ ჟურნალი „მნათობი“, თბილისი, 1990, იანვარი, №1, გვ. 171-172.

Speech Delivered by Tinatin Sharadzenidze at the general meeting of the Institute of Linguistics during the discussion of the Constitution of the Georgian SSR, in Tbilisi, on April 4, 1978

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Erekle Kikilashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Tinatin Sharadzenidze at the general meeting of the Institute of Linguistics during the discussion of the Constitution of the Georgian SSR, in Tbilisi, on April 4, 1978]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Tinatin Sharadzenidze (1919-1983) – a Georgian linguist and teacher. In 1942 she graduated from the Faculty of Philology of Tbilisi State University. From the same year, she lectured on Introduction to Linguistics and General Linguistics; In 1947-1953 she taught the Svan language; Since 1957, she has been the head of the Department of General Linguistics at the Institute of Linguistics of the Georgian Academy of Sciences; She was one of the compilers of the Explanatory Dictionary of the Modern Georgian Language and co-editor of the sixth volume of the dictionary; She actively worked in the field of the theory of general linguistics and the study of Iberian-Caucasian languages; She is the author of more than a hundred scientific works, including “Principles of Language Classification” published in 1958²⁶¹, “Theoretical Issues of Modern Linguistics” in 1972²⁶², “The Problem of the Relationship between Language and Speech” in 1974²⁶³, and “The Linguistic Theory of I. A. Baudouin de Courtenay and Its Place in Linguistics of the 19th-20th Centuries” in 1978²⁶⁴, etc. Her research on the Svan language is of particular importance. She was a prominent researcher and specialist of the Svan language. Her scientific, organizational, and public activities were extensive and multifaceted.

Tinatin Sharadzenidze's public speech address is the 1977 Soviet Constitution, which was approved on October 7, 1977. In her speech, she criticizes the article of the Constitution that stripped Georgia of its status as the state language, while this article had been preserved unchanged in the previous two constitutions of the Soviet Union. Tinatin Sharadzenidze's speech was published only once in 1990 in the magazine “Mnatobi” under the title “State Language”, and the following information is included in the form of a footnote: “Speech delivered at the general meeting of the Institute of Linguistics during the discussion of the Constitution of the Georgian SSR on April 4, 1978”²⁶⁵. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

²⁶¹ Sharadzenidze, T., Principles of Language Classification, Institute of Linguistics, Tbilisi, Publishing House and Printing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1958 [cover 1959] (in Georgian).

²⁶² Sharadzenidze, T., Theoretical Issues of Modern Linguistics, Institute of Linguistics, Tbilisi, Metsniereba, 1972 (in Georgian).

²⁶³ Sharadzenidze, T., The Problem of the Relationship between Language and Speech, Institute of Linguistics, Tbilisi, Metsniereba, 1974 (in Georgian).

²⁶⁴ Sharadzenidze, T., I. A. Baudouin de Courtenay's Linguistic Theory and Its Place in Linguistics of the 19th-20th Centuries, Institute of Linguistics, Tbilisi, Metsniereba, 1978 (in Georgian).

²⁶⁵ Magazine “Mnatobi”, Tbilisi, 1990, January, №1, pp. 171-172 (in Georgian).

სიტყვა

**წარმოთქმული თინათინ შარაძენიძის მიერ ენათმეცნიერების ინსტიტუტის
საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვისას, ქ.
თბილისში, 1978 წლის 4 აპრილს**

„რამდენიმე თვის წინ მივიღეთ სსრკ კონსტიტუცია²⁶⁶, რომელიც მთელი მოსახლეობის ფართო განხილვის საკითხი იყო. ამჟამად არანაკლები ინტერესით ვსწავლობთ და განვიხილავთ საქართველოს სსრკ კონსტიტუციას. ბუნებრივია, რომ ამ კონსტიტუციაშიც წარმოდგენილია ის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი, რაც სსრკ კონსტიტუციაში იყო და რაც ჩვენ ერთხმად მოვიწონეთ. ამიტომ გასაგებია ისიც, რომ ჩვენი ყურადღება გამახვილებულია ამ საკითხზე, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკათა სპეციფიკას ქმნის.

ამ საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ენის საკითხი. ენის საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმიტომ, რომ ის არის ნაწილი უფრო ფართო პრობლემისა, – ეროვნული პრობლემისა. ამით აიხსნება ამ საკითხისადმი ასეთი დიდი ინტერესი ჩვენ საზოგადოებაში.

წინა ორ კონსტიტუციაში²⁶⁷ ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად იყო მიჩნეული. ახალ კონსტიტუციაში ასე არ არის. ამის ნაცვლად კონსტიტუციის 75 მუხლში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველავს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივ განვითარებისათვის“.

ეს მუხლი გაუგებრობებს იწვევს, პირველ ყოვლისა, ჩნდება კითხვა, რატომ აღარ ითვლება ქართული ენა საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად? ხომ არ შეიცვალა რაიმე ჩვენს ეროვნულ პოლიტიკაში? ასეთი ცვლილებების შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც ცნობილია ზოგიერთი ამხანაგი გამოთქვამდა სურვილს, ერების შერწყმის პროცესის ხელოვნურად დაჩქარების შესახებ, მაგრამ ეს თვალსაზრისი ეროვნული პოლიტიკისთვის შეუფერებელია. პირიქით, კონსტიტუციის სხვა მუხლებში ერების განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობაზეა საუბარი. მაგრამ ენა ხომ ერის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. თუ ჩვენ ვწერთ, რომ საქართველოს სსრ სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოა, მას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებაც კი აქვს, რატომ გავუზრბივართ იმის აღნიშვნას, რომ სუვერენულ სახელმწიფოს თავისი ენაც აქვს. განა იმან, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციებში ქართული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად იყო აღიარებული გამოიწვია რამე გაუგებრობა?

თუ მიუღებლად ითვლება ტერმინი „სახელმწიფო“ ენა, მაშინ ის უნდა შეიცვალოს სხვა ტერმინით, რომელიც იქნება იმ შინაარსის გამომხატველი, რაც ჩვენს სინამდვილეში რესპუბლიკის ენაში იგულისხმება, ასეთი შეიძლება იყოს „ეროვნული ენა“.

ახალი კონსტიტუციის 75 მუხლში სახელმწიფო და ენა გათიშული ჩანს ერთმანეთისაგან. არა არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო ზრუნავს ენის განვითარებაზე. სახელმწიფო ყველა იმ მუხლის განხორციელებაზე ზრუნავს, რაც კონსტიტუციაშია შეტანილი (მაგ. რელიგიური რწმენის თავისუფლებაზე). ენას კი განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებაში. ენა იარაღია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებისა, იქნება ეს კულტურა, მეცნიერება, ეკონომიკა თუ ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობა. ენის ეს განსაკუთრებული როლი უნდა

²⁶⁶ 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუცია – დამტკიცდა 1977 წლის 7 ოქტომბერს სსრ კავშირის IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე რიგგარეშე სესიაზე.

²⁶⁷ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო შემდეგი კონსტიტუციები: 1924 წლის საბჭოთა კონსტიტუცია – დამტკიცდა 1924 წლის 31 იანვარს სსრკ-ის საბჭოების II ყრილობაზე; 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუცია – დამტკიცდა 1936 წლის 5 დეკემბერს სსრკ-ის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე.

აისახოს კონსტიტუციაშიც. ერების თავისუფლებამ, ერების ურთიერთმეგობრობამ, ეროვნულმა პოლიტიკამ, რაც ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენდა იმთავითვე, გამოხატულება პოვა იმაშიც, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას თავისი ენა აქვს გამოყენებული. ეს კი კონსტიტუციაში არ ჩანს. აქ კი შეინიშნება ცდა იმისა, რომ რესპუბლიკაში ხმარებული ყველა ენა ერთ სიბრტყეზე იქნეს დაყენებული, რაც არ შეეფერება არსებულ ვითარებას.

სრულიად უდავოა, რომ არ უნდა იყოს შეზღუდვები რომელიმე ენის ხმარების მიმართ. მე მწამს, რომ ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკას საყვედური არ ეთქმის. ეს პატარა რესპუბლიკა ყველაზე მრავალეროვან რესპუბლიკად არის აღიარებული მთელ საბჭოთა კავშირში. რით აიხსნება ეს? იმით, რომ ამ რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას, ქართველებს არ სჩვევიათ სხვა ერებისადმი მტრული დამოკიდებულება, სხვა ერის წარმომადგენელთა ჩაგვრა. ამაზე ლაპარაკი ზედმეტადაც კი მეჩვენება. საქმე ეხება რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის ენის სტატუსს. ქართული ენის ფუნქციები საქართველოს სსრ-ში უფრო მრავალმხრივია და ფართო, ვიდრე სხვა ენებისა, რუსული ენის გამოკლებით.

მართლაც, ქართული ენა გამოიყენება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, მასზე ხდება სამართალწარმოება. არავის მოსვლია აზრად იგივე ფუნქციები დააკისროს საქართველოს ტერიტორიაზე ხმარებულ ყველა ენას, ვთქვათ, სომხურს, აზერბაიჯანულს, ქურთულს, გერმანულს. თავისი ფუნქციები აქვს რუსულ ენას იმიტომ, რომ ის არის საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება, ეროვნებათაშორისი ენა.

ეს ვითარება ასახულია მთელ რიგ მოვლენებში: საბჭოთა კავშირის გერბზე „პროლეტარებო ყველა ქვეყანისა შეერთდით!“ აწერია 15 მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, ასევე საბჭოთა ფულზედაც წარწერა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზეა, სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებები, რომელებმაც საბჭოთა კავშირის კანონები ქვეყნდება, ითრგმნება 15 რესპუბლიკის ენაზე²⁶⁸ და ა.შ

მაშასადამე, გამოყენების სფეროსა და შესაბამისად ფუნქციების თვალსაზრისით ენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ჩვენ გვაქვს 1. რუსული ენა, გარდა იმისა, რომ რსფსრ სახელმწიფო ენაა, წარმოადგენს ყველა საბჭოთა ერისა და ერვნობის ურთიერთობის ენას. 2. რესპუბლიკების სახელმწიფო ენები, რომლებიც იხმარება ამ რესპუბლიკების ფარგლებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, სამართალწარმოებისას, იგივე ენა იქნება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დროს ამ რესპუბლიკის ეროვნული ენა და ა.შ. 3. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ენები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე გამოიყენებიან რესპუბლიკის ეროვნული ენის გვერდით. 4. დანარჩენი ენები.

შესაბამისად ჩემი წინადადება კონსტიტუციაში მკაფიოდ გაიმიჯნოს სხვადასხვა ფუნქციის მქონე ენათა ხვედრი წონა – კერძოდ:

1) აღნიშნული იქნეს, რომ ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო, ეროვნული ენაა და განიმარტოს რას ნიშნავს ეს

2) განისაზღვროს რუსული ენის, როგორც სსრკ ხალხთა ურთიერთობის ენის სტატუსი და მისი მიმართება ეროვნულ ენასთან

3) განისაზღვროს ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენის სტატუსი და მისი მიმართება რესპუბლიკის ენასთან

4) ქართული ენის შესახებ მუხლი შევიდეს კონსტიტუციის X ნაწილში, სადაც ლაპარაკია საქართველოს სსრ გერბის, ალამის²⁶⁹, ჰიმნის და დედაქალაქის შესახებ.“

²⁶⁸ 15 რესპუბლიკის ენაზე – იგულისხმება აზერბაიჯანულად, ბელარუსულად, ესტონურად, თურქმენულად, ლატვიურად, ლიეტუვურად, მოლდავურად, რუსულად, სომხურად, ქართულად, ტაჯიკურად, უზბეკურად, უკრაინულად, ყაზახურად და ყირგიზულად.

²⁶⁹ ალამი – დროშა.

სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ გაერთიანებული ერების
ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან
წევრად მიღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მოედანზე,
ქ. თბილისში, 1992 წლის 4 აგვისტოს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ გაერთიანებული ერების
ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით
რესპუბლიკის მოედანზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 4 აგვისტოს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად
მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნანი გუგუნავა (1937-2020) – ქართველი პედაგოგი და სახელმწიფო მოხელე,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1961 წელს დაამთავრა ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1961 წლიდან იქვე მუშაობდა
სხვადასხვა პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. 1986-1993 წლებში იყო აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1993-2004 წლებში
– აჭარის განათლების მინისტრი. 2009 წელს აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში
საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის
მოედანზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 4 აგვისტოს დიდი სახალხო ზეიმი გაიმართა. მასში მონაწილეობა
მიიღო აჭარიდან წარგზავნილმა 16-კაციანმა დელეგაციამ, რომელსაც აჭარის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ნანი გუგუნავა ხელმძღვანელობდა.

სიტყვა გამოქვეყნდა 2011 წელს ცისანა ანთაძის ავტორობით გამოცემულ წიგნში „ღვაწლით
გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე“, სათაურით „გაერთიანებული ერების
ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით
წარმოთქმული სიტყვა“²⁷⁰. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული
პირველწყაროდან.

²⁷⁰ ანთაძე, ც., ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე, ბათუმი, გამომცემლობა აჭარა, 2011,
გვ. 316-318.

**Speech Delivered by Nani Gugunava on the Occasion of the Admission of the
Republic of Georgia to the United Nations as a full Member
at Republic Square, in Tbilisi, on August 4, 1992**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nani Gugunava on the occasion of the admission of the Republic of Georgia to the United Nations as a full member at Republic Square, in Tbilisi, on August 4, 1992]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nani Gugunava (1937-2020) – a Georgian teacher and civil servant, Doctor of Pedagogical Sciences (1998), Professor (2001). In 1961 she graduated from the Batumi Shota Rustaveli State Pedagogical Institute. Since 1961, she has worked there in various pedagogical and administrative positions. In 1986-1993, she was Deputy Chairman of the Council of Ministers of the Autonomous Republic of Adjara, in 1993-2004 – Minister of Education of Adjara. In 2009, she was elected a full professor at the Batumi Shota Rustaveli State University. A large public celebration was held on August 4, 1992, on the occasion of the admission of the Republic of Georgia to the United Nations as a full member. A 16-member delegation from Adjara participated in it, led by Ms. Nani Gugunava, Deputy Chairperson of the Council of Ministers of Adjara.

The speech was published in 2011 in the book “Life Beautified by Labor: A Speech on Nani Gugunava” published by Tsisana Antadze under the title “Speech Delivered on the Occasion of the Admission of the Republic of Georgia to the United Nations as a Full Member”²⁷¹. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

²⁷¹ Antadze, T., A Life Beautified by Labor: A speech on Nani Gugunava, Batumi, Adjara Publishing House, 2011, pp. 316-318 (in Georgian).

სიტყვა

თქმული ნანი გუგუნავას მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წევრად მიღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მოედანზე, ქ. თბილისში, 1992 წლის 4 აგვისტოს

„პატივცემულო მეგობრებო,
ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს ჩვენი საზოგადოებრიობა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის მოწმეა. საქართველო მსოფლიოს დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამიერიდან ჩვენი საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრია და საერთაშორისო ცნობის გვირგვინოსანი.

ამ დიდ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო საბჭომ ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი – მანიფესტი შემოგვთავაზა, რომელიც თავისუფალი საქართველოს მშენებლობის მანიფესტია, ასეთი დიდი მიტევება ხომ ჯერ არ ყოფილა საქართველოში.

აჭარის მოსახლეობის დელეგაციას, რომელიც დღეს ეწვია ჩვენს დედაქალაქს, რათა მონაწილეობა მიიღოს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ეროვნულ დღესასწაულში, მეტად საპატიო მისია დაგვეკისრა.

გწამდეთ და გჯეროდეთ, რომ ჩვენი მხარე, რომელმაც ისტორიულად ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველოს გადასარჩენად და საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით ყველაზე უფრო დიდხანს ატარა მონობის უღელი, ყველაზე მეტად ითავისებს ამ ღირსსახსოვარი მოვლენის მნიშვნელობას. გახსოვთ, ალბათ, 1878 წელს, როცა აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს, მაშინ ბათუმიდან თბილისს ღირსეულ მამულიშვილთა დეპუტაცია ეწვია, რომელიც დიდებით მიიღეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გრიგოლ ორბელიანმა, სხვა დიდმა ერისკაცებმა. იქ წარმოთქმული სიტყვები დღევანდელი შეხვედრის ლაიტმოტივადაც გამოდგება, მაგრამ რა თქმა უნდა, მე არ გავიმეორებ. დავძენ მხოლოდ ერთს: დღევანდელი ჩვენი თავყრილობა იმ დიდ ერისკაცთა სულების დღესასწაულიცაა, რომელთა უანგარო მეცადინეობით ჩვენმა ხალხმა ისტორიულ ქართველებში ღირსეულად გამოატარა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა.

აჭარის მოსახლეობის სახელით გულითადი მადლობა გვინდა ვუძღვნათ ჩვენს სახელოვან თანამემამულეებს, სახელდობრ მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს²⁷², რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი დასდო საქართველოს საერთაშორისო აღიარებას.

ჩვენ, აჭარის მოსახლეობის წარმომავანნილებს, მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი მოწინავე ეროვნული ძალები ყველაფერს იღონებენ ეროვნული შერიგებისათვის საქართველოში, მის ყველა კუთხე კუნჭულში მშვიდობისა და ჯანსაღი კლიმატის დამკვიდრებისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ დღეს აჭარის დელეგაციის სახელით მივმართავთ სრულიად საქართველოს – ეს ჩვენი საერთო მამულია და გასაყოფი არაფერი გვაქვს. ჩვენ განუყრელად ერთად ვიყავით და ეროვნული თანხმობისათვის, ხვალინდელი საქართველოსათვის კვლავაც ერთად უნდა ვიყოთ. რა უნდა მოხდეს ისეთი, მტერთან კი არა – ერთმანეთთან ქართველებმა ვერ გამოვნახოთ საერთო ენა. ადამიანები ყველაზე უძლიერესნი და უმდიდრესნი ვართ ამ ქვეყნად, რამეთუ ვფლობთ იმ საუნჯეს, რომელსაც ოქროს ფასი აქვს – ეს არის ჭეშმარიტი სიტყვა. სწორედ ყველა წინააღმდეგობის დაძლევის საშუალება მხოლოდ აწონილი სიტყვა უნდა იყოს და არა იარაღი. მოდით, პოზიციისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები, კონსტრუქციული თუ დესტრუქციული ძალები ყველანი გავერთიანდეთ. დღევანდელი ისტორიული დღე, „ეროვნული თანხმობის“ დღედ გამოვაცხადოთ.

²⁷² ედუარდ შევარდნაძე (1928-2014) – 1972-1985 წლებში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1985-1990 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წლებში საქართველოს მეორე პრეზიდენტი.

დაე, დღევანდელი დღე იყოს მიტევებისა და შერიგების, სიკეთის, ურთიერთპატივისცემის, დათმობის, მაღალი ზნეობის დღე.

მოდით, ერთმანეთს გული, საქართველოს ჭრილობები მოვუშუშოთ და ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენოთ.

მოგილოცავთ ყველას, ვინც აქ ბრძანდებით და ვულოცავ მთელ საქართველოს სანუკვარი ოცნების ახდენა-ასრულებას.“

სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ევროპის რეგიონთა ასამბლეის
განათლების კომიტეტის სხდომაზე, ქ. მონპელიეში,
2001 წლის 8-9 ნოემბერს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ნანი გუგუნავას მიერ ევროპის რეგიონთა ასამბლეის განათლების კომიტეტის სხდომაზე, ქ. მონპელიეში, 2001 წლის 8-9 ნოემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნანი გუგუნავა (1937-2020) – ქართველი პედაგოგი და სახელმწიფო მოხელე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1961 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1961 წლიდან იქვე მუშაობდა სხვადასხვა პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. 1986-1993 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1993-2004 წლებში – აჭარის განათლების მინისტრი. 2009 წელს აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად.

სიტყვა გამოქვეყნდა 2011 წელს ცისანა ანთაძის ავტორობით გამოცემულ წიგნში „ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე“, სათაურით „აჭარის განათლების მინისტრის ნანი გუგუნავას გამოსვლა ევროპის რეგიონთა ასამბლეის განათლების კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 2001 წლის 8-9 ნოემბერს საფრანგეთში – მონპელიეში გაიმართა“²⁷³. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

²⁷³ ანთაძე, ც., ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე: სიტყვა ნანი გუგუნავაზე, ბათუმი, გამომცემლობა აჭარა, 2011, გვ. 296-301.

**Speech Delivered by Nani Gugunava at the meeting of the Education
Committee of the Assembly of European Regions, in Montpellier,
on November 8-9, 2001**

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nani Gugunava at the meeting of the Education Committee of the Assembly of European Regions, in Montpellier, on November 8-9, 2001]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nani Gugunava (1937-2020) – a Georgian teacher and civil servant, Doctor of Pedagogical Sciences (1998), Professor (2001). In 1961 she graduated from the Batumi Shota Rustaveli State Pedagogical Institute. Since 1961, she has worked there in various pedagogical and administrative positions. In 1986-1993, she was Deputy Chairman of the Council of Ministers of the Autonomous Republic of Adjara, in 1993-2004 – Minister of Education of Adjara. In 2009, she was elected a full professor at the Batumi Shota Rustaveli State University.

The speech was published in 2011 in the book “Life Beautified by Labor: A Speech on Nani Gugunava” published by Tsisana Antadze under the title “Speech of the Minister of Education of Adjara, Nani Gugunava, at the session of the Education Committee of the Assembly of European Regions, held in Montpellier, France, on November 8-9, 2001”²⁷⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

²⁷⁴ Antadze, T., *A Life Beautified by Labor: A speech on Nani Gugunava*, Batumi, Adjara Publishing House, 2011, pp. 296-301 (in Georgian).

სიტყვა

თქმული ნანი გუგუნავას მიერ ევროპის რეგიონთა ასამბლეის განათლების კომიტეტის სხდომაზე, ქ. მონპელიეში, 2001 წლის 8-9 ნოემბერს

„პატივისცემით მოგესალმებით ევროპის რეგიონთა ასამბლეის განათლებისა და კულტურის კომიტეტის სხდომის მონაწილეებს, გისურვებთ წარმატებულ მუშაობას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

ქართულ-ფრანგულ პოლიტიკურ, მეცნიერულ და კულტურულ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს. იგი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაიწყო.

გარეშე მტრებისაგან შევიწროებული საქართველო ყოველთვის იმედის თვალთ შეჰყურებდა დასავლეთ ევროპას და, უპირატესად, რა თქმა უნდა, საფრანგეთს. ამის დასტურია მე-18 საუკუნის დასაწყისში გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის, სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში.

ქართველი ხალხის კონტაქტები ფრანგებთან მე-20 საუკუნეში კიდევ უფრო გაფართოვდა, წინ წავიდა საზღვარგარეთული ქართველოლოგია. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ მეცნიერები: რ. აფონი, ჟ. გარიტი, ბ. უტიე და სხვები. მათ ქართული კულტურის საკითხებზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები გამოაქვეყნეს.

ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება ევროპის მრავალ უნივერსიტეტში. მეცნიერული კვლევა-ძიება კავკასიური ენების დარგში ყველგან ვითარდება. ფრანგი მეცნიერი მარკ იბერი წერდა: „ქართველი ერი ერთ-ერთი მოწინავეა მთელ მსოფლიოში. ამ ერმა თავისი სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით, თავისი მამული, მწერლობა დაღუპვისაგან გადაარჩინა“.

საფრანგეთმა, ფრანგმა ხალხმა დახმარების ხელი გაუწოდა, შეიფარა და ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა საქართველოს ღირსეული შვილები. აქ განაგრძეს პოლიტიკური ბრძოლა დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, მთავრობის წევრებმა: კარლო ჩხეიძემ, ნოე რამიშვილმა, აკაკი ჩხენკელმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ და ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. საფრანგეთში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ საბჭოთა რეჟიმისაგან დევნილი ჩვენი მწერლობისა და კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები: შალვა ამირეჯიბი, ექვთიმე თაყაიშვილი, კალისტრატე და ნინო სალიები, ვიქტორ ნოზაძე, ისიდორე მანწკავა და მრავალი სხვა. პარიზთან ახლოს, დაბა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე განისვენებენ საქართველოს ღირსეული შვილები, რომელთათვისაც საფრანგეთი უკანასკნელ ნავსაყუდრად იქცა.

საბჭოთა რეჟიმისაგან თავდახსნილ, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზაზე დამდგარ საქართველოს საფრანგეთმა ერთ-ერთმა პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი, ცნო მისი დამოუკიდებლობა და ქართულ-ფრანგული ურთიერთობანი უფრო მაღალ დონეზე ავიდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით ქართველმა მეცნიერებმა შეძლეს საქართველოში ჩამოეტანათ ქართველი ემიგრაციის მდიდარი საარქივო მასალა, რომლის ისტორიული მნიშვნელობა განუზომლად დიდია.

საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობებს ახალ პერსპექტივას უსახავს საქართველოს უძველესი რეგიონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაწევრიანება ევროპის რეგიონთა ასამბლეაში, რომლის განათლებისა და კულტურის კომიტეტის გამსვლელი სხდომა მიმდინარე წელს ბათუმში გაიმართა.

განათლების სფეროში ჩვენთან მრავალი სიახლე დაინერგა და განხორციელდა. როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე გამორჩეულად ავტონომიური რესპუბლიკისათვის, ბოლო 10 წელი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი ქვეყანა ვერ გადაურჩა სამოქალაქო დაპირისპირებას, ეკონომიკურ გაპარტახებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის

დაცემას. შექმნილმა ვითარებამ ადეკვატური ასახვა ჰპოვა ქვეყანაში განათლების მდგომარეობაზე. ამ პერიოდში აჭარაში დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა მიგვიყვანა განათლების სისტემის როგორც ტაქტიკის, ისე სტრატეგიის დახვეწა-გადასინჯვამდე.

ევროპის რეგიონთა ასამბლეაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაწევრიანებამ გამოკვეთა ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პერსპექტივა. სწორედ ამ მნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენამ გვიკარნახა აჭარის სკოლებში ევროპული ენების შესწავლისადმი ახლებული მიდგომის ჩამოყალიბება. სკოლებში ამ ენების შესწავლა პრიორიტეტი გახდა. შესაბამისად, ცვლილებები შევიტანეთ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში. თუკი ადრე ევროპული ენების შესწავლა მეხუთე კლასიდან იწყებოდა, ქალაქისა და რაიონების სკოლების დიდი ნაწილი, ვისაც ამის საშუალება აქვს, სწავლებას იწყებს მეორე კლასიდან. აგრეთვე, ისეთ ტრადიციულად შესასწავლ ენებთან ერთად როგორცაა: ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული, თანდათანობით სკოლებში ინერგება იტალიური, ესპანური, ბერძნული და სხვა ენების შესწავლა. სკოლებს ნება დაერთოთ ასწავლონ ორი და მეტი უცხო ენა, ე.ი. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპული ენების შესწავლის სპექტრი.

სხდომის მონაწილეებს მოეხსენებათ, რომ ენების შესწავლა სათუთი და ფაქიზი საქმეა. მას ესაჭიროება მტკიცე პედაგოგიური და მეთოდური საფუძვლები, ენობრივი პრაქტიკა. ამიტომ სასურველი იქნება ევროპის რეგიონთა ასამბლეის კულტურისა და განათლების კომისიამ შეიმუშაოს აჭარაში ევროპული ენების შესწავლისადმი მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მოიცავს:

- ა) უცხო ენების მასწავლებელთა მომზადებასა და გადამზადებას, სემინარებს, ტრენინგებს;
- ბ) ენის პრაქტიკისათვის მოსწავლე ახალგაზრდობის მიზნობრივ გაცვლით ღონისძიებებს;
- გ) სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით მოსწავლეთა და მასწავლებელთა უზრუნველყოფის მხარდაჭერასა და დახმარებას.

ბათუმის სინამდვილეში რამდენიმე წელია არსებობს ფრანგულენოვანი სკოლა, რომელიც ალექსანდრე დიუმას სახელს ატარებს, სკოლა სარგებლობს როგორც საქართველოს, ისე საფრანგეთის საგანმანათლებლო პროგრამებით.

ხსენებულ სკოლაში ფრანგული ენისა და ამ ენაზე მეცნიერების ცალკეული დარგის საფუძვლების შესწავლაში მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით, აჭარის განათლების სამინისტროს საფრანგეთის ლანგედოკ-რუსიონის რეგიონთან დასახული პირდაპირი კავშირურთიერთობა, კეთილშობილური მიზნის კატალიზატორი გახდება.

ამასთან ერთად, შემოგთავაზებთ განათლების სფეროსთან დაკავშირებულ რამდენიმე ინიციატივასა და წინადადებას.

1. ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრი რეგიონების საგანმანათლებლო ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობის, განათლების პრობლემების ანალიზისა და მათი დაძლევის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მიმდინარე წლის ოქტომბერში ბათუმში ჩატარდეს რეგიონების განათლების მუშაკთა კონგრესი, დღის წესრიგით „განათლება – XXI“. მომავალი კონგრესის სამუშაო პროსპექტი სხდომის მონაწილეებს ხელთ გაქვთ და საინტერესო იქნება თქვენი შენიშვნები და სურვილები.

2. ერას მიერ ორგანიზებულ რეგიონთაშორისო კავშირების დამყარებისათვის არსებულ მონაცემთა ბაზის მსგავსად, ინტერნეტის მეშვეობით ჩამოყალიბდეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ერას რეგიონებში გაცვლის პროგრამა. ეს ხელს შეუწყობს დაახლოებას, ერთობლივი მუშაობის გააქტიურებას, ევროპული დემოკრატიული მენტალიტეტის გაფართოებას.

3. ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულმა აჭარის კულტურის დღეებმა აჩვენა ჩვენი რეგიონის და მათ შორის მოსწავლე-ახალგაზრდობის მაღალი მხატვრული საშემსრულებლო ხელოვნების დონე.

სასურველია ევროპის რეგიონთა ასამბლეამ შეიმუშაოს მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების გაცვლითი პროგრამები, რომელიც გაითვალისწინებს ფესტივალების, კონკურსების ჩატარებას ხალხურ შემოქმედებასა და სამუსიკო ხელოვნების სხვა დარგებში.

4. ხელოვნებასთან ერთად სპორტი და მათ შორის მოზარდთა სპორტი, ხალხებისა და ერების დაკავშირების საიმედო ინსტრუმენტია, ყოველნაირად უნდა შეეწყოს ხელი შეჯიბრებებისა და ტურნირების გამართვას ერას ჩარჩოებში. ამ მხრივ ავტონომიური რესპუბლიკის სპორტულ ბაზებსაც შეუძლია ცალკეულ სახეობებში მასპინძლობის გაწევა.

ერთად თანაცხოვრება ერთად შრომასაც გულისხმობს. აჭარის განათლების სფერო მზად

არის თანაცხოვრებისა და ერთად შრომისათვის. ჩვენ ყოველ ღონეს მივმართავთ იმისათვის, რომ განათლება ავტონომიურ რესპუბლიკაში გამუდმებით ვითარდებოდეს, სიახლეთა დანერგვის გზით სულ ახალ სიმაღლეზე ადიოდეს. უნდა ვასწავლოთ მოზარდს თავისი ინდივიდუალობის გამოვლინებით კოლექტივში ცხოვრება და მუშაობა, განვავითაროთ მისი ეროვნული ენერჯია, სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობები.

ევროპის ასამბლეის განათლებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე, რომელშიც 65 რეგიონი მონაწილეობდა, კონტაქტებისა და თანამშრომლობის ახალი ინიციატივები გაჩნდა.

დამძობილებისა და თანამშრომლობის ინიციატივა შემოგვთავაზა ლანგედოკ-რუსიონის რეგიონის ხელმძღვანელობამ, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია მთელ საფრანგეთში. განათლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ბოკორმა განათლების საკითხებზე მომუშავე კომიტეტის სხდომაში მონაწილეობის მიღება შემოგვთავაზა, რომელიც 2002 წლის იანვარში უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება. საზღვრისპირა რეგიონების პრობლემებს მიეძღვნა სხდომა, რომელიც შემდგომ ივნის-ივლისში ინგლისში გაიმართება, ხოლო ოქტომბერში – ბათუმში. რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტიდან პროფესორმა ვ. ბელანმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ითავა. უნგრეთის წარმომადგენლებმა 2002 წლის ივნისში ოპერისა და ბალეტის თეატრი კარლო გოცის²⁷⁵ მიხედვით განხორციელებული სპექტაკლით „პრინცესა ტურანდოტი“²⁷⁶ საგასტროლოდ ბუდაპეშტში მიიწვიეს.

ასამბლეის განათლებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე შვედეთის, უნგრეთის, ნორვეგიისა და აჭარის შემადგენლობით ერთგვარი საბჭო შეიქმნა, რომელიც ახალგაზრდობის გაცვლის საკითხებზე იმუშავებს.

ამ ქვეყნების რეგიონთა წარმომადგენლები შევიკრიბეთ სხდომის დამთავრების შემდეგ და თანამშრომლობის გარკვეული მექანიზმი შევიმუშავეთ.

ერას განათლებისა და კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი ბ. ჰოსპი, კომიტეტის მდივანი ჯ. შტუმანი) კარგად ორგანიზებული კულტურული პროგრამა შემოგვთავაზა. დავათვალიერეთ ლანგედოკ-რუსიონის რეგიონის დედაქალაქი – მონპელიე და რეგიონის შემადგენლობაში შემავალი სხვა ქალაქების ღირსშესანიშნაობანი – განათლების კერები, მუზეუმები, ისტორიული ადგილები.

მიგვაჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სფერო უკვე ჩაერთო ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში, რასაც უდავოდ მნიშვნელოვანი, დადებითი შედეგები მოყვება.“

²⁷⁵ კარლო გოცი (Carlo Gozzi, 1713-1786) – იტალიელი პოეტი, ლიტერატურის და თეატრის კრიტიკოსი, დრამატურგი. გოლდონის იდეური მოწინააღმდეგე ვენეციურ სცენაზე, ახალი ლიტერატურული ჟანრის – ფიაზას, ანუ თეატრალური ზღაპრის შემქმნელი.

²⁷⁶ „პრინცესა ტურანდოტი“ – იგივე „ტურანდოტი“ – „ჩინური დრამატული ტრაგიკომიკური ზღაპარი“ (1762) – კარლო გოცის ყველაზე ცნობილი ფიაზა.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [საინაუგურაციო სიტყვა, წარმოთქმული სალომე ზურაბიშვილის მიერ ინაუგურაციის ცერემონიაზე, ქ. თელავში, 2018 წლის 16 დეკემბერს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – საინაუგურაციო სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია სალომე ზურაბიშვილი (დ. 1952) – საფრანგეთისა და საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს მე-5 პრეზიდენტი. სალომე ზურაბიშვილი დაიბადა და გაიზარდა საფრანგეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწის, წლების განმავლობაში საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის, ოჯახში. იგი არის ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, შვილთაშვილი. 2018 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, სადაც ზურაბიშვილმა საკუთარი კანდიდატურა დამოუკიდებლად, უპარტიოდ წარადგინა, თუმცა მმართველი პარტიის მხარდაჭერით ისარგებლა. საქართველოს მე-5 პრეზიდენტის არჩევნები მან მე-2 ტურში საბოლოოდ მოიგო და 2018 წლის დეკემბრიდან საპრეზიდენტო საქმიანობას შეუდგა. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტი ზურაბიშვილი არის პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული საქართველოს ბოლო პრეზიდენტი, რომელსაც ეს თანამდებობა 6 წლის ვადით ეკავება. ის არის აგრეთვე საქართველოში და მთლიანად კავკასიის რეგიონში არჩეული პირველი ქალი პრეზიდენტი.

თელავში, ერეკლე მეორის სასახლის ეზოში, კონსტიტუციის შესაბამისად, საპრეზიდენტო ფიცის დადების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თავისი საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა. სალომე ზურაბიშვილი საინაუგურაციო სიტყვაზე ორი კვირის განმავლობაში თავად მუშაობდა – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა ლაშა ჟვანიამ განაცხადა. სიტყვა გამოქვეყნდა „ნეტგაზეთში“, სათაურით „სალომე ზურაბიშვილის სიტყვა“²⁷⁷, ასევე – „რადიო თავისუფლებაში“, სათაურით „სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა“²⁷⁸. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

²⁷⁷ გაზეთი „ნეტგაზეთი“, 2018, 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <<https://netgazeti.ge/news/329114/>> [2019.01.05].

²⁷⁸ რადიო თავისუფლება, 2018, 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <<https://www.radiotavisupleba.ge/a/29659012.html>> [2019.01.05].

Inaugural Speech Delivered by Salome Zurabishvili at the Inauguration Ceremony, in Telavi, on December 16, 2018

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Inaugural speech delivered by Salome Zurabishvili at the inauguration ceremony, in Telavi, on December 16, 2018]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the inaugural speech genre.

The author of the speech is Salome Zurabishvili (b. 1952) – a French and Georgian politician, the 5th President of Georgia. Salome Zurabishvili was born and raised in France, in the family of Levan Zurabishvili, a Georgian political emigration figure and the chairman of the Georgian community in France for many years. She is the great-granddaughter of the Georgian public and political figure Niko Nikoladze. In 2018, presidential elections were held in Georgia, where Zurabishvili presented her candidacy independently, without a party, although she still enjoyed the support of the ruling party. She finally won the 5th presidential election in the 2nd round and began her presidential term in December 2018. According to the new version of the Constitution of Georgia, President Zurabishvili is the last president of Georgia elected through direct elections, holding this position for a term of 6 years. She is also the first female president elected in Georgia and the entire Caucasus region.

In Telavi, in the courtyard of the Erekle II Palace, in accordance with the Constitution, after taking the presidential oath, President of Georgia Salome Zurabishvili delivered her program speech. Salome Zurabishvili worked on the inaugural speech herself for two weeks, – said Lasha Zhvania, representative of President of Georgia. The speech was published in the newspaper “Netgazeti” under the title “Salome Zurabishvili’s Speech”²⁷⁹, and also in “Radio Liberty” under the title “Salome Zurabishvili’s Inaugural Speech”²⁸⁰. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

²⁷⁹ Newspaper “Netgazeti”, 2018, December 16, available at the link: <<https://netgazeti.ge/news/329114/>> [2019.01.05] (in Georgian).

²⁸⁰ Radio Liberty, 2018, December 16, available at the link: <<https://www.radiotavisupleba.ge/a/29659012.html>> [2019.01.05] (in Georgian).

საინაუგურაციო სიტყვა

წარმოთქმული სალომე ზურაბიშვილის მიერ ინაუგურაციის ცერემონიაზე,
ქ. თელავში, 2018 წლის 16 დეკემბერს

„მოგესალმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე, მოგესალმებით, უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენი ერის სულიერო წინამძღოლო.

მივესალმები პატივცემულ სტუმრებს,

მივესალმები მთელ საქართველოს, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს!

მოგესალმებით, საზღვარგარეთ მცხოვრებო თანამემამულეებო, მეტადრე თქვენ, ვინც საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამობრძანდით და ახლა ჩვენთან ერთად ხართ. განსაკუთრებული ემოციით მოგესალმებით თქვენ, პირველი ემიგრაციის შთამომავლებო!

ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი.

ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი, დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები.

დღეს, როგორც მრავალჯერ თავისი ისტორიის განმავლობაში, საქართველო ისევ გზაჯვარედინზეა, – კიდევ ერთხელ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე. აქ, თელავში, კარგად ჩანს ჩვენი განვლილი გზა – ბრძოლებით, გამოწვევებითა თუ წარმატებებით. ეს ადგილი ქართველი ერისთვის, ერთგვარად, ისტორიული მეხსიერების ბარათია:

მეფე ერეკლე²⁸¹ იბრძოდა ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისთვის. მან შექმნა თანამედროვე ქართული ჯარი და გაიმარჯვა არაერთ ბრძოლაში. იგი საფუძველს უყრიდა ევროპული ყაიდის სახელმწიფოს.

აქ, თელავში, დაიმსხვრა მეფე ერეკლეს გეგმები, რომლებიც უკავშირდებოდა თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, ახალი სტანდარტების დამკვიდრებას, ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენებას.

აქ შეჩერდა ჩვენი ქვეყნის განვითარება, – საქართველოს ჩაუკეტეს გზა დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. ეს ბევრმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის, მტრის განზრახვამ.

თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენით დავუბრუნდით ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, დღეს ჩვენს წინ ისევ გადამწყვეტი ეტაპია.

თელავიდან კარგად ჩანს გასავლელი გზა. ქვეყნის გაერთიანება, საზოგადოების დამშვიდება, გაძლიერება და ევროპაში ჩვენი ადგილის დამკვიდრება – ეს არის ჩემი უმთავრესი მიზანი.

ჩვენ წლები დავკარგეთ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.

მე გადავწყვიტე, დღეს აქ ჩამოვსულიყავი, აქ დამედო ფიცი და აქედან მიმემართა ფართო საზოგადოებისთვის, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც დამაკლდა მხარდაჭერა.

მადლიერი ვარ მათი, ვინც ხმა მომცა არჩევნებში. მადლიერი ვარ „ქართული ოცნების“, რომელმაც, როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს, მხარი დამიჭირა და ამით დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა.

პატივს ვცემ მათ, ვინც ხმა არ მომცა. ისიც ვიცი, რომ სხვადასხვა პარტიას აქვს განსხვავებული პოზიცია, თუნდაც, ჩემი პრეზიდენტად აღიარებასთან დაკავშირებით.

²⁸¹ მეფე ერეკლე – ერეკლე II (1720-1798) – 1744-1762 წლებში კახეთის, 1762-1798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე.

თუმცა, დღეიდან, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველას პრეზიდენტი, ყველა საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი. ეს დემოკრატიის მთავარი პრინციპია. ამ პასუხისმგებლობასა და ცნობიერებაზე დგას თანამედროვე სახელმწიფო.

მე დავიცავ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი; ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა.

საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაში მნიშვნელოვანი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია თითოეულ მოქალაქეს, თავისუფალ მედიასა და არასამთავრობო სექტორს.

დღეს, როდესაც გავხდი საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი, ვამაყობ იმით, რომ ჩვენ შევძელით პრეზიდენტის თანამდებობის გადაბარება მშვიდობიანი და ცივილიზებული ფორმით. ამით კიდევ ერთი დემოკრატიული ნაბიჯი გადაიდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის გზაზე ყველა პრეზიდენტმა თავისი აგური დადო:

ერთი საუკუნის წინ, პირველი რესპუბლიკის მეთაურებმა იმ დროისთვის თანამედროვე და პროგრესული კონსტიტუცია მიიღეს;

უდიდესი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ²⁸², როცა დანიშნა რეფერენდუმი და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი;

ედუარდ შევარდნაძემ²⁸³ პირველმა გაჭრა გზა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ;

მიხეილ სააკაშვილმა²⁸⁴ თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას;

გიორგი მარგველაშვილის²⁸⁵ პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისკენ, გამყარდა სტაბილურობა.

ჩემი მიზანია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი და ვერაფერმა ვერ შეაფერხოს ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევა.

ჩემი მიზანია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი და ვერაფერმა ვერ შეაფერხოს ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევა.

სახელმწიფოს განვითარების გზა გადის გაძლიერებულ და გაცოცხლებულ რეგიონებზე. ვფიქრობ, ნიშანდობლივია, რომ დღეს პრეზიდენტის ინაუგურაცია ტარდება არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ ერთ-ერთ რეგიონში, კახეთში, და ეს ჩემი არჩევანია.

თანამედროვე, ევროპული ტიპის სახელმწიფო გულისხმობს რეგიონებისა და დედაქალაქის

²⁸² ზვიად გამსახურდია – ზვიად გამსახურდია (1939-1993), ქართველი მეცნიერი-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992), საქართველოს ეროვნული გმირი.

²⁸³ ედუარდ შევარდნაძე – ედუარდ შევარდნაძე (1928-2014), 1972-1985 წლებში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1985-1990 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წლებში საქართველოს მეორე პრეზიდენტი.

²⁸⁴ მიხეილ სააკაშვილი – მიხეილ სააკაშვილი (დ. 1967), ქართველი იურისტი, საქართველოსა და უკრაინაში მოღვაწე პოლიტიკოსი, 1995-1999 და 1999-2002 წლებში იყო საქართველოს მე-4 და მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ მანდატით, 2000-2001 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო 2004 წლის 25 იანვრიდან 2007 წლის 25 ნოემბრამდე და 2008 წლის 20 იანვრიდან – 2013 წლის 17 ნოემბრამდე საქართველოს მესამე პრეზიდენტი.

²⁸⁵ გიორგი მარგველაშვილი – გიორგი მარგველაშვილი (დ. 1969), ქართველი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი. საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი 2013 წლის 17 ნოემბრიდან 2018 წლის 16 დეკემბრამდე. 2013 წლის მაისში უპარტიო გიორგი მარგველაშვილი მმართველმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. მისი წარსული დაკავშირებულია პოლიტიკასთან, საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმიანობასთან. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური კოალიციის გამარჯვების შემდეგ „ქართული ოცნების“ მთავრობასთან შეერთებამდე, გიორგი მარგველაშვილი ცნობილი იყო, როგორც პოლიტიკური ექსპერტი. მას ათ წელზე მეტ ხანს ეკავა სხვადასხვა, მათ შორის, რექტორის თანამდებობა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA).

თანაბარ განვითარებას. საქართველოს საყრდენი ისტორიულად ყოველთვის იყო მისი მხარეები და მათი სიძლიერე. ჩვენ შეგვიძლია, ეს ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე ევროპული მაგალითი შევაჯეროთ.

საქართველოს რეგიონებში არის ძალიან დიდი პოტენციალი, ამიტომ ჩვენ მათ უნდა მივცეთ მაქსიმალური შესაძლებლობები წინსვლისთვის და გავუხსნათ ახალი პერსპექტივები. ჩემი, და დარწმუნებული ვარ, თითოეული ქართველის ოცნებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რაც შეიძლება მეტი ემიგრანტი დაუბრუნდეს თავის სოფელს, მიტოვებულ სახლ-კარს. ეს არის საქმე, რომელსაც სჭირდება ძალიან დიდი ძალისხმევა, მუდმივი ურთიერთობა რეგიონებში მცხოვრებ ხალხთან. ისევე, როგორც დღეს ვარ აქ, თელავლებთან, მე ჩავალ ყველა რეგიონში, ვიქნები ჩემს ხალხთან!

ქართული საზოგადოება ერთიანია ევროპული მომავლის საკითხის გარშემო. ჩემი არჩევითაც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ ხმა მისცა ევროპულ გზას.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებამ, უვიზო მიმოსვლამ ძალიან დიდი პერსპექტივები გაგვიხსნა.

დასავლელი მეგობრებისგან, პარტნიორებისგან მტკიცე მხარდაჭერა გვაქვს.

ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. ახალ კონსტიტუციაში ასახულია ქართველი ხალხის ნება – საქართველოს შეუფერხებელი სვლა ევროკავშირისა და ნატოსკენ. მე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის – ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელი მეგობრების დახმარებით ხელს შევეუწყობ ამ პროცესს. ამისათვის გამოვიყენებ მთელ ჩემს გამოცდილებასა და კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროკავშირში.

ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა.

ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ, და უნდა შევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით.

ქართველებს შეგვიძლია, მსოფლიოს გამოვადგეთ უძველესი, მდიდარი, თვითმყოფადი კულტურით, რომელიც ქრისტიანობაზე დგას. ქართულ ცივილიზაციას თამამად შეუძლია, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში.

ჩვენი იდენტობა, ისტორიულად, ტოლერანტობაში ვლინდება. სხვადასხვა წარმოშობის, მრწამსის ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში მოგვყვება. საქართველო თუნდაც იმით არის ცნობილი, რომ აქ არ არსებობს ანტისემიტიზმის არც ერთი მაგალითი. ტოლერანტობა არის ის, რაც დღეს, გარკვეულწილად, დააკლდა მსოფლიოს. ჩვენ ეს ტრადიცია ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ გავხდეთ მაგალითის მიმცემი. უნდა გავზარდოთ ქართული კულტურისა და იდენტობის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე.

კულტურა არის ის, რაზეც დგას სახელმწიფო! ამ მხრივ ძალიან ძლიერი საძირკველი გვაქვს. მას სჭირდება დაცვა, ყოველდღიური ზრუნვა და განვითარება. კულტურას მე ჩემს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ვაცხადებ.

კულტურა განათლების გარეშე არ მოიაზრება და მინდა აქ ყველა პედაგოგს, მასწავლებელს ჩემი პატივისცემა გამოვუცხადო, რამეთუ ისინი ზრდიან ჩვენს შვილებს, ანუ ქმნიან ჩვენს მომავალს.

მე ვარ პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში.

ჩემი პრეზიდენტად არჩევით ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციას: უფრო შორს რომ არ წავიდეთ, 100 წლის წინ, დემოკრატიული საქართველოს არჩევნებში²⁸⁶ ქალები თანასწორი უფლებებით

²⁸⁶ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები – საქართველოში ჩატარებული პირველი დემოკრატიული არჩევნები. არჩევნები ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოს, დამფუძნებელი კრების არჩევნის მიზნით. არჩევნები გაიმართა 1919 წლის 14-17 თებერვალს. არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს სოციალისტურმა პარტიებმა, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც ხმების 81,5% დააგროვა.

სარგებლობდნენ²⁸⁷, – არჩეულ იქნა 5 ქალი პარლამენტარი²⁸⁸. ეს ევროპაში მაშინ იშვიათობა იყო!

დღესაც, ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს. ეს არის ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ გამონაკლისია მსოფლიოში, სადაც მხოლოდ 11 ქალია პრეზიდენტი. ამით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში ქალების როლი ძლიერდება და თანასწორობა ჩვენთვის უცხო სიტყვა არ არის.

საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. არსებობს საოკუპაციო ხაზი, რომელიც შემოდის ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში და საიდანაც ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ. ეს სუვერენული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. ჩვენ ამას არ შევეგუებით!

ჩვენს მოსახლეობას სჭირდება მეტი ყურადღება და გაზრდილი უსაფრთხოება. ამ მიმართულებით უფრო მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ პარტნიორებთან და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან.

უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გვჭირდება მეტი თანამშრომლობა ნატოსთან. შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერება ასევე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ კუთხითაც მეტი, ძლიერი მხარდაჭერა გვჭირდება.

მე აქტიურად ვიქნები ჩართული ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებში, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა დამოკიდებულია ჩვენი სამხედრო ძალების პროფესიონალიზმზე, მზადყოფნაზე, თანამედროვე აღჭურვილობაზე, მტკიცე სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.

მე ვუცხადებ სრულ ნდობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. გამოვხატავ პატივისცემას ჩვენი ჯარისკაცებისა და ვეტერანების მიმართ. მინდა იყოთ დარწმუნებული, რომ მთლიანად ვიქნები ჩართული შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. ჯარის გაძლიერება და ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა არის ჩემი მიზანი.

როგორც მთავარსარდალმა, აუცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს.

მე ჩავალ ავღანეთში ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებთან, რომლებიც ღირსეულად და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად იბრძვიან ჩვენი პარტნიორების გვერდით. ისინი ებრძვიან გლობალურ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას მსოფლიოში, რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში.

მშვიდობა და სტაბილურობა არის უმთავრესი პირობა კავშირების წინსვლისთვის. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია სჭირდება არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთელ მსოფლიოს. საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი პოზიცია კავკასიაში. ჩვენ შეგვიძლია ამ რეგიონში ჩვენი ისტორიული როლის დაბრუნება და ამ პასუხისმგებლობის აღება!

რუსეთმა, როგორც კავკასიის მეზობელმა, უნდა გააცნობიეროს, რომ თუ მას საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად ყოფნა სურს და ამ რეგიონში ნორმალური ურთიერთობების აღდგენას აპირებს, უნდა დაამტკიცოს, რომ სიტყვიერადაც და ფაქტობრივადაც აღიარებს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას. ეს აუცილებელია მის მეზობლებთან თანასწორი და მშვიდობიანი კავშირების დასამყარებლად.

საქართველო მდებარეობს რეგიონში, რომელიც მსოფლიოსთვის საინტერესო ეკონომიკური პროექტების განხორციელების შესახებ იძლევა. ჩვენ უნდა გავხედოთ ამ რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კერა და ამით გავზარდოთ ქვეყნის მიმზიდველობა.

ამისათვის გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ინიციატივა და ინოვაცია. ეს არის ახალგაზრდების დანიშნულება და მოვალეობა ქვეყნის წინაშე და წარმოადგენს რეალურ პერსპექტივას მომავალი

²⁸⁷ საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 22 ნოემბერს მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება. ეს იყო ყველაზე დემოკრატიული კანონი იმდროინდელ მსოფლიოში. არჩევნებში მონაწილეობის და კენჭისყრის უფლება მიენიჭა ქვეყნის ყველა სრულწლოვან (20 წლის) მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა. არჩევნები ჩატარდა საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმის მიცემის პრინციპით. მოქმედებდა პარტიულ სიებზე დამყარებული პროპორციული საარჩევნო სისტემა.

²⁸⁸ იგულისხმება 5 პარლამენტარი ქალი: მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967), ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (1875 – გ. უცნობია), ქრისტინე შარაშიძე (1889-1973), ანა (ოლა) სოლოდაშვილი (1882-1937) და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937).

თაობისთვის. მთელი ჩემი ძალებით მზად ვარ, გვერდით დავუდგე მათ, ერთად მოვიზიდოთ ინვესტიციები და ხელი შევუწყოთ ახალი იდეების განხორციელებას.

ჩვენი საზოგადოების გამძლიერებისთვის უმნიშვნელოვანესია სოლიდარობა, – პირველ რიგში, თაობათა შორის სოლიდარობა, რაც ისტორიულად გვახასიათებდა. ეს არ უნდა დაიკარგოს.

ასევე, სოციალურ სოლიდარობაზე დგას ძლიერი სახელმწიფო. იქ, სადაც არის თანაგრძნობა, ერთმანეთის გატანა, მხარდაჭერა, არის სტაბილურობა და იხსნება ყველა გზა წინსვლისკენ.

სოლიდარობა ნიშნავს იმას, რომ გვახსოვს და გვერდით ვუდგავართ ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდება: სოციალურად დაუცველებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

მე ვიქნები ჩვენი დევნილების გვერდით. მე კარგად ვიცი, რაზე დგას მათი ოჯახები – ძალიან დიდ მოთმინებაზე, სიმტკიცეზე და იმედზე! და ეს იმედი გვაერთიანებს!

მჯერა, რომ საქართველო გამთლიანდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეები არიან, და ისინი უნდა შემოვირიგოთ. ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან გავლილი გზა გვაერთიანებს, ერთმანეთის ნათესავები ვართ, შერეული ოჯახები გვყავს! უნდა მოვნახოთ ახალ თაობასთან მისასვლელი გზები და მათ გავუკვალოთ გზა ევროპისკენ. დღეს, როგორც არასდროს, აფხაზურ ენასა და იდენტობას დაცვა სჭირდება!

ჩვენს ქვეყანას სჭირდება დამშვიდება და განვითარება. ჩვენ გვაქვს ძლიერი ადამიანური რესურსი, გვაქვს ეკონომიკური პოტენციალი, მოდის შესანიშნავი, ნიჭიერი თაობა. მთავარია, დავრწმუნდეთ საკუთართავში, საკუთარ შესაძლებლობებში და ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს მომავალზე. მე ჩამოვედი, მე დავბრუნდი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის მჯეროდა და მჯერა! ჩვენ უნდა გვჯეროდეს საქართველოს მომავლის! დამოუკიდებელი, ძლიერი, თავისუფალი, თანამედროვე, ევროპული, ღირსეული ქვეყანა – ეს არის საქართველოს მომავალი!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!“

სიტყვა, წარმოთქმული ნესტან ნენე კვინიკაძის მიერ გაეროს
ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიაზე,
ნიუ-იორკში, 2019 წლის 11 მარტს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ინგლისურიდან ქართულად თარგმნილი ორატორული ნიმუშია [სიტყვა, წარმოთქმული ნესტან ნენე კვინიკაძის მიერ გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიაზე, ნიუ-იორკში, 2019 წლის 11 მარტს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნესტან ნენე კვინიკაძე (დ. 1980) – ქართველი მწერალი და კინომცოდნე. მან მოთხრობების პირველი კრებული 18 წლისამ გამოსცა. მას შემდეგ წერს რომანებს, პიესებს, კინოსცენარებს, სტატიებს. იგი არის ავტორი წიგნებისა „ისპაჰანის ბულბულები“ და „იაგუარების ტექნო“. სიტყვა წარმოითქვა გაეროს ქალთა სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის მორიგ სესიაზე. გაეროს ქალთა სტატუსის განმსაზღვრელი კომისია 1946 წელს შეიქმნა, როგორც გლობალური მთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობასა და ქალების გაძლიერებას. 2019 წლის 11 მარტს ნიუ-იორკში გამართულ გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW63) 63-ე სესიაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო მწერალი ნესტან ნენე კვინიკაძე. მისი საჯარო გამოსვლის თემაა საქართველოს ისტორიაში ქალის როლი და მნიშვნელობა.

სიტყვა გამოქვეყნდა „რადიო თავისუფლებაში“, სათაურით „ნენე კვინიკაძის არაზღაპრული მანიფესტი გაეროში – „იყო ერთი გოგოს“ ამბავი გრძელდება“²⁸⁹, 2021 წელს – ასევე დაიბეჭდა მისი ავტორობით გამოცემულ წიგნში „პულოვერში“²⁹⁰. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

²⁸⁹ რადიო თავისუფლება, 2019, 12 მარტი, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3EI7P6r>> [2022.04.21].

²⁹⁰ კვინიკაძე, ნ., პულოვერში: ესეები და წერილები, თბილისი, ინტელექტი, 2021, გვ. 59-68.

Speech Delivered by Nestan Nene Kvinikadze at the 63rd Session of the UN
Commission on the Status of Woman (CSW63),
in New York, on March 11, 2019

The text was typed, the dictionary, notes,
explanations and a brief overview were
attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

This is a oratorical sample translated from English into Georgian [Speech delivered by Nestan Nene Kvinikadze at the 63rd Session of the UN Commission on the Status of Women (CSW63), in New York, on March 11, 2019]. The oratorical sample belongs to the political rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nestan Nene Kvinikadze (b. 1980) – a Georgian writer and film scholar. She published her first collection of short stories at the age of 18. Since then, she has written novels, plays, screenplays, and articles. She is the author of the books “Nightingales of Isfahan” and “Techno of the Jaguars”. The speech was delivered at the regular session of the UN Commission on the Status of Women. The UN Commission on the Status of Women was established in 1946 as a global intergovernmental body that promotes gender equality and the empowerment of women. On March 11, 2019, a Georgian delegation, including writer Nestan Nene Kvinikadze, participated in the 63rd session of the UN Commission on the Status of Women (CSW63), held in New York. The topic of her public speech is the role and significance of women in the history of Georgia.

Speech was published in “Radio Liberty“ under the title “Nene Kvinikadze’s Unfair Manifesto at the UN – The Story of “There Was a Girl” Continues”²⁹¹, in 2021 the text was published in the author's book “In the Pullover: Essays and Letters”²⁹². Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

²⁹¹ Radio Liberty, 2019, March 12, available at the link: <<https://bit.ly/3E17P6r>> [2022.04.21] (in Georgian).

²⁹² Kvinikadze, N., In the Pullover: Essays and Letters, Tbilisi, Intelekti, 2021, pp. 59-68 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული ნესტან ნენე კვინიკაძის მიერ გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 63-ე სესიაზე, ნიუ-იორკში, 2019 წლის 11 მარტს

„რატომ გვჯერა ზღაპრების? ჩვენი ქვეყნის ისტორია გაყალბებულია. ისტორიაში გაბათილებული და სახეცვლილია ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და ამ მოვლენების მთავარი გმირების სახელები. ჩვენი ქვეყნის სახელს არასწორად წარმოთქვამდნენ და დღესაც განმარტებაა საჭირო იმის ასახსნელად, თუ რომელი საქართველოს წარმომადგენელი ხარ. ჩვენ სხვები გვიზომავდნენ საზღვრებს და დღემდე ვაგრძელებთ მავთულხლართებში ცხოვრებას.“

მაშინ, საბჭოთა სკოლაში არ გვასწავლიდნენ, რომ ჩვენ იმთავითვე ევროპის ნაწილი ვართ. რომ ჩვენი ამბავი შესანიშნავად შეიძლება მოყვეს რაბათის ციხეში, მეჩეთს, სინაგოგას და ეკლესიას ერთ სივრცეში რომ იტყვდა. ვიცოდით, რომ მეხუთე საუკუნეში დაიწერა ჩვენი „შუმანიკის წამება“, მაგრამ არ გვეუბნებოდნენ, რომ ის ფემინისტური რომანია. ჩვენთან დაიწერა ვეფხისტყაოსანიც – პოემა, სადაც ასე საუცხოოდ გაერთიანდა ქრისტიანული მორალი და ისლამური ესთეტიკა. ჩვენში ერთმა პოეტმა და მწერალმა შექმნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, ის ვინც საკუთარი ძალები დრამატურგიაშიც და საბანკო საქმეშიც, სამეურნეო წინსვლაშიც და პუბლიცისტიკაშიც მოსინჯა. ილია ჭავჭავაძემ ჩვენი იდენტობა განსაზღვრა.

პროპაგანდისტული პოსტერების მიღმა, ჩვენი ისტორიიდან წაშლილია ქალის სახეც, რადგან საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტად, რეალურად ძლიერი ქალების ემინოდათ.

შიშის მიზეზი ჰქონდათ. საქართველოში, ქრისტიანობის გავრცელებაც ქალის სახელს უკავშირდება²⁹³, ყველაზე საინტერესო მეფობის დრო, კი მეფედ წოდებულ ქალ მმართველს²⁹⁴. საქართველო იმ პირველ 20 ქვეყანაშია, სადაც არჩევნებში ხმის მიცემის პროცესში ქალები მონაწილეობდნენ. ეს იყო 1918 წელს. ამავე პერიოდში ჩვენ გვქონდა გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“²⁹⁵, რომელსაც ჟურნალისტი და ფემინისტი კატო მიქელაძე²⁹⁶ რედაქტორობდა.

მეორე მსოფლიო ომში, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ათასობით ქართველი ქალი მონაწილეობდა. მათგან ზოგი სკოლის მოსწავლე იყო. 1978 წელს, როდესაც ქართულ ენას სახელმწიფოებრიობას ართმევდნენ²⁹⁷, მრავალათასიანი მიტინგისთვის მოწოდებები პლაკატებზე ქალების პომადებით დაიწერა. როდესაც 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, რუსული ჯარი შემოიჭრა, რუსმა ჯარისკაცებმა ათასობით მშვიდობიანი მომიტინგეს დარბევა დაიწყეს, გამოიყენეს აკრძალული მომწამვლელი გაზი და ქალები ნიჩბებით დახოცეს.

ამ ქალების და გოგონების მსხვერპლმა ჩემ ქვეყანას 70 წლის შემდეგ დამოუკიდებლობა დაუბრუნა.

²⁹³ იგულისხმება წმინდა ნინო.

²⁹⁴ იგულისხმება თამარ მეფე.

²⁹⁵ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ (1917-1918) – ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისში. გაზეთის რედაქტორი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, ფემინისტი და პუბლიცისტი კატო მიქელაძე. გაზეთს გამოსცემდა ქუთაისის ქალთა კლუბი. 1918 წლიდან კი – „ინტერპარტიული ქალთა ლიგა“. სულ გამოიცა გაზეთის 50 ნომერი. პუბლიკაციათა ავტორები იყვნენ: კ. მიქელაძე, ნ. ნადირაძე, ე. გაბაშვილი, ს. მგელაძე, დ. ახვლედიანი, დ. თომაშვილი, ოლ. ბუაჩიძე და სხვ.

²⁹⁶ კატო მიქელაძე (1878-1942) – ქართველი პუბლიცისტი, ფემინისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. აღნიშნული სიტყვა წარმოითქვა ქალთა საზოგადო კრებაზე. კატო მიქელაძემ განათლება ევროპაში მიიღო. დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას პარიზში გაეცნო და 1916 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თანამოაზრეებთან ერთად ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყო. მისი თაოსნობით, 1917-1918 წლებში რეგიონალური ქსელი „ქალთა ლიგა“ ჩამოყალიბდა. გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“.

²⁹⁷ იგულისხმება 1978 წლის საპროტესტო გამოსვლები, რომლითაც გამოდნენ 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის განმსაზღვრელი მუხლის ამოღებას.

და მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი ქვეყანა, კატასტროფული ეკონომიკური პრობლემის წინაშე დადგა, ქალებმა გამოიყენეს ყველა ლეგალური და არალეგალური გზა სხვა ქვეყნებში მოსახვედრად, ისინი დათანხმდნენ მძიმე ფიზიკურ შრომას, იმისთვის, რომ საკუთარ ოჯახებში ფული გამოეგზავნათ. 90-იან წლებში, საკუთარ ოჯახებში მათ მიერ გამოგზავნილმა ფულმა გადაარჩინა საქართველოს ეკონომიკა. ეს იყო ერთადერთი ფული, რომელიც ქვეყანაში ტრიალებდა.

ჰოდა, საშიშვლები იყვნენ ქართველი ქალები საუკუნეების წინ, საბჭოთა კავშირის პერიოდში და დამოუკიდებლობის ეპოქაშიც. ალბათ ამიტომაც, დღეს უკვე არა წითელი ტერორის ხელი, – ქმრები კლავენ ცოლებს. ბოლო წლებში, ფემინიციდის სტატისტიკა კატასტროფულად დიდია, რაც ოთხმილიონიანი ქვეყნისთვის საგანგაშია.

ჩვენ გამოსავალს ადრეულ აღზრდაში ვხედავთ. წიგნებში, რომელსაც ბავშვები პირველად შეეხებიან. გადავწყვიტეთ, ამ წიგნებში გამქრალი ქალები დავაბრუნოთ. ყველაზე მცირე ასაკიდან მოუყვით შვილებს მათი უნიკალურობის და შესაძლებლობების შესახებ.

ესააგამოსავალი დღევანდელ დღეს. დღეს, როდესაც მართალია, შუასაუკუნეების ბურუსს გავცდით, აღარც ფიზიკური ნაკლის მქონე ჩვილებს ვყრით მდინარეში და აღარც ჭილეკით დაავადებულებს ვახრჩობთ საბნის ქვეშ. მაგრამ დღეს ლამისაა, აღარ ვენდოთ მედიკამენტების ანოტაციებს. ეჭვის თვალით ვუყურებთ ვაქცინაციებს და ბავშვების სიცოცხლეს რისკის ქვეშ ვაყენებთ... დღეს, როცა ისე უმნიშვნელოდ ჩამოვსქროლავთ ფეისბუქს და გადავახტებით საშინელი მკვლელობების ამბებს, ომების ქრონიკას. ვსქროლავთ, ვკითხულობთ სასტიკი ამბების ჰედლაინებს და თან კარაქს ვუსმევთ კრუასანს. ჩვენ ვედარ ვიჯერებთ რეალურ ამბებს. გაუცხოება გვაქვს. სამაგიეროდ, თვალზე ცრემლი გვადგება, როდესაც ფილმში შეყვარებულები შორდებიან ერთმანეთს. განვიცდით, გულს გვიჩქარებს თეატრალურ კოსტუმში გამოწყობილი მსახიობების დანახვა, ვიცით, რომ რამდენიმე საათის წინ, მათ კულისებში გაიკეთეს გრიმი, გამოვიდნენ სცენაზე და გვითხრეს მე ჯულიეტა ვარ, მე – ჰამლეტი და ჩვენც დავიჯერეთ. მაინც გვჯერა. რატომ გვჯერა?

იმიტომ, რომ კინოშიც და თეატრშიც, ეს ზუსტი ინტონაცია, ამბის გადმოცემის ასეთი ფორმა ზღაპარს გვაგონებს. ბავშვობაში გვაბრუნებს. პირველი შთაბეჭდილებები გვახსენდება. ის თავგადასავლები, ის შიშები, ის გამარჯვება, ის ატმოსფერო მუდამ ჩვენთანაა, რადგან, რომ დაუკვირდეთ, რეალურად, არაფერი ისე არ გავს ჩვენ ცხოვრებას, როგორც ზღაპარი, თავისი იდუმალეობით, სასპენსიით, სიძნელეებით, ბრძოლის გარდაუვალობით, მოხუცი მეფეებით, ლამაზი გოგო-ბიჭებით, კეთილებით და ბოროტებით. ჩვენში ამ დაუჯერებელმა ამბებმა განაპირობა ნდობა რეალური სამყაროსადმი. შესაბამისად, თუ ჩვენი შვილების აღქმა და ასოციაციები საწყის ეტაპზე გაიაზრებს, რომ დიდი ვარდისფერი კაბა სულაც არ ნიშნავს წარმატებას და არც ბედნიერების გარანტიას იძლევა. რომ გოგო ზუსტად მაშინაა მოსაწონი, როდესაც ძლიერია, არ ეშინია, საინტერესო წიგნებს წერს, ვერტმფრენს მართავს და ომებს იგებს, მაშინ ნაკლები ენერჯის დახარჯვა მოგვიწევს ასე რთულად აღქმულ სიმარტივეზე.

აი, ამიტომ, ზღაპრებში ჩვენ მაგარ ქალებს ვაბრუნებთ.

მიგვაჩნია, რომ ეს საუკეთესოა ჩვენი შვილებისთვის. დედებმა ყოველთვის იციან, რა ჯობია შვილებისთვის, მაშინაც კი, როცა ძალიან მძიმეა მოცემულობა. აი მაგალითად, ჯონათან ლითლი²⁹⁸ თავის შესანიშნავ რომანში THE KINDLY ONES²⁹⁹ წერს: მეორე მსოფლიო ომის დროს, დასახვრეტთა რიგში მდგარმა დედამ, რომელსაც ქმარი და სამი შვილი ახლდა, გერმანელ ჯარისკაცს სთხოვა, – გემუდარებით, ბავშვებს ისე ესროლეთ, რომ იმ წამსვე მოკვდნენ. არ იტანჯონო... დედა მაშინაც საუკეთესოს ირჩევდა შვილებისთვის.

ჩვენს ქვეყანაში, ისე როგორც სხვაგან, ბავშვების უმრავლესობას ბევრი რამ აკლია. მე და ჩემ კოლეგებს არ შეგვიძლია სიღარიბის დაძლევის პროგრამა შევადგინოთ. ჩვენ შეგვიძლია ვწეროთ. ვწეროთ ზღაპრები, რომლებსაც ან დედა მოგიყვება, ან ვიღაც, ვისაც დედასავით უყვარხარ.

ამ ზღაპრების ავტორების უმრავლესობა, მეტწილად, ერთი თაობისაა. ჩემი თაობა უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. ჩვენ გავიაზრეთ, რომ ყველგან, სადაც მოხვდები, თან შენი ნამდვილი ამბავი უნდა წაიღო.

²⁹⁸ ჯონათან ლითლი – ამერიკელი, ფრანგულენოვანი მწერალი (დ. 1967).

²⁹⁹ THE KINDLY ONES – The Kindly Ones (ფრანგ. Les Bienveillantes) არის 2006 წლის ისტორიული ფანტასტიკური რომანი, რომელიც ფრანგულად დაიწერა ამერიკელი წარმოშობის მწერლის ჯონათან ლითლის მიერ. წიგნის მთავარი გმირია მაქსიმელიენ აუე, ფრანგული და გერმანული წარმოშობის ყოფილი SS ოფიცერი, რომელიც იყო ჰოლოკოსტის ჩამდენი და იმყოფებოდა მეორე მსოფლიო ომის რამდენიმე მთავარ მოვლენაში.

შენი ამბები მოყვე. რადგან ამბავი, თუ გულწრფელად და საინტერესოდაა ის მოყოლილი, მსმენელს იპოვის.

ჩემმა თაობამ, დროს, რომელიც თინეიჯერობისას წელში გვტეხდა, ევროპას და დანარჩენ სამყაროს ხელოვნურად გვაშორებდა, იმ დროს, თითქოს, სამაგიერო გადავუხადეთ, – ის ტკივილები ლიტერატურულ და კინო ამბებზე ვაქციეთ. დღეს, 1990-იანი წლები ჩვენთვის ის მდიდარი მედიუმია, რომელიც არ ილევა. გადავყოფთ ხელს და დაუჯერებელ ამბებს ამოვაცოლებთ, გნებავთ გრძელს, გნებავთ მოკლეს, ძალიან სასაცილოს და სასტიკად მტკივნეულს.

ამ თემებზე ლაპარაკით დავიცალეთ და ყურადღება მივიქციეთ. ამ ამბებს დააშენეს თავიანთი შემოქმედება, მაგალითად, ნინო ხარატიშვილი³⁰⁰, დღეს უკვე ევროპაში სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა და ამ ტრავმებზე რეფლექსიაა „ბალენსიაგას“³⁰¹ სახლის ხელმძღვანელის, ასევე ქართველის დემნა გვასალიას³⁰² „ვეტემონ“³⁰³.

და ბოლოს, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ მსოფლიოში ყველაზე სერიოზულ პლატფორმაზე და ეს შეხვედრა ზღაპრების კონტექსტშია მოქცეული. თუ ეს ასეა, მიიღეთ ჩემი სიტყვა, როგორც მაგალითად, სავარცხლის სროლა გამოუვალი სიტუაციის ჟამს. ზღაპრის ყველა წესის დაცვის მიხედვით, ამ სავარცხელმა რაღაც უნდა შეცვალოს.“

³⁰⁰ ნინო ხარატიშვილი – დრამატურგი, მწერალი, რეჟისორი. დაიბადა 1983 წელს. დღემდე მოღვაწეობს გერმანიაში.

³⁰¹ ბალენსიაგა (ესპ. Balenciaga) – ესპანელი მოდის დიზაინერის, კრისტობალ ბალენსიაგას მიერ დაარსებული მოდის სახლი.

³⁰² დემნა გვასალია (დ. 1981) დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დიზაინერია. ამჟამად ის გერმანიის მოქალაქეა და ფრანგული მოდის სახლის, “Balenciaga”-ს შემოქმედებითი ხელმძღვანელი. დემნა გვასალია TIME-მა 2022 წლის 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის დაასახელა. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ამ სიაში ქართველი მოხვდა.

³⁰³ „ვეტემონ“ – იგულისხმება დემნა გვასალიას ერთ-ერთი დიზაინერული ხაზი.

Speech

Delivered by Nestan Nene Kvinikadze at the 63rd Session of the UN Commission on the Status of Woman (CSW63), in New York, on March 11, 2019

“Why do we believe in fairy tales? The history of our country is falsified. All important events in our history and names of the main heroes of these events have been changed or abolished. The name of our country is pronounced with mistakes and it needs clarification which Georgia you represent. Our boundaries are measured by others and we continue to live in barbed-wire defenses.

In our soviet schools, nobody taught us that we were a part of Europe in the first place. Our story could be well told by the Rabati Castle, that puts a mosque, a synagogue and a church together in one space. We knew that “Martyrdom of Shushanik” was written in the 5th century, but we had no idea that it was the feminist novel. “The Knight in the Panther’s Skin”, a poem wonderfully blending Christian moral and Islamic aesthetics was also written in Georgia. One poet and writer here created the entire second half of the 19th century. He also tried himself in Theatre and banking, into farming progress and publicism. Ilia Tchavtchavadze defined our identity.

Beside an image of a woman in Soviet propaganda, the real images of women have been erased in our history, as the Soviet Union was scared of real strong and wise women. After all, they had the reason to fear. Spreading of Christianity is also associated with the name of a woman³⁰⁴. The most exciting governing epoch relates to the name of the woman governor, named as the king³⁰⁵. Georgia is among those first twenty countries, where women could vote. It happened in 1918. We also had a newspaper “Khma kartveli kalisa”³⁰⁶ in that period. Editor-in-Chief of that newspaper was journalist and feminist Kato Mikeladze³⁰⁷. Thousands of women took part in the World War Two fighting against fascism. Some of them were even high school students.

When the Georgian language faced risk to be deprived the status of the state language in 1978³⁰⁸, seditions on posters for the series of large-scale protests were written with lipsticks.

When the Russian army entered the center of the capital on April 9, 1989 soldiers began attaching protesters, and used prohibited poison gas killing women with spades. These victim women and girls have returned independency to my country that had been lost for 70 years. At the time when the independent country faced real economic crisis, women tried all legal and illegal ways to reach richer countries. They did not refuse to work physically hard to send money to their families. In the 90s the money sent by those women to their families saved the Georgian economy. It was the only money circulating in our country at that time.

Georgian women were frightening to men centuries ago and to the system in the soviet era, as well as in the period of independency from Russia. Today their own husbands began destroying them. The statistic of femicide increased in recent years and it is disastrous for the country of 4-million inhabitants.

We see our solution in the early upbringing, in the first books for children. We have decided to return

³⁰⁴ It means Saint Nino.

³⁰⁵ It means Queen Tamar.

³⁰⁶ The newspaper “Khma kartveli kalisa” (1917-1918) – a weekly political, scientific and literary newspaper. It was published in Kutaisi. The editor of the newspaper was the Georgian public figure, feminist and publicist Kato Mikeladze. The newspaper was published by the Kutaisi Women’s Club. Since 1918 – by the “Interparty Women’s League”. A total of 50 issues of the newspaper were published. The authors of the publications were: K. Mikeladze, N. Nadiradze, E. Gabashvili, S. Mgeladze, D. Akhvlediani, D. Tomashvili, Ol. Buachidze and others.

³⁰⁷ Kato Mikeladze (1878-1942) – Georgian publicist, feminist, journalist and public figure. The above speech was delivered at a women’s public meeting. Kato Mikeladze was educated in Europe. She graduated from the Faculty of Social and Political Sciences of the University of Brussels. She became acquainted with the European experience of the women’s movement in Paris and, after returning to Georgia in 1916, began to fight for women’s rights together with her associates. Under her leadership, the regional network “Women’s League” was formed in 1917-1918. She published and edited the newspaper “Voice of the Georgian Woman”.

³⁰⁸ This refers to the 1978 protests, which condemned the removal of the article defining the status of the Georgian language as the state language from the 1977 Soviet Constitution.

disappearing women through these books and tell our children about their uniqueness and strength from early years.

This is solution nowadays. Actually, we all have passed the fog of the Middle Ages and are not throwing away babies with physical disabilities, neither we strangle TB infected people under blankets. But today we don't trust medicine annotations, are looking at vaccination with doubts and put children's life at risks.

Today we easily scroll Facebook and ricochet severe murder information, war chronicles; we continue scrolling, read headlines of terrifying news and meanwhile spread butter on a croissant. We don't believe in real stories and feel a kind of alienated. But we are about to cry when a loving pair breaks up in a movie, we feel really emotional, our heart begins to beat faster when we see actors in theatrical costume and we know for sure that they put their make-up a few hours ago; actors came to the stage and said they are either Hamlet or Juliet and we believe in it. Yes, we still believe in them, but why do we trust them?

Because there is the right intonation in cinema and theater, the manner of telling stories reminds us of fairy tales and takes us back to childhood and we recall our first impressions.

Those adventures, fears, victory, that atmosphere is always with us and if you look under a loupe nothing is so close to life as a fairy tale, with its mystery, suspense, difficulties, with inevitability of fighting, old kings, beautiful girls and boys, with kindness and evil. These unbelievable stories have formed the trust into the real life. Accordingly, perception and associations of our children at their early stage should understand that a pink dress doesn't mean success and certainly does not guarantee happiness... A girl is attractive when she is strong, is not scared, writes interesting books, drives a helicopter and wins wars. In such cases we would lose less energy for realizing the lightness which sometimes is associated with complexity. That's why we are returning strong women to fairy tales.

We consider that it is the best for our children. Mothers always know what the best is for their kids. Even in difficult situations. For example, Jonathan Littell³⁰⁹ in his wonderful novel *THE KINDLY ONES*³¹⁰ write that during the World War Two; a mother, while standing in a line and waiting to be shot together with her husband and three kids, asks German soldier to shoot her kids to immediate death so that they could avoid suffering... The mother was choosing the best for her kids in that very moment.

In our country, like in other countries, most children lack lots of goods. My colleagues and I cannot establish a special nationwide program to effectively fight poverty. But we can write. We can write fairy tales that would be told by a mother or someone, who loves like a mother.

Most of fairy tale authors come from one generation. My generation was lucky enough. We understood that whenever you go, you should take your true story with you. You should tell your own stories. If a story is told with interest and sincerely, it would find its listener.

My generation has revenged to that time, which was breaking us when we were teens and was separating us from the rest of the world. We have transformed those pains into literature and film stories. Today the 90s is the rich medium for us from where we can pick different and unbelievable stories, long or short, very ridiculous and rather painful.

We talked a lot about these themes and became in focus. For example, Nino Kharatishvili³¹¹ has built her creative work on these stories, she is prominent writer in Europe today; these traumas are reflected in *Vetements*³¹² by Georgian Demna Gvasalia³¹³, creative director of Balenciaga House³¹⁴.

To the end, we are gathered here on the most serious platform in the world in the context of fairy tales. If it is so, please assume my words as throwing a comb behind, to grow a forest or mountains with thousands of teeth between a runner and a monster chaser – like they do it in fairy tales. After all, a comb changes a lot in tales.

Thank you very much!"

³⁰⁹ Jonathan Littell – American, French-speaking writer (b. 1967).

³¹⁰ *THE KINDLY ONES* – *The Kindly Ones* (French: *Les Bienveillantes*) is a 2006 historical fiction novel written in French by American-born author Jonathan Littell. The book is narrated by its fictional protagonist Maximilien Aue, a former SS officer of French and German ancestry who was a Holocaust perpetrator and was present during several major events of World War II.

³¹¹ Nino Kharatishvili – Playwright, writer, director. Born in 1983. Still working in Germany.

³¹² "Vetemon" – refers to one of Demna Gvasalia's design lines.

³¹³ Demna Gvasalia (b. 1981) is one of the most successful designers today. He is currently a German citizen and the creative director of the French fashion house Balenciaga. Demna Gvasalia was named one of TIME's 100 Most Influential People of 2022. This is the first time a Georgian has been included in this list.

³¹⁴ Balenciaga (Spanish: Balenciaga) is a fashion house founded by Spanish fashion designer Cristóbal Balenciaga.

IV. აკადემიური ორატორული ნიმუშები

IV. ACADEMIC ORATORICAL SAMPLES

სიტყვა, წარმოთქმული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ
ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, ქ. თბილისში,
1918 წლის 26 იანვარს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს
ნათია კენჭიაშვილმა და გურამ ლეგაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშებია [სიტყვა, წარმოთქმული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანი (1871-1942) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი (ცნობილი ლიტერატურული ფსევდონიმით „საზინდარი“). განათლება პარიზში მიიღო. წერდა ლექსებს ფრანგულად. 1895 წელს სამშობლოში დაბრუნდა. 1898 წლის 11 ოქტომბერს დაქორწინდა მამუკა ორბელიანზე. 1919-1920 წლებში რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფრანგულ და ინგლისურენოვან გაზეთებს: „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“ (ორივეს ფრანგულ ენაზე) და „საქართველოს მოამბე“ (ინგლისურ ენაზე). ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ასევე – ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შემოქმედება. 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიიწვია უნივერსიტეტში უცხო ენათა ლექტორად, კითხულობდა ფრანგული (1918) და ინგლისური (1921) ენების კურსებს. ელისაბედ ბაგრატიონი-ორბელიანი კავკასიაში პირველ ეროვნულ უნივერსიტეტში მოღვაწე ერთ-ერთი პირველი ქალი მეცნიერი იყო. მან 1918 წლის 26 იანვარს, პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, სიტყვა წარმოთქვა, რის შემდეგაც მოკლე მოხსენება წაიკითხა. შესაბამისად, მისი საჯარო გამოსვლა სტრუქტურულად ორ ნაწილად იყოფა: საჯარო გამოსვლის პირველი ნაწილი სადღესასწაულო მჭევრმეტყველების დარგს და სიტყვის ჟანრს განეკუთვნება, ხოლო მეორე ნაწილი – აკადემიურ მჭევრმეტყველებას და მოხსენების ჟანრს.

ორატორული ნიმუში პირველად დაიბეჭდა 1918 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, მოკლე სათაურით „ქართულ უნივერსიტეტში“, ხოლო ბოლოში მიწერილი აქვს „ელისაბედ ირაკლი ბატონიშვილის ასული კნ. ორბელიანისა“³¹⁵, მეორედ გამოქვეყნდა 2015 წელს კრებულში „პირველი ლექცია: ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“³¹⁶, 2016 წელს – კრებულში „პირველი ლექცია“³¹⁷, 2017 წელს – კრებულში „პირველი ლექცია: საჯარო ლექციათა კრებული წაკითხული ტრადიციულად ყოველი წლის 12 თებერვალს“³¹⁸, 2019 წელს – ეკ. გოგიჩაიშვილის წიგნში „ორბელიანების სასახლე“³¹⁹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან.

³¹⁵ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918, კვირა, 2 აპრილი, №6, გვ. 4-5.

³¹⁶ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია: ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, გვ. 77-79.

³¹⁷ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 105-107.

³¹⁸ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია: საჯარო ლექციათა კრებული წაკითხული ტრადიციულად ყოველი წლის 12 თებერვალს, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 95-97.

³¹⁹ გოგიჩაიშვილი, ეკ., ორბელიანების სასახლე: ბროშურა, თბილისი, 2019, გვ. 39.

Speech Delivered by Elisabeth Bagration-Orbeliani at the Opening of the Georgian University, in Tbilisi, on January 26, 1918

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Guram Legashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Elisabeth Bagration-Orbeliani at the opening of the Georgian University, in Tbilisi, on January 26, 1918]. The oratorical sample belongs to the festive rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Elisabeth Bagration-Orbeliani (1871-1942) – a Georgian poet and translator (known under the literary pseudonym “Sazindari”). She received her education in Paris. She wrote poems in French. She returned to her homeland in 1895. On October 11, 1898, she married Mamuka Orbeliani. In 1919-1920, she edited the French and English-language newspapers of the Democratic Republic of Georgia: “Tavisupali Saqartvelo”, “Saqartvelos respublika” (both in French) and “Saqartvelos Moambe” (in English). She translated “The Knight in the Panther’s Skin” into French, as well as the works of A. Tchavtchavadze, G. Orbeliani, N. Baratashvili, I. Tchavtchavadze, Vazha-Pshavela and others. In 1918, the Council of Professors of the Georgian University invited her to the university as a lecturer of foreign languages, where she taught French (1918) and English (1921) courses. Elisabeth Bagration-Orbeliani was one of the first female scientists working at the first national university in the Caucasus. On January 26, 1918, she delivered a speech at the opening of the first Georgian University, after which she read a short report. Accordingly, her public speech is structurally divided into two parts: the first part of the public speech belongs to the field of festive oratory and the speech genre, and the second part – to academic oratory and the report genre.

The oratorical sample was first published in 1918 in the magazine “Teatri da tskhovreba” with the short title “At the Georgian University”, and at the end it is written “Princess Elisabed daughter of Irakli Batonishvili”³²⁰. It was published for the second time in 2015 in the collection “First Lecture: Man in Ancient Georgian Writing and Life”³²¹, in 2016 – in the collection “First Lecture”³²², in 2017 – in the collection “The First Lecture: A Collection of Public Lectures Traditionally Delivered on February 12 of Each Year”³²³ in 2019 – by Ek. Gogichaishvili in “Palace of the Orbelians”³²⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

³²⁰ Magazine “Teatri da tskhovreba”, 1918, Sunday, April 2, №6, pp. 4-5 (in Georgian).

³²¹ Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), *The first Lecture: Man in Ancient Georgian Writing and Life*, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2015, pp. 77-79 (in Georgian).

³²² Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), *First Lecture*, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2016, pp. 105-107 (in Georgian).

³²³ Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), *First Lecture: A Collection of Public Lectures Traditionally Delivered on February 12 of Each Year*, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2017, pp. 95-97 (in Georgian).

³²⁴ Gogichaishvili, Ek., *Palace of the Orbelians: Brochure*, Tbilisi, 2019, p. 39 (in Georgian).

სიტყვა

წარმოთქმული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს

„ბატონებო,

დიდის მღელვარებით აღსავსე გამოვდივარ თქვენს წინაშე, რადგანაც გათვალისწინებული მაქვს ამ წუთის სიდიადე და განსაკუთრებულად ვაფასებ იმ პატივს, რომელიც წილად მხვდა მე. ვხსნი თქვენს საკუთარ ქართულ უნივერსიტეტს და ამით ხელახლად ვნასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის (მეწყვეტილ) ძაფს.

აღმოსავლეთის მზეზედ გაბრწყინებული კულტურა იგი უფრო მშვენიერდებოდა დასავლეთის აზროვნებასთან დაახლოვებით. ევროპა გვიცნობდა და ჩვენ მას ვუყვარდით, ჯერ კიდევ მე-13-ე საუკუნეში რომი³²⁵ გვიგზავნიდა მისსიონერებს³²⁶. მე-15-ე საუკუნეში ჩვენ უახლოვდებით საფრანგეთს – საბა სულხან ორბელიანი³²⁷ ელჩად³²⁸ მიდის ლიუდოვიკო მე-14-სთან³²⁹ და თავის იგავარაკებში თითქოს ლაფონტენის³³⁰ გავლენითაც გაიმსჭვალა. კრებიონი³³¹ თავის ტრაგედიის რადემისტის³³² დედა აზრს სესხულობს ჩვენი ისტორიიდან.

უკანასკნელმა ასმა წელმა³³³ ძალაუნებურად დაგვაშორა საფრანგეთის აზროვნების თავისუფალ აღორძინებას. ეხლა საჭიროა დაკარგული დროის მოგება.

ბედნიერად ვსთვლი ჩემ თავს, რომ მოვალეობად მარგუნეს თქვენ ფრანგული შეგასწავლოთ, რათა თვით დედანის საშუალებით გაიცნოთ და იგემოთ მისი გენიოსების ნაწარმოები. ნუ დაგვავიწყდება, რომ საფრანგეთის 1789 წლის³³⁴ წყალობითაა, რომ 1918 წელს გვაქს თავისუფალი ქართული უნივერსიტეტი.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს აზრი თქვენც საკმაოდ გიწინამძღვრებსთ და აღგაფრთოვანებთ.“

³²⁵ რომი – იგულისხმება რომის კათოლიკური ეკლესია და მისი მეთაური პაპები.

³²⁶ მისიონერი – ქრისტიანული ეკლესიის (ძირითადად კათოლიკური) მიერ წარგზავნილი მქადაგებელი რელიგიური პროპაგანდის გასაწევად და სხვა რჯულის (მათ შორის სხვადასხვა ქრისტიანული აღმსარებლობის) მორწმუნეების მოსაქცევად.

³²⁷ საბა სულხან ორბელიანი – სულხან-საბა ორბელიანი (ერისკაცობაში სულხან ორბელიანი, ბერად აღკვეცის შემდეგ დაერქვა საბა (1658-1725) – ქართველი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. 1703 წლიდან, ქართლის გამგებლის, ვახტანგ VI-ის დავალებით, ორბელიანმა დიპლომატიური მისიით იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთსა და იტალიაში (1713-1716).

³²⁸ სულხან-საბა ორბელიანი 1714 წლის აპრილსა და მაისში, ორჯერ წარსდგა ელჩად საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ის წინაშე და გამოვიდა ჯერ მოხსენებით, ხოლო შემდეგ სიტყვით.

³²⁹ ლიუდოვიკო მე-14 – ლუი XIV დე ბურბონი (ფრანგ. Louis XIV de Bourbon, 1638-1715), აგრეთვე ცნობილი, როგორც ლუი დიდი, ან მეფე მზე – ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი.

³³⁰ ლაფონტენი – ჟან დე ლაფონტენი – (ფრანგ. Jean de La Fontaine, 1621-1695), XVII საუკუნის ფრანგი პოეტი, მორალისტი, დრამატურგი, მეიგავე, ლიბრეტოებისა და ზღაპრების ავტორი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. ლაფონტენი უპირველეს ყოვლისა ცნობილია როგორც იგავ-არაკების ავტორი.

³³¹ კრებიონი – ფრანგი მწერალი ჟოლიო დე კრებიონი. მისი ერთ-ერთი ტრაგედია „რადამისტი და ზენობია“, რომელიც 1929 წელს გიორგი გვაზავამ თარგმნა სათაურით „ვარსმან მეფე ივერიისა“.

³³² რადემისტი – რადამისტი – ქართველი უფლისწული, სომხეთის მეფე 51-53 და 54-55 წლებში. უფროსი ძე მეფე ვარსმან I-სა.

³³³ უკანასკნელი ასი წელი – იგულისხმება 1801 წელს რუსეთის იმპერატორების პეტრე I-ისა და ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემული მანიფესტები, რომელთა ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა.

³³⁴ 1789 წელი – იგულისხმება საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია (ფრანგ. Révolution française; 1789-1799) – გარდამტეხი პერიოდი საფრანგეთის, ევროპისა და დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიაში. ამ პერიოდში საფრანგეთში რესპუბლიკანიზმმა შეცვალა აბსოლუტური მონარქია, ხოლო ქვეყნის კათოლიკური ეკლესია იძულებული გახდა რადიკალური რესტრუქტურისა და გაეტარებინა.

ლექცია, წაკითხული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ
ფრანგული ენის ისტორიის შესახებ ქართულ უნივერსიტეტში,
ქ. თბილისში, 1918 წლის 26 იანვარს

ტექსტი აკრიფეს, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა დაურთეს
ნათია კენჭიაშვილმა და გურამ ლეგაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშებია [ლექცია, წაკითხული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ
ფრანგული ენის ისტორიის შესახებ ქართულ უნივერსიტეტში, ქ. თბილისში, 1918 წლის 26
იანვარს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება აკადემიურ მქვერმეტყველებას, ხოლო
ჟანრობრივად – ლექციის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანი (1871-1942) – ქართველი პოეტი და
მთარგმნელი (ცნობილი ლიტერატურული ფსევდონიმით „საზინდარი“). განათლება პარიზში
მიიღო. წერდა ლექსებს ფრანგულად. 1895 წელს სამშობლოში დაბრუნდა. 1898 წლის 11 ოქტომბერს
დაქორწინდა მამუკა ორბელიანზე. 1919-1920 წლებში რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის ფრანგულ და ინგლისურენოვან გაზეთებს: „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს
რესპუბლიკა“ (ორივეს ფრანგულ ენაზე) და „საქართველოს მოამბე“ (ინგლისურ ენაზე). ფრანგულად
თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ასევე – ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის,
ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შემოქმედება. 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა
საბჭომ მიიწვია უნივერსიტეტში უცხო ენათა ლექტორად, კითხულობდა ფრანგული (1918) და
ინგლისური (1921) ენების კურსებს. ელისაბედ ბაგრატიონი-ორბელიანი კავკასიაში პირველ
ეროვნულ უნივერსიტეტში მოღვაწე ერთ-ერთი პირველი ქალი მეცნიერი იყო. მან 1918 წლის 26
იანვარს, პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნისას, სიტყვა წარმოთქვა, რის შემდეგაც მოკლე
მოხსენება წაიკითხა. შესაბამისად, მისი საჯარო გამოსვლა სტრუქტურულად ორ ნაწილად იყოფა:
საჯარო გამოსვლის პირველი ნაწილი სადღესასწაულო მქვერმეტყველების დარგს და სიტყვის ჟანრს
განეკუთვნება, ხოლო მეორე ნაწილი – აკადემიურ მქვერმეტყველებას და მოხსენების ჟანრს.

ორატორული ნიმუში პირველად დაიბეჭდა 1918 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“,
მოკლე სათაურით „ქართულ უნივერსიტეტში“, ხოლო ბოლოში მიწერილი აქვს „ელისაბედ
ირაკლი ბატონიშვილის ასული კნ. ორბელიანისა“³³⁵, მეორედ გამოქვეყნდა 2015 წელს კრებულში
„პირველი ლექცია: ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“³³⁶, 2016 წელს – კრებულში
„პირველი ლექცია“³³⁷, 2017 წელს – კრებულში „პირველი ლექცია: საჯარო ლექციათა კრებული
წაკითხული ტრადიციულად ყოველი წლის 12 თებერვალს“³³⁸, 2019 წელს – ეკ. გოგიჩაიშვილის
წიგნში „ორბელიანების სასახლე“³³⁹. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული
პირველწყაროდან.

³³⁵ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918, კვირა, 2 აპრილი, №6, გვ. 4-5.

³³⁶ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია: ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში,
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, გვ. 77-
79.

³³⁷ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 105-107.

³³⁸ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია: საჯარო ლექციათა კრებული წაკითხული ტრადიციულად
ყოველი წლის 12 თებერვალს, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2017, გვ. 95-97.

³³⁹ გოგიჩაიშვილი, ეკ., ორბელიანების სასახლე: ბროშურა, თბილისი, 2019, გვ. 39.

Lecture Delivered by Elisabeth Bagration-Orbeliani on the History of the French Language at the Georgian University, in Tbilisi, on January 26, 1918

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili and Guram Legashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Lecture delivered by Elisabeth Bagration-Orbeliani on the history of the French language at the Georgian University, in Tbilisi, on January 26, 1918]. The oratorical sample belongs to the academic rhetoric field, and the lecture genre.

The author of the speech is Elisabeth Bagration-Orbeliani (1871-1942) – a Georgian poet and translator (known under the literary pseudonym “Sazindari”). She received her education in Paris. She wrote poems in French. She returned to her homeland in 1895. On October 11, 1898, she married Mamuka Orbeliani. In 1919-1920, she edited the French and English-language newspapers of the Democratic Republic of Georgia: “Tavisupali Saqartvelo”, “Saqartvelos respublika” (both in French) and “Saqartvelos Moambe” (in English). She translated “The Knight in the Panther’s Skin” into French, as well as the works of A. Tchavtchavadze, G. Orbeliani, N. Baratashvili, I. Tchavtchavadze, Vazha-Pshavela and others. In 1918, the Council of Professors of the Georgian University invited her to the university as a lecturer of foreign languages, where she taught French (1918) and English (1921) courses. Elisabeth Bagration-Orbeliani was one of the first female scientists working at the first national university in the Caucasus. On January 26, 1918, she delivered a speech at the opening of the first Georgian University, after which she read a short report. Accordingly, her public speech is structurally divided into two parts: the first part of the public speech belongs to the field of festive oratory and the speech genre, and the second part – to academic oratory and the report genre.

The oratorical sample was first published in 1918 in the magazine “Teatri da tskhovreba” with the short title “At the Georgian University”, and at the end it is written “Princess Elisabed daughter of Irakli Batonishvili”³⁴⁰. It was published for the second time in 2015 in the collection “First Lecture: Man in Ancient Georgian Writing and Life”³⁴¹, in 2016 – in the collection “First Lecture”³⁴², in 2017 – in the collection “The First Lecture: A Collection of Public Lectures Traditionally Delivered on February 12 of Each Year”³⁴³ in 2019 – by Ek. Gogichaishvili in “Palace of the Orbelians”³⁴⁴. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

³⁴⁰ Magazine “Teatri da tskhovreba”, 1918, Sunday, April 2, №6, pp. 4-5 (in Georgian).

³⁴¹ Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), The first Lecture: Man in Ancient Georgian Writing and Life, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2015, pp. 77-79 (in Georgian).

³⁴² Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), First Lecture, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2016, pp. 105-107 (in Georgian).

³⁴³ Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), First Lecture: A Collection of Public Lectures Traditionally Delivered on February 12 of Each Year, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2017, pp. 95-97 (in Georgian).

³⁴⁴ Gogichaishvili, Ek., Palace of the Orbelians: Brochure, Tbilisi, 2019, p. 39 (in Georgian).

ლექცია

წაკითხული ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანის მიერ ფრანგული
ენის ისტორიის შესახებ ქართული უნივერსიტეტში, ქ. თბილისში,
1918 წლის 26 იანვარს

ფრანგული ენის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

„გალლიის³⁴⁵ პირველნი მცხოვრებნი აღმოსავლეთიდან მოსული კელტები³⁴⁶ და იბერნი³⁴⁷ იყვნენ. იბერნი დასახლდნენ სამხრეთით, კელტები ანუ გალები დამკვიდრდნენ ჩრდილოეთსა და შუა გულში და თავიანთი სახელი უწოდეს მთელ ქვეყანას. მათი ენა იყო კელტური, რომელსაც ეხლაც ლაპარაკობენ ძველ არმორიკაში³⁴⁸ – ეხლანდელ ბრეტანში³⁴⁹. კელტურს³⁵⁰ ლაპარაკობდნენ გალები იულიოს კეისრის³⁵¹ მიერ დაპყრობამდე, 55 წ. ქრ. დაბ. რომაელებმა მოჰფინეს ახალ პროვინციაში თავიანთი ძეგლები და სკოლები. თანდათან რომაელთა გავლენით მათ დაკარგეს თავისი ეროვნება, ზნეჩვეულება და ენა. გალთაგან გამოვიდნენ პოეტები, სწავლულნი და განსაკუთრებით ვექილები³⁵², რომლებიც სახელოვანად ლაპარაკობდნენ რომის სენატშიაც კი. კატონ ძველი³⁵³ ამბობს: „გალთა ერს გულით უყვარს ორი რამ – მამაცური ომი და მოსწრებული ლაპარაკი“. ეს ორმაგი ხასიათი ეტყობა ეხლანდელ ფრანგებსაც. ლათინურს ლაპარაკობდნენ გალიაში ბარბაროსთა შემოსვლამდინ³⁵⁴, მეწ საუკუნეში ზოგიერთმა მათგანმა ააოხრა ქვეყანა, ზოგიერთი კი იქვე დაბინავდა: ფრანგები³⁵⁵

³⁴⁵ გალია – გალია, ისტორიული სახელმწიფო ძველი რომის იმპერიის ჩრდილო-დასავლეთით. გალიას ეკავა საფრანგეთის, ლუქსემბურგის და ბელგიის მიწები. გარკვეულ პერიოდებში გალიაში შედიოდა მდინარე პოს დაბლობი, დასავლეთი შვეიცარია, ნიდერლანდებისა და გერმანიის გარკვეული ნაწილები და მდინარე რაინის დასავლეთი სანაპირო. ამ ტერიტორიაზე მკვიდრი გალები ცხოვრობდნენ, რომლებიც გალურ ენაზე საუბრობდნენ ³⁴⁶ კელტები – რომაელები კელტებს „გალებს“ უწოდებდნენ, ბერძნები კი – „კელტებს“. „კელტებს“ უწოდებდნენ ინდოევროპელ ტომებს, რომლებიც ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში თანამედროვე საფრანგეთის, შვეიცარიის, ბელგიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში სახლობდნენ. მოგვიანებით აგრეთვე ესპანეთის, ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულებზე.

³⁴⁷ იბერნი – იბერიელები, იგულისხმება დასავლეთის იბერიელები (აღმოსავლეთის იბერიელები – ქართველები არიან), რომლებიც წინარეანტიკურ და ანტიკურ პერიოდში, ევროპაში ხალხთა დიდ გადასახლებამდე, განსახლებულნი იყვნენ პირინეის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ საფრანგეთში. დღეს მათ შთამომავლად ითვლებიან ესპანეთის ჩრდილოეთ რეგიონში მცხოვრები – ბასკები.

³⁴⁸ არმორიკა – ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთის ტერიტორიის (ახლანდელი ბრეტანის) კელტური სახელწოდება.

³⁴⁹ ბრეტანი – ბრეტანი (ფრანგ. Bretagne, ბრეტ. Breizh) – რეგიონი საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში, ბრეტანის ნახევარკუნძულზე, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე.

³⁵⁰ კელტური – იგულისხმება კელტური ენა (ინდოევროპულ ენათა ოჯახი). ოდესღაც კელტურ ენებზე ლაპარაკობდნენ დასავლეთ და ცენტრალური ევროპის დიდ ნაწილში, ისინი ახლა შემორჩენილია მხოლოდ უკიდურეს დასავლეთით: ირლანდიაში, უელსში, ბრეტანში, კორნუოლში, შოტლანდიაში.

³⁵¹ იულიოს კეისარი – გაიუს იულიუს კეისარი (ლათ. Dictator Gaius Iulius Caesar) (ძვ. წ. 100 - ძვ. წ. 44) – ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი.

³⁵² ვექილები – იგულისხმება გვიანშუასაუკუნეების და ახალი დროის „თანამოსარჩლე სამსჯავროსა შინა ფასითა“ ანუ ადვოკატის მნიშვნელობით.

³⁵³ კატონ ძველი – იგულისხმება მარკუს პორციუს კატონი (უფროსი, ძვ. წ. 234-149 წწ.) რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი.

³⁵⁴ ბარბაროსთა შემოსვლამდინ – იგულისხმება ხალხთა დიდი გადასახლება ადრეული შუა საუკუნეების ევროპაში, რა დროსაც მომთაბარე ტომებმა (ძირითადად გერმანიკული ტომები) მოიცვეს რომის იმპერიის პროვინციები და იქ საკუთარი სახელმწიფოები შექმნეს.

³⁵⁵ ფრანგები – იგულისხმება ფრანკთა დასავლეთგერმანული ტომების (ხატები, ნერვიები, ბატავები, სუგამბრები და სხვა) გაერთიანება. V საუკუნის დასაწყისისათვის სალიკურმა ფრანკებმა დაიპყრეს გალიის ტერიტორია

ჩრდილოეთით, ვიზიგოთები³⁵⁶ სამხრეთით და ბურგინიონები³⁵⁷ სამხრეთაღმოსავლეთით. ეს ხალხი იყო უმთავრესად გერმანელთა სისხლისა. ისინი იყვნენ მეტად ცოტანი და ერთობ ნაკლებ განათლებულნი, ვიდრე გალები, ამიტომაც შეუერთდნენ მათ, მიიღეს მათი ენა და ამის მიზეზითაა, რომ ფრანგულ ენაში ძალიან ცოტაა გერმანული სიტყვა.

მათი ბატონობის დროს ლათინური ენა ცოტად შეიცვალა, მაგრამ ხმარებაში დარჩა. ამპერი³⁵⁸ ამბობს: „ფრანგული ენა ლათინურია, კელტური სიტყვები დარჩენილა, გერმანული სიტყვები შემოსულა, ლათინური სიტყვები თვით ენაა მისი შემადგენელი“.

841 წ. ლოტერმა³⁵⁹ გაუმართა სისხლის მღვრელი ომი თავის ძმებს, კარლო მელოტსა³⁶⁰ და ლიუდოვიკო გერმანელს³⁶¹. ამათ გაიმარჯვეს და შემდეგ წელს (842) სტრასბურგში ფიცი³⁶² მისცეს ერთმანეთს ერთგულებისა და კავშირისა. ეს ფიცი, რომელიც დღევანდელ დღემდე იმით შენახულია, რომ შესანიშნავი, ერთი პირველი ძეგლია მდაბიური ენისა ანუ რომაულისა. ეს ენა მომდინარეობს პირდაპირ ლათინურისაგან და სალაპარაკო ენათ იყო მაშინ საფრანგეთში, იტალიაში და ესპანეთში ადგილობრივი ცვლილებით. საფრანგეთში კილოებმა სხვა და სხვაობა მიიღო. ჩრდილოეთსა და სამხრეთში, ჩრდილოეთის ენამ მიიღო სახელი ოილის ენისა და სამხრეთისამ სახელი ოკის ენისა (პროვანსალურისა), პროვანსალური ენა³⁶³ იყო უფრო ლამაზი და მოქნილი, მაგრამ ჩრდილოეთის ენამ გაიმარჯვა და გახდა სალიტერატურო ენად საფრანგეთში. იმ დროს, როდესაც ოილის ენა ისახებოდა და ლათინურს შორდებოდა, გამოჩნდა ხალხი, რომელმაც მიიღო იგი და შეიტანა შიგ

მდინარე სომამდე, მიუხედავად იმისა, რომ ფრანკები გალიაში გაბატონდნენ, ისინი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ. დროთა განმავლობაში მოხდა ფრანკების ასიმილაცია ადგილობრივ გალიურ-რომაულ მოსახლეობასთან. ფრანკების მიერ გალიის შემდგომი დაპყრობის პროცესში შეიქმნა ფრანკთა სახელმწიფო (V-IX საუკუნეები), რომლისგანაც ჩამოყალიბდა თანამედროვე საფრანგეთი.

³⁵⁶ ვიზიგოთები – იგულისხმება ვესტგუთები, ძველი გერმანული ტომების – გუთების დასავლეთი შტო, რომელთაც 418 წელს დააარსეს სამეფო სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, აკვიტანიაში.

³⁵⁷ ბურგინიონები – იგულისხმება ბურგუნდები, აღმოსავლეთ გერმანული ტომი, რომლებიც 443 წელს რომის ფედერატების უფლებით დასახლდნენ სავოიის ტერიტორიაზე. შემდეგ ისარგებლეს რომის იმპერიის დასუსტებით და 457 წელს დაიკავეს მდინარე რონის აუზი, სადაც დააარსეს სამეფო (ცენტრი – ლიონი).

³⁵⁸ ამპერი – ჟან-ჟაკ ამპერი (1800-1864), ფრანგი ისტორიკოსი და ფილოლოგი.

³⁵⁹ ლოტერი – ლოთარ I (795-855) იყო კაროლინგთა იმპერატორ ლუი I ღვთისმოსავის უფროსი ვაჟი. საღვთო რომის იმპერატორი 817-855 წლებში, თუმცა 840 წლამდე ის მხოლოდ თანამმართველი იყო მამამისთან ერთად. 815-817 წლებში იყო ბავარიის მეფე, 818-855 წლებში იტალიის, 840-855 წლებში კი ფრანკთა იმპერიის ცენტრალური ტერიტორიის მმართველი.

³⁶⁰ კარლო მელოტი – შარლ II მელოტი (823-877), იყო ლუი I ღვთისმოსავის და მისი მეორე ცოლის იუდიტ ბავარიელის შვილი. საღვთო რომის იმპერატორი (875-877 წლებში). დასავლეთ ფრანკების მეფე 840-877 წლებში.

³⁶¹ ლიუდოვიკო გერმანელი – ლუდვიგ II გერმანელი (806-876) იყო ლუი I ღვთისმოსავის და მისი პირველი ცოლის მესამე ვაჟი. 817 წლიდან ლუდვიგი გახდა ბავარიის მეფე და მიჰყვებოდა თავისი პაპის, კარლოს დიდის კურსს: აჯილდოვებდა მის ერთგულ და მის სამსახურში მყოფ პირებს. 843 წლის ვერდენის ხელშეკრულებით მან მიიღო აღმოსავლეთ ფრანკთა სამეფო, დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე.

³⁶² სტრასბურგის ფიცი – იგულისხმება 843 წელს გაფორმებული ვერდენის ხელშეკრულება, რომლითაც კარლოს დიდის იმპერია გაინაწილეს მისმა შვილიშვილებმა – იმპერატორმა ლოთარ I-მა და მისმა ძმებმა – ლუდვიგ გერმანელმა და შარლ მელოტმა. ლოთარს, რომელმაც შეინარჩუნა იმპერატორის ტიტული, ერგო იტალია და რაინისა და რონის გასწვრივ მდებარე მიწების ზოლი. ლუდვიგ გერმანელს – რაინის აღმოსავლეთ მდებარე მიწები (აღმოსავლეთ ფრანკთა სამეფო), ხოლო შარლ მელოტს – რაინის დასავლეთით მდებარე მიწები (დასავლეთ ფრანკთა სამეფო). ფრანკთა სახელმწიფოს გაყოფამ ვერდენის ხელშეკრულებით დასაბამი მისცა სამი დიდი სახელმწიფოს – საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის შექმნას.

³⁶³ პროვანსალური ენა – იგულისხმება ფრანკო-პროვანსული ანუ რომანული ენა, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ შვეიცარიაში, საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ და იტალიის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილებში. იმყოფება გაქრობის ზღვარზე, რამეთუ მასზე მოლაპარაკე საზოგადოება ნელ-ნელა გადავიდა სალიტერატურო ფრანგულ ენაზე. დღეისათვის ფრანკო-პროვანსულ ენაზე საუბრობენ იტალიის ავტონომიურ რეგიონში – ვალე დ-აოსტაში, ალპური ხეობების დასახლებულ ადგილებში, ტურინის პროვინციაში, ფოჯას ორ იზოლირებულ ქალაქში და შვეიცარიის რომანდიაში. ფრანკო-პროვანსული ენა წარმოადგენს გალურ-რომანულ ენას და კლასიფიცირდება როგორც საფრანგეთის რეგიონული ენა, თუმცა მასზე მოლაპარაკეთა რაოდენობა აქ უმნიშვნელოა. ორგანიზაციები ამ ენის შენარჩუნებას ცდილობენ: სხვადასხვა კულტურული ღონისძიების, განათლების, სამეცნიერო გამოკვლევებისა თუ პუბლიკაციების ხარჯზე.

რამდენიმე ახალი ელემენტი. ეს ხალხი იყო ნორმანები³⁶⁴, რომელთაც მე9 საუკუნეში ბევრჯერ ააოხრეს საფრანგეთისა და ინგლისის ნაპირები, პარიზსაც ომი აუტეხეს და კარლო გულმართალმა³⁶⁵ ვერ შესძლო წინააღმდეგობა მათი, დასდო ხელშეკრულება მათ მთავართან როლონდთან³⁶⁶ (611) და მიათხოვა თავისი ასული ჟიზელი, რომელსაც მზითვით მისცა ნევსტრიის პროვინცია, დღევანდელი ნორმანდია³⁶⁷. ამ მეკობრეებმა მიიღეს ფრანგების ენა და ზნეჩვეულება, ერთი სიტყვით, გაფრანგდნენ.

ვილჰელმ დამპყრობელმა³⁶⁸ ინგლისს მიაღებინა ფრანგული ენა, რომელიც იყო იქა სამი საუკუნის განმავლობაში ოფიციალ და არისტოკრატიულ ენად. ეს არის მიზეზი, რომ დღევანდელ ინგლისურ ენაში არის ბევრი ფრანგული გამოთქმა. აგრეთვე მეფანდურები (ტრუვერები³⁶⁹), რომელნიც სწერდნენ ოილის ენით, იყვნენ ინგლისელ ნორმანელები. მეფანდურეთა სიმღერებს, საგმირო ლექსებს მოჰყვა სატირა, იგავარაკი და პოემები, მაგრამ ლათინური ხმარებაში დარჩა ეკლესიებში და სკოლებში.

ორი საზოგადოება იყო დაპირისპირებული: ერთი საერო რაინდული, ფეოდალური და ხალხური, მეორე – საეკლესიო, საბერო და სასწავლო.

ეკლესიამ ლათინურის ენით შეინახა ანტიკური მწერლობის ტრადიციები. გამართული იყო სკოლები მხოლოდ საყდრებსა და მონასტრებში. იქიდან იყვნენ გამოსულნი ყველა იმდროინდელი მაღალ განათლებულნი პირნი. პარიზის უნივერსიტეტი³⁷⁰ დაარსდა 1200 წ., სორბონის სკოლა³⁷¹ კი 1252

³⁶⁴ ნორმანები – ისინი სკანდინავიისა და იუტლანდიის ნახევარკუნძულებზე ცხოვრობდნენ. „ნორმანი“ სკანდინავიურ ენაზე ჩრდილოეთის ადამიანს ნიშნავს. დასავლეთ ევროპაშიც სკანდინავიელებს ნორმანებს ეძახდნენ, აღმოსავლეთ სლავები კი ნორმანებს „ვარიაგებს“ უწოდებდნენ. თვით სკანდინავიაში ნორმანების ლაშქრობების მონაწილეებს „ვიკინგებს“ უწოდებდნენ. ნორმანები IX-XI საუკუნეებში ხშირად ესხმოდნენ თავს ევროპის ქვეყნებს. დასავლეთ ფრანკთა კაროლინგების ხელისუფლება იმდენად დასუსტდა, რომ ვერ ახერხებდა ქვეყნის დაცვას ნორმანებისაგან. ამიტომ კაროლინგები იძულებული გახდნენ ნორმანებისთვის დაეთმოთ მდინარე სენას სანაპირო. ამ ტერიტორიაზე ნორმანებმა შექმნეს ძლიერი საჰერცოგო რომელსაც „ნორმანდია“ უწოდეს. ნორმანდიის საჰერცოგო მხოლოდ ფორმალურად ექვემდებარებოდა კაროლინგებს და ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო.

³⁶⁵ კარლო გულმართალი – იგივე შარლ III მოსულელი (879-929 წწ.) იყო დასავლეთ ფრანკთა სამეფოს მეფე 898-923 წლებში, კაროლინგების დინასტიიდან, ლუი II-ის შვილი. იძულებული იყო ნორმანებისთვის დაეთმო ნორმანდია. 911 წელს დაიპყრო ლოთარინგია. 922-923 წლებში მეფეს აუჯანყდა დიდკაცობა, რომლებმაც შარლ III ვერაგულად დაატყვევეს და მეფედ რაულ ბურგუნდიელი დააყენეს (923 წლის ივლისი). შარლ III სიკვდილამდე პერონის ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა ტყვედ.

³⁶⁶ როლონდი – როლონ ვიკინგი, რომელიც გახდა ნორმანდიის პირველი მმართველი. 911 წელს შარტრის ციხე-სიმაგრის ალყის შემდეგ, დასავლეთ ფრანკიის მეფემ შარლ მოსულელმა, ნორმანებს მიწები უბოძა მდინარე სენას შესართავსა და ახლანდელ რუანს შორის. სანაცვლოდ როლონი დათანხმდა, შეეწყვიტა საფრანგეთში ყაჩაღობა, დაიფიცა მეფის ერთგულებაზე, ქრისტიანად მოინათლა და დადო დაპირება, რომ დაიცავდა სენას შესართავს სხვა ვიკინგების თავდასხმებისგან.

³⁶⁷ ნორმანდია – ისტორიული ოლქი ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, ამჟამად იყოფა ორ რეგიონად: ზემო ნორმანდია და ქვემო ნორმანდია.

³⁶⁸ ვილჰელმ დამპყრობელი – უილიამ I დამპყრობელი (1027-1087) იყო ინგლისის პირველი ნორმანი მეფე 1066 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. 1035 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ასევე იყო ნორმანდიის ჰერცოგი უილიამ II-ის სახელით.

³⁶⁹ ტრუვერები – პოეტ-მომღერალი შუა საუკუნეების ჩრდილოეთ საფრანგეთში.

³⁷⁰ პარიზის უნივერსიტეტი – სასწავლებელი მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში. დაარსდა ღვთისმშობლის ტაძართან, როგორც კორპორაცია, მსგავსად სხვა შუასაუკუნეობრივი კორპორაციებისა, როგორებიც სავაჭრო და ხელოვანთა გილდიებს წარმოადგენდნენ. შუასაუკუნეების ლათინურ ტერმინს universitas უფრო ფართო გილდიის მნიშვნელობა აქვს და პარიზის უნივერსიტეტი ცნობილი იყო, როგორც universitas magistrorum et scholarium (მაგისტრთა და სქოლასტთა გილდია). უნივერსიტეტს, რომელიც ბოლონისთან ერთად სხვა შუასაუკუნეების უნივერსიტეტების მოდელი გახდა, ჰქონდა ოთხი ფაკულტეტი - ხელოვნების, მედიცინის, იურისპუდენციისა და თეოლოგიის.

³⁷¹ სორბონის უნივერსიტეტი – იგულისხმება სორბონის კოლეჯი (ფრანგ. Collège de Sorbonne), რომელიც დაფუძნდა 1257 წელს საფრანგეთის მეფე ლუი IX-ის პირადი მოძღვრის რობერ დე სორბონის (1201-1274) მიერ, რომლის სახელსაც ის დღემდე ატარებს. იმავე სახელს ატარებს მისი მთავარი კამპუსი პარიზში, სადაც ამჟამად რამდენიმე უნივერსიტეტი (ყოფილი პარიზის უნივერსიტეტის მემკვიდრე უნივერსიტეტები) პარიზის რექტორატთან ერთად. თავდაპირველად ის შეიქმნა 20 თეოლოგი სტუდენტისთვის. მან სწრაფად მოიხვეჭა განათლების ცენტრის რეპუტაცია და მე-13 საუკუნისთვის მასში უკვე 20.000-მდე უცხოელი სტუდენტი სწავლობდა, რამაც პარიზი დასავლური სამყაროს ცოდნის დედაქალაქი გახადა. დღემდე უცხოელი სტუდენტები ქმნიან უნივერსიტეტის კამპუსის მნიშვნელოვან ნაწილს.

წ. დააარსა რობერტ სორბონმა³⁷², წმინდა ლიუდოვიკოს³⁷³ მოძღვარმა. პირველმა მატთანეთა ენაც აგრეთვე ლათინური იყო; ყოველ მონასტერში იყო ბერი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ლათინურათ ეწერა მატთანეები. ეს იყო ერის არქივი. მონასტრების გარეშეც ზოგიერთი პირები მისდევდნენ მატთანის წერას. ვილარდუენს (1150-1213)³⁷⁴ და ჟუენვილს (1224-1315)³⁷⁵ როგორც რაინდებს ხმალი უფრო ემარჯვებოდათ, ვიდრე კალამი და რაკი არ შეეძლოთ ლათინური წერა, მატთანებს სწერდნენ მდაბიური ენით და ამით მისცეს დასაწყისი ფრანგულს პროზას. 14 და 15 საუკუნეში ფრანგული ენა ვითარდება აღორძინებამდე. ამ დროს შეუდგნენ მის გალამაზებას ბერძნულ და ლათინურ სიტყვების ხმარებით. ამ მხრით ისე უზომოთ იხმარეს ლათინური და ბერძნული, რომ თითქმის გააფუჭეს ფრანგული ენა. საბედნიეროდ ამ ბრძოლიდან ის გამარჯვებული გამოვიდა, მე-17-ე საუკუნის დასაწყისს სხარტული და მკაფიო გახდა. იგი ხელახლად დაუბრუნდა ბერძნულ და ლათინურ ენას, მაგრამ უფრო აზრიანად და გონივრულად, და ამჟამად იგი მალერბის³⁷⁶ დახმარებით სრულიად გარდაიქმნა. ამის შემდეგ რამზუიეს დარბაზი³⁷⁷ საფრანგეთის გონებას აძლევს იმას, რაც აკლდა მის მოხდენილობას და თავაზიანობას. საფრანგეთის აკადემია³⁷⁸, რიშელიეს³⁷⁹ მიერ დაარსებული, იწყებს თავის როლს, გემოვნებისა და სიტყვის წყობის არბიტრისას. კორნელი³⁸⁰ დაასვამს თეატრს თავის ძლიერ გენიალობის ბეჭედს და ყველაფერი მზადდება საიმისოდ, რომ ლიუდოვიკ მე-14-ს საუკუნე გახდეს განსაკუთრებით კლასიკურ ხანად ფრანგული ენისა და ლიტერატურისათვის.“

³⁷² რობერტ სორბონი – რობერ დე სორბონი (1201-1274), ფრანგი თეოლოგი, მეფე ლუი IX-ის მოძღვარი, სორბონის უნივერსიტეტის დამფუძნებელი (1253 წ.) და უნივერსიტეტის კანცლერი.

³⁷³ წმინდა ლიუდოვიკო – ლუი IX წმინდა (1214-1270) – საფრანგეთის მეფე 1226–1270 წლებში. კაპეტინგების დინასტიის წარმომადგენელი. 1248 წლის აგვისტოში ლუი IX-მ წამოიწყო მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობა. 1250 წლის 11 თებერვალს მეფე დამარცხდა ელ-მანსურის ბრძოლაში და სულ მალე, ფარისკურთან ტყვედ ჩაუვარდა ეგვიპტის სულთან თურან-შაჰ აიუბიდს. 1250 წლის აპრილში დიდი გამოსასყიდით დაიხსნა თავი ტყვეობიდან. 1270 წლის 1 აგვისტოს ლუი IX-მ წამოიწყო მერვე ჯვაროსნული ლაშქრობა (ტუნისზე), რომლის დროსაც დაიღუპა შავი ჭირით. 1297 წელს პაპმა ბონიფაციუს VIII-მ (1294-1303) ლუი IX წმინდანად შერაცხა.

³⁷⁴ ვილარდუენს (1150-1213) – ჟოფრუა დე ვილარდუენი (Villehardouin 1150-1213) – ფრანგი რაინდი, IV ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მეთაური, მემატანე.

³⁷⁵ ჟუენვილს (1224-1315) – ჟან დე ჟუენვილი (Joinville 1224-1317) – იყო შუა საუკუნეების საფრანგეთის ერთ-ერთი დიდი მემატანე, აღწერილი აქვს მეფე ლუი IX-ის ცხოვრება.

³⁷⁶ მალერბი – ფრანსუა დე მალერბი (1555-1628) – ფრანგი მწერალი, ფრანგული კლასიციკური პოეზიის ფუძემდებელი. იყო სამეფო კარის პოეტი.

³⁷⁷ რამზუიეს დარბაზი – ლიტერატურული სალონი საფრანგეთში, რომელიც დაარსა ეკატერინე დე ვივონემ იგივე მარკიზა დე რამზუიემ (1588-1665). ის იყო არისტოკრატი დიასახლისი, რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა ფრანგული ლიტერატურის განვითარებაზე XVII ს. I ნახევარში.

³⁷⁸ საფრანგეთის აკადემია – სამეცნიერო დაწესებულება საფრანგეთში (ფრანგ. Académie française), რომლის მიზანია ფრანგული ენის ჩამოყალიბებისა და სალიტერატურო ნორმების კვლევა. ჩამოყალიბდა 1635 წელს კარდინალ რიშელიეს წყალობითა და მეფის პატრონაჟით. 1694 წელს აკადემიამ გამოსცა ლექსიკონი, ცნობილი სახელწოდებით: „საფრანგეთის აკადემიის ლექსიკონი“ (Dictionnaire de l'Académie française). 1793 წელს, საფრანგეთის რევოლუციისას აკადემია განადგურდა, ხოლო ორი წლის შემდეგ აღდგა, როგორც საფრანგეთის ინსტიტუტის ნაწილი.

³⁷⁹ რიშელიე – ჰერცოგი არმან ჟან დიუ პლეს რიშელიე (ფრანგ. Armand-Jean du Plessis duc de Richelieu, 1585-1642), ცნობილი, როგორც კარდინალი რიშელიე (ფრანგ. Cardinal de Richelieu) – ფრანგი სასულიერო პირი და სახელმწიფო მოღვაწე.

³⁸⁰ კორნელი – პიერ კორნელი (Pierre Corneille; 1606-1684) – XVII საუკუნის ფრანგი დრამატურგი, საფრანგეთის აკადემიის წევრი 1647 წლიდან.

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [ლექცია, წაკითხული მარიკა ლორთქიფანიძის მიერ თსუ-ის საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წლის 12 თებერვალს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება აკადემიურ მქვერმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – ლექციის ჟანრს.

ლექციის ავტორია მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე (1922-2018) – ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (1993), აკადემიკოსი. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1975), ივ. ჯავახიშვილის (1976), ნ. ბერძენიშვილის (1980) სახელობის და საქართველოს სახელმწიფო (1982) პრემიების ლაურეატი. 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1947 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თბილისის საამირო“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია 1963 წლიდან (სადისერტაციო თემა – „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1993 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 წიგნი. მისი თაოსნობით 1996 წელს თსუ საქართველოს ისტორიის კათედრასთან ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია. მარიამ ლორთქიფანიძე 95 წლისა, 2018 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკად. გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით, წამოიწყო გამოცემა სერიისა „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“. სერია იწყება აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის წერილით, რომელიც გამოქვეყნდა 2010 წელს სახელწოდებით „რამ გადაგვარჩინა“³⁸¹. მარიკა ლორთქიფანიძემ ამავე სახელწოდების ლექცია წაკითხა თსუ-ის საიუბილეო საღამოზე, 2016 წლის 12 თებერვალს. ლექცია გამოქვეყნდა მომდევნო, 2017 წელს ნინო კაკულიას რედაქტორობით შედგენილ პუბლიცისტურ ნარკვევში „ისტორიამ რა ჰქმნა?“, რომელიც მიემდგვნა მარიკა ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს³⁸², ასევე 2017 წელს – კრებულში „პირველი ლექცია: საჯარო ლექციათა კრებული წაკითხული ტრადიციულად ყოველი წლის 12 თებერვალს“³⁸³. აღნიშნულ წყაროებში ლექციის სათაური ერთი და იგივეა, თუმცა ტექსტები არ ემთხვევა ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს შემთხვევაში თემატიკაც საერთოა და ლექციის წაკითხვის დროდ 2016 წელია მითითებული. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული პირველწყაროდან³⁸⁴.

³⁸¹ ლორთქიფანიძე, მ., რამ გადაგვარჩინა, თბილისი, საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, 2010, გვ. 5-18.

³⁸² კაკულია, ნ., ისტორიამ რა ჰქმნა? მარიკა ლორთქიფანიძე 95, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 67-79.

³⁸³ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია: საჯარო ლექციათა კრებული წაკითხული ტრადიციულად ყოველი წლის 12 თებერვალს, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 57-72.

³⁸⁴ გაიპარაშვილი, ზ. (შემდგ. და რედ.), პირველი ლექცია: საჯარო ლექციათა კრებული წაკითხული ტრადიციულად ყოველი წლის 12 თებერვალს, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

Lecture Delivered by Marika Lortkipanidze at the TSU Anniversary Evening, in Tbilisi, on February 12, 1918

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Lecture delivered by Marika Lortkipanidze at the TSU Anniversary evening, in Tbilisi, on February 12, 2016]. The oratorical sample belongs to the academic rhetoric field, and the lecture genre.

The author of the lecture is Mariam (Marika) Lortkipanidze (1922-2018) – a Georgian historian, full member of the Georgian National Academy of Sciences (1993), academician. Honored Worker of Science of Georgia (1975), laureate of the Iv. Javakhishvili (1976), N. Berdzenishvili (1980) and Georgian State (1982) prizes. In 1943 she graduated from the Faculty of History of Tbilisi State University. Since 1947 she has worked as a research associate at the Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnography. In 1948 she defended her candidate dissertation on the topic “Tbilisi Emirate”, Doctor of Historical Sciences since 1963 (thesis topic – “Political Union of Feudal Georgia”), Academician of the Georgian Academy of Sciences since 1993. She has published 100 scientific works, including 10 books. Under her leadership, in 1996, a laboratory for the study of the history of Georgian villages was established at the Department of Georgian History at TSU. Mariam Lortkipanidze died on January 8, 2018, at the age of 95. She is buried in the Didube Pantheon of Writers and Public Figures.

The Georgian Ethnographic Heritage Preservation Foundation, in connection with the 120th anniversary of the birth of the founder of the Georgian Ethnographic School, Acad. Giorgi Chitaia, has launched the publication of the series “Traditional Culture of the Georgian People”. The series begins with a letter by Academician Marika Lortkipanidze, which was published in 2010 under the title “What Saved Us”³⁸⁵. Marika Lortkipanidze delivered a lecture with the same title at the anniversary evening of Tbilisi State University on February 12, 2016. The lecture has been published in the following year, 2017, in a journalistic essay edited by Nino Kakulia “What Has History Made?”, dedicated to the 95th Anniversary of Marika Lortkipanidze³⁸⁶, and also in 2017 – in the collection “The First Lecture: A Collection of Public Lectures Traditionally Delivered on February 12 of Every Year”³⁸⁷. The title of the lecture is the same in the above sources, but the texts do not match, despite the fact that the topic is common in both cases and the year 2016 is indicated as the time of the lecture. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above³⁸⁸.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 57-72.

³⁸⁵ Lortkipanidze, M., What Saved Us, Tbilisi, Georgian Ethnographic Heritage Preservation Foundation, 2010, pp. 5-18 (in Georgian).

³⁸⁶ Kakulia, N., What has history created? Marika Lortkipanidze 95, Tbilisi, Tbilisi University Publishing House, 2017, pp. 67-79 (in Georgian).

³⁸⁷ Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), First Lecture: A Collection of Public Lectures Traditionally Delivered on February 12 of Each Year, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2017, pp. 57-72 (in Georgian).

³⁸⁸ Gaiparashvili, Z. (comp. and ed.), First Lecture: A Collection of Public Lectures Traditionally Delivered on February 12 of Each Year, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2017, pp. 57-72 (in Georgian).

ლექცია

წაკითხული მარია ლორთქიფანიძის მიერ თსუ-ის საიუბილეო საღამოზე, ქ. თბილისში, 2016 წლის 12 თებერვალს

„– ძალიან რთული პრობლემაა, მაგრამ ჩვენ ჩვენი სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ. და ამ სიტყვის თქმა რომ შეგვეძლოს, უნდა აღვნიშნოთ, ვისი თანამედროვენი ვართ.

ჩვენ მოვიაზრებით იმ ქვეყნების თანამედროვეებად, რომელთაც ძველი წელთაღრიცხვის მე-5-მე-4 ათასწლეულში შექმნეს დიდი კულტურა. ესენი იყვნენ, პირველ რიგში, ეგვიპტის პირამიდების შემქმნელები, კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – ლურსმული – იეროგლიფური დამწერლობის შემქმნელი ლუვიელები, ესენი იყვნენ დიდი ხეთური ცივილიზაციის შემქმნელები.

ახლა დგება საკითხი, რამ გადაგვარჩინა?

ქვეყნის არსებობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი ადგილმდებარეობა. საქართველო მდებარეობდა და მდებარეობს ორი სამყაროს, ევროპისა და აზიის, გზასაყარზე და ამიტომ ის არის ევრაზია. ამ ტერიტორიის დასაპყრობად, შეიძლება ითქვას, ყველა დასავლელი და აღმოსავლელი დამპყრობელი იბრძოდა, მაგრამ ჩვენი იმდროინდელი და შემდგომდროინდელი წინაპრები ახერხებდნენ მათი წინააღმდეგობის შეფერხებას და თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

საქართველოს ტერიტორიის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გამავალ გზებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის, მისი არსებობისათვის, მისი გამდიდრებისათვის, მაგრამ ამ გზებისთვის დამპყრობლებიც იბრძოდნენ.

საქართველო თავისი ბუნებით მდიდარი ქვეყანაა. მართალია, მოცულობით მცირეა მაგრამ – მდიდარი. ეს არის მისი ჰავა – ზღვის და მთის; ეს არის მისი წყლები, მდინარეები, რომელიც რწყავდა მინდვრებს და საშუალებას აძლევდა მოსახლეობას, ეწარმოებინა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა; ეს არის, ასე ვთქვათ, მისი მიწისქვეშა სიმდიდრეები – საქართველოში მოიპოვებოდა და მოიპოვება კალა, ვერცხლი და ოქროც. აი, ამის ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ დამპყრობლები.

არსებობს ასეთი გადმოცემა: როდესაც უფალი მიწებს არიგებდა, ქართველები, თურმე, ქეიფობდნენ და მისვლა დაუგვიანდათ, ხოლო, როცა მივიდნენ, უფალს მხოლოდ ერთი ნაკვეთი და ჰქონდა, რომელიც თავისთვის უნდოდა და, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, ის ქართველებს მისცა. სინამდვილეა თუ არა ეს ამბავი, ძნელი სათქმელია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარი გადმოცემები შემთხვევით არ იქმნებოდა – ამისთვის საფუძველი საქართველოს ბუნებრივმა მონაცემებმა შექმნა, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ასეთი რამ მართლაც მოხდა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი ქვეყნის არსებობისათვის იყო გაერთიანების ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სულ უხდებოდა მტრების წინააღმდეგ ბრძოლა, ამ გამუდმებულმა ლტოლვამ გაერთიანებისაკენ გარკვეული გავლენა იქონია იმაზე, რომ ჩვენ გადავრჩით და მოვალწიეთ დღევანდელ დღემდე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ თვითშეგნებას. როდესაც ეროვნულ თვითშეგნებაზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ უკვე ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულის შუა წლებში არსებობდა დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს კულტურა. მართალია, თითქოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურა სხვადასხვა კულტურაა, მაგრამ ეს ორივე იყო ერთიანი ქართული კულტურა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენს ისტორიაში, საერთოდ, და ჩვენს გადარჩენაში, კონკრეტულად, მიუძღვის ჩვენს ქრისტიანობას. ქრისტიანული იდეოლოგია ჩვენში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან შემოდის, მაგრამ სახელმწიფო რელიგიად მე-4 საუკუნის

20-იან წლებში აღიარეს. ამის შემდეგ მას ბევრი ბრძოლის გადატანა მოუხდა იმისთვის, რომ თავისი ადგილი დაემკვიდრებინა და, ბოლოს და ბოლოს, დამკვიდრდა მართლმადიდებელი ქრისტიანობა. მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ, ფაქტობრივად, ყოველნი ქართველნი გააერთიანა და, ალბათ, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ უკვე მე-7-მე-8 საუკუნეში სინას მთაზე ქართველი მოღვაწეები ლოცულობენ ყოველთა ქრისტიანეთათვის და განსაკუთრებით ლოცულობენ ყოველთა ქართველთათვის.

როგორც მოგახსენეთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისება ჩვენი წინაპრებისა იყო ბრძოლა გაერთიანებისათვის. ამ გაერთიანების მრავალი ეტაპი გვაქვს. ვიცით, რომ მე-2 ათასწლეულის შუა წლებში უკვე აღმოსავლეთქართული და დასავლეთქართული კულტურა არსებობდა.

ამავე დროს, ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა კოლხეთის ანუ ეგრისის სამეფო თავისი აიეტიანთა დინასტიით. ძვ. წ. მე-4 საუკუნეში, როდესაც ეს სახელმწიფო მტრებმა დაიპყრეს და გაინაწილეს, უკვე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთქართული სახელმწიფო – ქართლის ანუ იბერიის სამეფო. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხაზი არ შეწყვეტილა. ამ სახელმწიფოს მეთაური იყო ფარნავაზი, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

ქართლის (იბერიის) პირველმა მეფემ, ფარნავაზმა, რომელიც მეფობდა ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს და III საუკუნის პირველ ნახევარში, გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, სამეფო დაყო საერისთავოებად, ერისთავებად მეფის მხარდამჭერნი დააყენა, რითაც ხელი შეუწყო სახელმწიფოს გაძლიერებას. მან ქართლის მთაზე აღმართა სამეფოს მთავარი ღვთაების – არმაზის კერპი. მართალია, ყველა თემს თავისი სალოცავი კერპი ჰყავდა, მაგრამ არმაზი საერთო ღმერთი იყო, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის კონსოლიდაციას.

ქართველი მემკვიდრე, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი თხზულება, მოგვითხრობს, რომ ამ ქვეყანაში „იზრახებოდა ექვსი ენა“, რომ ექვს ენაზე ლაპარაკობდნენ. ეს ენები იყო: სომხური, ქართული, ხაზარული (ანუ ჩრდილოკავკასიური), ასურული, ებრაული და ბერძნული. მაგრამ შემდგომ, როდესაც ავტორი უკვე საუბარს იწყებს ფარნავაზის შესახებ, აღნიშნავს, რომ „ქართლსა შინა არღარა იზრახებოდა სხვა ენა, თვინიერ ქართლისა“. რა თქმა უნდა, ამ ხუთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი არც გადაშენებულა და არც არსად წარსულა. ის ამბობს, რომ „ფარნავაზ შექმნა დამწერლობა ქართული და ფარნავაზ განავრცო ენაი ქართული“. ამით საქართველოში ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. ჩვენს წინაპრებს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდათ, რომ ეს ენა შეენარჩუნებინათ, როგორც სახელმწიფო ენა.

ამ გაერთიანების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ადრე შუა საუკუნეებში შექმნილი პირობები ქვეყნის გაერთიანებისათვის სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა პროვინციული სამეფო-სამთავროები. ეს არის ის ხანა, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო არაბთა მფლობელობაში იმყოფებოდა, ამ დროს თბილისში იჯდა სახალიფოს მოხელე – ამირა, თავისი სამხედრო გარნიზონით და მოხელეთა ძალიან ვრცელი შტატით. აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებშიც, რუსთავში და სხვაგან, სამხედრო გარნიზონები იდგა, თბილისში მჯდომი ამირას მოხელეებით. ძალიან მკაცრი რეჟიმი იყო. ამიტომ, გაერთიანებისთვის ბრძოლა ჩვენთან ცოტა თავისებურად დაიწყო. საერთოდ, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების ცენტრები ქვეყნის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული (მაგალითად, ევროპაში, რუსეთში), ჩვენთან კი ეს ცენტრები რეგიონებშია. ყველაზე ადრე ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო, რომლის მეთაურიც ატარებდა ქორეპისკოპოსის ტიტულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არის როგორც სამოქალაქო, ასევე საეკლესიო მფლობელი (ეს არის მე-8 საუკუნის 80-იან წლებში), დაახლოებით 800-იანი წლების დასაწყისში (820-822 წლებში) ამ სამთავრომ მიიერთა ჰერეთიც და ჩამოყალიბდა კახეთ-ჰერეთის სამეფო.

დაახლოებით ამავე პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ე.წ. ქართველთა სამეფო ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში. 523 წლიდან, როდესაც ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა, როგორც ჩვენი ისტორიკოსი მოგვითხრობს, დაიწყო ბრძოლა ეროვნული ხელისუფლების აღდგენისათვის და, მიუხედავად იმისა, რომ აღადგინეს ეროვნული ხელისუფლება, ბერძენთა და სპარსელთა შიშით, მეფედ ვერ იწოდეს. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები – ბიზანტია და ირანი საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდნენ ქართლის დასაპყრობად და არც ერთ მათგანს მიუჩნევია შესაძლებლად,

რომ ქართლში ერთი მეფე და ერთიანი ტიპის სახელმწიფო ყოფილიყო. ამიტომ ქართლის მთავარმა თავის თავს უწოდა ერისთავი ან ერისმთავარი. ხალხმა კი იგი მეფედ მიიღო და ზოგჯერ წყაროებში ერისმთავრები მოხსენიებული არიან, როგორც მეფეები. ამ დროს ერთი საინტერესო ფაქტიც დაფიქსირდა – როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა ერთი სოფლისთვის ქართლის ერისმთავარსა³⁸⁹ და შიომღვიმის მონასტერს შორის და როდესაც ქართლის ერისმთავარმა გადაწყვიტა, რომ შიომღვიმის მონასტრის წარმომადგენელი მას სათანადო პატივისცემით არ ეპყრობოდა, განაცხადა: მე მეფეთა საყდართა ზედა ვზიო.

როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ეს სამთავროები ჩამოყალიბდა, დასავლეთი საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო. ჩვენი ისტორიკოსი წერს: „ოდეს მოუძღვრდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა ლეონ“. „ბერძენთა მოუძღვრებაში“ იგულისხმება ის, რომ ამ დროს ბიზანტიაში მიმდინარეობდა ძალიან დამაბული ბრძოლა ხატისა და ჯვრის თაყვანისმცემელთა და მოწინააღმდეგეთა შორის და ბიზანტია, მართლაც, საგრძნობლად დასუსტდა. ამით ისარგებლა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქართული პროვინციის – აფხაზეთის – ერისთავმა და განუდგა ბერძნებს. მათ, ლეონის შთამომავლებმა, მოიპოვეს მეფის ტიტული. ვახუშტის თანახმად, „ძმისწულმამ ლეონ აფხაზმა ერისთავისამან მეორემან ლეონ დაიპყრა სრულიად ეგრისი და იწოდა მეფედ აფხაზთა, ვინაითგან მოკუდა იოანე ერისთავი ქ-სა ღ 3 ვ (786) ქართულსა ვ (6) ხ და ჯუანშერცა დაბერებული იყო და მოკუდა იგიცა ქ-სა ღ 3 ზ (787) ქართულსა ზ (7)“.

გარკვეული როლი ქვეყნისათვის შეასრულა ლიხის ქედმა, რომელიც საქართველოს ორ ნაწილად – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ ყოფდა. დასავლეთიდან წამოსული დამპყრობელი, სანამ ლიხის ქედს მოადგებოდა, მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აწყდებოდა და ისე სუსტდებოდა, რომ აღარ გადადიოდა აღმოსავლეთ საქართველოში ან, თუ გადადიოდა, ისეთი ძალით ვეღარ იბრძოდა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს უკეთეს პირობებს უქმნიდა. ასეთივე მდგომარეობა იქმნებოდა აღმოსავლეთიდან წამოსული დამპყრობლისათვის, რაც საბოლოოდ ამნელებდა მთლიანი საქართველოს დაპყრობას. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ამ დროს ორი ქართული ადმინისტრაციული ერთეული არსებობდა – სამეგრელო და აფხაზეთი. სწორედ ამ დროს დაქორწინდნენ მათი სამთავრო სახლების წარმომადგენლები და შეიქმნა ერთიანი დასავლეთქართული სახელმწიფო, რომლის სათავეშიც აღმოჩნდა „აფხაზთა მეფე“.

ქვეყნის გაერთიანების პროცესის პარალელურად, შეიქმნა ქვეყნის გაერთიანების კონცეფცია. ამ კონცეფციის ავტორი გახლდათ იოანე მარუშის ძე³⁹⁰ – დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ჩამოაყალიბა კონცეფცია, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება და მიმართა ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ხელისუფალს დავით ბაგრატიონს³⁹¹. ამ დროს ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლა ნიშნავდა შიდა ქართლის დაპყრობას, სადაც ერთიანი ხელისუფლება არ არსებობდა, იყო დიდებულთა – ციციშვილების, ამილახვრების, მაჩაბლების და სხვათა – ადმინისტრაციული ერთეულები, და ვინც ყველაზე ძლიერი იყო მათ შორის, მისი ერისთავი იჯდა შიდა ქართლში – უფლისციხეში. იოანე მარუშის ძემ მიმართა სწორედ დავით ბაგრატიონს – ან შენ თვითონ დაიპყარი შიდა ქართლი, ან მიეცი გაზრდილსა შენსა, მემკვიდრესა შენსა ბაგრატსა, რომელიც არის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელიო. ბაგრატიონები, რომელთაც მე-7 საუკუნიდან ეპყრათ ხელისუფლება, იყვნენ „მამანი და წინაპარნი“ ყოველთა შემდგომი ხანის ბაგრატიონებისა.

დავითს – ტაოს მეფეს, რომელსაც იოანე მარუშის ძემ მიმართა, ძალიან კარგად ესმოდა, რომ, როგორც ბაგრატიონს, უფლება ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოზე, დასავლეთ საქართველოზე კი მას არავითარი იურიდიული უფლება არ გააჩნდა, მაგრამ, რადგან იდგა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხი, მან პირად ინტერესებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესები დააყენა და მემკვიდრედ წამოაყენა ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი – ბაგრატი³⁹². საბოლოოდ, ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელმა დაიკავა ქართლი და დაახლოებით 995 წელს ბაგრატი გადაიყვანეს აფხაზთა მეფის ხელისუფლებაში მყოფ ქუთაისში და, რადგან არასრულწლოვანი იყო,

³⁸⁹ ქართლის ერისმთავარი – იგულისხმება ერისმთავარი სტეფანოზ I (591-604) პატრიკიოზი.

³⁹⁰ იოანე მარუშის ძე – იგულისხმება იოანე მარუშიანი, X საუკუნეში მოღვაწე ფეოდალი, აფხაზ მეფეთა მიერ ქართლის ერისთავად დადგინებული. მან შეიმუშავა საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანების გეგმა.

³⁹¹ დავით ბაგრატიონი – იგულისხმება იმიერ ტაოს მეფე დავით III კურაპალატი (966-1001).

³⁹² ბაგრატი – იგულისხმება გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III კურაპალატი (975-1014).

მას თან აახლეს მშობლები.

შემდეგ ქართლის დიდებულმა აზნაურებმა, რომელთაც არ სურდათ შეგუება ერთპიროვნულ ხელისუფლებასთან, მიმართეს კახეთის მთავარს – მოდით, დაგიდგებით მხარში და აღიდგინეთ თქვენი ხელისუფლება შიდა ქართლში; კახელები დაიძრნენ, თავდაპირველად დააპატიმრეს ბაგრატი და მისი მშობლები, მაგრამ დავით ბაგრატიონმა დაამარცხა ისინი და ტყვეებიც გაათავისუფლა.

საქართველოს ისტორიაში, როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ სარწმუნოებას! მართლმადიდებლურმა მრწამსმა გააერთიანა ქართველობა. ქართული ეკლესია, როგორც წესი, მხარში ედგა სახელმწიფოს ხელისუფლებას. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ლაშქარს ჯვარი მიუძღოდა, ბრძოლაში მონაწილე საეკლესიო პირნი მეზობლთა პირველ რიგებში იდგნენ და ამხნევებდნენ მათ.

XI ს-ის დასაწყისში შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელსაც უწოდებდნენ „აფხაზთა სამეფოს“, რადგან სამეფო დინასტია აფხაზთა სამეფოდან იყო გამოსული და სამეფო ტიტულატურაში პირველ ადგილზე მოიხსენიებოდა „მეფე აფხაზთა“. შემდეგ, როდესაც ეს სახელმწიფო გაფართოვდა, შემოიერთეს ტაშირ-მორაგეტის სამთავრო, მეფეთა ტიტულატურა ასე ჩამოყალიბდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, სომეხთა“. მოგვიანებით, შირვანის შემოერთებას დაემატა – „შირვანშა და შაჰანშა“ და ეს ტიტულატურა დარჩა ერთიანი საქართველოს ბოლომდე.

ერთიანი საქართველოს არსებობის პირობებში, XIII ს-ის 30-იანი წლებიდან XIV ს-ის 30-იან წლებამდე, გადავიტანეთ მონღოლთა საუკუნოვანი ბატონობა და შემდეგ თემურ ლენგის რვაგზის შემოსევა 1386-1403 წლებში. როგორც თემურ ლენგის ისტორიკოსი შერეფ ედ დინ ალი იეზდი მოგვითხრობს, როდესაც თემურ ლენგი სარდალს რომელიმე მხარის დასაპყრობად აგზავნიდა, საგანგებოდ ავალებდა, გზაზე რა შენობაც შეხვდებოდა, ყველა დაენგრია. ამ დროიდან შემოვიდა ქართულში: ნაციხარი, ნაეკლესიარი, ნამონასტრალი, ნასახლარი.

მხოლოდ XV ს-ის 40-იან წლებში, მეფე გიორგი V-ის დროს (1318-1346 წწ-ში), რომელსაც ქართველებმა და უცხოელებმა მის სიცოცხლეშივე უწოდეს „ბრწყინვალე“, მტერი განიდევნა, აღდგა საქართველოს დანგრეული მთლიანობა და XV ს-ის ბოლომდე საქართველო ისევ ერთიანი სახელმწიფო იყო.

XV ს-ის ბოლოს საქართველოსთვის ძალიან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაუმეზობლდა ძლიერი მაჰმადიანური სპარსეთი – შიიტური რწმენისა³⁹³... სამხრეთ-დასავლეთიდან – ასევე მაჰმადიანური და დამპყრობლური იდეებით აღვსილი ოსმალეთი – სუნიტური აღმსარებლობისა³⁹⁴. XV-XVIII საუკუნეების განმავლობაში ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ებრძოდა, ოფიციალურად, თითქოს რწმენისათვის, მაგრამ, ფაქტობრივად, მთელს მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებისთვის. ამ პერიოდში ომებში დაზარალდა საქართველოც – გაწყდა საუკეთესო ნაწილი მოსახლეობისა. 1555 წელს ოსმალეთსა და სპარსეთს შორის დაიდო ზავი, რომლითაც მათ მთელი ამიერკავკასია და საქართველო ორად გაიყვეს – ქართლი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთის აღმოსავლეთი ნაწილი ცნეს სპარსეთის ქვეშევრდომად, იმერეთის სამეფო და სამცხე-ჯავახეთის დასავლეთი ნაწილი კი – ოსმალეთის საკუთრებად. ეს ზავი თავისთვის მისაღებად არავის მიაჩნდა და, შეიძლება ითქვას, XV საუკუნის ბოლომდე რამდენჯერმე დაირღვა ხან ერთი, ხან მეორე მხარის მიერ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, 1590 წელს, შაჰ-აბასმა სტამბოლში დადო ზავი ოსმალეთთან, რომლითაც ამიერკავკასია მთლიანად ცნო ოსმალეთის საკუთრებად. ეს თითქოს ცოტა გაუგებარია, მაგრამ შაჰ-აბასი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო – ოსმალეთთან ომის დროს მან დაინახა, რომ იმ ეტაპზე ოსმალეთს ვერ მოერეოდა, რადგან ის ამ დროს, ფეოდალური სახელმწიფოს კვალობაზე,

³⁹³ შიიტური რწმენა – შიიზმი, შიიტობა – პოლიტიკური მიმართულება ისლამში. მუსლიმები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მუჰამადის შემდეგ უმათის ხელმძღვანელობა უნდა გადასცემოდა `ალის და არა აბუ ბაქრის. საბოლოოდ მაინც მიაღწიეს გამარჯვებას და `ალი ხალიფად აირჩიეს, თუმცა ამას მოჰყვა მუ`ავიას აჯანყება და ხარიჯიტების გამოყოფა.

³⁹⁴ სუნიტური აღმსარებლობა – სუნიზმი — ისლამის ძირითადი მიმართულება, რომელიც ითვლება ორთოდოქსულად. სუნიზმის მიმდევრები – სუნიტები – უმრავლესობას წარმოადგენენ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამია გავრცელებული (გამონაკლისია ირანი, სამხრეთი ერაყი, ყოფ. იემენის არაბთა რესპუბლიკა, აზერბაიჯანი და ტაჯიკეთის მთიანეთი). მუსლიმური თემის იმამ-ხალიფას, შიიტებისაგან განსხვავებით, ირჩევენ მთელი თემის ფორმალური თანხმობის საფუძველზე. სუნიზმი მოიცავს 4 რელიგიურ იურიდიულ სკოლას (მაჰზაბს). წმინდა ქალაქებად აღიარებს მექასა და მედინას.

ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო; ლაშქარი მთლიანად სულთანს ემორჩილებოდა და, რაც მთავარია, შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით, რაც სპარსეთს არ გააჩნდა. შაჰ-აბასმა გამოიყენა დრო ხელისუფლების ცენტრალიზაციის, ლაშქრის დამორჩილების და ინგლისიდან ძმები შირლევების³⁹⁵ მოწვევისთვის, რომლებსაც ინგლისში ცეცხლსასროლი იარაღის ქარხანა ჰქონდათ; შეიარაღებინა მათ თავისი ლაშქარი და დაავალა მისი გაწვრთნა. რაც მთავარია, ამ პერიოდში მან ააგო ირანში ცეცხლსასროლი იარაღის ქარხანა და, როდესაც ეს ყველაფერი დასრულებულად მიიჩნია, მაშინ დაარღვია სტამბულის ზავი – 1603 წელს ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს (სომხეთის ეს ნაწილი ამ დროს საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა). შაჰ-აბასმა მოსთხოვა ქართლისა და კახეთის მეფეებს, მისულიყვნენ და დამდგარიყვნენ მის გვერდით, რაც მათ არ შეასრულეს, თუმცა შემდეგ შაჰ-აბასმა მოახერხა ქართლის მეფის³⁹⁶ ხელში ჩაგდება და, რადგან მან არ მიიღო ისლამი, ის სიკვდილით დასაჯეს. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ერთიანი ქართული სამეფო სამ სამეფოდ დაიშალა – ქართლის, იმერეთისა და კახეთის სამეფოებად, მეოთხე ნაწილი კი იყო სამცხე-ჯავახეთი, რომლის განვითარება შემდეგ სულ სხვა გზით წავიდა. მათ იცოდნენ, რომ ეს სამივე სამეფო იყო საქართველო და თითოეულის მეფე გამოსული იყო ერთიანი საქართველოს მეფის ოჯახიდან. საინტერესოა ისიც, რომ ისინი (მეფეები) დოკუმენტებში მხოლოდ საკუთარი სამეფოს მეფეებს კი არ უწოდებდნენ თავს, არამედ იწერდნენ ყველა იმ ტიტულს, რომელიც ერთიანი საქართველოს მეფეებს ჰქონდათ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს ერთობ მიაძიმებური დამოკიდებულება იყო სახელმწიფოსადმი, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამით ისინი მიუთითებდნენ თავიანთ წარმოშობაზე ერთიანი საქართველოდან და იმას, რომ ერთიანი საქართველოს რეალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ.

ამ დროს შემუშავდა ფორმულა „ღონედ უძღურებისა თვისისა“ გარეშე ძალის მოყვანა და გამოყენება და იწვევდნენ სპარსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ და პირიქით.

ამ დროს მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა რუსეთი და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის ყურადღება მთლიანად რუსეთისკენ გადავიდა, რადგან რუსეთი იყო ქრისტიანული, მართლმადიდებლური სახელმწიფო. შეიქმნა კონცეფცია, რომ თითქოს რუსეთს აწყობდა სამხრეთ კავკასიაში ძლიერი ქართული სამეფო, რომელსაც ის დაეყრდნობოდა ამ რეგიონის გასაერთიანებლად. თუმცა, ცხადია, არავითარი ასეთი სურვილი რუსეთს არ ჰქონია. მას სურდა, მთელი სამხრეთ კავკასიის დაპყრობა, აქ დაფუძნება და აქედან ირანისკენ გზის გაგრძელება. ეს საკმაოდ ძნელად გაითავისა ქართული საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა და დიდხანს მაინც რუსეთისკენ ეჭირა თვალი.

ამავე დროს დაიწყო მთიდან ბარისკენ მოსახლეობის დიდი ნაწილის გადმონაცვლება. ქართლის ბარის მოსახლეობა ამ გაუთავებელი ომების შედეგად შემცირებული იყო. საერთოდ, მთიდან ბარში მოსახლეობის ჩამოსვლის პროცესი ყოველთვის მიმდინარეობდა, მაგრამ, თუ სახელმწიფოს ხელისუფლება თავის ადგილას იყო, ამ პროცესს არეგულირებდა. კავკასიონის მთების სამხრეთ კალთებიდან დაიძრა მოსახლეობა. ამავ დროს, რადგან რუსეთი ჩრდილო კავკასიის ველებს უტევდა,

³⁹⁵ ძმები შირლევები – ძმები ანტონ და რობერტ შირლევები სპარსეთში 1598 წელს ჩავიდნენ, რათა ირანი წაექეზებინათ შესულიყო ანტი-ოსმალურ კავშირში. 1587 წელს, როდესაც აბასი ირანის შაჰი გახდა, სახელმწიფოს 60 000-მდე მეომრის მობილიზება შეეძლო, რომელთა დიდ ნაწილს ცხენოსანი ჯარი შეადგენდა. ამავდროულად ყიზილბაშები მის დიდ ნაწილს შეადგენდნენ და ბევრი სამხედრო თანამდებობაც ეკავათ. შაჰმა ყიზილბაშების რაოდენობა თითქმის გაანახევრა და მისი მმართველობისას ირანში სულ 30 000-მდე ყიზილბაში ჯარისკაცი შემორჩა. ძმები შირლევებისა და სხვა ევროპელი სამხედრო პირების დახმარებით შაჰ-აბასმა ჩამოაყალიბა არმიის მთავარი ბირთვი, 40000 გაწვრთნილი ჯარისკაცისგან შემდგარი ჯარი, საუკეთესოდ აღჭურვილი ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით. ამ 40000 მეომარში შედიოდნენ არტილერისტებიც ანუ „თოფჩები“, რომელთა მეთაურს „თოფჩი-ბაში“ ეწოდებოდა. ირანს ამ დროისთვის ძლიერი არტილერია გააჩნდა. თოფოსან ჯარს სპარსელები „თოფანგილარს“ უწოდებდნენ, თოფოსნებს კი „თოფანგის“. ამ შენაერთის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) დოკუმენტები. ძმები შირლევების რჩევით შაჰმა თოფანგილარის რაზმები ძირითადად ირანელი გლეხებისგან ჩამოაყალიბა. იყვნენ ცხენოსანი თოფანგებიც. დელა ვალეს ცნობით თოფოსანთა შენაერთი შაჰ-აბასის საყვარელი საჯარისო ნაწილი იყო და მის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა.

³⁹⁶ იგულისხმება ლუარსაბ II (1592-1622) – ქართლის მეფე 1606-1615 წლებში. 1614 წლის ოქტომბერში ლუარსაბ II შადიმან ბარათაშვილის მეცადინეობით ქართლში დაბრუნდა და შაჰ აბას I-თან მივიდა, რათა ქართლი აოხრებისაგან ეხსნა. შაჰმა 1615 წელს ლუარსაბ II ირანში წაიყვანა და ციხეში დაამწყვდია, რადგან მან გამაჰმადიანებაზე უარი თქვა. იგი შაჰის ბრძანებით შირაზის ციხეში საბლით მოაშთვეს. იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

აქაური მოსახლეობა კავკასიონის ჩრდილო კალთებს აფარებდა თავს, აქედან სამხრეთ კალთებზე გადმოდიოდა, სამხრეთ კალთებიდან კი – ქართლის და კახეთის ტერიტორიებზე.

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის კახეთში ჩამოსახლება ხალხისა, რომელთაც აქლეკებს უწოდებდნენ (როგორც ჩანს, ამ ხალხების გამაერთიანებლები ლეკები იყვნენ). შიდა ქართლის მთიანეთში გაჩნდა ოსთა მოსახლეობა, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ერთმანეთის მონათესავე ტომები, რომლებიც თავის თავს აფსუას უწოდებდნენ. მანამდე ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მდინარე ყუბანის ნაპირებზე ცხოვრობდნენ, რისი დამადასტურებელიცაა ევროპული რუკები, რომლებზეც ნაჩვენებია, რომ ყუბანის ნაპირებზე სახლობდნენ აფსუები და იქ მათ ჰქონდათ პუნქტი აკვა (ალბათ ციხე, რომლის სახელწოდებაც აქ დამკვიდრების შემდეგ სოხუმზე გაავრცელეს). აფსუების მოგზაურობა და ჩამოსვლა საქართველოში მთლიანად არის აღბეჭდილი ხალხურ თქმულებებში, რომლებიც, საბედნიეროდ, აფხაზი ისტორიკოსების მიერ ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირებამდე გამოქვეყნებული. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მათ თავადაც შესანიშნავად იციან, ვინ არიან, თუმცა, დღეს ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფო აქვთ, მას „აფსნის“ უწოდებენ და თავის თავს – „აფსუას“. სახელწოდება „აფხაზი“ კი მათ მათმა თანამედროვე ქართველებმა შეარქვეს, რადგან ისინი ქართული ისტორიული პროვინციის – აფხაზეთის – ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლდნენ; აქედან გავრცელდა რუსეთსა და ევროპაში და საკმაოდ დიდ სირთულეებს გვიქმნის ამ საკითხების კვლევისას.

საინტერესოა სარწმუნოების განსაკუთრებული როლი და ვახუშტის კონცეფცია. იგი წერს: „რომელსა გინდა ქართველსა ჰკითხო, რა რჯული³⁹⁷ ხარ (რჯული აქ სარწმუნოებასაც ნიშნავს და ეროვნებასაც – მ. ლ.), უმალ მოგიგებს – ქართველი; როდესაც ყოველ მათგანს ჰკითხავ, რა არის ენა შენი, მოგიგებს – ქართული“. თუმცა, ვახუშტიმ კარგად იცის, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში სალაპარაკო ენა არსებობს – მეგრული და სვანური, მაგრამ არც ერთ ამ ენას სოციალური ფუნქცია არასოდეს ჰქონია, რაც შესანიშნავად ჩანს ეპიგრაფიკიდან – სვანური და მეგრული წარწერები არც სვანეთშია და არც სამეგრელოში, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ დამწერლობა. ცხადია, იყო მცდელობა ენობრივი დანაწევრებისა, მაგრამ ყველა ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა და ჩვენ დავიცავით ერთიანი ქართული ენა.

ამ ფაქტთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა პერიოდში ქართველ აკადემიკოსთა მოღვაწეობას. საბჭოთა კავშირში დაახლოებით ყოველ ათ წელიწადში ტარდებოდა მოსახლეობის აღწერა, რისთვისაც დგებოდა სათანადო „ანკეტა“, რომელსაც გზავნიდნენ რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოებში, სადაც ის უნდა განეხილათ, მაგრამ დაეცვათ საიდუმლოდ. იმ ორგანოებშიც იყვნენ ეროვნული სულისკვეთებით განწყობილი პიროვნებები და ერთმა მათგანმა სწორად შეაფასა ამ „ანკეტის“ ის მუხლი, რომელიც ეროვნების და ენის საკითხს ეხებოდა, რომლის თანახმადაც, სხვა ეროვნებათა შორის, საქართველოში ცხოვრობდნენ ქართველები, მეგრელები და სვანები და ენა იყო ქართული, მეგრული და სვანური. მან მოახერხა ამ „ანკეტის“ ასლის გადაღება და ის აკადემიკოს გიორგი წერეთელს³⁹⁸ მიაწოდა. ბატონმა გიორგიმ გაამრავლა ეს „ანკეტა“ და დაურიგა იმდროინდელ ქართველოლოგ აკადემიკოსებს. მათ შეადგინეს დოკუმენტი, რომლითაც ადასტურებდნენ, რომ მეგრული და სვანი ერი არ არსებობს, რომ მეგრული და სვანური მხოლოდ სალაპარაკო ენაა, რომელსაც არასდროს ჰქონია სოციალური და პოლიტიკური ფუნქცია. მოაწერეს ხელი და გაგზავნეს საქართველოს ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ-ის ცენტრალურ კომიტეტში. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება იძულებული გახდა, ამოეღო ეს მუხლი ამ „ანკეტიდან“. ამგვარად, ქართველი ერი და ქართული ენა გადარჩა დანაწევრებას.

ქართველი ყოველთვის იყო მიმაგრებული თავის მიწაზე. როგორც კი მტერს განდევნიდნენ, თითქმის ყველა უკლებლივ თავის მიწას უბრუნდებოდა. ამიტომ ჩვენ გვყავდა პოლიტიკური ემიგრაცია, და არ გვყავდა ემიგრაცია იმ ფორმით, როგორიც დღესაა, როცა ოჯახის გამოსაკვებად ლამის მილიონამდე ქართველია გადახვეწილი.

³⁹⁷ საინტერესოა, რომ ეროვნება და სარწმუნოება ქართულად ერთი სიტყვით – „რჯული“ – გამოითქმის.

³⁹⁸ გიორგი წერეთელი – გიორგი ვასილის ძე წერეთელი (1904-1973) – ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1968), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრი (1966), დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი (1964).

განსაკუთრებული როლი ჩვენი გადარჩენის საქმეში შეასრულა ქართველმა ქალმა – დედამ. როგორც კი ოჯახში ვაჟი გაჩნდებოდა, ამბობდნენ, რომ გაჩნდა სამშობლოს კიდევ ერთი დამცველი. დედა აკვნიდანვე უნერგავდა შვილს, რომ ის იმიტომ გაჩნდა, რათა სამშობლოს სადარაჯოზე იდგეს. არსებობს ასეთი გადმოცემა – დედას, რომელსაც 5-დან 4 შვილი ბრძოლის ველზე დაეღუპა, სახლში დარჩა ერთი ვაჟი. მტრის მორიგი შემოსევის დროს ეს ერთადერთი ვაჟიც ომში წავიდა, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ უკან დაბრუნდა. დედამ ჰკითხა – რა, განდევნეთ მტერიო? – არაო, – უპასუხა ვაჟმა, – მაგრამ მე წამოვედიო. დედამ მკაცრად უბრძანა – დაბრუნდი უკან და იომე სამშობლოსთვისო! ვაჟი წავიდა და ბრძოლის ველზე დაეცა. თქმულება გადმოგვცემს, რომ დედამ იპოვა დაღუპული შვილი და თავად დასაფლავა... არავინ იცის, ეს თქმულება ნამდვილია თუ არა, მაგრამ ხალხური თქმულებები ცარიელ ადგილზე არ ჩნდება, მას ყოველთვის რეალური საფუძველი აქვს.

ქართველი ერისთვის უძველესი დროიდანვე იყო დამახასიათებელი შემწყნარებლობა. აქ სახლობდნენ ებრაელები, თურქები, სომხები და სხვადასხვა ერების წარმომადგენლები და არც საქართველოს ხელისუფლება ერჩოდა მათ და არც ხალხი. ისინი მშვიდობიანად მოსახლეობდნენ ქართულ მიწაზე. ალბათ, ამანაც გვიშველა და გადაგვარჩინა იმ ომის დროს³⁹⁹, რომელიც 1992-1993 წლებში⁴⁰⁰ აფხაზეთში მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ ომში ქართველების წინააღმდეგ მონაწილეობდა ბაგრამიანის ბატალიონი⁴⁰¹, მაგრამ აქ არც ერთი სომხისთვის ქართველებს არაფერი დაუშავებიათ.

არის კიდევ ერთი რთული საკითხი – ისლამი ვერ გავრცელდა საქართველში. როდესაც არაბებმა არაბეთის ნახევარკუნძულზე შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, გააერთიანეს მთელი არაბეთის ნახევარკუნძული და შექმნეს თავისი იდეოლოგია – ისლამი. მათი მთავარი დებულებით, ისლამისათვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლი პირდაპირ სამოთხეში ხვდებოდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს VIII-ს-ის ავტორის, იოანე საბანისძის ნაშრომი, აბო თბილელის მარტვილობას რომ ეძღვნება. იმ დროს, როდესაც აქ არაბები ბატონობდნენ და თბილისში არაბი ამირა იჯდა, დამპყრობთა ტყვეობაში მყოფი ქართლის ერისთავის მსახურმა, წარმოშობით არაბმა (მაჰმადიანმა), ქრისტიანობა აღიარა, რისთვისაც ეწამა. იოანე საბანისძე მოგვითხრობს, რომ საქართველოში იყვნენ გამაჰმადიანებული ქართველები – ზოგნი უმეცრებით, ზოგნი მოხიბლული იმ უპირატესობებით, რომლითაც გამაჰმადიანებული ქართველები სარგებლობდნენ, მაგრამ ის ვერ ასახელებს კონკრეტულ პიროვნებას. ვფიქრობთ, მაშინ გამაჰმადიანებული ქართველი ქრისტიანები რომ ყოფილიყვნენ, იოანე საბანისძე თავს არ აარიდებდა მათ დასახელებას. ამასთანავე საინტერესოა, რომ მახლობელი აღმოსავლეთის რიგ ქალაქებში მოღვაწეობდნენ წარმოშობით ქართველი (გურჯი) მოღვაწეები.

საქართველოში შეიქმნა მდიდარი ჰაგიოგრაფიული მწერლობა, რომელიც დამპყრობთა მიერ სიკვდილით დასჯილ ქართველებზე მოგვითხრობს, მაგრამ ისინი არიან ის მთავრები, ვინც მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ, ტყვედ ჩაუვარდნენ დამპყრობლებს, მაგრამ, მათი მოთხოვნის მიუხედავად, არ იღებდნენ ისლამს, თუმცა მათ მსახურებაზე უარს არ ამბობდნენ. ესენი არიან დასავლეთ საქართველოს მთავრები დავით და კონსტანტინე, ქართლის დიდი მთავარი კონსტანტი-კახა, ყველის ციხის დამცველი მიქელ-გობრონი... რადგან მოსახლეობაში ისლამი ვერ გავრცელეს, ამ, მათ ხელში ჩავარდნილ, მთავრებზე დაყრდნობით ცდილობდნენ თავისი ბატონობის დამყარებას.

არაბებმა დაიპყრეს ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები, სამხრეთი კავკასია, დასვეს აქ თავისი მოხელე. დაიპყრეს ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრები ტომები. ყველამ

³⁹⁹ იგულისხმება აფხაზეთის ომი – 1992-1993 წლების ომი ერთი მხრივ, საქართველოს, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზ სეპარატისტებს, გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონს, ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრებსა და ადგილობრივი სომხების ბაგრამიანის სახელობის ბატალიონს შორის. ომის დროს სეპარატისტებს აქტიურად ეხმარებოდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებიც, რაც გამოიხატა რუსული ავიაციის მიერ ქართული სამხედრო პოზიციებისა და დასახლებების დაბომბვაში.

⁴⁰⁰ წყაროში არასწორადაა აღნიშნული 2008 წელი.

⁴⁰¹ ბაგრამიანის ბატალიონი – ბაგრამიანის ბატალიონი (სომხ. Բաղրամյան) – აფხაზეთის 1992-93 წლების ომის პერიოდში (1993 წლის 9 თებერვალს) ჩამოყალიბებული სომხური ბატალიონი, რომელსაც თავდაპირველად ნაციონალისტური ორგანიზაცია „კრუნკის“ ლიდერი, ვლადისლავ არმინზას მომხრე ალბერტ ტოპოლიანი მეთაურობდა და აფხაზურ მხარეზე იბრძოდა. ეს შენაერთი საბჭოთა სომეხი მარშლის ივანე ბაგრამიანის სახელს ატარებდა.

მიიღო ისლამი და მიადგნენ ქრისტიანებით დასახლებულ პირენეის ნახევარკუნძულს. არაბებმა ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში შეძლეს თავისი ხელისუფლების დამყარება. აქ დაახლოებით V ს-ის დასაწყისიდან დაიწყო ბრძოლა – რეკონკისტა⁴⁰², როგორც მას უწოდებდნენ. ამ ბრძოლის მიზანი იყო პირენეის ნახევარკუნძულის გათავისუფლება დამპყრობლებისაგან. ამავ დროს, დამპყრობელი არაბები მიადგნენ ფრანკთა იმპერიის საზღვარსაც, თუმცა აქ დამარცხდნენ (762 წელს) და დაედო ზღვარი ევროპისათვის ბრძოლას.

ჩვენ გადაგვარჩინა ჩვენი ოჯახების სიმყარემ და მრავალშვილიანობამ – ამ გზით, ომში დაღუპული მოსახლეობის შევსება მეტ-ნაკლებად ხერხდებოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში აქვს მეფის ხელისუფლებას. 523 წელს, როდესაც სეფიანთა ირანმა გააუქმა მეფის ხელისუფლება ქართლში და მთელი ამიერკავკასია თავის მარზაპანს დაუქვემდებარა, დაახლოებით 2-3 ათწლეულის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ეროვნული ხელისუფლების აღდგენისათვის. „ნელად-რე შეკრბა ქართლი“. – წერს ქართველი მემკვიდრე.

ირანის ხელისუფლება აქ რომ გზავნიდა წარმომადგენელს, ეს იყო „ვალი“, ანუ ხანი, მაგრამ ადგილობრივები მას მეფეს უწოდებდნენ. მაგალითად, 1632-58 წლებში ირანმა გამოგზავნა აქ ხოსრო-მირზა ბაგრატიონი, რადგან მათაც ესმოდათ, რომ აქ ბაგრატიონის ხელისუფლება ადვილად ხელშესახები არ იყო. ხოსრო-მირზა, ალბათ, ირანში გადასახლებული ბაგრატიონების შთამომავალი იყო, აქ კი მას ეწოდებოდა მეფე როსტომი (1639-1658).

საქართველოში არაბბაგრატიონი მეფედ არასოდეს უცვნიათ. ევროპის ქვეყნებში იცვლებოდა დინასტიები, აქ კი, ფაქტობრივად, არ დამდგარა დინასტიის შეცვლის საკითხი, ჩანს, ბაგრატიონებმა ეს დაიმსახურეს.

ცნობილი იყო, რომ ბაგრატიონები ხშირად ეწეოდნენ ქველმოქმედებას და ამას აკეთებდნენ არა სახელმწიფო ხაზინის, არც ბაგრატიონთა სახლის ხარჯზე, არამედ, საკუთარი შრომით მოპოვებულიდან. მეფე დავით IV⁴⁰³ ნადირობას რომ მორჩებოდა, გამოიტანდნენ ნანადირევს, ყიდდნენ და ამ თანხას ურიგებდნენ უპოვართ, ხოლო თამარ მეფე⁴⁰⁴ თავის ნაქარგებს და ხელნაქნარს ყიდდა და ამით ეწეოდა ქველმოქმედებას

საქართველოს მეფეები ომში ზურგს უკან კი არ ედგნენ ლაშქარს, წინ უძღოდნენ და მის მხარდამხარ იბრძოდნენ. მეფე ყველაზე რთულ ადგილებში იბრძოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ ბაგრატიონები ღვთიური წარმომავლობისანი არიან – დავითიან-სოლომონიან⁴⁰⁵ ბაგრატიონები. ყველა არ იზიარებს ამ მოსაზრებას, თუმცა, XI საუკუნეში დაიწერა თხზულება სუმბატ დავითის ძის⁴⁰⁶ მიერ, რომელშიც მოცემულია ბაგრატიონთა დინასტიის ისტორია. 826 წელს გიორგი მერჩულე⁴⁰⁷ აშოტ კურაპალატს⁴⁰⁸ მიმართავს, როგორც „უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულს“. ბევრს ეს თვალსაზრისი სადავოდ მიაჩნია და თვლის, რომ ეს არის საგანგებოდ შექმნილი თვალსაზრისი ბაგრატიონთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მე ვფიქრობ, შესაძლებელია, ეს მივიღოთ ჭეშმარიტებად, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა გავანალიზოთ ერთი რამ: ვთქვათ, ეს მოსაზრება მართლაც ხელოვნურად შეიქმნა, მაგრამ რატომ შეიქმნა? ესე იგი, ბაგრატიონებმა დაიმსახურეს ეს განწყობა. სამწუხაროდ, არ ვიცით, როდიდან არსებობს ეს თვალსაზრისი.

⁴⁰² რეკონკისტა – რეკონკისტა (ესპ. Reconquista დაბრუნება) – დაკარგული ქრისტიანული მიწების დაბრუნების პროცესი პირენეის ნახევარკუნძულზე, რომლებიც დაკავებული ჰქონდა მავრების სამეფოს.

⁴⁰³ დავით IV – იგულისხმება საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი (1089-1125).

⁴⁰⁴ თამარ მეფე (დაახ. 1160-1213, შესაძლოა 1210 ან 1207), საქართველოს მონარქი 1184 წლიდან.

⁴⁰⁵ დავითიან-სოლომონიანი – იგულისხმება, რომ ბაგრატიონები ბიბლიური მეფეების დავით წინასწარმეტყველის და სოლომონ ბრძენის შთამომავლები არიან.

⁴⁰⁶ სუმბატ დავითის ძე (ბაგრატიონი), XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსი. ავტორია ისტორიული ქრონიკისა „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა ჩუენ ქართულთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანი რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“.

⁴⁰⁷ გიორგი მერჩულე – X საუკუნის ქართველი მწერალი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. მოღვაწეობდა ხანძთის სავანეში. 951 წელს აქვე დაწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რისთვისაც გამოიყენა გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა ნაამბობი და სხვადასხვა ისტორიული წყარო (კირილე ალექსანდრიელის, იპოლიტე რომაელის, კირილე სკვითოპოლელისა და სხვათა თხზულებანი).

⁴⁰⁸ აშოტ კურაპალატი – აშოტ I დიდი, კურაპალატი (გ. 826) – ტაო-კლარჯეთის ერისმთავარი (786-813); ტაო-კლარჯეთის მეფე – კურაპალატი (809[13]-826); ქართლის ერისმთავარი (813-826).

საქართველოში განათლებული ადამიანისათვის აუცილებელი იყო თავისი წარსულის ცოდნა. ჩვენ გვაქვს X საუკუნეში შედგენილი შატბერდის კრებული, სადაც, სხვადასხვა ლიტერატურასთან ერთად, მოცემულია ნაშრომი „მოქცევაი ქართლისაი“, რომელშიც ავტორი საქართველოს ისტორიას იწყებს არა ქრისტიანობის შემოსვლიდან, რაც ლოგიკური იქნებოდა, რადგან ის ქრისტიანი ავტორია, არამედ – ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, რადგან მან იცის, რომ ქრისტიანობის შემოსვლამდე საქართველოს დიდი წინარე ისტორია ჰქონდა.

XIX საუკუნეში, როცა საქართველოში დიდი საგანმანათლებლო მოძრაობა დაიწყო, ილია ჭავჭავაძემ თქვა: ერის გათახსირება და დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს. შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამამისი, და იქიდან განაგრძოს მოღვაწეობაო.

ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ბევრი მოღალატეც იყო, ბევრი – ერის ერთგულიც. როგორც ჩანს, ჩვენთან ერის და ქვეყნის ერთგულები ბევრად უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე მოღალატენი, რამაც ბევრჯერ გამოგვიყვანა რთული მდგომარეობებიდან.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა, ფაქტობრივად, საქართველოს ანექსია განახორციელა. ის ოცნებობდა, რომ საქართველო საერთოდ არ ყოფილიყო რუკაზე და ამ მიზნით შექმნა ორი პროვინცია – თბილისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია. ამავე დროს ცდილობდა ქართული ენის ამოძრკვას და რუსული ენის დამკვიდრებას. ასეთივე ღონისძიებები, სხვადასხვა სახით, ტარდებოდა სხვა რესპუბლიკებშიც. რუსეთმა ბევრი რამ გააკეთა ამისთვის, მაგრამ ქართული ენა მაინც გადარჩა, როგორც გამაერთიანებელი ყოველთა ქართველთა.

1801 წელს, როცა რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, შეიძლება ითქვას, მეორე დღიდანვე დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ სხვადასხვა პროვინციებში. ქართველებმა გაერთიანება ვერ მოახერხეს, მაგრამ ყველა ეს აჯანყებული ხალხი მოციქულს გზავნიდა ერეკლეს შთამომავლებთან – ბაგრატიონებთან – მობრძანდით, მოგვებმარეთ რუსეთის განდევნაში და მეფედ აგირჩევთო, მაგრამ ყველა ეს მცდელობა რუსეთმა ჩაახშო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გამოსვლებს შორის იყო 1832 წლის შეთქმულება⁴⁰⁹, რომელიც გახლდათ ელიტარული ინტელიგენციის გაერთიანება. შეთქმულთა შორის იყვნენ ისეთები, ვისაც მიაჩნდა, რომ საქართველოში უნდა შექმნილიყო რესპუბლიკა; ისეთებიც, ვისაც მიაჩნდა, რომ უნდა დამყარებულიყო კონსტიტუციური მონარქია; ზოგი კი ფიქრობდა, რომ უნდა აღდგენილიყო ბაგრატიონთა დინასტია.

როცა რუსეთმა განიმტკიცა მდგომარეობა, დაიწყო გეგმაზომიერი და მიზანმიმართული შეტევა ქართულ ენაზე, კულტურასა და ეროვნულ თვითშეგნებაზე. ეროვნული თვითშეგნება ჩვენთან ძალიან ადრე, ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულის შუა წლებიდან მოდის და თანდათან ძლიერდება. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, VII-VIII საუკუნეებში, სინას მთაზე მყოფი ქართველი ბერები ლოცულობდნენ ყოველთათვის და, განსაკუთრებით, ყოველთა ქართველთათვის... ჩვენ გვყავს X საუკუნის უდიდესი მოღვაწე – ილარიონი⁴¹⁰, რომლის გარდაცვალების შემდეგაც დაიწერა თხზულება „ილარიონ ქართველის ცხოვრება“⁴¹¹. საინტერესოა, რომ ამ თხზულების ერთ-ერთი პირველი წინადადებაა: „ილარიონი იყო ქვეყანით კახეთით“... X საუკუნეში მოღვაწე გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, რომელიც XI საუკუნეში დაიწერა, ნათქვამია, რომ ილარიონი იყო „ნათესავით ქართველი“ და მისი მამა იყო სამცხედან. ე. ი. კახელიც, სამცხელიც და ყველა ეთნოგრაფიული კუთხის წარმომადგენელი ქართველია.

⁴⁰⁹ 1832 წლის შეთქმულება – ქართველი თავადაზნაურობის მიერ რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგოდ მოწყობილი შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოდან რუსეთის იმპერიის განდევნასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. შეთქმულების იდეა რუსეთში მყოფ ქართველი ახალგაზრდების წრეში გაჩნდა, რომლებიც შთაგონებულები იყვნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციური მოწყობითა და საფრანგეთის რევოლუციით. შეთქმულებას სათავეში დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები ჩაუდგნენ; ერთ-ერთ ორგანიზატორად და ხელმძღვანელად ელიზბარ ერისთავი დაინიშნა, ხოლო სოლომონ დოდაშვილი როგორც ორგანიზატორი, ისევე იდეოლოგიც იყო. შეთქმულება ერთ-ერთმა მონაწილე თავადმა, იესე ფალავანდიშვილმა გასცა.

⁴¹⁰ ილარიონი – ილარიონ ქართველი (822-882) – ქართველი სასულიერო მოღვაწე. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი.

⁴¹¹ „ილარიონ ქართველის ცხოვრება“ – IX საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწის ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის და საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდშიც მუდმივად მიმდინარეობდა ბრძოლა ქართველობისა და ქართული თვითშეგნების წინააღმდეგ. 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ჩვენ ერთი სახელმწიფო ვართ და უნდა გვქონდეს ერთი ისტორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ამას დიდი ბრძოლა გამოუცხადა და ეს პოლიტიკა ვერ გაატარეს. მათ ვერც ერთიანი სახელმწიფო ისტორიის შექმნა მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აკად. პანკრატოვას⁴¹² რედაქციით უკვე დაწერილი იყო სსრკ-ის ისტორიის ოთხტომეული, რომელშიც საქართველოს ისტორია სულ 25 გვერდზე ეტეოდა. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სუსლოვის⁴¹³, ინიციატივით, გამოითქვა მოსაზრება, რომ უნდა დადგენილიყო ერთი ენა, რადგან საბჭოთა კავშირი ერთი სახელმწიფო იყო. ჩვენ გვავალდებდნენ, რომ გვესწავლებინა რუსულ ენაზე. მშობლიურ ენაზე სწავლება, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ამ დროს მხოლოდ თბილისის და ერევნის უნივერსიტეტებში წარმოებდა და ამიტომ გადაწყვიტეს, განეხორციელებინათ შეტევა ყველაზე უფრო ფხიზელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. მაშინ წამოვიდა დირექტივა, რომ კათედრას საგანი მაინც რუსულ ენაზე უნდა წაეკითხა. უნივერსიტეტში არ აღმოჩნდა არც ერთი უჯრედი, არც აკადემიკოსი და არც ახალგაზრდა ლექტორი, რომელიც ამას დაემორჩილებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა ლექტორმა მზია ლეკვეიშვილმა⁴¹⁴ მეორე კორპუსში სტუდენტთა აქციაც კი ჩაატარა. ახლა აქციები აღარ გვიკვირს, მაგრამ იმ წლებში ეს წარმოუდგენელი რამ იყო.

ასევე უნდა გავიხსენოთ ის წლები, როცა უნდოდათ, კონსტიტუციიდან ამოეღოთ ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა. მაშინ ცეკას მდივანი იყო ედუარდ შევარდნაძე⁴¹⁵ და დღესაც ვერ გამოგია, როგორ ვერ მოახერხა მან ამის განხორციელება. სხვათა შორის, მაშინვე შეიქმნა მოსაზრება, რომ სწორედ მან მისცა ბიძგი იმას, რომ მოსახლეობა და ახალგაზრდობა მომზადებული შეხვედროდა ამ წინადადებას. მან რამდენიმე დღით ადრე უზენაესი საბჭოს იმ ყრილობამდე, სადაც უნდა განხილულიყო ეს საკითხი, ტელევიზიით გამოსვლისას ისაუბრა ყრილობის დღის წესრიგზე და აღნიშნა, რომ ყრილობის ერთ-ერთი საკითხი იყო კონსტიტუციიდან ეროვნული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ამოღება.

ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა ერთი ფაქტი. როდესაც ტარდებოდა საკავშირო თათბირი ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ ერთ სახელმწიფოში ერთი ენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არავინ ამბობდა, რომელი უნდა ყოფილიყო ეს ენა, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო რუსული და არა რაღაც ახლად შექმნილი ენა. როდესაც სიტყვა აიღო საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელმა, ცნობილმა ლიტერატურის მცოდნემ და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთმა მდივანმა, ბ-მა ბესარიონ ჟღენტმა⁴¹⁶, მან საგანგებოდ ისაუბრა ერთ სახელმწიფოში ერთი ენის არსებობის აუცილებლობის შესახებ და ბოლოს განაცხადა,

⁴¹² პანკრატოვა – ანა მიხაილოვნა პანკრატოვა (რუს. Анна Михайловна Панкратова, 1897-1957) – წამყვანი საბჭოთა ისტორიკოსი, პედაგოგი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

⁴¹³ სუსლოვი – მიხეილ სუსლოვი (რუს. Михаил Андреевич Суслов; 1902-1982) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეორე მდივანი და პარტიის არაოფიციალური იდეოლოგი

⁴¹⁴ მზია ლეკვეიშვილი – მზია ლეკვეიშვილი (1927-2015), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1950 წელს. 1955-1958 წწ. იყო გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგე; 1958-1960 წწ. ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორის მოადგილე; 1960-1964 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; 1967-1975 წწ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი; 1964 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1972-1975 წწ. იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი; 1991-2005 წწ. სისხლის სამართლის კათედრის გამგის მოადგილე; 2005-2006 წწ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; 2010-2015 წწ. კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; 2005-2010 წწ. ვახტანგ გორგასლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი შრომები ეძღვნება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის, აგრეთვე ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს, ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. სისხლის სამართლის სპეციალისტი, პროფესორი (1993-2011), პროფესორ-ემერიტუსი (2012 წლიდან).

⁴¹⁵ ედუარდ შევარდნაძე – ედუარდ შევარდნაძე (1928-2014), 1972-1985 წლებში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1985-1990 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წლებში საქართველოს მეორე პრეზიდენტი.

⁴¹⁶ ბესარიონ ჟღენტი – ბესარიონ (ბესო) ჟღენტი (1903-1976) – ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

რომ ახალი ერთი ენის მიღების შემდეგ, სამწუხაროა, რომ ამ ერთი სახელმწიფოს მცხოვრებნი ვეღარ მიმართავენ ერთმანეთს პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის ენაზე, მაგრამ ყველაზე მეტად სამწუხაროა, რომ ვეღარ მიმართავენ ერთმანეთს დიდი ლენინის ენაზე. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, გამოაცხადეს შესვენება და საზოგადოებას მოახსენეს, რომ ამჯერად სხდომას წყვეტდნენ და შემდგომი სხდომის შესახებ შეატყობინებდნენ. აღარავითარი განხილვა ამ საკითხისა აღარ ყოფილა.

მაშინ უნივერსიტეტში, სტუდენტთა და პროფესორთა ინიციატივით, ჩამოყალიბდა მოძრაობა, რომელსაც უნდა გაეპროტესტებინა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ამოღება კონსტიტუციიდან. როდესაც უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბნენ სტუდენტები, მათ გარშემო იდგა მილიცია, რომელიც ძალიან კარგად იქცეოდა, ხოლო წინ ედგათ დედების კორდონი. გაემართა ეს დემონსტრაცია უმაღლესი საბჭოსკენ, სადაც მიმდინარეობდა სხდომა, რომელზედაც უნდა განხილულიყო ეს საკითხი. გზადაგზა მათ უერთდებოდნენ მოსწავლეები, პედაგოგები, სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლები. მათ შორის იყვნენ სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები ივანე ჯავახიშვილის შვილის, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის⁴¹⁷ მეთაურობით, და როცა მას შეუთვალეს, რომ მიემართა შეკრებილთათვის, დაშლილიყვნენ, ლალიმ ეს არ იკადრა. სხვათა შორის, უნივერსიტეტის პრორექტორი სერგო ჯორბენაძე⁴¹⁸ ამ დემონსტრაციას გარს უვლიდა მანქანით და როდესაც ჰკითხეს, რას დარბიხარ აქეთ-იქითო, უპასუხა – მეშინია, რამე გაუგებრობა არ მოხდეს და ბავშვებს არაფერი დაუშავდეთო.

ამ დემონსტრაციის შესახებ მუდმივად საქმის კურსში აყენებდნენ სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბრეჟნევს⁴¹⁹ და რთულად უხატავდნენ სიტუაციას, რომელიც მართლაც რთული იყო. მას უკითხავს, რა უნდათ, რას ითხოვენო? და როცა უთქვამთ, ქართველები „ენას“ ითხოვენო, უპასუხა – მიეცით მერე ეს ენაო... სწორედ ამის შემდეგ გავიდნენ სტუდენტებთან და გაიტანეს ეს ინფორმაცია... ჩვენ მაშინაც შევინარჩუნეთ ქართული ენა...

ჩვენ რთული საბჭოთა რეჟიმის პერიოდში ვიცხოვრეთ.

ჩვენმა წინაპრებმა ურთულეს პერიოდებში შეძლეს ეროვნული თვითმყოფადობის და ქართული ენის დაცვა და შენარჩუნება.

დიდი მადლობა.

(ტაში დარბაზში)“

⁴¹⁷ ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი – ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი (1917-1997), არქეოლოგი, მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1976). დიდი ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის შვილი.

⁴¹⁸ სერგო ჯორბენაძე – სერგო ჯორბენაძე (1926-1998), იურისტი, მეცნიერი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1946 წელს, 1966-1986 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი; 1952-1998 წწ. სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და სახელმძღვანელოს ავტორი.

⁴¹⁹ ბრეჟნევი – ლეონიდილიას ძე ბრეჟნევი (რუს. Брежнев, Леонид Ильич; 1907-1982), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1964-იდან), ხოლო 1966 წლიდან გენერალური მდივანი და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1960-1964 წლებში და 1977-1982 წლებში.

V. სამხედრო ორატორული ნიმუში

V. MILITARY ORATORICAL SAMPLE

სიტყვა, თქმული ნინო ორბელიანის მიერ ქართველ თავად-აზნაურთა
მხედრობის მიმართ რუსეთ-ოსმალეთის ომში წასვლის წინ,
1877 წლის 9 მაისს

ტექსტი აკრიფა, ლექსიკონი, შენიშვნები,
განმარტებები და მოკლე მიმოხილვა
დაურთო ნათია კენჭიაშვილმა

(მოკლე მიმოხილვა)

ორატორული ნიმუშია [სიტყვა, თქმული ნინო ორბელიანის მიერ ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის მიმართ რუსეთ-ოსმალეთის ომში წასვლის წინ, 1877 წლის 9 მაისს]. ორატორული ნიმუში დარგობრივად მიეკუთვნება სამხედრო მჭევრმეტყველებას, ხოლო ჟანრობრივად – სიტყვის ჟანრს.

სიტყვის ავტორია ნინო აბაშიძე-ორბელიანი (1838-1919) – ქართველი პოეტი და მსახიობი. იგი გახლდათ მაკრინე თარხნიშვილისა და სვიმონ აბაშიძის ქალიშვილი, გრიგოლ ჯამბაკურ-ორბელიანის (1836-1887 წწ.) მეუღლე. დაიბადა შიდა ქართლის სოფელ ახალქალაქში. 1870-იან წლებში ნინო უკვე თბილისში ცხოვრობდა და ნაყოფიერ ლიტერატურულ, თეატრალურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, იყო ბრწყინვალე იმპროვიზატორი. სწორედ მას ეკუთვნის 1877 წელს წარმოდგენილი სიტყვა, რომლითაც ქართულ ჯარს აცილებს რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878 წწ.) ფრონტზე.

ორატორული ნიმუშის მიმართ ინტერესს აძლიერებს ის გარემოება, რომ სიტყვის წარმომთქმელი ქალია, რაც სამხედრო მჭევრმეტყველებისთვის შედარებით უცხოა. ორატორული ნიმუში ბეჭდური სახით პირველად გამოქვეყნდა 1968 წელს ნ. კანდელაკის მიერ „ქართულ მჭევრმეტყველებაში“ უსათაუროდ⁴²⁰. წინამდებარე გამოცემაში ის ხელმეორედ იბეჭდება. გთავაზობთ ორატორულ ნიმუშს უცვლელი სახით აღნიშნული წყაროდან.

⁴²⁰ კანდელაკი, ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 168.

Speech Delivered by Nino Orbeliani to the Georgian Noble Army before Leaving for the Russo-Ottoman War, on May 9, 1877

The text was typed, the dictionary, notes, explanations and a brief overview were attached by Natia Kentchiashvili

(A BRIEF OVERVIEW)

An oratorical sample is [Speech delivered by Nino Orbeliani to the Georgian noble army before leaving for the Russo-Ottoman War, on May 9, 1877]. The oratorical sample belongs to the military rhetoric field, and the speech genre.

The author of the speech is Nino Abashidze-Orbeliani (1838-1919) – a Georgian poet and actress. She was the daughter of Makrine Tarkhnishvili and Svimon Abashidze, and the wife of Grigol Jambakur-Orbeliani (1836-1887). She was born in the village of Akhalkalaki, Shida Kartli. In the 1870s, Nino already lived in Tbilisi and was engaged in fruitful literary, theatrical, and public activities. She was distinguished by her oratorical talent and was a brilliant improviser. In 1877, she delivered a speech, in which she dismisses the Georgian army on the front of the Russo-Ottoman war (1877-1878).

The interest in oratorical sample is enhanced by the fact that the speaker is a woman, which is relatively foreign to military rhetoric. It was first published in print in 1968 by N. Kandelaki in “Georgian Rhetoric”⁴²¹. In the present edition, it is published for the second time. Hereby we present the oratorical sample, unchanged from the primary source mentioned above.

⁴²¹ Kandelaki, N., *Georgian Rhetoric*, Tbilisi, Sabtchota Sakartvelo, 1968, p. 168 (in Georgian).

სიტყვა

**თქმული ნინო ორბელიანის მიერ ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის
მიმართ რუსეთ-ოსმალეთის ომში წასვლის წინ, 1877 წლის 9 მაისს**

„ნება მიბოძეთ მეც ორიოდ სიტყვით გამოვხატო ჩემი გრძნობა თქვენდამი, ძვირფასო ძმანო.

ჩვენ თქვენი დანი და ერთმიწიშვილნი თანაგრძნობელნი ვართ თქვენი ჭირში და ლხინში. თუმცა ბუნებას ისე დაუჩაგრავართ⁴²², რომ არა გვაქვს ნება, არცა ძალა, რომელ ჩვენც აღვიჭურვინეთ საომრად და საშველად მამულისათვის, მაგრამ წმინდის გრძნობით და სასოებით მარადის თქვენთან მყოფნი გილოცავთ გზასა და ვევედრებით ზეგარდმო მამასა, რომელმან განაგრძოს სიცოცხლე თქვენი მრავალჟამიერ და მოგცესთ მხნე გული და ძლევა მტერზედა, და სიხარულით მოგაბრუნოსთ ჩვენად დიდებად და იმედად, ამინ.

გილოცავთ ცრემლით დროშას. გიძლოდესთ ჯვარი მფარველად და მხსნელად გყავდეთ იესო.“

⁴²² დაუჩაგრავართ – დავუჩაგვრივართ.

გამომცემლობა „მერიდიანი“ / “Meridiani” Publishers
თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №88 / Tbilisi, 88 Vakhushti Bagrationi St.
ელფოსტა / E-mail: meridiani777@gmail.com